ქრისტიანული ხელიგების დამოკიდებულება და ეკლესიის კანონები ყოველთვის ახ მოქმედებდნენ მევაშეობის აკრძალვის მიმართებით. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ამას ხელს უწყობდა ახალ აღთქმაში პროცენტის სესხის აკრძალვასთან დაკავშირებული ბუნდოვანება. 1836 წელს კათოლიკური ეკლესიის მიერ მიღებულმა განკარგულებამ სხუდი დეგიტიმუხობა შესძინა მევაშეობასა და პროცენტებს, ხასაც საბანკო სექტორის სწრაფი ზიდა მოჰყვა. ბაზელის კომიტეტის მიერ საკრედიტო სფეროს საერთაშორისო დონეზე რეგულირების პროცესმა გააძლიერა კრედიტოთა და მევაშეების სოციალური პასუხისმგებლობა, ხაც ეკონომიკის ამ სფეროში ამაღლებს ქრისტიანულ ღირებულებებს.

საკვანძო სიტყვები: ქრისტიანული სამყარო, სესხის პროცენტი, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტი.

მევაშეობისა და სასესხო პროცენტების მიმართ დამოკიდებულება ყველა რელიგიაში ერთნაირად უარყოფითია. თუმცა იყო პერიოდი, როდესაც მევაშეობა და პროცენტების შეგროვება ჩვეულებრივ საქმიანობას წარმოადგენდა ზუსტად ისევე როგორც ეს ახლა ხდება.

ძველი საბერძნეთის კანონებში არ არსებობს არც ერთი დებულება, რომელიც კრძალავს სესხის პროცენტის გამოყენებას. მესოპოტამიურ ცივილიზაციაშიც დაკრედიტების პროცენტი კანონიერი იყო, როგორც ბერძნებისა და რომაელების შემთხვევაში.

ბერძნული ცივილიზაციის პერიოდში არსებობდა რამდენიმე სახის საპროცენტო განაკვეთი სესხის დაფარვასა და მის დაბრუნებაზე. საპროცენტო განაკვეთს ეწოდებოდა „პროცენტი“ ან „ჩვეულებრივი საპროცენტო განაკვეთი“. სესხების საპროცენტო განაკვეთი იყოფა პროცენტზე: სტანდარტულ სესხებზე (6-18%), უძრავი ქონების სესხებზე (6.67-12%), ქალაქის სესხებზე (7-12%), სავაჭრო და სამრეწველო სესხებზე (12- 18 %). იმავდროულად, 6-10% -იანი ინვესტიციების პროცენტი გადაიხადეს მათ, ვინც განახორციელეს კონკრეტული ინვესტიციები.

რომაულ ცივილიზაციაში სესხებზე პროცენტის გადახდა დაიწყო ძვ.წ. 500 წელს და დასრულდა ჩვენი წელთაღრიცხვით 4 წელს. თორმეტი ცხრილის კანონები (ძვ. წ. 451-450) იყო ძველი რომის კანონების პირველი ნაკრები, რომელმაც დაადგინა კანონიერი მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთისათვის. სესხის პროცენტის სამართლებრივი სტატუსის მიუხედავად, საზოგადოება უკმაყოფილო იყო და ხშირად გამოდიოდა ამ საკითხზე. ეგრეთ წოდებული ლექს გენუციას პერიოდში (ძვ. წ. 342 წ.) ან გენუტიუსის კანონი, იყო მცდელობა შემსუბუქებულიყო ვალის ტვირთი და დაკრედიტება არალეგალური ყოფილიყო. მაგრამ ჩვ.წ.აღ-მდე 88 წელს სულამ მიიღო ეგრეთ წოდებული Lex Unciaria აქტი, რომელმაც გააუქმა დაკრედიტების პროცენტის არალეგალური სტატუსი და კვლავ შემოიღო ლეგალური მაქსიმალური წლიური საპროცენტო განაკვეთის პრაქტიკა. რომის პერიოდში იყო ოთხი სახის საპროცენტო განაკვეთი: მაქსიმალური დასაშვები განაკვეთი (8.33-12.5%), სტანდარტული საპროცენტო განაკვეთები რომისთვის (4-12.5%), ადგილობრივი საპროცენტო განაკვეთები (6-100%) და ბიზანტიური საპროცენტო განაკვეთები (4-12.5%). (1)

პლატონის ნაშრომებში - „რესპუბლიკა“ და „კანონები“ მოცემულია მისი დამოკიდებულება სესხის პროცენტთან. რესპუბლიკაში პლატონი ამტკიცებს, რომ სიმდიდრის დაუოკებელი ძიება დამანგრეველია სახელმწიფოსთვის. მთავრობა, რომელსაც მიაჩნია, რომ ძალაუფლება მდგომარეობს სიმდიდრეში და თუ იგი შეძენილია ზედმეტი ხარჯების მოყვარული პირების მიერ მათზე პროცენტიანი სესხის გაცემა, დიდი ალბათობით, წაახალისებს მფლანგველურ ქცევას რაც მათი ქონების ჩამორთმევით დასრულდება. ამასთან, ისინი ვინც ამ გზით დაკარგეს ქონება, საბოლოოდ ბუნტს დაიწყებენ, სიძულვილისა და შურისძიების გრძნობით შეპყრობილები მათი გამძარცველი მმართველების წინააღმდეგ. პლატონი მიიჩნევს, რომ თითოეულმა ადამიანმა ნებაყოფლობით, სიფრთხილისა და რისკის გათვალისწინებით უნდა დადოს სასახო შეთანხმებები, რითაც შეამცირებს ფულის „შოვნის“ სამარცხვინო პრაქტიკას. „კანონებში“ პლატონი წერს, რომ მიწა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო საკუთრებაშია, უნდა გადანაწილდეს ინდივიდებს შორის პირადი სარგებლობისათვის. რაც შეეხება სესხებს, პლატონს სჯეროდა, რომ არავინ არ უნდა მისცეს თავისი ფული პროცენტების მიღების საფუძველზე მას, ვისაც არ ენდობა. პლატონი არ თვლიდა მართებულად სიმდიდრის დაგროვებას ვაჭრობით, მევახშეობით, ასევე ოქროსა და ვერცხლის შენახვის გზით, რადგან იგი თვლიდა, რომ სახელმწიფოს კანონების მთავარი მიზანია უზრუნველყოს ხალხის ბედნიერება და ერთობლივი სარგებელის მიღება. ბედნიერება და სიკეთილდღეობა თავსებადია, მაგრამ, მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, რომ ყველა ადამიანი ერთდროულად იყოს კეთილგანწყობილი და მდიდარი. მიუხედავად იმისა, რომ სესხის პროცენტი არალეგალური იყო, პირი, რომელიც არ ასრულებდა ადრე შეთანხმებულ ვალდებულებებს და არ იხდიდა სესხის პროცენტებს, ისჯებოდა ყოველწლიურად 200%-იანი ჯარიმით.

პლატონმა გააკრიტიკა დაკრედიტება ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, იმიტომ, რომ პროცენტების შეგროვებამ გამოიწვია მტრობა და უთანხმოება იმავე საზოგადოების შიგნით მყოფ ადამიანებს შორის, და მეორე, რადგან პროცენტი განიხილება, როგორც მდიდრების ინსტრუმენტი ღარიბების ექსპლუატაციისთვის. არისტოტელე არა მხოლოდ ეთანხმებოდა პლატონს, არამედ მან უფრო ღრმად შეისწავლა სესხის პროცენტის კონცეფცია. მისი აზრით იგი მართლაც უსამართლო ფენომენი იყო, იმის გამო, რომ ამ გზით მიღებული ფული გამოიყენებოდა სრულიად განსხვავებული ფუნქციისთვის, რის შედეგადაც შეიცვალა ფულის მიზნებიც. არისტოტელეს აზრით, ფული მხოლოდ გაცვლისთვისაა. მას ეზიზღებოდა ის საპროცენტო განაკვეთი, რომლითაც ფული ბადებს ფულს, ხოლო ღარიბებისა და გაჭირვებულებისგან პროცენტის მოთხოვნა ეწინააღმდეგება მონყალებისა და ადამიანობის პრინციპებს. ნასესხებ ფულზე პროცენტის დაკისრება პლატონისა და არისტოტელეს აზრით, ყველაზე არაბუნებრივი და უსამართლო ოკუპაციაა. ამ ორმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არა მართო დაგმო მევახშეობა არამედ სოციალისტური იდეებიც გაავრცელეს ქრისტიანობამდე. სასესხო პროცენტთან დაკავშირებით ისინი თვლიდნენ, რომ:

1. მოგების მიღების ეს პრაქტიკა ითვლება დამამცირებელ ხელობად რადგან იგი არ უკავშირდება მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ეკონომიკურ ფუნქციას და მხოლოდ სარგებლის ძიება იყო. ფულის, „შოვნის“ ეს მეთოდი ართულებს ადამიანებისთვის მათი ძირითადი პასუხისმგებლობის შესრულებას - სწორად და სამართლიანად იმუშაონ (საზოგადოებრივი ღირებულება თავისუფლება);
2. დაკრედიტების პროცენტი უარყოფით გავლენას ახდენს ერის კეთილდღეობაზე, ანგრევს მშვიდობასა და ჰარმონიას, რადგან საზოგადოების ფენებს შორის დაპირისპირება ძლიერდება (საზოგადოებრივი ღირებულება უსაფრთხოება);
3. მდიდრების მიერ დაკისრებული სასესხო პროცენტი აფერხებს ღარიბთა მიმართ ქველმოქმედების გავრცელებასა და ამცირებს მათდამი კეთილგანწყობას (საზოგადოებრივი ღირებულება პროგრესი);
4. პროცენტი (ინტერესი), თავისი არსით, ანგრევს სამართლიანობას (საზოგადოებრივი ღირებულება სამართლიანობა).

ახალი აღთქმის დებულებების ნაკლებობამ დაკრედიტების პროცენტთან დაკავშირებით განაპირობა ძველი აღთქმის საფუძველზე არსებული სწავლება ფულის სესხად გაცემის უკანონობაზე (როგორც სახელმძღვანელო ადრეული ქრისტიანობისათვის). გასათვალისწინებელია, რომ საპროცენტო განაკვეთების შესწავლა დაახლოებით 1050 წლამდე არ ეხებოდა ახალ აღთქმას. მევახშეობისა და საპროცენტო განაკვეთების შესახებ განმარტებებისა და განაცხადების უმეტესობა გადმოგვცა ადრეული სასულიერო პირების გამოსვლებიდან. თავიანთ ქადაგებებსა და მითითებებში ისინი განმარტავდნენ სესხის პროცენტის გამოყენების მეთოდთა ნაკლოვანებებს. ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ფულის გასესხება პროცენტების მიღების მიზნით საზიანო და ამორალურია, რადგან ასეთი ქმედებები ეწინააღმდეგება ქრისტიანულ სწავლებას, რომლის სათავეში დგას ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ამავე დროს ურწმუნო ადამიანების უკიდურესმა სიხარბემ გამოიწვია საპროცენტო განაკვეთების ფართოდ გამოყენება.

ბასილი დიდი, კესარიის მთავარეპისკოპოსი (329-379 წწ.) - ადრეული ქრისტიანობის ერთ-ერთი მღვდელი - სესხის პროცენტის ცოდვიანობას მიიჩნევდა ანტიადამიანურ ქმედებად. იგი თვლიდა, რომ მევახშის შემოსავალი მომდინარეობს გაჭირვებულთა უბედურებიდან, ხოლო ოქრო და სიმდიდრე მათ დაგროვილი აქვთ ღარიბთა ცრემლებისა და გაჭირვების საფუძველზე.

ის ცდილობდა დაერწმუნებინა მდიდრები და ღარიბები უარი ეთქვათ დაკრედიტების ოპერაციებში მონაწილეობაზე. წმინდა გრიგოლ ნისელმა (335-395) - ბასილი დიდის უმცროსმა ძმამ - ასევე დაგმო სესხებზე პროცენტის შეგროვების პრაქტიკა იმ მიზეზით, რომ კრედიტორების მიერ სესხის გაცემით სარგებელი რეალურად მხოლოდ წარმოსახვითი სათნოებაა და ღარიბი მოსახლეობა მიცემული სესხებით უფრო მეტად ღატაკდება, ხოლო მდიდრებმა კი შესაძლებელია სულ დაკარგონ ქონება. ვინც დაკავებულია პროცენტის სესხების გაცემის საქმიანობით, გამომდინარეობს მხოლოდ ოქროს დაგროვებისა და ქონების გაზრდის საკუთარი ინტერესებიდან (სხვებისთვის რაიმე სარგებლის მოტანის გარეშე). წმინდა გრიგოლმა მევახშეობა შეაძარა უკვე დაჭრილი მტრის მოკვლას.

წმინდა იოანე ოქროპირი (344-407) დარწმუნებული იყო, რომ ძველ აღთქმაში შეტანილი და ებრაელებისადმი განკუთვნილი სესხის პროცენტის პრაქტიკაში არსებული აკრძალვები უნივერსალურია და ვრცელდება ახალ აღთქმაზეც.

წმინდა ამბროსი სამომხმარებლო სესხის პროცენტს თაღლითობასა და ღალატს უწოდებდა და მას ადარებდა ტალღებს, რომლებიც გემს ძირავს. წმინდა ავგუსტინე ამტკიცებდა, რომ ღარიბებზე პროცენტის დაწესება უფრო სასტიკი დანაშაულია, ვიდრე ყაჩაღების მიერ მდიდრების გაძარცვა. წმინდა ანსელმ კენტერბერიელი (1033-1109), გამოცდილი იტალიელი ვაჭარი იყო. იგი ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც შუა საუკუნეებში სესხებზე პროცენტის დაკისრების პრაქტიკა ძარცვასთან გაათანაბრა.

ახალ აღთქმაში, მოყვასისადმი სიყვარულის, წყალობის, თანაგრძნობის მოთხოვნები უფრო მკაფიოდ და ძლიერად ჟღერს, ვიდრე ძველში აღთქმაში. სახარების ამ ნორმებს უნდა ემყარებოდეს თითოეული ქრისტიანის ზნეობრივი ცხოვრება. იმავდროულად, სესხის აღებისა და გაცემის საქმიანობის სფეროში ხშირად გვხვდება ცდუნებები. ყველა კრედიტორი არ არის მზად ებრძოლოს მათ (ცდუნებებს) ქრისტესთვის. ხდება, რომ სახარების წესები მთლიანად იცვლება კომერციული წესებით. თუმცა მაინც, ეს არის გამონაკლისი და არა მოვლენათა ზოგადი წესრიგი. კომერციული საქმიანობა არ არის აკრძალული სახარებით.

უფრო მეტიც, ახალ აღთქმაში არაერთხელაა გამოიყენებული კომერციული მაგალითები უმაღლესი ქვეშარიტების ასახსნელად (იხილეთ: მათე 25:21-23). (2)

ლუკას სახარებაში მოცემულია ქრისტიანული ქცევის კოდექსი. მასში ნათქვამია:

ყველას ვინც გთხოვოს მიეცი და ვინც წაგართმევს უკან ნუ მოსთხოვ (6:30); (3)

როგორც გინდა, რომ თქვენ მოგექცნენ ადამიანები, თქვენც ისე მოექცით მათ (6:31);

(4)

თუ თქვენი მოყვარულნი გეყვარებათ თქვენთვის რა მადლია? ვინაიდან ცოდვილთაც უყვართ თავიანთი მოყვარულნი (6:32); (5)

თუ სიკეთეს უხამთ თქვენს კეთილისმყოფელთ, თქვენთვის რა მადლია? ცოდვილნიც ხომ ასე აკეთებენ (6: 33); (6)

თუ სესხს აძლევთ იმას ვისიც იმედი გაქვთ, რომ უკან დაგიბრუნებთ, ეს რაღა მადლია? ვინაიდან ცოდვილნიც ასესხებენ ცოდვილთ, რომ დაიბრუნონ (6: 34); (7)

ხოლო თქვენ გიყვარდეთ თქვენი მტრები, სიკეთე უყავით და ასესხეთ და ნულარაფერს მოელთ, და დიდი იქნება თქვენი საზღაური: იქნებით უზენაესის ძენი, ვინაიდან იგი კეთილია უმადურთა და ბოროტთა მიმართაც (6: 35); (8)

მიეცით და თქვენც მოგეცემათ: კარგი სანყაო, გატენილი, დატკეპნილი, გატენილი და პირთამდე სავსე, მოგეცემათ თქვენსავე კალთაში. რადგან რომელი სანყაოთიც მიუწყავთ, იმითივე მოგეწყვებათ თქვენც (6: 38). (9)

ლუკას სახარების ამ ტექსტიდან სრულიად ნათელია, რომ ქრისტიანები თავისუფალნი არიან თავიანთ არჩევანში სასესხო პროცენტების დაწესებასთან დაკავშირებით. მათ მხოლოდ მითითებები ეძლევათ რომლებიც თავის თავად სარგებელს შეიცავს. სარგებელს ადამიანებისთვის მათი ზნეობა წარმოადგენს, რადგან უზნეო ადამიანი უსარგებლოა.

ახალმა აღთქმამ განავითარა ადამიანები ძველ აღთქმასთან შედარებით სადაც ებრაელებს უფლისგან ეკრძალებათ პროცენტის სესხების გაცემა თავიანთი თემის წევრებზე, ხოლო უცხოელი თემის წარმომადგენლებზე ეს დასაშვებია. ძველი აღთქმის მეორე რჯულის ოცდამესამე თავში ვკითხულობთ:

არ მისცე სარგებელში შენს მოძმეს არც ვერცხლი, არც საქმელი და არც რამე ნივთი, რაც სარგებელში შეიძლება გაიცეს (რჯლ. 23: 19) (10); და

უცხოელს მიეცი სარგებელში, შენს მოძმეს კი ნუ მისცემ სარგებელში, რომ გიკურთხოს უფალმა, შენმა ღმერთმა, მთელი შენი ნაამაგარი იმ ქვეყანაში, რომლის დასამკვიდრებლადაც მიდიხარ (რჯლ. 23: 20). (11)

როგორც ვხედავთ ამ შემთხვევაში როგორც ზნეობის შეზღუდვასთან გვაქვს საქმე ასევე სარგებლის შეზღუდვასთანაც. მევახშეობისა და პროცენტის ფორმალურ ლეგიტიმურობასთან დაკავშირებით დებატები ინტელექტუალებს (რეფორმატორებს) შორის ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა.

1836 წელს წმინდა ინკვიზიციის პალატამ გამოსცა საჯარო განკარგულება, რომელიც განმარტავს „პროცენტის“ კონცეფციას და კრედიტორებს აძლევს საშუალებას შეაგროვონ იგი. ამ განკარგულებით მოიხსნა ყოველგვარი ბუნდოვანება და საფინანსო კაპიტალის განვითარებისთვის ყოველგვარი წინააღმდეგობა აღიკვეთა. პალატის განმარტებით პროცენტი არის ფულადი სესხის ფასი და განიხილება როგორც პრემია მოცემული რაოდენობის ფულის მომავალი ღირებულებიდან გამომდინარე. ამ დროიდან მოყოლებული, „მევახშეობად“ ითვლება გადაჭარბებული საპროცენტო განაკვეთი, ხოლო „პროცენტად“ განიხილება კანონით განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთი. მიუხედავად ქრისტიანული რელიგიის დამოკიდებულების დაფიქსირებისა საპროცენტო სესხებისა და ბანკების მიმართ მთელ მსოფლიოში საბანკო სექტორში მდგომარეობა ძალზე ნელა იცვლება. აღსანიშნავია, რომ ბაზელ III დებულებები ახალი სტანდარტების სახით, სახელწოდებით „საერთაშორისო მარეგულირებელი ჩარჩო ბანკებისათვის“ მიზნად ისახავს საბანკო სექტორში რეგულირების, ზედამხედველობისა და რისკების მართვის გაძლიერებასა და გაუმჯობესებას, რაც გაზრდის მონეტარული ინსტიტუტების უნარს გაუძლოს კრიზისულ შოკებს. ბაზელის კომიტეტის მიერ აღიარებულია, რომ მიზანშეწონილია ახალი რეკომენდაციების ეტაპობრივი განხორციელება, დაწყებული 2013 წლის იანვრიდან და დამთავრებული 2019 წლისთვის. ბაზელ III -ის ძირითად ნოვაციებს წარმოადგენს:

- რისკის დაზღვევის ზრდა ბანკის კაპიტალით. საბანკო სექტორში მკაცრდება საბანკო კაპიტალით საკრედიტო რისკის დაფარვის მოთხოვნები, მათ შორის საფინანსო

დერივატივებით გარიგებების გაფართოებით, REPO ოპერაციებითა და სარეზერვო კაპიტალის ზრდით;

■ კაპიტალის ხარისხის გაუმჯობესება. ბაზელის კომიტეტის რეკომენდაციების (რომლებსაც საბოლოოდ ნორმატიული ხასიათი მიეცემა) კონტექსტში, ჩვეულებრივი აქციები და გაუნაწილებელი მოგება უნდა გახდეს ბანკის კაპიტალის სტრუქტურის დომინანტური შემადგენელი;

■ საბანკო სექტორის ციკლური განვითარების რყევების განეიტრალება. მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების განსაზღვრა, კაპიტალის რეზერვების ფორმირება ეკონომიკური აღმავლობის პერიოდში (ბანკებისათვის შესამჩნევი ზიანის მიყენების გარეშე) და მისი გამოყენება კრიზისულ სიტუაციაში, უდავოდ გაზრდის მონეტარული ინსტიტუტების სიცოცხლისუნარიანობას;

■ ბანკების ლიკვიდურობის გაძლიერება, მათ შორის საკუთარი და ნასესხები სახსრების თანაფარდობის ინდექსების შემუშავებითა და სხვა მეთოდებით.

ამავე დროს ბაზელის კომიტეტის მოთხოვნები ზრდის ბანკების, კრედიტორების პასუხისმგებლობას დებიტორებთან შედარებით, რადგან საბანკო კაპიტალის ზრდით მადლდება ბანკის წილი რისკების დაზღვევაში. ეს რეგულაციები ქრისტიანული მორალისა ზნეობრივი ნორმების თვალსაზრისით წინ გადადგმული ნაბიჯია. თუმცა COVID 19-ის პანდემიამ გაართულა და შეაფერხა ეს პროცესი. (12)

ლიტერატურა:

1. Концепции процента и ростовщичества с точки зрения немусульман. Понятие ссудного процента с точки зрения греков и римлян. <https://studopedia.info/1-63607.html>;
2. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. მათეს სახარება. ტალანტებზე, 25:14-30. სტოკჰოლმი,1991. გვ.56-57;
3. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 30. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
4. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 31. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
5. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 32. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
6. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 33. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
7. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 34. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
8. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 35. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
9. ახალი აღთქმა და ფსალმუნები. ლუკას სახარება. ვინ არის ნეტარი? სიყვარული და სამსჯავრო, 6: 38. სტოკჰოლმი,1991. გვ.124;
10. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. მეორე რჯული, 23: 19. გვ. 184;
11. ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. მეორე რჯული, 23: 20. გვ. 184;
12. Kinita Shenoy (2014), Strengthening financial stability through effective risk and capital management. <http://editorial.ft.lk/2013/09/30/strengthening-financial-stability-through-effective-risk-and-capital-management-2/>

Attitude towards Loan Interest in Christendom

Irina Gogorishvili

*Ivane Javakishvili Tbilisi State University Faculty of Economics and Business
Associate Professor*

SUMMARY

The article presents an analysis of the views and teachings of the Christian religion, philosophers of the Hellenistic period and Christian leaders. Although usury and its consequences were frowned upon and unacceptable in all civilizations and religions, it has existed all the time.

The attitude of the Christian religion and church laws did not always require the prohibition of usury. The document notes that this was facilitated by the vagueness associated with the prohibition of interest-bearing loans in the New Testament. A decree passed by the Catholic Church in 1836 granted full legitimacy to interest-bearing borrowing, which led to the rapid growth of the banking sector. The process of international regulation of the credit sector by the Basel Committee has strengthened the social responsibility of lenders and usurers, which heightens Christian values in this area of the economy.

Key words: Christendom, loan interest, Basel Committee on Banking Supervision.

მარაგების გაუფასურების აღრიცხვის საკითხები

ზენაბ გოგჩიქიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი

საწახმოებს შეუფერხებელი მუშაობისათვის სათანადო ხაოდელობის და სახეობის მაჩაგი ესაჭიროება. შედენიღმა მაჩაგმა მის მოხმაჩება-ჩეადიზაციამდე შეიძლება და-კაჩგოს თავისი ლიჩებუღების ნაწიღი - გაუფასუჩეღს და შედეგად, მაჩაგის სააღიციზვო ლიჩებუღება ხღება მის ნეღო საჩეადიზაციო ლიჩებუღებაზე ნაკღები. საწახმომ უნდა მოახღინოს მაჩაგის გაუფასუჩების პიგონოზიჩება და მისი წინასწახ აღიაჩება გაუფასუჩების ჩეზეჩვის სახით. საწახმოებმა გაუფასუჩების ჩეზეჩვის შექმნის წესები უნდა შეიღუშაონ და ასახონ სააღიციზვო პოღიღიკაში.

ასეთ შემთხვევაში წინდახეღუღობის და სიფთხიღის პიჩინციპის შესაბამისად გაუფასუჩების ჩეზეჩვის შექმნა უზუნვეღყოფს მაჩაგების ასახვას მათი ჩეადუჩი ეკონომიკუჩი საჩგებღის მოგანის პოგენციადით და ჩეადუჩ ფინანსუჩ შედეგებს, ჩაც განაპი-ჩობებს ფინანსუჩი ანგაჩიშგების უგყუაჩობას.

საკვანძო სიტყვები: მარაგი, თვიღლიღებუღება, ნეტო სარეაღიზაციო ღირებუღება, მარაგის გაუფასუღება, მარაგის გაუფასუღების რეზერვი.

ფინანსური ანგარიშგების ინფორმაციის სამართლიან წარღგენას უზრუნვეღყოფს ფინანსური ანგარიშგების კონციპტუაღური საფუძვღებით განსაზღვრული პრინციპების გამოყენება და საერთაშორისო პრაქტიკით მიღებული წესების დაცვა, საიდანაც ერთ-ერთი მნიშვნეღოვანია წინდახეღუღების/სიფრთხიღის პრინციპი [1]. სიფრთხიღის პრინციპის თანახმად ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა მოხღდეს აქტივების გადაჭარბებუღად ასახვა, რათა ინფორმაციის მომხმარებღები არ იყვნენ შეყვანიღი შეცდომაში. ასეთ აქტივებს მიეკუთვნება მარაგები.

ნებისმიერ საწარმოს შეუფერხებელი მუშაობისათვის ესაჭიროება გარკვეული და-სახეღებისა და რაოღენობის სასაქონლო - მატერიაღური ფასეუღობები (მარაგები). მათი შეფასება, აღიარება, თვიღლიღებუღების გაანგარიშების მეთოღები, მოღრაობის აღრიციზვა და სხვა მნიშვნეღოვანი საკითხები რეგულირღება ბასს 2 „მარაგებით“.

მარაგები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით ფასღება თვიღლიღებუღებასა და ნეტო სარეაღიზაციო ღირებუღებას შორის უმცირესი თანხით, რადგან არ უნდა მოხღდეს აქტივების შეფასება იმაზე მეტი თანხით, რომღის მიღება შესაძღლებელია მათი გაყიდვის ან გამოყენების შედეგად [2].

შეღენიღი მარაგი ხშირ შემთხვევაში მაშინვე არც იყიდება და არც იხარჭება, არამედ გარკვეული დროით ინახება, რის გამოც შეიძლება დაკარგოს თავისი ღირებუღების ნაწიღი. შედეგად, მარაგის თვიღლიღებუღება მეტი აღმოჩნღდეს მის ნეტო სარეაღიზაციო ღირებუღებაზე, ე.ი. აღგიღი ექნება მარაგების გაუფასუღებას.

მარაგის გაუფასუღების ნიშნებია:

- ფიზიკური დაზიანება;
- მორაღური მოღვეღება (სრული ან ნაწიღობრივი);
- საბაზრო ფასის დაციღმა;

- გასაღების ბაზრის შემცირება; გასაღების ხარჯების ზრდა (მაგალითად, მარაგის რეალიზაცია სპეციალური ძვირადღირებული სერტიფიკატით, რის შედეგადაც მისი გაყიდვა ხდება ზარალიანი; შენახვის ადგილებიდან სატრანსპორტო ხარჯების ზრდა და სხვა.);
- შეცდომები შესყიდვის ან წარმოების დროს.

ამ მიზეზთა გამო მარაგის გასაყიდი ფასი შეიძლება აღმოჩნდეს მის ღირებულებაზე (თვითღირებულებაზე) დაბალი. ამიტომ ბასს-ის შესაბამისად, თვითღირებულება უნდა შემცირდეს ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე (შესაძლო გასაყიდ ფასამდე), ხოლო ზარალი აღიარდეს ხარჯად და აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

საერთაშორისო პრაქტიკაში გაუფასურებიდან ზარალის თავიდან აცილების მიზნით მიღებულია გაუფასურების რეზერვის შექმნა. როგორც წესი, რეზერვი იქმნება აქტივების ცალკეული მუხლების შეფასების დაზუსტებისა და მოსალოდნელი გაუფასურებიდან ზარალის დასაფარავად. რეზერვის შექმნა უნდა მოხდეს მაშინ, როცა მარაგების გაუფასურება მოსალოდნელია, მაგრამ ჯერ კიდევ არ მომხდარა. გაუფასურების რეზერვის შექმნის მიზანია ზარალი აღიარდეს მანამ, ვიდრე ფაქტობრივად წარმოიქმნება. ეს ამავე დროს შეესაბამება სიფრთხილის პრინციპს - მარაგი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს ფაქტობრივი ღირებულებიდან გაუფასურების რეზერვის გამოკლებით.

საჭიროა დადგინდეს რა სიდიდით, რომელი მარაგისათვის უნდა შეიქმნას გაუფასურების რეზერვი? სანარმოები ზოგჯერ გაუფასურებელ მარაგს ყიდვიან, მაგრამ არ ახდენენ რეზერვის შექმნას, რადგან რთულია მისი სიდიდის განსაზღვრა, არ არსებობს ერთიანი მეთოდოლოგია, გაანგარიშების მეთოდიკა. თუმცა მეორეს მხრივ, მათი არ არსებობა სანარმოებს საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, პროფესიული განსჯის საფუძველზე შეიმუშაონ გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების მეთოდიკა და მოარგონ სანარმოს სპეციფიკას. გაუფასურებელი მარაგის აღრიცხვის მიმართ პრაქტიკაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ორი მიდგომა: ზარალის ჩამოწერა პირველი, პირდაპირ ხარჯებში და მეორე, გაუფასურების რეზერვის ანგარიშზე.

პირველი, თუ მარაგი გამოუსადეგარია წარმოებაში გამოყენებისათვის, ან შუძლებელია მისი რეალიზაცია, გაუვიდათ ვარგისიანობის ვადა, სრულად დაკარგეს პირვანდელი ხარისხი (მაგალითად, კვების პროდუქტები, ფარმაცევტული პროდუქცია, კოსმეტიკური პრეპარატები, საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი, აკუმულატორები და სხვა) და საეჭვოა მათი საბაზრო ღირებულება ისე გაიზარდოს, რომ მომავალში მოიტანოს სარგებელი, მაშინ ისინი უნდა ჩამოიწეროს იმ პერიოდის ხარჯებში, რომელშიც მოხდა მარაგის ჩამოფასება, რადგან ასეთ მარაგზე რეზერვის შექმნას აზრი არ ექნება.

მეორე, სანარმომ გაუფასურების რეზერვი დროულობის პრინციპიდან გამომდინარე უნდა შექმნას მაშინ, როცა მოსალოდნელია გაუფასურების ფაქტი. ამის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ინვენტარიზაციის ჩატარება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური ანგარიშგების შედგენის წინ. ამისათვის მიზანშეწონილად ვთვლით, სანარმომ შექმნას უფლებამოსილი პირების სია, რომლებიც მოახდენენ მარაგების ექსპერტულ შეფასებას გაუფასურებაზე. შემდეგ სანარმო მიიღებს გადაწყვეტილებას რეზერვის სიდიდის შექმნის შესახებ. სწორედ ამ რეზერვის ანგარიშზე ჩამოიწერება ყველა დანაკარგი, რაც გამოწვეული იქნება მარაგის გაუფასურებით. შემდეგ პერიოდებში რეალური სიტუაციიდან გამომდინარე, უნდა მოვახდინოთ შექმნილი რეზერვის კორექტირება ანუ გადაისინჯოს

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, რომლის მიხედვითაც აღიარებულია გაუფასურება. თუ ისევ გრძელდება მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შემცირება, მაშინ კორექტირებით რეზერვის თანხა გაიზრდება, ხოლო თუ იზრდება ნეტო სარეალიზაციო ღირებულება, მაშინ რეზერვის ნაწილი იქნება აღდგენილი, რომ მარაგის საბალანსო ღირებულება არ აღმოჩნდეს მათ ფაქტობრივ თვითღირებულებაზე მაღალი. შესაბამისად, შემცირდება მიმდინარე პერიოდში აღიარებული ხარჯები.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შემოწმდეს შენარჩუნებულია თუ არა მარაგის გაუფასურებაზე მოქმედი ფაქტორები; ნეტო სარეალიზაციო ღირებულება უნდა განისაზღვროს მარაგის თითოეული ერთეულის ან ერთგვაროვანი ჯგუფების მიხედვით [2]. თუ მარაგი მორალურად და ფიზიკურად მოძველდა, დაეცა მისი ვარგისიანობის ხარისხი ან უძრავად ინახება ერთი წლის განმავლობაში, მაშინ ასეთი მარაგი ხვდება გაუფასურების რისკის ჯგუფში. რეზერვის სიდიდის განსაზღვრისათვის რაც უფრო დიდი რაოდენობის მარაგი იქნება გამოკვლეული, მით უფრო ზუსტი იქნება მიღებული შედეგი. მაგრამ ასეთი მონაცემების მოპოვება და დამუშავება თავის მხრივ იწვევს დანახარჯების გაზრდას. ამიტომ საჭიროა ისეთი წონასწორობის დაცვა, რომ ამ ინფორმაციისაგან მიღებული სარგებელი მეტი აღმოჩნდეს დანახარჯებზე.

პრაქტიკაში რეზერვის თანხის გასაანგარიშებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიდგომები. ყველაზე საიმედოა თვითღირებულებისა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შედარება მარაგის თითოეული ერთეულის მიხედვით. მაგრამ დიდი ნომენკლატურის დროს ეს მეთოდი წარმოადგენს შრომატევადს და რთულია მისი გამოყენება, განსაკუთრებით ნედლეულისა და მასალებისათვის. თუ აღმოჩნდება, რომ რომელიმე მარაგი მთელი წლის განმავლობაში უძრავია, მაშინ მათ მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველაზე მარტივი მიდგომა: რეზერვი შეიქმნას თვითღირებულების 100%-ის ოდენობით. ცნობილია სხვა მოსაზრებაც. ყველა მსხვილი პოზიცია ინდივიდუალურად გაანალიზდეს, დანარჩენისათვის გამოყენებულ იქნეს ჯგუფური ანალიზის გამარტივებული მეთოდები. თითოეული გამოყოფილი ჯგუფისათვის ხდება რეზერვის განსაზღვრა, რისთვისაც წარმოებს თვითღირებულების შედარება რეალიზაციის შესაძლო ფასთან. თუ ეს ფასი დაბალია თვითღირებულებაზე, სხვაობით იქმნება გაუფასურების რეზერვი. მაგალითად, თუ მარაგების გაუფასურების ფაქტორების გამოვლენის მომენტიდან გასულია 6-9 თვემდე და რეალიზაციის შესაძლო ფასი შემცირებულია 20%-ით, მაშინ ასეთ საქონელზე რეზერვი არ იქმნება; შესაბამისად, თუ გასულია 9-12 თვემდე და ფასი დაცემულია 70%-ით, მაშინ უდიდესი რაოდენობის საქონელზე აუცილებელია რეზერვის შექმნა, ხოლო თუ გასულია 12 თვეზე მეტი და ფასი ეცემა 90-100%-ით, მაშინ რეზერვი იქმნება ასევე 90 -100%-ით სააღრიცხვო ფასიდან.

ვფიქრობ, ზოგიერთი საქონლის ჯგუფის (მაგალითად, ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები, ელექტრო საქონელი და სხვა) მარაგის გაუფასურების რეზერვის შექმნისათვის უფრო მისაღებია მიდგომა: თუ მარაგი საწყობში 12 თვეზე მეტი ინახება, მაშინ რეზერვი შეიძლება შეიქმნას თვითღირებულების 50%-ის ოდენობით, ხოლო თუ ორ წელზე მეტი ინახება - 100%-ით.

როგორც ცნობილია, მარაგები არ უნდა აღირიცხოს იმაზე მეტი თანხით, რომლის მიღებას მოელის საწარმო მისი გაყიდვის ან გამოყენებისაგან. ამდენად, გაუფასურებაზე უნდა შემოწმდეს ისეთი მნიშვნელოვანი მარაგი, როგორცაა ნედლეული და მასალები. თუ აღმოჩნდება, რომ მათგან წარმოებული მზა პროდუქციის თვითღირებულება მეტი

იქნება ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე, მაშინ ადგილი აქვს გაუფასურებას, რისთვისაც ასევე უნდა შეიქმნას გაუფასურების რეზერვი. შემდეგ ამ რეზერვის ანგარიშზე ჩამოინერება ზარალი მარაგის გაუფასურებიდან. მაგრამ ნედლეული და მასალები არ შეიძლება ჩამოფასდეს თვითღირებულებაზე დაბლა, თუ მოსალოდნელია, რომ მათი მონაწილეობით წარმოებული მზა პროდუქცია გაიყიდება თვითღირებულების შესაბამის ან თვითღირებულებაზე მაღალ ფასში [2], ანუ ამ შემთხვევაში გაუფასურება არ ხდება.

როგორც აღინიშნა, ყოველ მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში უნდა გადაისინჯოს მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულება. თუ ის იზრდება, მაშინ ჩამოფასებიდან ადრე აღიარებული ზარალი აღდგენილ უნდა იქნეს ჩამოწერილი თანხის ფარგლებში, რადგან თვითღირებულებაზე მაღლა მარაგის შეფასება არ შეიძლება.

შემდეგ საჭიროა დაკონკრეტდეს რომელ ხარჯებში უნდა აისახოს გაუფასურების ზარალის რეზერვის შექმნა ან მარაგის ჩამოფასება. ბასს-ის თანახმად, მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის ნებისმიერი თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგების თანხები, შესაბამისად უნდა აღიარდეს იმ პერიოდის ხარჯად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს [2]. მაშასადამე, ბასს 2 არ აზუსტებს ასეთი ხარჯები რომელი სახის ხარჯად უნდა აღიარდეს - შეტანილ იქნეს პროდუქციის თვითღირებულებაში თუ აღიარდეს მიწოდების ხარჯად.

საწარმომ უნდა გადაწყვიტოს რას მიაკუთვნოს გაუფასურების ზარალი - პროდუქციის წარმოების თუ მისი რეალიზაციის ხარჯებს, ანუ ჩართოს პროდუქციის თვითღირებულებაში თუ აღიაროს პერიოდის ხარჯად. ამ საკითხის გამიჯვნა მნიშვნელოვანია ფინანსური შედეგების დაზუსტებისათვის. გაუფასურების ზარალის მიკუთვნება ამა თუ იმ სახის ხარჯებზე საწარმომ უნდა ასახოს სააღრიცხვო პოლიტიკაში. საკითხის ასეთი გადაწყვეტა ამაღლებს ანგარიშგების ინფორმაციის საიმედოობას და შეესაბამება სიფრთხილისა და შესაბამისობის პრინციპებს.

რეზიუმე

როდესაც მოსალოდნელია მარაგების გაუფასურება, მაშინ საწარმომ:

- სააღრიცხვო პოლიტიკით უნდა განსაზღვროს გაუფასურების რეზერვის შექმნის წესები;
- გაუფასურების რეზერვი შეიძლება შექმნას ინდივიდუალურად მსხვილი სასაქონლო პოზიციების მიხედვით, ხოლო დანარჩენი მარაგისათვის გამოყენებულ იქნეს დაჯგუფების მეთოდი;
- უნდა დაასაბუთოს გაუფასურების ზარალის მიკუთვნების პოლიტიკა;
- გაითვალისწინოს პრაქტიკული გამოცდილება გაუფასურების ზარალის აღრიცხვის სრულყოფისათვის.

Summary

When the provisions are expected to depreciate, then the enterprise:

- Should determine the rules of creation of the impairment provisions by the accounting policy;
- May create the impairment provisions individually for any major commodity item, while for

- the rest of the stock the grouping method can be used;
- Must justify the policy of attributing impairment losses;
 - Must consider practical experience in improving the impairment loss accounting.

ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების მომზადების კონცეპტუალური საფუძვლები, 2021 წ. მდგომარეობით
2. ბასს 1 ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, 2021 წ. მდგომარეობით
3. ბასს 2 მარაგები, 2021 წ. მდგომარეობით
4. ბასს 37 ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, 2021 წ. მდგომარეობით
5. ბასს 36 აქტივების გაუფასურება, 2021 წ. მდგომარეობით.

Принцип Синергизма в Управлении Организацией

Константин Голубев

доктор экономических наук, профессор Белорусского государственного экономического университета, Минск, Республика Беларусь

В статье рассматриваются некоторые вопросы управления некоммерческой организацией. Продуктом некоммерческой организации является социальный продукт, который представлен определенным общественным благом. Управление некоммерческой организации включает управление некоммерческой деятельностью и управление коммерческой деятельностью.

Ключевые слова: управление, некоммерческая организация, маркетинг, синергизм, потребность, благо.

Гражданский кодекс Республики Беларусь в ст. 46 отмечает, что некоммерческая организация не имеет извлечение прибыли в качестве цели и не распределяет полученную прибыль между участниками. В качестве цели некоммерческой организации законодатель определяет достижение общественных благ. При этом за некоммерческой организацией признается право на предпринимательскую деятельность, хотя это право ограничено таким требованием как необходимость ее для уставных целей, соответствие указанным целям и предмету деятельности данной организации.

Таким образом управление некоммерческой организацией должно соответствовать ее статусу в социально-экономической системе. Одной из особенностей такого управления является сочетание деятельности по предоставлению социального блага, определенного в уставных документах, как предусмотрено в ст. 48 Гражданского кодекса Республики Беларусь, и предпринимательской деятельности, соответствующей предмету деятельности организации.

Среди некоммерческих организаций особого внимания заслуживает сфера высшего образования, которая создает условия для повышения человеческого потенциала страны и одновременно является частью института идеологии, как внутреннего компонента социально-экономической системы.

Специфика некоммерческой организации предполагает сочетание деятельности по предоставлению социального блага, о котором идет речь в уставных документах, и предпринимательской деятельности, соответствующей предмету деятельности организации. Таким образом управление должно быть организовано так, чтобы не только сочетать эти две стороны, но и достичь синергического эффекта.

Внимание к синергизму в управлении организацией было привлечено, когда получили развитие процессы диверсификации компаний. Так, И. Ансофф продемонстрировал, что определенная стратегия может рассматриваться как «красная нить» процесса диверсификации, позволяя компании использовать текущие преимущества в новых областях деятельности [Ансофф, 2009 (Ansoff, 2009)]. На рубеже XX-XXI вв. получил признание ресурсный подход, в соответствии с которым предприятия представляют собой совокупности материальных и нематериальных ресурсов. [Кэмпбелл, Саммерс Лачс, 2004 (Kempbell, Sammers Lachs, 2004)].

Среди наиболее известных подходов к управлению синергетическим эффектом можно назвать кластерную теорию М. Портера, в которой под кластером рассматривалась группа географически соседствующих взаимосвязанных компаний и организаций, действующих в определенной сфере и взаимодополняющих друг друга [Портер, 2005 (Porter, 2005)]. Причем эта система взаимосвязанных организаций в целом становится больше, чем просто сумма ее частей, что повышает их конкурентоспособность.

Ряд авторов используют подход Х. Итами, по мнению которого синергизм есть процесс повышения эффективности использования ресурсов. Согласно его классификации ресурсы могут быть физическими (материальными), к которым, в частности, относятся производственные мощности, и невидимыми (нематериальными). Соответственно, он предложил понятие «комплементарный эффект», возникающий благодаря повышению эффективности использования физических ресурсов. Согласно теории Х. Итами, этот эффект не является истинным источником синергизма, так как он может быть воспроизведен конкурентами и не способен обеспечить устойчивые конкурентные преимущества. Таким образом понятие синергизма сводится к использованию невидимых активов. Хотя отмечается, что комплементарные и синергетические эффекты сопутствуют друг другу. [Капитонова, 2016 (Kapitonova, 2016)]. В этой связи также можно рассмотреть исследование Дж. Хаскела и С. Уэстлейка «Капитализм без капитала: взлет нематериальной экономики», в котором, в частности, рассматриваются вопросы синергии, как экономического свойства нематериальных активов [Haskel, Westlake, 2018].

С. Н. Андреев особо отмечает возможность симбиоза некоммерческой и коммерческой составляющих маркетинга некоммерческого субъекта, что может обеспечивать синергизм результатов некоммерческой деятельности и достижение социального эффекта на новом количественном и качественном уровне [Андреев, 2002, с. 126-129 (Andreev, 2002, p.126-129)].

На особенности подходов к концепции синергизма обращают внимание Э. Кемпбелл и К. Саммерс Лачс. Отмечается, что синергизм предполагает кумулятивный положительный эффект, значительно повышающий совокупные результаты различных бизнесов корпорации в сравнении с уровнями эффективности каждого из них по отдельности. При этом в их исследовании подчеркивается, что, как показали И. Ансофф и Х. Итами, синергизм может иметь не только положительные, но и отрицательные последствия. Это напоминает авторам модель перехода через минное поле, когда существует кратчайший путь, но есть высокая вероятность подрыва. Соответственно отмечается необходимость анализа путей продвижения и рисков [Кэмпбелл, Саммерс Лачс, 2004, с.12, 72- 87 (Kempbell, Sammers Lachs, 2004, p.12, 72- 87)].

Для некоммерческой организации можно применить подход, предполагающий выделение четырех механизмов создания синергетической стоимости.

1. Обобществление ресурсов/деятельности, что имеет место в случае совместной деятельности (закупки, маркетинговые программы, каналы распределения, общие трудовые ресурсы) для достижения эффекта масштаба.

2. Эффекты «разлива» (аналогично экстерналиям) маркетинга и ИИР, что предполагает возможность для подразделений использовать необходимые им преимущества и достижения ИИР и маркетинга всех остальных подразделений (даже в том случае, если эти ИИР или маркетинг имеют раздельный характер). При этом цепочки ценностей, которые отличаются интенсивностью по ИИР и маркетингу обеспечат больший уровень синергизма.

3. «Схожие» отрасли. Знания и навыки (управленческие и технические) могут быть обобществлены подразделениями родственных отраслей знаний.

4. Общий имидж. Ценность отдельных подразделений прирастает имиджем участников всей структуры. Хотя может быть и противоположный результат – при потерях для имиджа одного из подразделений (как некоммерческого, так и коммерческого) неизбежны потери и для имиджа остальных подразделений. [Кэмпбелл, Саммерс Лачс, 2004 (Kempbell, Sammers Lachs, 2004)].

По мнению И. Ансоффа, можно предложить два варианта измерения синергетического эффекта: оценка сокращения затрат при совместном ведении операций при данном уровне дохода либо оценка увеличения прибыли при данном уровне инвестиций. [Ансофф, 1999, с. 127-135 (Ansoff, 1999, p. 127-135)]. Очевидно, что в случае некоммерческой организации

необходимо говорить не о прибыли, а о величине социального эффекта от деятельности организации.

На основании предложения И. Ансоффа можно рассмотреть следующую классификацию синергизма для некоммерческой организации: синергизм продаж, оперативный синергизм, инвестиционный синергизм и синергизм менеджмента. Синергизм продаж может быть достигнут благодаря централизации управления некоммерческой организацией (ректорат ВУЗа), взаимосвязанности продуктов (учебные пособия, выпускаемые издательством ВУЗа, используются в процессе обучения), общая система продвижения для всех продуктов и подразделений (имидж ВУЗа и его учебников, реклама учебных программ и издательства). Оперативный синергизм имеет место при повышении эффективности использования части персонала и основных средств организации (которые, например, одновременно используются для обучения студентов и выпуска научной литературы), возможности распределения накладных расходов, крупных закупок одновременно для нескольких подразделений. Инвестиционный синергизм появляется путем использования имеющихся в организации (например, в ВУЗе) производственных мощностей, технологической базы для коммерческой и некоммерческой деятельности. Синергизма менеджмента можно добиться благодаря совершенствованию руководящего персонала (руководителей ВУЗа).

Причем, как говорилось выше, каждый вид синергизма при неудачной попытке его реализации может оказаться отрицательным. Например, это может быть, когда новый руководитель ВУЗа, пришедший из конкретной отрасли бизнеса и хорошо знающий именно эту сферу деятельности, станет необоснованно вмешиваться в управление процессом обучения.

Современная модель общества предполагает, что некоммерческие организации играют основную роль в обеспечении основных естественных прав человека, предоставляют возможности для раскрытия инициативы граждан, привлекают дополнительные человеческие и материальные ресурсы. Специфика некоммерческой организации требует эффективного управления всеми сторонами ее деятельности, в т.ч. согласования некоммерческой и коммерческой деятельности, которое соответствовало бы позиционированию организации. В этой связи важнейшей целью руководства является достижение синергизма в управлении всеми подразделениями организации.

Литература:

1. Андреев, С. Н. Маркетинг некоммерческих субъектов М.: Финпресс. 2002. - 320 с.
2. Ансофф, И. (2009) Стратегический менеджмент. Санкт-Петербург: Питер, 2009. 342 с.
3. Ансофф, И. (1999) Новая корпоративная стратегия. Санкт-Петербург: Питер. 416 с.
4. Капитонова, Ю. С. (2016) Организация управления синергией на предприятии. Москва: Русайнс. 195 с.
5. Кэмпбелл Э., Саммерс Лачс К. (2004) Стратегический синергизм Эндрю Кемпбелл; Кэтлин Саммерс Лачс. - Санкт-Петербург: Питер. 414 с.
6. Портер, М. Э. (2005) Конкуренция. М. Издательский дом «Вильямс», 2005. 608 с.
7. Haskel, Jonathan; Westlake, Stian. Capitalism without Capital: The Rise of the Intangible Economy. Princeton University Press, 2018. 296 p.

References:

1. Andreev, S. N. Marketing nekommercheskih sub"ektov M.: Finpress. 2002. - 320 s.
2. Ansoff, I (2009) Strategicheskij menedzhment. Sankt-Peterburg: Piter, 2009. 342 s.
3. Ansoff, I. (1999) Novaya korporativnaya strategiya. Sankt-Peterburg: Piter. 416 s.

4. Kapitonova, YU. S. (2016) Organizaciya upravleniya sinergiej na predpriyatii. Moskva: Rusajns. 195 s.
5. Kempbell E., Sammers Lachs K. (2004) Strategicheskij sinergizm Endryu Kempbell; Ketlin Sammers Lachs. - Sankt-Peterburg: Piter. 414 s.
6. Porter, M. E. (2005) Konkurenciya. M. : Izdatel'skij dom «Vil'yams», 2005. 608 s.
7. Haskel, Jonathan; Westlake, Stian. Capitalism without Capital: The Rise of the Intangible Economy. Princeton University Press, 2018. 296 p.

The Principle of Synergy in the Management of an Organization

Konstantin Golubev

Doctor of Economics, Professor at the Belarusian State Economic University, Minsk, Belarus

SUMMARY

The article is devoted to the problems of management of a non-profit organization. The product of non-profit organization is a social product, which is represented by a specific public good. Management of non-profit organization includes management of non-profit activities and management of commercial activity.

Keywords: management, non-profit organization, marketing, synergy, demand, good

რეგიონის საკრალური სივრცის გამოკვლევა: მეთოდოლოგია და პრინციპები

ნოდახ გიძელიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ახალი უმაღლესი სასწავლებლის ადგილობრივი პროფესორი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ი. ჟოხიანიას სახ. საქართველოს საწარმოო ძაღებისა და ბუნებრივი ხესუსების შემსწავლელი ცენტრი - უფოსი მეცნიერ თანამშრომელი

XXI საუკუნეში მიმდინახეობს საკრალური გეოგრაფიის ალოხინება. ინტენსიუხად მიმდინახეობს ხედიგიური მიმდინახეობების წახმოშობის ისტორიის და დღევანდელი მდგომახეობის, ასევე ხედიგიური ინსტიტუტებისა და მათი ფუნქციონირების საკითხების კვლევა. ყოველ მეცნიერებას საკუთარი კვლევის მეთოდი გააჩნია. გამონაკლისი ახც ხედიგიების გეოგრაფია. საქართველოს თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური განვითახების გრანფოხმაცის პირობებში, ხეგიონური კვლევები სუდ უფხო აქტუალური ხდება. საკრალური სივრცეების კვლევის ძირითად პრინციპებს შეიძლება მივაკუთნოთ: თანმიმდევრულობა, ოპტიმიზაცია, სისტემურობა, თვალსაჩინოება და სახწმუნოობა.

საკვანძო სიგყვები: ხეგიონი, ხედიგია, საკრალური, გეოგრაფია, მეთოდოლოგია.

XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მსოფლიოში მიმდინარეობს რელიგიური ცხოვრების გააქტიურების პროცესი, რაც რელიგიური თემების ზრდაში და საკრალური ობიექტების მშენებლობაში ვლინდება. ამგვარი პროცესების შედეგად, მსოფლიოს მრავალ რეგიონში მოხდა კონფენსიებს შორის თანაფარდობის ცვლილება. ამიტომც არის, რომ საკრალური სივრცეების გამოკვლევა სხვადასხვა საზოგადოებათმცოდნეობითი მეცნიერებების საზრუნავია. გეოგრაფიულ მეცნიერებაში კი სულ უფრო მეტი ყურადღება ეთმობა რელიგიების გეოგრაფიის (საკრალური გეოგრაფია) კვლევას, რომელიც რელიგიების გავრცელების არეალს და მათ ტერიტორიულ განფენილობას შეისწავლის [1].

ყოველ მეცნიერებას საკუთარი კვლევის მეთოდი გააჩნია. გამონაკლისი არც რელიგიების გეოგრაფიაა. თავისი ფუნქციონირების მცირე დროში ცნობილი გეოგრაფების მიერ აღმოჩენილია რელიგიური სფეროს მეთოდური კვლევის სრული სპექტრი.

არსებობს რელიგიური სფეროს საზოგადოებრივ-გეოგრაფიული კვლევის მრავალი მეთოდი. რელიგიური მიმდინარეობების წარმოშობის ისტორიის და დღევანდელი მდგომარეობის, ასევე რელიგიური ინსტიტუტებისა და მათი ფუნქციონირების საკითხებს იკვლევენ ისეთი მეცნიერები, როგორცაა ა.ი. შაბლი, ლ.ტ. შევჩული, ს.ბ. პავლოვი, კ.ბ. მეზენცევი, ო.ო. ლიუბიცევა, ი. კოგატკო მათი ძალისხმევით მოხდა რელიგიის გეოგრაფიის მეთოდური კვლევების სისტემატიზაცია [2].

საქართველოს თანამედროვე სოციალ-ეკონომიკური განვითარების ტრანფორმაციის პირობებში, რეგიონული კვლევები სულ უფრო აქტუალური ხდება [8]. საკრალური სივრცეების გამოკვლევა გარკვეულ პრინციპებზეა დაფუძნებული. საკრალური სივრცეების კვლევის ძირითად პრინციპებს შეიძლება მივაკუთნოთ: თანმიმდევრულობა, ოპტიმიზაცია, სისტემურობა, თვალსაჩინოება და სარწმუნოობა.

საკრალური სივრცეების გამოკვლევის ერთ-ერთი საკვანძო პრინციპი, ოპტიმიზაციის პრინციპია, რომელიც კვლევის ობიექტის დროით და სივრცულ პარამეტრებს საზღვრავს. ეს საშუალებას იძლევა, გამოკვლეული იქნას საკულტო ნაგებობების დინამიკა საკრალური სივრცის ფარგლებში არა მხოლოდ ტოპონიმიურად (სივრცულ), არამედ დროშიც.

სისტემურობის პრინციპი განაპირობებს გამოკვლევის თანმიმდევრულობას და შესაბამისი მეთოდების შერჩევას: კარტოგრაფიულ ანალიზს, საველე კვლევებს, საკუთრივ კარტოგრაფირების მეთოდს და ამისთვის საჭიროა კვლევის ობიექტების, როგორც რელიგიურ-სამომლოცველო გარემოს შემადგენელ ნაწილის კლასიფიცირება შემდეგი კრიტერიუმებით: კომპონენტური, ტერიტორიული, ფუნქციური და მმართველობითი ხასიათი.

კომპონენტურ კრიტერიუმს შეიძლება მივაკუთვნოთ საკულტო ნაგებობების არქიტექტურულ-კონსტრუქციული სახესხვაობა: სამონასტრო კომპლექსები, ტაძრები, სამრევლო ეკლესიები, სამრეკლოები, და სამლოცველო (საჟამნო). თავის მხრივ ისინი იყოფიან მიწისზედა და მიწისქვეშა, ტიპიურ და არატიპიურ საკულტო ნაგებობებად. ტერიტორიული კრიტერიუმი ასახულია საკულტო ობიექტების ადგილმდებარეობის გეოსივრცულ განფენილობაში, გეოგრაფიულ-ტოპონიმური ნიშნით. ფუნქციონალობის არსი საკულტო ნაგებობების უშუალოდ რელიგიურ-საკულტო ან სამუზეუმო-საგამოფენო დანიშნულებაში მდგომარეობს. მმართველობითი მიდგომის დანიშნულებაა ყურადღება მიაქციოს საკრალური ობიექტის შესაბამისობას გარკვეულ რელიგიასთან, კონფესიასთან და წეს-ჩვეულებებთან [3].

თვალსაჩინოების პრინციპი (ვიზუალიზაცია) ითვალისწინებს საკრალური სივრცის გამოკვლევის პრაქტიკული შედეგების წარმოდგენას აღქმისთვის ხელმისაწვდომი ფორმით (ინტერნეტ-რუკები, ციფრული ატლასები, სანავიგაციო რუკები). რიგითი მომხმარებლისთვისაა ატლასები, რუკები, კედლის რუკები და მათი ელექტრონული ვარიანტები, ხოლო სპეციალისტების და მეცნიერებისთვის გათვალისწინებულია ელექტრონული რუკები, გეოსაინფორმაციო სისტემები (GIS) და საექსპერტო GPS-ები.

სარწმუნოების პრინციპი განსაზღვრავს მიღებული შედეგების ხარისხს. პრინციპის რეალიზაცია ხდება სარწმუნო მასალების მეცნიერულად დამუშავების საფუძველზე.

თანმიმდევრულობის პრინციპი საკრალური სივრცეების კვლევის ერთ-ერთი პრინციპია, რომელიც კვლევის პროცესის ეტაპობრივობას და შესაბამისი მეთოდების გამოყენებას განსაზღვრავს. ტრადიციულად გამოყოფენ ოთხ ეტაპს: მოსამზადებელს, ანალიტიკურს, სინთეზურს, შემაჯამებელს. კვლევის სისტემატიზაციისთვის და დეტალიზაციისთვის ყველა ეტაპი შედგება რამდენიმე სტადიისგან, რაც დასმული ამოცანის უფრო სრულყოფილად გადაწყვეტის საშუალებას იძლევა[4].

აღსანიშნავია, რომ საკრალური სივრცეების კვლევისას ტრადიციულ მიდგომებად ითვლება ისტორიული, სინერგეტიკული, სისტემური და გეოგრაფიული მიდგომები. [7].

საკრალურ გეოგრაფიაში არსებობს ეტიმოლოგიური კვლევების მოთხოვნილება. მაგალითად სიტყვა საკრალური წარმოსდგება ლათინური სიტყვა *sacrum* - რაც ნმინდა საგანს ან ნმინდა მოქმედებას აღნიშნავს. საკრალური ასოცირდება “სინმინდესთან”. დღევანდელი აზრით, ის უფრო რელიგიურთან დაკავშირებულს აღნიშნავს.

მეცნიერები გამოყოფენ კვლევის ოთხ ეტაპს:

- თეორიული (კვლევის კონცეფციის ფორმირება);
- შეფასებითი (გეორელიგიური ვითარების ანალიზი);
- ანალიტიკური (გეორელიგიური სისტემების გამოკვლევა და საკრალური სივრცეების შესწავლა);
- კონსტრუქციული (ტერიტორიის რელიგიურ-გეოგრაფიული დარაიონება).

კვლევის თეორიულ ეტაპზე ძირეული ფილოსოფიური და ზოგადმეცნიერული მეთოდები გამოიყენება. მეცნიერული გამოცდილების შესწავლა, ჩამოყალიბების ეტაპების განსაზღვრა და კვლევის ობიექტის განვითარება კი ამოცანის გადაჭრის ეტაპამდე აღმოცენება.

კვლევის მნიშვნელოვანი ეტაპია სტრუქტურიზაცია, რაც ნებისმიერი სირთულის კვლევის ობიექტის ან ყველა დონის პროცესის შემეცნების საშუალებაა. ასევე მიზნანშეწონილია გამოვიყენოთ რაოდენობრივ-ხარისხობრივი მეთოდები.

ინდუქციური მეთოდის გამოყენებისას, ცალკეულ ფაქტებზე დაკვირვებით ზოგადი წესებისა და კანონები დადგენას ახდენენ. დედუქციური მეთოდის მეშვეობით კი ზოგადი კანონებიდან ცალკეული ფაქტები გამოყვანა ხდება.

საკრალური ლანდშაფტების შესწავლისას მიზანშეწონილია ვანარმოოთ ლანდშაფტმცოდნეობითი გამოკვლევები.

შედარებითი მეთოდი ახდენს სხვადასხვა მეთოდების გაერთიანებას, რომლის საფუძველზეც შედარების ლოგიკური მეთოდის გამოყენებით კვლევის ობიექტების მსგავსი და განსხვავებული მხარეების გამოვლინება ხდება.

ისტორიული მეთოდი გულისხმობს შედარების ლოგიკური ოპერაციების გამოყენებას.

კარტოგრაფიული მეთოდი არის სივრცულ-დროითი შედარებითი მიდგომის საფუძველი.

გამოთვლითი მეთოდი რელიგიური კონფენსიების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებაზეა გათვლილი და მისი საფუძველი მათემატიკური მოდელების და ფორმულების გამოყენებაა. გამოკვლევისას შესაძლებელია გამოიყენებულ იქნას ისეთი მაჩვენებლები, როგორცაა:

- კულტურული ნაგებობებისა და რელიგიური ორგანიზაციების გავლენის რადიუსი;
- რელიგიური სფეროს კონცენტრაციის დონე;
- რელიგიური თემებისა და საკულტო ნაგებობების ლოკალიზაციის ინდექსი;
- რელიგიური თემების სივრცული გავლენის მაჩვენებლები;
- რელიგიური თემების ტერიტორიული დიფერენცირების მაჩვენებელი;
- რელიგიურ-გეოგრაფიული ცენტრის სივრცული გავლენის პოტენციალის მაჩვენებელი.

გავლენის საშუალო რადიუსი შეიძლება გამოვთვალოთ ფორმულით:

$$R_s = \sqrt{S/Ni}$$

სადაც, R-ს არის რელიგიური ობიექტების გავლენის საშუალო რადიუსი, კილომეტრებში; S - ტერიტორიის საერთო ფართობი კმ²; N - მოცემული სახის ობიექტების რაოდენობა; i სუბიექტის ინდექსი; [5; გვ.60]

ტერიტორიული ლოკალიზაციის მეთოდი საშუალებას იძლევა, მოსახლეობის განსახლების არეალები ობიექტების მიზიდულობის მიხედვით იქნას გამოკვლეული. მას გამოითვლიან ფორმულით:

$$Li = Hr/Gr$$

სადაც; L - არის რელიგიური თემების ტერიტორიული ლოკალიზაციის ინდექსი, Hr - რეგიონში მოსახლეობის რიცხოვნობის წილი %, Gr- რელიგიური თემების წილი რეგიონში %. ნაკლები ინდექსი მიუთითებს რელიგიური ობიექტების დასახლებული ტერიტორიებისკენ მიზიდულობაზე, მეტი კი დაუსახლებელი ტერიტორიებისკენ მიზიდულობაზე.

რელიგიური თემების სივრცული გავლენის მაჩვენებელი გამოითვლება ფორმულით:

$$Pv = N/Po$$

სადაც, Pv - რელიგიური თემების სივრცული გავლენის მაჩვენებელია, N - გამოსაკვლევი ტერიტორიის დასახლებული პუნქტების რაოდენობა; Po - გამოსაკვლევ ტერიტორიაზე რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობაა.

მეცნიერები გამოყოფენ რელიგიური სფეროს კვლევის ექვს ეტაპს. აღნიშნული მეთოდიკას საფუძვლად უდევს თანმიმდევრულობის მეთოდი, რაც განსაზღვრავს კვლევის პროცესის ეტაპობრიობას. მთლიანობაში რელიგიური სფეროს საზოგადოებრივ-გეოგრაფიულ კვლევა ამგვარი თანმიმდევრობით წარმართება: თემის არჩევა; მიზნისა და ამოცანების დასახვა; კვლევის დაგეგმარება; ფაქტიური მასალების მოძიება; მასალების პირველადი დამუშავება; კვლევის შედეგების ანალიტიკურ-სინთეტიკური დამუშავება; პრობლემის გამოყოფა; პროგნოზირება და პრაქტიკული რეკომენდაციების დამუშავება; ნაშრომის ლიტერატურული და გრაფიკული გაფორმება[6].

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპი ხასიათდება თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების განვითარებით და გაღრმავებით. განსაკუთრებით ეს ეხება ახალ

მეცნიერებებს და საკრალური გეოგრაფია გამონაკლისს არ წარმოადგენს. ამრიგად, რელიგიური საქმიანობის და საკრალური სივრცის კვლევის მთავარი ეტაპებია: თეორიული, შეფასებითი, ანალიტიკური და კონსტრუქციული. ამგვარი ეტაპებისგან თითოეულს ახასიათებს საკუთარი მეთოდების კონკრეტული შერჩევა.

ლიტერატურა:

1. Божук Т. И. Методические аспекты определения оценки сакральных объектов для нужд туризма // Вестник Львовского государственного института новейших технологий и управления имени Вячеслава Чорновила. Серия «Экономические науки», 2008. Вып. 3. С. 260–272.
2. Ключко Л. В. Общественно-географические исследования религиозной сферы // Журнал социально-экономической географии: мижрег. сб. науч. работ. Харьков: ХНУ им. В. Н. Каразина, 2008. № 5. С. 216–221.
3. Мезенцев К., Когатько Ю. Методы исследования географии религии: целесообразность использования, систематизация, потенциал картографического и центрографического методов // Вестник Ки-евского национального университета имени Тараса Шевченко. М.: Издательско-полиграфический центр «Киевский университет», 2009. Вып. 56. С. 30–36.
4. Павлов С. Общественно-географические аспекты исследования религиозной сферы // Гилея: на-учный вестник, 2013. № 75. С. 356–358.
5. Патийчук В. Территориальная организация религиозной сферы административной области (на при-мере Волынской области): дис. кандидата географических наук 11.00.02. Луцк: Волынский государ-ственный университет имени Леси Украинский, 1998. 202 с.
The pandemic of the new coronavirus has dealt a fatal blow to the multibillion-dollar cruise business. Dozens of gorgeous new cruise liners with huge swimming pools and golf courses end up in the Turkish ship graveyard. Many cruise companies have to scrap ships earlier than planned. Many of these airlines could still be operated for more than one year.

The catering industry also suffered huge losses. Due to lockdowns, a huge number of restaurants, bars, and cafes were forced to close. Of course, someone was able to change the business a little and focus on takeaway or delivery. But the global financial losses were not bought. As a result, everyday companies from this area are waiting for concessions to try to increase their already small incomes.

As a result, many areas of business have been affected by the global pandemic. All their activities are bound by rules that cannot be violated in any case. After all, these spheres are conduits and collection points for a huge number of people.

STARTING A BUSINESS IN EUROPE

In the current situation, opening a business in Europe is a step that you need to prepare for very closely and consciously. In addition to all legal aspects, a businessman should carefully study the market sector that he wants to enter. Why potential buyers will choose his product, how it can solve a particular customer's problem, and so on. He should also understand whether the business will pay off and bring profit. After all, it is strange to open an initially unprofitable business. At the same time, the situation with covid-19 remains and will remain relevant for a long time. Therefore, short-term and long-term action plans should be developed.

Online or Offline

Perhaps the main question that a businessman should think about is which type of business will be more profitable to open. Logically, the situation with the global pandemic complicates the possibility of answering this question. It is very difficult to predict the further development of events, so you should rely on your intuition and facts. Of course, each type of business (online or offline) has its pros and cons. It's not just about the possibility of opening a physical store. It is worth understanding about competitors in the market that a businessman enters. Also, one of the main factors is time; will your business be able to withstand a short distance, perhaps one of the most difficult.

Portrait of the consumer

In addition to the difficult choice of the type of business, a businessman will need to fully understand the portrait of his client. The psychology of behavior, its needs, pains and goals in the final purchase. After all, the lack of understanding of buyers will quickly lead to negative profits. And as a result, no matter what the business is, it will not feed the owner and develop. It should also be taken into account that people settled at home quite quickly, so you need to try to satisfy

their requests, which were before the pandemic. After all, the psychology of a person does not change in one second.

Thus, it is impossible to unequivocally answer which type of business is better, because each of them carries a huge number of subtleties and nuances. Before opening something, you need to spend more than one hour and day to choose the most optimal strategy for opening and developing a business.

CONCLUSION

Of course, the coronavirus has radically changed the life of mankind, and our world will not be the same anymore. Nevertheless, people throughout their history have adapted and developed in new and new conditions. Therefore, the current global pandemic will become another obstacle that humanity will cross with new strength and knowledge. Speaking about business, covid-19 has also made certain adjustments to its work. Therefore, it is worth relying on the mistakes of others, so that they do not do the same and burn out. Of course, the pandemic has introduced new conditions for starting a business in Europe, which should be taken into account very carefully. Nowadays, a businessman should think twice about every step and action before opening a business, whether it is an online clothing store, a grocery or even just a mini-market of essential goods.

References:

1. McAleer M. Prevention Is Better Than the Cure: Risk Management of Covid-19 // Journal of Risk and Financial Management. 2020. Vol. 13 (3). P. 46.
2. Schwarz J.S., Legner C. Business model tools at the boundary: exploring communities of practice and knowledge boundaries in business model innovation // Electronic Markets. 2020. Special Is.: «Business model innovation: Tools and Innovation patterns». P. 1-25.
3. <https://www.forbes.com/coronavirus/?sh=4af357a420dd>
4. <https://ru.investing.com/equities/zoom-video-communications-earnings>

კოვიდ-19 და გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში

გუნაზ ექიმაიშვილი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ნაშრომში გადმოცემულია კოვიდ-19 და გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოში. აღნიშნულია, რომ პანდემია სეზონურად გამოწვევად იქცა მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში. გადმოცემულია კოვიდ-19-ის გავლენა გარემოზე, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირების სტრატეგია და პირობები, მწვანე ეკონომიკა და გარემოს მდგრადი განვითარების პოლიტიკა საქართველოში. მოცემულია დასკვნები და რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19, გარემოს დაცვა, მწვანე ეკონომიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა, გარემოს დაცვის ეკონომიკური პოლიტიკა.

კოვიდ-19 სერიოზულ გამოწვევად იქცა მთელ მსოფლიოში, ის გლობალური პანდემიის სახელით შევიდა ისტორიაში. დაიღუპა უამრავი ადამიანი, დაიხურა საზღვრები, ბევრმა ქვეყანამ აუკრძალა მის მოქალაქეებს საზღვრის გადაკვეთა, დაანესა კომენდანტის საათი, ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად და სიკვდილიანობის შესაცირებლად კომპანიებმა თანამშრომლები ონლაინ მუშაობაზე გადაიყვანეს, დაიკარგა სამუშაო ადგილები, ეკონომიკას დაეტყო ტურიზმიდან შემოსული თანხების ნაკლებობა, გაიზარდა სიღარიბე და უთანასწორობა, ქვეყნები მძიმე ეკონომიკური რეცესიის წინაშე დადგა.

პანდემიის პირველ ეტაპზე თითქმის ყველგან გაჩერდა ტრანსპორტი, წარმოება, ხალხის გადაადგილება შეწყვიტა, ამ ყველაფერმა კი შეიძლება ითქვას დადებითი გავლენა მოახდინა გარემოზე, შეწყვიტა ჰაერის დაბინძურების მაჩვენებელი. ეს არის მთავარი დადებითი მოვლენა, რომელსაც მსოფლიოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მედიის ინფორმაციით ჰაერი ისე გასუფთავდა, რომ ინდოეთის პენჯაბის შტატში, ბოლო 30 წლის განმავლობაში პირველად დაინახეს ჰიმალაის მთების მწვერვალები. საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საწარმოების დახურვამ, ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვამ, საწვავის მოხმარების კლებამ განაპირობა ის, რომ ბოლო თვეების განმავლობაში 20-25 პროცენტით შეწყვიტა ჰაერში მავნე ნივთიერებებისა და ნახშირორჟანგის გამოყოფა, რაც, თავის მხრივ, დადებითად აისახა გარემოს დაცვასა და ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. ეს გარკვეული შედეგია ბუნებისა და ეკოსისტემისთვის, სასიკეთოა მოქალაქეთა ჯანმრთელობისთვის, თუმცა, პოზიტიური ტენდენცია დიდხანს ვერ შენარჩუნდება – კორონავირუსის დამარცხების შემდეგ, სავარაუდოდ, დაჩქარებული ტემპით დაიწყება ეკონომიკის ზრდა, რის შემდეგაც ჩვენი გარემო დაბინძურების ჩვეულ მდგომარეობას დაუბრუნდება.

კრიზისის დროს, მთავრობათა უმეტესობა იძულებული გახდა, ჯანდაცვის სისტემების კონტროლი, ხელმძღვანელობა და დაფინანსება თავის თავზე აეღო, რადგანაც თავისუფალი ბაზრის უხილავი ხელის კონცეფციამ კაცობრიობის სასარგებლოდ ვერ იმუშავა. უფრო მეტიც, მან ხელი შეუწყო ვირუსის სწრაფ გავრცელებას მთელ მსოფლიოში, ხოლო ბიზნეს-სერვისზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემები არ აღმოჩნდა ეფექტიანი საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფისთვის.

კოვიდ-19 არა მხოლოდ ჯანდაცვის სფეროს აზიანებს, არამედ მან საფრთხე მსოფლიო ეკონომიკას შეუქმნა. შესაბამისად, შეიცვალა მთავრობების დამოკიდებულება გარემოზე, მეტი ყურადღება ექცევა გარემოს დაცვას და ნარჩენების გადამუშავებას.

საქართველოში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ კომპანიების ნაწილმა საქმიანობა შეაჩერა, ნაწილმა კი განაგრძო პროდუქციის წარმოება, ამიტომ ინდუსტრიულ ქალაქებში ნარჩუნდება გარემოს დაბინძურების მაღალი მაჩვენებელი. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის დიდმა ნაწილმა სოფელში გადაინაცვლა საცხოვრებლად და

სოფლის მეურნეობას მიჰყო ხელი. ეს კი ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ გადადგმული ნაბიჯია.

კოვიდ 19-თან საბრძოლველ პროგრამებს მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი ამუშავებს იმ ქვეყნებისათვის, რომელნიც განვითარებადი ქვეყნების რიცხვს განეკუთვნებიან. საქართველო საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან წარმატებით თანამშრომლობს, მან 3 მილიარდ აშშ დოლარის დახმარება მიიღო. მოზიდული თანხებით ქვეყანას შეუძლია სწორი პოლიტიკითა და დაგეგმილი პრიორიტეტებით გააუმჯობესოს ქვეყნის მდგრადი განვითარება.

ევროკავშირი მხარს უჭერს ფართომასშტაბიან პროგრამებს გარემოს, მწვანე ეკონომიკის, განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროებში გამონვევების გადასაჭრელად საქართველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, ევროკავშირის შავი ზღვის აუზის სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამა აერთიანებს მეზობელი ქვეყნების მუნიციპალიტეტებს ისეთი საერთო გამონვევების გადასაჭრელად, როგორცაა ზღვის ნაგავი. ამ გამონვევის კომპლექსური გადაჭრა ხელს შეუწყობს შავი ზღვის აუზის თითოეული ქვეყნის მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო ინტენსიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საერთაშორისო დონორ და განმახორციელებელ ორგანიზაციასთან, რომელთა მხარდაჭრითაც ამჟამად მიმდინარეობს 60-ზე მეტი პროექტი შემდეგი მიმართულებებით: ატმოსფერული ჰაერის დაცვა; წყლის რესურსების მართვა; მინის რესურსების მართვა; ნარჩენები და ქიმიური ნივთიერებები; ბიომრავალფეროვნების დაცვა; კლიმატის ცვლილება; ბუნებრივი და ანთროპოგენური საფრთხეები; ტყის რესურსების მართვა; დაცული ტერიტორიები; ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოება; გარემოსდაცვითი მმართველობა; მწვანე ეკონომიკა; ურთიერთგადამკვეთი საკითხები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროში გატარებულმა დაუგეგმავმა და ნაჩქარევმა რეფორმებმა, დიდი ზიანი მოუტანა როგორც გარემოს, ისე საქართველოს მოსახლეობას. წლების განმავლობაში არ განისაზღვრებოდა ქვეყნის პოლიტიკა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით რაციონალური სარგებლობის სფეროში; პრაქტიკულად მოისპო გარემოს დაბინძურების თავიდან აცილების მექანიზმები; ბუნებრივი რესურსების მართვა კი, გაიგივებული იყო ბუნებრივი რესურსების ლიცენზირებასთან და ეს ფუნქცია ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს გადაეცემოდა. შედეგად, საბოლოოდ დაირღვა წონასწორობა ბუნების კონსერვაციასა და ბუნებრივი რესურსების მოხმარებას შორის. კანონმდებლობა სულ უფრო მეტად დაშორდა საყოველთაოდ აღიარებულ მდგრადი განვითარების პრინციპებს, ასევე, ევროკავშირის კანონმდებლობას.

ბოლო წლებში ქვეყანაში შემუშავდა გარემოს დაცვის მოქმედებათა სამი ეროვნული პროგრამა (2000წ., 2012-2016წწ., 2017-2021წწ.). საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა (2017-2021) ამ მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებთან ერთად წარმოადგენს მწვანე ზრდის და მწვანე ეკონომიკის ფორმირება-განვითარების ხელშემწყობ მექანიზმს. წინა ორი ეროვნული პროგრამისაგან განსხვავებით (გარემოს დაცვის მოქმედებათა პირველი (2000) და მეორე (2012-2016) ეროვნული პროგრამა) იგი ითვალისწინებს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში წარმოქმნილ გამოწვევებს. აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამების მომზადების ვალდებულება განსაზღვრულია საქართველოს კანონში „გარემოს დაცვის შესახებ“ (1997).

გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა შემუშავდა შემდეგი სამი ძირითადი პოლიტიკური ტენდენციის გათვალისწინებით:

- საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება;

- გაეროს მდგრადი განვითარების მიზნები და ის გარემოსდაცვითი საერთაშორისო შეთანხმებები, რომელთა მხარესაც საქართველო წარმოადგენს;
- გარემოს დაცვასთან და ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული და დარგობრივი სტრატეგიები.

„საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებაში“ ყურადღება გამახვილებულია მდგრად განვითარებასა და მწვანე ეკონომიკაზე. კერძოდ, შეთანხმების 301-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „მხარეები განავითარებენ და განამტკიცებენ თანამშრომლობას გარემოს დაცვის საკითხებზე, რითაც წვლილს შეიტანენ მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების განხორციელებაში. გარემოს გაძლიერებული დაცვა სარგებელს მოუტანს საქართველოსა და ევროკავშირის მოქალაქეებსა და ბიზნესსექტორს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესების, ბუნებრივი რესურსების შენარჩუნების, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი ეფექტიანობის გაზრდის გზით, ასევე, თანამედროვე, სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების მეშვეობით, რაც ხელს შეუწყობს წარმოების უფრო მდგრადი მოდელების ჩამოყალიბებას“. ამასთან, მწვანე ზრდა და მწვანე ეკონომიკა გაეროს მიერ აღიარებულია მდგრადი განვითარების ხელშემწყობ მნიშვნელოვან ფაქტორებად. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნულ პროგრამაში (2017-2021წწ.), წარმოდგენილია რიგი კონკრეტული ღონისძიებებისა, რომლებიც მიმართულია ტრადიციული ეკონომიკური საქმიანობების ალტერნატიული მიდგომების შემუშავებისა და დანერგვისაკენ. კერძოდ, რესურსებისა და მასალების ეფექტურობა, ნარჩენების წარმოქმნის მინიმუმამდე შემცირება და თავიდან აცილება, წყლის რესურსების მდგრადი მოხმარება, მწარმოებლის პასუხისმგებლობის ზრდა, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით რესურსების გონივრული მოხმარება და ა.შ. აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს სწორედ მწვანე ეკონომიკის განვითარებას ემსახურება.

საქართველოში მწვანე ზრდის და მწვანე ეკონომიკის განვითარების საფუძვლების შექმნას მხარს უჭერენ საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი მხარდაჭერით სრულდება სხვადასხვა პროგრამები. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD), გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE), გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UN Environment), გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) და მსოფლიო ბანკის მიერ აღმოსავლეთ პარტნიორობის მეორე პლატფორმის - „ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა“ ფარგლებში საქართველოში ხორციელდება პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებრივი კაპიტალის, ადამიანების კეთილდღეობის დაცვას და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ექვს ქვეყანაში: სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსის რესპუბლიკა, საქართველო, მოლდოვას რესპუბლიკა და უკრაინა. გარემოს დაცვის და ეკონომიკური მხარეების თავმოყრით, ევროკავშირი გარემოსდაცვისთვის ხელს უწყობს პოლიტიკის შემუშავებას და საკანონმდებლო ცვლილებებს, დაგეგმარებისა და ინვესტიციების „გამწვანებას“, ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების წახალისებას, ახალი ბიზნეს-მოდელების მიღებას, და „მწვანე სამუშაოების“ ჩამოყალიბებას. ასევე, ხელს უწყობს გარემოსდაცვითი მმართველობის გაუმჯობესებას, დაცული ტერიტორიების და ტყეების მართვის გაუმჯობესებას, და მდგრად ვაჭრობას. მოქმედების მასშტაბი განისაზღვრა ყველა პარტნიორ ქვეყანასთან თანამშრომლობის ფარგლებში. მოქმედება ეფუძნება წარსული თანამშრომლობის ისეთი პროგრამების მნიშვნელოვან მიღწევებს, როგორცაა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში ეკონომიკის გამწვანება (EaP GREEN), სატყეო სექტორში კანონის დაცვისა და მმართველობის გაუმჯობესება (FLEG) და ა.შ.

პროგრამის მიზანია მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა, კერძოდ ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევა, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის ინსტ-

რუმენტების რეფორმას, ახალი ანალიტიკური საშუალებების დანერგვას, დაფინანსების წყაროებზე ხელმისაწვდომობის გაზრდას, შესაძლებლობების გაძლიერებასა და კერძო სექტორში საპილოტე პროექტების განხორციელებას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გაეროს სამრეწველო განვითარების ორგანიზაციამ (UNIDO) საქართველოში განახორციელა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების“ სადემონსტრაციო პროექტი (RECP), რომლის მიზანიც იყო კერძო კომპანიებში რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობის გაუმჯობესება და ამ გზით მდგრადი სამრეწველო განვითარების და მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა. პროექტში ჩართული იყო მცირე და საშუალო ზომის საწარმოები და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეიქმნა „რესურსეფექტური და სუფთა წარმოების“ კლუბები. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) პროექტმა - „მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში გარემოსათვის მისაღები ქმედებების ხელშეწყობა“ - შეისწავლა ძირითადი პირობები და შესაძლებლობები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში გარემოს დაცვის ეფექტიანობის ამაღლებას, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში ენერგოეფექტური ტექნოლოგიების დანერგვას, ასევე მდგრადი წარმოებისა და მწვანე ბაზრების მნიშვნელობის ზრდის ფონზე მთავრობასა და ბიზნესს, ასევე ბიზნესს და ბიზნესს შორის დიალოგს. RECP პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება მოახდინა, რომლებიც აუმჯობესებს წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებს გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვს ეკონომიკური სარგებელი. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ფართო დანერგვის მიზნით პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რესურსეფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად.

ევროკავშირი ასევე მხარს უჭერს ფართომასშტაბიან პროგრამებს გარემოს, მწვანე ეკონომიკის, განახლებადი ენერჯის და ენერგოეფექტურობის სფეროებში გამოწვევების გადასაჭრელად საქართველოსა და სხვა მეზობელ ქვეყნებში. მაგალითად, ევროკავშირის შავი ზღვის აუზის სასაზღვრო თანამშრომლობის პროგრამა აერთიანებს მეზობელი ქვეყნების მუნიციპალიტეტებს ისეთი საერთო გამოწვევების გადასაჭრელად, როგორცაა ზღვის ნაგავი. ამ გამოწვევის კომპლექსური გადაჭრა ხელს შეუწყობს შავი ზღვის აუზის თითოეული ქვეყნის მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების, გარემოსდაცვითი უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მნიშვნელობა, ასევე ბუნებრივი კატასტროფების თავიდან აცილების აუცილებლობა ასახულია საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020-ში, რომელიც ქვეყნის მთავარი სტრატეგიული დოკუმენტია. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინოვაციური საქმიანობის და უახლესი ტექნოლოგიების ტრანსფერის და დანერგვის ხელშეწყობა ეროვნულ და რეგიონულ დონეზე. ასევე მნიშვნელოვანია გარემოს დაცვაზე ორიენტირებული თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვის და მწვანე ეკონომიკის განვითარების წახალისება.-

მიღებულ იქნა საქართველოს კანონი - „ნარჩენების მართვის კოდექსი“; „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. ამ დოკუმენტებში ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად ასახულია საქართველოს გარემოსდაცვითი მიზნები და პრიორიტეტები, განსაზღვრულია სტრატეგიული გრძელვადიანი მიზნები, უახლოეს 5 წელიწადში განსახორციელებელი ამოცანები და კონკრეტული ქმედებები, რომლებიც აუცილებელია გარემოს მდგომარეობის გა-

საუმჯობესებლად. გარემოსდაცვითი პოლიტიკის მთავარ მიზნად აღიარებულია ქვეყნის მდგრადი და დაბალანსებული განვითარება, რომლის დროსაც გარემოსდაცვითი და სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევები ერთ სიბრტყეში განიხილება. საქართველო მონაწილეობს საერთაშორისო კონვენციებში: ბაზელის კონვენცია „სახიფათო ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვასა და მათ განთავსებაზე კონტროლის შესახებ“, „სტოკჰოლმის კონვენცია „მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ“, „მინამატას კონვენცია „ვერცხლისწყლის შესახებ“ და სხვ.).

2020 წლის დეკემბერში შემუშავდა სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, სადაც აღნიშნულია, რომ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარების პარალელურად, გარემოს დაცვა, მისი მდგრადობის შენარჩუნება და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს.

ქვეყანაში გარემოს მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს მთავრობა განაგრძობს შემდეგ რეფორმებს:

- გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს. სამთავრობო პროგრამა 2021-2024;
- ქვეყნის მასშტაბით სტიქიურად მოწყვლად ხეობებში განთავსდება 150-მდე დაკვირვების ავტომატური სადგური და თანამედროვე ადრეული გაფრთხილების სისტემები;
- გაგრძელდება ატმოსფერული ჰაერისა და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემების გაფართოება;
- ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, გაგრძელდება მერქნულ რესურსზე მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება; განვითარდება ტყის მრავალმიზნობრივი სარგებლობა, რაც შექმნის დამატებით ეკოლოგიურ, ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს.;
- დაგეგმილია ახალი დაცული ტერიტორიების დაარსება და ზოგიერთი არსებული დაცული ტერიტორიის გაფართოება (სულ, დაახლოებით, 185 000 ჰა), შეიქმნება ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
- გაგრძელდება გარემოსდაცვითი განათლების ხელშეწყობისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები. განხორციელდება სასკოლო და უმაღლესი განათლების სისტემაში გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირება;
- ქვეყნის მასშტაბით, ეტაპობრივად დაინერგება ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემა და ხელი შეეწყობა ნარჩენების ხელახალ გადამუშავებას.

ქვეყანაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია:

- დაჩქარდეს იმ კანონების მიღება, რომლებიც საქართველოსა და ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით არის გათვალისწინებული. მიუხედავად იმისა, რომ გარემოსდაცვითი ვალდებულებები დროშია გაწერილი, უნდა დაინყოს მზადება მათი ამოქმედებისა და შესრულებისთვის;
- გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად გამკაცრდეს და დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა. აქამდე გავრცელებული ლოზუნგი – „გარემოს დაცვის გამკაცრებით, ქვეყანაში ინვესტიციების შემოსვლას შევაფერხებთ“ – არასწორია. კანონმდებლობა უნდა გამკაცრდეს, რათა ქვეყანაში ჯანსაღი ინვესტიციები შემოვიდეს, და ამა თუ იმ საქმიანობით, გარემო არ დაბინძურდეს და დაზიანდეს;
- საჭიროა განახლებად ნედლეულზე გადასვლა. კერძოდ, მზის ენერჯიაზე – ფართოდ უნდა დაინერგოს მზის პანელები, ე.წ. „ჭკვიანი სახლები“ და ა.შ. ის დიდ დანახარჯს მოითხოვს, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში, ძალიან მომგებიანია;

- აუცილებელია მწვანე ნარგავების ფართობის გაზრდა. კერძოდ, ბაღების გაშენება და ქალაქებში მწვანე სივრცეების გაზრდა.

გარემოს დაცვის რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებისათვის აუცილებელია:

- წყლის, ჰაერის, ნიადაგის, ნარჩენების კანონმდებლობის გადამუშავება/შემუშავება და გარემოსდაცვითი მართვის არსებული ინსტრუმენტების გაძლიერება და ახლის (მათ შორის, ეკონომიკური ინსტრუმენტების) დანერგვა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების სისტემის მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს გადამუშავება/სრულყოფა: რაც გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის ჰარმონიზაციას მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებების მოთხოვნებთან (ორპუსის კონვენცია, ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია) ასევე ევროკავშირის 85/337/EEC დირექტივასთან;
- საქართველოს ტყეების დაცვისა და რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად, აქცენტი გაკეთდეს მდგრად მეტყევეობაზე, ტყეების დაცვა-აღდგენასა და არამერქნული პოტენციალის გამოყენებაზე;
- ეკოსისტემების დაცვისა და მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას დაცული ტერიტორიების ერთიანი ქსელის ჩამოყალიბებისთვის. ეს მოიცავს როგორც არსებული დაცული ტერიტორიების შესაძლებლობების გაძლიერებას, მოდერნიზება-გაფართოებას, აგრეთვე ახალი დაცული ტერიტორიების შექმნას ბიომრავალფეროვნებით გამორჩეულ ისეთ რეგიონებში, როგორიცაა: ზემო და ქვემო სვანეთი, სამეგრელოს მთიანეთი, რაჭა, ლეჩხუმი, ფშავ-ხევსურეთი.
- აუცილებელია შემუშავდეს ყველა მსხვილი საწარმოს სამრეწველო განვითარების პერსპექტივა, აღმოიფხვრას პანდემიის შედეგად გამოწვეული ნეგატიური შედეგები, კიდევ უფრო მეტად შეეწყოს ხელი მწვანე ეკონომიკაზე გადასვლას, ისეთი ეკონომიკური ზრდის მიღწევას, რომელიც გამორიცხავს გარემოს დეგრადაციას და ბუნებრივი რესურსების ამოწურვას.

გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება საქართველოს ბუნებრივი მემკვიდრეობის, როგორც ეროვნული და გლობალური ფასეულობის შენარჩუნების, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წინაპირობაა.

ლიტერატურა:

1. აბესაძე რ., „მწვანე“ ეკონომიკა: არსი და გამოწვევები. თბილისი, 2019.
2. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს პროგრამა.
http://www.unep.org/pdf/GreenEconomy_SuccessStories.pdf /ბოლო ნახვა 14.04.2021/
3. გველესიანი რ., გოგორიშვილი ი., ერქომაიშვილი გ., ლეკაშვილი ე., გაფრინდაშვილი გ., ხურცია ლ., ეკონომიკური პოლიტიკა 2, თბილისი, თსუ გამომცემლობა, 2021
4. ერქომაიშვილი გ., საქართველოს განვითარების ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები. თბილისი, „უნივერსალი“, 2016.
5. ერქომაიშვილი გ., მინაშვილი რ. ეკოლოგია და გარემოს მდგრადი განვითარების პოლიტიკა საქართველოში. თბილისი, „უნივერსალი“, 2021
6. თოდუა ლ., მურღულია შ. მდგრადი განვითარება და საქართველოს რეფორმები. [shttp://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia_shota_geo.pdf](http://weg.ge/wp-content/uploads/2012/11/lia_shota_geo.pdf)
7. კაკულია ე., გოგობია თ., ბიბილაშვილი ნ., ევროკავშირთან ასოცირების შესახებ

8. შეთანხმება – მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა საქართველოში. თბილისი, 2019.
9. მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა. თბილისი, 2013. http://greenalt.org/wpcontent/uploads/2013/12/mwvane_politika_da_garemos_dacva.pdf /
10. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, თბილისი, 1996.
11. საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, ცვლილებები და დამატებები. www.matsne.gov.ge/ka/document/view/4245387?publication=0/ბოლო ნახვა 13.04.2021/
12. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021 წწ. თბილისი, 2017.
13. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, საქართველოს მთავრობა, ნოემბერი, 2013.
14. . სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“, თბილისი, 2020
15. ხუსკივაძე მ. ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების ეტაპები და ტენდენციები საქართველოში. 2015.
16. <https://mepa.gov.ge>
17. geostat.ge
18. parliament.ge

Covid -19 and Environmental Economic Policy in Georgia

Gulnaz Erkomaishvili

*Academic Doctor of Economics, Associate Professor
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

SUMMARY

The paper introduces Covid-19 and Environmental Economic Policy in Georgia. It should be noted that the pandemic has become a serious challenge in the world, including Georgia. The Environmental impact of Covid-19, strategy and priorities for economic policy making related to the environment, green economy and sustainable development policy in Georgia will be presented. Conclusions and recommendations are given.

Keywords: Covid -19, Environmental Protection, Green Economy, Environmental Economic Policy, National Environmental Programs.

საპენსიო პროგრამებით წარმოქმნილი ვალდებულებების აღრიცხვის საკითხები სსბასს 39-ის მიხედვით

მახიამ ჯაფარიძე

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მაჩინა მაისუხაძე

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

სტატიაში განხილულია დაქიხავებულთა სახეგებდით წარმოქმნილი ვალდებულებების შეფასებისა და მათი აღიარების საკითხები.

სხვადასხვა ოფიციალური საპენსიო პროგრამით გათვადისწინებული ვალდებულებების შეფასების მეთოდები და მათ შორის ახსებული განსხვავებები, განხილულია დადგენილშენაგანიანი და დადგენილსახეგებდიაანი პროგრამების ქიდიში. აღნიშნულია, რომ დადგენილშენაგანიანი პროგრამებით საჯარო სუბიექტის პასუხისმგებლობა თითოეული პეხიოდისთვის განისაზღვრება, ამ პეხიოდში შესაგანი თანხით. შესაბამისად ვალდებულებების შეფასებისას დისკონტირება ახ გამოიყენება, თუ მოსადოდნედი ახაა, რომ ისინი მთლიანად დაიფახება 12 თვის განმავდობაში იმ პეხიოდის დასხუდებიდან, ხოდესაც დაქიხავებუდებმა გასწიეს მომსახუება.

დადგენილსახეგებდიაანი პროგრამის საბოდრო დანახახები დამოკიდებულია მხავად ცვდებუ. ამიგომ, დადგენილსახეგებდიაანი პროგრამის ვალდებულებების დისკონტირებული დიხებუდებით შესაფასებდად, გამოიყენება აქტუახული დაშვებები. დადგენილსახეგებდიაანი პროგრამის წმინდა ვალდებულებების ფინანსუი ანგახიშგებაში ასახვის საკითხები განხილულია პახეტიკული მაგადითით.

საკვანდო სიკყვები: შიომითი საქმიანობის შემდგომი სახეგებედი, დადგენილშენაგანიანი საპენსიო პროგრამა, დადგენილსახეგებდიაანი საპენსიო პროგრამა, აქტუახული დაშვებები.

1. შესავალი

საქართველოს სწრაფვა ევროკავშირში, ჩვენი ქვეყნისთვის, დღის წესრიგში აყენებს სხვადასხვა სფეროს, მათ შორის ფინანსების მართვის თავსებადობას საერთაშორისო სტანდარტებთან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ფინანსური ანგარიშგებისა და აუდიტის თანამედროვე სისტემების დანერგვა და გამოყენება ხელს უწყობს მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციას. (Vardiasvili, 2014)[2]

საქართველოს მთავრობამ 2009 წელს აიღო ვალდებულება, რომ 2020 წლისთვის უზრუნველყოფდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების წესების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან შესაბამისობას.

ეს ცნობილი და საყოველთაოდ მიღებული წესები საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებია (სსბასს), რომელიც განსაზღვრავს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის ძირითად დებულებებს, მეთოდურ ბაზას და მათ გამოყენებას პრაქტიკაში. (Vardiasvili, 2014)[2]

სსბასს-ის დანერგვა ხელს უწყობს საჯარო სექტორის ერთეულების მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ინფორმაციის ერთგვაროვნებას და აუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების ხარისხს.

სტანდარტების შესაბამისად მომზადებული და გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება ამალლებს ქვეყნისადმი ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან.

სსბასს 39 - „დაქირავებულთა სარგებელი“, რომელიც ძალაში შევიდა 2018 წლის 1 იანვარიდან, განსაზღვრავს დაქირავებულთა სარგებლის აღრიცხვისა და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის წესს. სტანდარტი გამოიყენება დამქირავებლის მიერ დაქირავებულთა ყველა სახის სარგებლის ბუღალტრული აღრიცხვისათვის, გარდა წილობრივი გადახდებისა.

საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია საპენსიო სისტემის რეფორმა, ეს დაკავშირებულია იმ მნიშვნელოვან როლთან, რომელსაც ასრულებს საპენსიო სისტემა ქვეყნის ფინანსურ და სოციალურ სფეროში. იგი ქვეყნის სამთავრობო პროგრამის შემადგენელი ნაწილია და ამდენად პრიორიტეტული და მეტად აქტუალურია. სამთავრობო პროგრამა ითვალისწინებს საპენსიო სისტემის არსებით რეფორმას, რომელიც ამ სისტემის დაგროვებით პრინციპზე გადასვლას ითვალისწინებს, იგი დაეფუძნება სავალდებულო საპენსიო დაზღვევას. რეფორმის შედეგად, სისტემაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებენ კერძო საპენსიო ინსტიტუტები. (m.maisuradze, 2014)[1]

ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხზე ჩატარებული კვლევები, დასკვნები და მითითებები ხელს შეუწყობს მათ პრაქტიკულ რეალიზაციას.

კვლევის საგანია, დაქირავებულთა სარგებელთან დაკავშირებული ვალდებულებებისა და დანახარჯების შეფასებისა და აღიარების კრიტერიუმები სსბასს 39 -ის მიხედვით.

კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები, ქართველ და უცხოელ მეცნიერ-ეკონომისტთა ნაშრომები, ნაბეჭდი თუ ინტერნეტში განთავსებული მასალები.

2. დადგენილშენატანიანი საპენსიო პროგრამით წარმოქმნილი ვალდებულებები.

შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებელია, დაქირავებულ პირთა პენსიები, პენსიაზე გასვლისას გადასახდელი ერთჯერადი დახმარებები და შრომითი საქმიანობის შემდგომი სხვა გასამრჯელოები.

შრომითი საქმიანობის შემდგომი პერიოდის სარგებლის პროგრამები ეკონომიკური შინაარსის მიხედვით კლასიფიცირდება დადგენილშენატანიან და დადგენილსარგებლიან საპენსიო პროგრამებად. სხვადასხვა პროგრამაში მოცემული ძირითადი პირობები და დებულებები განსხვავებულია.

დადგენილშენატანიანი პროგრამის მიხედვით ერთეულის ვალდებულება შემოიფარგლება იმ ფიქსირებული შენატანის ოდენობით, რომელზეც იგი თანახმაა გადარიცხოს დამოუკიდებელ სუბიექტში (ფონდში) მომავალი საპენსიო ფონდების დაგროვებისათვის. ეს პროგრამა არ გულისხმობს დამატებითი შენატანების რაიმე ვალდებულებას, მიუხედავად იმისა უზრუნველყოფილი არის თუ არა ყველა დაქირავებულის სარგებელი, მიმდინარე და წინა პერიოდებში მათ მიერ განეული მომსახურებისთვის. ფონდში გადახდილი შენატანების ოდენობა, მათგან წარმოქმნილ საინვესტიციო შემოსავლებთან ერთად, განსაზღვრავს დაქირავებულ პირის მიერ მისაღებ შრომითი საქმიანობის შემდგომ სარგებელს.

ამ შემთხვევაში, აქტუარულ რისკი იმისა, რომ სარგებელი მოსალოდნელზე უფრო ნაკლები იქნება და საინვესტიციო რისკი, იმისა, რომ ინვესტირებული აქტივები არასაკმარისი იქნება მოსალოდნელი სარგებლების გადასახდელად, ვრცელდება მხოლოდ დაქირავებულ პირებზე. აღნიშნული რისკები დამქირავებელს არ ეხება.

დადგენილშენატანიანი პროგრამების აღრიცხვის საფუძველია დარიცხვის მეთოდი.

ვინაიდან, კომპანიის პასუხისმგებლობა თითოეული პერიოდისთვის განისაზღვრება, ამ პერიოდში შესატანი თანხით, ვალდებულებების შეფასებისას მათი დისკონტირება არ

ხდება. მაგრამ, თუ მოსალოდნელი არაა, რომ ისინი მთლიანად დაიფარება 12 თვის განმავლობაში იმ პერიოდის დასრულებიდან, როდესაც დაქირავებულებმა გასწიეს მომსახურება, აღნიშნული შენატანების მიმართ გამოიყენება დისკონტირების განაკვეთი.

სსბასს 39 -ის მიხედვით ფულის დროითი ღირებულების ყველაზე საიმედოდ ასახვა შესაძლებელია სახელმწიფო ობლიგაციებიდან, მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან, საბაზრო შემოსავლიანობის დონის საფუძველზე. (სსბასს 39) [4] მაშინ, როდესაც, ბასს 19 მოითხოვს დისკონტირების განაკვეთის დადგენას, საბაზრო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მაღალი ხარისხის კორპორაციული ობლიგაციების საბაზრო შემოსავლების დონის საფუძველზე. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება ამ ორ სტანდარტს შორის.

გარდა ამისა, ამ შემთხვევაში არ არის საჭირო აქტუარული დაშვებები, შესაბამისად კომპანიას არ გააჩნია აქტუარული მოგება ან ზარალი. ამიტომ, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაზღვევის ვალდებულებების შეფასებისას არ არის საჭირო შესაბამისი კორექტირებები.

იმ პერიოდში, როდესაც დაქირავებულმა დამქირავებელს გარკვეულ მომსახურება გაუწია, დამქირავებელმა დადგენილშენატანიან პროგრამაში გადასახდელი შენატანები უნდა აღიაროს:

- როგორც ხარჯი, თუ სხვა სტანდარტი არ მოითხოვს ან უფლებას არ იძლევა, რომ შენატანი ჩართულ იქნეს აქტივის თვითღირებულებაში;
- როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) უკვე გადახდილი შენატანების გამოკლებით.

თუ უკვე გადახდილი შენატანები აღემატება საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე განეული მომსახურების სანაცვლოდ გადასახდელი შენატანის რაოდენობას, ერთეულმა ნამეტი თანხა უნდა აღიაროს აქტივად (წინასწარ განეულ ხარჯად). [4].

ამრიგად, დადგენილშენატანიანი საპენსიო პროგრამების არსებული პრაქტიკის შესაბამისად, გადასახდელი პენსიის ოდენობა განისაზღვრება ფონდში შეტანილი თანხებით და მათგან მიღებული საპროცენტო შემოსავლებით.

ამრიგად, საპენსიო ფონდში განხორციელებული შენატანები ნიშნავს კომპანიის მიერ თავისი აქტივების სხვა დამოუკიდებელი ორგანიზაციის (პროგრამის) ანგარიშებზე გადაცემას, მომავალი საპენსიო ვალდებულებების დასაფარავად. ე.ი. დადგენილშენატანიან პროგრამით საპენსიო უზრუნველყოფა გულისხმობს დამსაქმებლის ვალდებულების შესრულებას საპენსიო ფონდში განხორციელებული შენატანებით, საპენსიო ვალდებულებების აქტუარული შეფასების გარეშე.

3. დადგენილსარგებლიანი საპენსიო პროგრამით წარმოქმნილი ვალდებულებები.

დადგენილშენატანიანი საპენსიო პროგრამისგან განსხვავებით, დადგენილსარგებლიანი საპენსიო პროგრამით, დასაქმებულთა შრომითი საქმიანობის შემდგომი აქტუარული და საინვესტიციო რისკი ორგანიზაციას ეკისრება.

დადგენილ გადასახდელიან პროგრამებში აუცილებელია პერიოდული კონსულტაციების მიღება აქტუარებისაგან (პიროვნება, რომელიც ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ ალბათობების გამოთვლასა და მათ საფუძველზე სიცოცხლის დაზღვევის კონტრაქტებისა და წლიური რენტის გათვლას აწარმოებს), რათა მათ შეაფასონ პროგრამის ფინანსური მდგომარეობა, გადაამოწმონ ვალდებულებები და სამომავლო შენატანების სარეკომენდაციო დონეები. (m.maisuradze, 2014)[1]

დადგენილსარგებლიანი პროგრამა, ვალდებულებისა და ხარჯის შესაფასებლად, მოითხოვს აქტუარულ დაშვებებს. შესაბამისად, არსებობს აქტუარული მოგების ან ზარალის წარმოშობის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ვინაიდან ვალდებულებები შეიძლე-

ბა დაიფაროს დაქირავებულთა მიერ მომსახურების განწვეიდან მრავალი წლის შემდეგ, მათი შეფასება ხდება დისკონტირების საფუძველზე.

დადგენილსარგებლიანი პროგრამის აღრიცხვისთვის სტანდარტით განსაზღვრულია შემდეგი ნაბიჯები: დეფიციტის ან ნამეტის დონის განსაზღვრა, დადგენილსარგებლიანი პროგრამის წმინდა ვალდებულების (აქტივის) სიდიდის დადგენა, ნამეტში ან დეფიციტში ასალიარებელი თანხების განსაზღვრა; დადგენილსარგებლიანი პროგრამის წმინდა ვალდებულების (აქტივის) გადაფასებული თანხების განსაზღვრა რომლებიც უნდა აღიარდეს წმინდა აქტივებში/კაპიტალში. (სსბასს 39, პ 59) [5]

თუ ერთეულს ერთზე მეტი დადგენილსარგებლიანი პროგრამა აქვს, იგი ამ პროცედურებს ცალ-ცალკე იყენებს თითოეული არსებითი პროგრამის მიმართ.

დადგენილსარგებლიანი პროგრამის დეფიციტის ან ნამეტის განსაზღვრისათვის პირველ რიგში უნდა დაგინდეს პროგრამის ვალდებულების სიდიდე, ე.ი. სარგებლის თანხა რომელიც ეკუთვნის დაქირავებულ პირს მიმდინარე და წინა პერიოდებში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

დადგენილსარგებლიანი პროგრამის საბოლოო დანახარჯები დამოკიდებულია მრავალ ცვლადზე:

- საბოლოო ხელფასებზე;
- მომუშავეთა დენადობაზე და სიკვდილიანობაზე;
- დაქირავებულთა შენატანების და სამედიცინო მომსახურების დანახარჯების ცვლილებებზე.(სსბასს 39, პ68) [5]

დადგენილსარგებლიანი პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულებისა და მასთან დაკავშირებული მომსახურების მიმდინარე ღირებულების შესაფასებლად, გამოიყენება:

- აქტუარული შეფასების მეთოდი;
- სარგებლის თანხების გადანაწილება მომსახურების პერიოდებზე; და
- აქტუარული დაშვებების განსაზღვრა.

ასეთ პროგრამის ვალდებულებებისა და მიმდინარე მომსახურების დისკონტირებული ღირებულება უნდა შეფასდეს, პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდით, რომელსაც ასევე უწოდებენ აქტუარული შეფასების მეთოდს (AVP- Actuarial Valuation Method). ამ მეთოდით მომსახურების თითოეული პერიოდი განიხილება, როგორც დამატებით გადასახდელი სარგებლის წარმოქმნის საფუძველი და საბოლოო ვალდებულების განსაზღვრის მიზნით თითოეული პირობითი ერთეული განცალკევებულად ფასდება.

სარგებელი, მომსახურების პერიოდებზე, წრფივი მეთოდით განაწილდება და ამით მოხდება იმ პერიოდებზე მიაკუთვნება, როდესაც ის წარმოიქმნა.

აქტუარული მეთოდები ერთეულს საშუალებას აძლევს, საკმარისი საიმედოობით შეაფასოს ვალდებულება და დაასაბუთოს მისი აღიარება. საპენსიო პროგრამის ვალდებულების დისკონტირებული ღირებულების დასადგენად, აქტუალური დაშვებების განსაზღვრა, დანახარჯების შეფასების ბოლო ეტაპზე ხდება. ასეთი დაშვებები ითვალისწინებს ეკონომიკურ და ფინანსურ ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სადაზღვევო ვალდებულებების ოდენობაზე.

აქტუარული დაშვებები, ერთეულის მიერ გამოთვლილი იმ ცვლადების საუკეთესო შეფასებებია, რომლებიც განსაზღვრავს შრომითი საქმიანობის შემდგომი სარგებლის საბოლოო ღირებულებას (სსბასს39, პ.78) [5]

ამასთან დაკავშირებით, გამოიყენება დემოგრაფიული (სამუშაო ძალის დენადობის, სიკვდილიანობის) და ფინანსური დაშვებები (დისკონტირების განაკვეთი, სარგებლის და ხელფასის სიდიდე), რომლებიც უნდა იქნას მიუკერძოებელი, წინდახედული და ურთიერთთავსებადი.

ურთიერთთავსებადობა გულისხმობს ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულების გათ-

ვალისწინებას ისეთ ფაქტორებს შორის, როგორცაა: ინფლაცია, ხელფასების ზრდის ტემპები, უკუგება პროგრამის აქტივებზე და დისკონტირების განაკვეთები.

სტანდარტის მიხედვით, ერთეულმა გარკვეული პერიოდულობით უნდა განსაზღვროს დადგენილსარგებლიანი პროგრამის წმინდა ვალდებულების (აქტივის) სიდიდე, რათა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხები არსებითად არ განსხვავდებოდეს სა-ანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის განსაზღვრული სიდიდისაგან. (სსბასს 39, პ. 60).

4. ფინანსური ანგარიშგებაში აღიარება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, უნდა აღიარდეს დადგენილსარგებლიანი პროგრამის წმინდა ვალდებულება (აქტივი), თუმცა სტანდარტი არ განსაზღვრავს, სავალდებულოა თუ არა მათი მიმდინარე და გრძელვადიან ნაწილებად გამიჯვნა.

„დადგენილი გადასახდელიანი პროგრამით ვალდებულება საპენსიო ფონდის მიმართ უნდა შეფასდეს საანგარიშგებო თარიღისათვის გადასახდელის დისკონტირებული ღირებულებით გამოკლებული პროგრამის აქტივების რეალური ღირებულება და კორექტირებული წინა პერიოდების აღიარებული აქტუარული მოგება-ზარალით“ (N, Accounting of the program for plans of retirement benefit, 2014)[3]

დავუშვათ, ორგანიზაცია, დაქირავებულს, შრომითი საქმიანობის შეწყვეტის შემდეგ, სარგებელს აუნაზღაურებს ერთჯერადად. ეს თანხა განისაზღვრება საბოლოო წლიური ხელფასის 5% -ით. მიმდინარე ხელფასი 10,000 ფე, ვარაუდობენ რომ ხელფასი ყოველ წელს გაიზრდება 10%-ით. დისკონტირების წლიური განაკვეთია 5%. სავარაუდოდ, დაქირავებული 5 წლის შემდეგ დატოვებს სამსახურს. იმისათვის, რომ განისაზღვროს ვალდებულება პერიოდის ბოლოს, იმ პირობით, რომ აქტუარული დაშვებები არ შეიცვლება, საჭიროა განისაზღვროს:

- შრომის ანაზღაურება, რომელიც ყოველ წელს 10% -იანი მატების პირობით 5 წლის შემდეგ, იქნება 14,641 ფე;
- სარგებელი, განისაზღვრება საბოლოო წლიური ხელფასის 5% = 14,641 * 5% = 732 ფე;
- ხუთი წლის შემდეგ დასაქმებული ერთდროულად მიიღებს 732 * 5 = 3 660.

მომსახურების მიმდინარე ღირებულება (PV, 0.05 4 წ, 732) წლების მიხედვით, 5% დისკონტირების განაკვეთისა და 4 წლიან პერიოდში (რადგან თანხა გადახდილი იქნება 5 წლის შემდეგ) შემდეგნაირად იქნება წარმოდგენილი: 1 წელი - 602 ფე; მე-2 წელი - 632 ფე და ა. შ მე-5 წელი 732 ფე.

ცხრილი 1. ვალდებულების განსაზღვრა პროგნოზირებული პირობითი ერთეულის მეთოდი

წელი	1	2	3	4	5
ვალდებულება პერიოდის დასაწყისში	-	602	1,264 (632*2)	1,977(659*3)	2, 788(697*4)
საპროცენტო განაკვეთი 5%	-	30(602* 5%)	63	99	140
მომსახურების მიმდინარე ღირებულება	<u>602</u> <u>732*0.8227</u>	<u>632</u> <u>732 *0.8638</u>	<u>659</u> <u>732*0.9007</u>	<u>697</u> <u>732*09524</u>	<u>732</u>
ვალდებულება პერიოდის ბოლოს	602	1,264 (602+30+632)	1,986	2,773	3,660

ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ყოველწლიურად უნდა აისახოს მომსახურების მიმდინარე ღირებულება, საპროცენტო ხარჯი, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრძელვადიანი ვალდებულება. მაგალითად მესამე წლისათვის ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში აისახება მომსახურების მიმდინარე ღირებულება - 659 ფე, საპროცენტო ხარჯი -63 ფე, ხოლო ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გრძელვადიანი ვალდებულება 1,986 ფე.

ამდენად, აქტუარული შეფასებით დგინდება ერთეულის ვალდებულების დღევანდელი ღირებულება საპენსიო ფონდის მიმართ, რომელიც განაწილებულია ნამუშევარ წლებზე.

დასკვნა

ამრიგად, დადგენილშენატანიანი და დადგენილსარგებლიანი პროგრამები განსხვავდება, როგორც მათი აღრიცხვის ფორმით, ასევე მათ შეფასებითა და აღიარებით. აღნიშნული პროგრამების აღრიცხვის სტანდარტებით განსაზღვრული მეთოდოლოგია მრავალმხრივად იქნა აპრობირებული და სრულყოფილი, რომელიც ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში.

ლიტერატურა:

1. Marina Maisuradze, 2014, Issues of Recording and Reporting the Pension Provision Schemes; გვ .147 https://old.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konfer.pdf;
2. M. Vardiashvili, 2014, CHALLENGES OF IFRS INTRODUCTION IN GEORGIA; <https://ir.kneu.edu.ua/bitstream/handle/2010/6407/Vardiashvili.pdf?sequence=1>
3. ნ.კვატაშიძე. 2014, საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამების აღრიცხვის საკითხები. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციის „თანამედროვე ეკონომიკური განვითარების აქტუალური პრობლემები“ კრებული.
4. ინსტრუქცია, „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, 2020 , mof.ge
5. ბასს 19-დაქირავებუ მომუშავეთა გასამრჯელოები, https://www.saras.gov.ge/Content/files/IAS-BASS/2014/2014_IAS_19_Final.pdf
6. 2. IPSAS 39, 2018 Employee Benefits ; <https://www.ifac.org/system/files/publications/files/IPSAS-39-Employee-Benefits.pdf>
7. PSAS 39 – EMPLOYEE BENEFITS as adopted by the Maltese Government; https://treasury.gov.mt/en/Documents/Government_Accounts_Directorate/IPSAS/IPSAS%20

Recognition of Liabilities Arising from Pension Programs in accordance with IPSAS 39

Mariam Vardiashvili

Doctor of Economics, Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University

Marina Maisuradze

Doctor of Economics, Associate Professor of Ivane Javakishvili Tbilisi State University

SUMMARY

The article deals with the issues related to the assessment of liabilities arising from employee benefits and recognition thereof in the financial reporting. The methods of assessing the liabilities envisaged under different pension schemes and the distinctions between them are discussed in the context of the defined contribution plan and the defined benefit plan.

It is noted that under the defined contribution plan, the obligations of a public entity for each period is determined with the amount to be paid in this period, while the final costs of the defined benefit plan may be influenced by many variables.

Impacts of the New Silk Road on Eastern European Countries

Rainer Wehner

Professor, Doctor of Philosophy
University of Applied Sciences Würzburg-Schweinfurt

China's rise of economic power is moving towards the next step. With the "New Silk Road" or the so called "Belt and Road Initiative (BRI)" China aims not only on strengthening its international influence on economics but also on politics and culture in the countries they are investing. In this respect, countries in Central and Eastern Europe are of special interest for China. As a gateway to Western Europe, the political influence of China in those countries can strengthen China's position against the European Union.

To examine this phenomenon the author studied the published literature of the last years and analysed the Chinese investments into the single Central and Eastern European countries. He used a catalogue of five criteria and categorized the 17 countries, which participated in the 17+1 initiative with China, according to China's involvement in the economic and political sphere of the countries.

The outcome of the analyses show, that in some countries the Chinese funded projects develop well. In other countries, the progress of the projects lacked way behind the scheduled time. In six of the 17 countries, no infrastructure investments related to the "New Silk Road" plans could be detected. Furthermore, the study shows, that there is a strong correlation between a China friendly politic in the specific countries and the Chinese activity as well as the funding.

This leads to the assumption that the Chinese investments in Central and Eastern Europe are just the vehicle for strengthening the political and cultural influence in the countries as well as in the European Union.

Keywords: One Belt One Road, Belt and Road Initiative (BRI), China, Influence, 17+1

Although the world is facing nationalistic tendencies in more and more countries and many economists discuss the development of de-globalisation, China is continuing to strengthen its influence on western economies through their "New Silk Road" project. The "New Silk Road", which is also known as the "Belt and Road Initiative" (BRI) or the "One Belt One Road" (OBOR) project was introduced by the Chinese President Xi Jinping to promote his vision of international infrastructure and trade route projects between the Pacific Ocean from Asia and the Baltic Sea in Europe (Wu & Zhang, 2013). One area relevant to the initiative stretches from East and Southeast Europe to Central Europe. It is considerably made up of post-soviet states, which are now part of the European Union or within stages of entering. Those countries are of great interest to China, as they pose as an intersection between the Eurasian Land-Bridge Economic Corridor and maritime routes leading to Africa. The area appears to be the shortest route to enter the European market (Trifunovic 2020). Therefore, it was obvious that China had to invest great effort in some of those countries to convince them to take part in their "New Silk Road" project. For that reason, in 2012 China started bilateral negotiations with 16 states in Central- and Eastern Europe (CEE) and created its 16+1 initiative that became the 17+1 initiative after Greece joined in 2016. To encourage the economic corporation between the 17+1, China announced 12 measures, especially investments into land-, maritime- and digital infrastructure (Ministry of Foreign Affairs of the People's Republic of China, 2012).

Now, after almost 10 years of development, the Chinese investments seem to lack behind the proposed initiatives. In some of the countries the planned projects haven't even started yet (Šimalčík, 2020).

Against this background, this paper shows the actual status of the Chinese Foreign Direct Investments (FDIs) into the CEE countries. In addition, the paper examines other possible motives of Chinese investments than just economic cooperation.

In this context, it is worth mentioning that China massively promoted the development of a digital infrastructure compared to the maritime and land infrastructure and invested large sums in telecommunications and media presence. Regarding these measures, the United States of America (USA) and the European Union expressed major concerns against the implementation of the Chinese digital infrastructure. Primarily it is about the 5G technology provided by the company Huawei that currently is the marked leader. However, Huawei's infrastructure is believed to enable surveillance of the Chinese government (Yap, Chuin-Wei, 2019). As a counteraction, the USA started "The Clean Network" initiative as a comprehensive approach to safeguarding citizen's privacy and companies' sensitive data against aggressive actors, such as the Chinese Communist Party. For their own security, the USA as well as the EU asked the CEE countries to participate actively in this initiative (US Department of State, 2020). Another interesting factor is the Chinese media presence in the CEE countries. Through own networks and in cooperation with local media houses China is able to influence the public politically with formats produced by the Chinese state media (Karásková, 2019).

To enlighten the situation, the author reviewed the literature of the recent years to find out, if there is a correlation between a China friendly attitude from the CEE countries and the proposed FDIs. For that reason, the author selected five criteria based on the Chinese overall involvement and classified the 17 countries to examine whether they meet these criteria and if such a correlation can be detected.

Historical Background

- ტექსტი + სურათი;
- ტექსტი + ვიდეო;
- ტექსტი + სურათი + ვიდეო.

2. ნებისმიერი ამოცანის/ტესტის განუყოფელი ნაწილია დახმარება (შემხსენებელი) და რჩევა.

• შემხსენებელი აუცილებლად წარმოდგენილი უნდა იყოს ტექსტით - Pdf ფაილის სახით, რომელშიც დეტალურადაა განხილული ამოცანის ამოხსნის თეორიული საფუძველები, მოტანილია ამოხსნის მაგალითი და ა.შ.;

• საჭიროების შემთხვევაში ტექსტს შეიძლება დაემატოს სურათი ან ვიდეო ან სურათი და ვიდეოც ერთდროულად. ვიდეო შემხსენებლის ტექსტში მოტანილი ინფორმაციის ღრმა გაგებას ემსახურება. ხშირ შემთხვევაში ვიდეოთი ახსნილი მასალა ადვილად გასაგებია;

• ამოცანის პასუხის(ების) ან ტესტის მცდარი პასუხის გაცემისას გათვალისწინებულია რჩევა-კონსულტაცია ტექსტის სახით. რჩევა შეიცავს მოცემული პასუხში შეცდომის შესაძ-

ლო წყაროებს და მათი თავიდან აცილების გზებსა და საშუალებებს.

3. თემის განუყოფელი ნაწილია შემხსენებელი ტექსტით - Pdf ფაილის სახით. შემხსენებელში დეტალურადაა განხილული თემის აქტუალობა, განსახილველი საკითხები, თემაში გაერთიანებული ტიპობრივი ამოცანები არსი და მიზანი.

4. „კიბერ35“-ის შემადგენელი ნაწილია საწარმოს ფინანსური მდგრადობისა და გაცოტრების პროგნოზირების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელები: ალტმანის 7 ფაქტორიანი მოდელი, სპრინგეიტისა და ტაფლერის მოდელები. მათ საფუძველზე ჩვენს მიერ შემუშავებული მეთოდით საწარმოს კონკრეტული შემუშავებული მოდელის გამოყენებით საწარმოს ფინანსური მდგრადობის მოდელირება.

„კიბერ35“-ში საგნის სწავლება ხორციელდება:

1. თემების მიხედვით;
2. ამოცანების/ტესტების მიხედვით.

პირველ შემთხვევაში თემაში შემავალ ამოცანებსა და ტესტებს პედაგოგი განსაზღვრავს. სწავლებისას სტუდენტმა თემაში შემავალი ყველა ამოცანა უნდა ამოხსნას, ხოლო ე.წ. შემატამებელი მეცადინეობას - სწავლა ყველა თემის ამოცანებისგან შედგება.

სტუდენტს შეუძლია გამოტოვოს - არ ამოხსნას ამოცანები, არ ისწავლოს შესაბამისი თეორიული მხარე. ეს მისი პრეროგატივაა. „კიბერ35“-თან მუშაობისას სტუდენტს შეუძლია შეცვალოს თემების სწავლების თანმიმდევრობა. სწავლების დაწყების წინ იგი შეიძლება გაეცნოს თემაში შემავალ ამოცანებს, მაგრამ არ შეუძლია თემაში შემავალი ამოცანების შეცვლა: ამოღება, დამატება.

ამოცანების/ტესტების მიხედვით სწავლებისას სტუდენტი ირჩევს ამოცანებს/ტესტებს.

სწავლების ფორმას - თემების ან ამოცანების/ტესტების მიხედვით სტუდენტი ირჩევს „კიბერ35“-თან მუშაობის დაწყებისას.

„კიბერ35“-ში ხორციელდება ამოცანის ამოხსნის შედეგების შეფასება. შეფასება სიმბოლურია, იგი არსად არ ფიქსირდება. იგი თვითშემომნების საშუალებაა. „კიბერ35“-თან ურთიერ-თობის რაოდენობა შეზღუდული არ არის.

კიბერ35-თან მუშაობისას სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ მომენტში შეწყვიტოს მუშაობა და თავის კომპიუტერში Excel-ის გარემოში გამოიტანოს სწავლების მიმდინარეობის ამსახველი ოქმი.

„კიბერ35“-ის გაშვების შემდეგ გამოსულ პირველ გვერდზე სისტემასთან სამუშაო ენის შერჩევის შემდეგ:

1. გამოვა შეტყობინება სისტემასთან მუშაობის დაწყების წესის შესახებ (იხ.სურ. 1).

სურათი 1

შეტყობინება სისტემასთან მუშაობის დაწყების წესის შესახებ

თუ მონიშნავთ ალამს -კერძო... საგნის მსწავლელები სიით განისაზღვრება. ამ შემთხვევაში პირადი N ჩაწერის შემდეგ დააწკაპუნეთ შერჩეული საგნის ლილაკზე Select. თუ ალამი მონიშნული არ არის, მაშინ ნებისმიერს შეუძლია საგნის სწავლა. ამ შემთხვევაში თუ თქვენ პირველად მუშაობთ კიბერ35-თან სამუშაო ენის შერჩევის შემდეგ დაწერეთ პირადი N, გვარი, სახელი დააჭირეთ ლილაკს Select, წინააღმდეგ შემთხვევაში პირადი ნომრის ჩაწერის შემდეგ დააჭირეთ ლილაკს -Select



2. შესაძლებელია ვიდეოების სახით „კიბერ35“-ით სარგებლობის ინსტრუქციების გაცნობა და სისტემასთან მუშაობის დაწყება/სურ. 2/.

3. ამავე გვერდზე არსებულ ლილაკებზე: დანიშნულება, ამოცანის წარმოდგენა, ინდი-

ვიდუალური დავალების ფორმირება, პასუხის ჩანერა, შემხსენებელი, ტრენინგის ოქმი - დანკაპუნების შედეგად შეგვიძლია გავცნოთ სისტემის დანიშნულების, ინდივიდუალური დავალების ფორმირების, პასუხის ჩანერის და სხვა ინფორმაციას.


4. გამოვა საგნების სია, რომლის სწავლებაა შესაძლებელი;

5. ველში „სტუდენტის პირადი №“ დავწეროთ პირადი ნომერი და Select ველზე დანკაპუნებით ამოვარჩიოთ საგანი და მოვახდინოთ სტუდენტის იდენტიფიკაცია;

6. ღილაკზე „შემდეგი“ დანკაპუნების შემდეგ გამოვა შეტყობინება სწავლების ფორმის შერჩევის შესახებ (იხ.სურ. 2).

სურათი 2.


„კიბერ35“-თან სამუშაო ენის შერჩევა, საგნის არჩევა, სტუდენტის იდენტიფიკაცია და სწავლების ფორმის არჩევა.



- Yes ღილაკზე დანკაპუნებით გადავდივართ შემდეგ გვერდზე, სადაც ხორციელდება თემების მიხედვით თვითსწავლების ინდივიდუალური დავალების ფორმირება სტუდენტის მიერ/სურ.38/;
- აქ თემების ამორჩევა Select, ამორჩევის გაუქმება Delete , ხოლო ამორჩეულ თემაში შემავალი ამოცანების(ტესტების) გაცნობა Edit ღილაკებზე დანკაპუნებით ხორციელდება;

სურათი 3

თემების მიხედვით თვითსწავლების ინდივიდუალური დავალების ფორმირება სტუდენტის მიერ.



სურ. 3-ზე ჩანს დავალების ფორმირების წესი, კერძოდ:

- ამოცანების/ტესტების სიაში Select ღილაკზე დანკაპუნებით მონიშნეთ ამოცანა/ტესტი;


- ამორჩეული ამოცანის/ტესტის ამოსაშლელად დაანკაპუნეთ ღილაკზე Delete;
- დააჭირეთ ღილაკს - დავალების ფორმირება სტუდენტის მიერ;
- ჩანერეთ გამოცდის დრო წუთებში და დააჭირეთ ღილაკს - ტრენინგის დაწყება. დავალების ფორმირების პროცესში არასწორი მოქმედები-სას გამოიტანება სათანადო შეტყობინებები:

1. ეს ამოცანა (ტესტი) ამორჩეულია;
2. დაწერეთ თვითსწავლების დრო წუთებში მთელი რიცხვის სახით. მაგ. 70;
3. თვითსწავლებაზე გასატანი ამოცანები/ტესტები მონიშნული არ არის.

ორივე შემთხვაში ღილაკზე „თვითსწავლების დაწყება“ დაწკაპუნებით შემდეგი გვერდიდან იწყება საგნის სწავლება. სურ.40-ზე ნაჩვენებია ერთერთი ამოცანის - Excel-ში არსებული SLN ფუნქციით ამორტიზაციის გაანგარიშების ამოცანა. ამოცანაზე გაცემული უნდა იქნას სამი პასუხი. ამოცანის ტექსტის დამატებით ამოცანა წარმოდგენილია სურათით და ვიდეოთი. სურათზე დაწკაპუნებით მისი ზომები გაიზრდება ან შემცირდება (იხ. სურ. 4).

სურათი 4

Excel-ში არსებული SLN ფუნქციით ამორტიზაციის გაანგარიშების ამოცანა.



ამავე გვერდის ბოლოს ღილაკზე „შემხსენებლის ტექსტის ჩვენება“ დაწკაპუნებით გამოვა შემხსენებლის ტექსტი Pdf ფორმატში. დოკუმენტის დახურვა ხორციელდება Select ღილაკზე დაწკაპუნებით/43/.

სურათი 5

შემხსენებელი Pdf ფორმატში ამოცანის არის, ამოცანის ამოხსნის ჩვენებით.

ნომერი	
Select 10130	შემხსენებლის ტექსტის ჩვენება. ფაილის დახურვა- Select

FileVBD.aspx 1 / 1 113%

ფუნქცია SLN – ამორტიზაციის გამოანგარიშება წრფივი (თანაბარი განაწილების) მეთოდით

ამ ფუნქციით ამორტიზაციის გამოთვლა ხდება წრფივი(თანაბარი განაწილების) მეთოდით.
 ფუნქციის ჩანერის სინტაქსი ასეთია: =SLN(cost,salvage,life).

ამოცანა


ვთქვათ, დაზვის საბალანსო ღირებულება 1500 ლარია. მისი ექსპლუატაციის ვადა 6 წელი, ხოლო სალიკვიდაციო ღირებულება * 200 ლარი. გამოთვალეთ ამორტიზაციის თანხა (ღირებულება).

ამოხსნა
 მოცემულია – საბალანსო ღირებულება – cost=1500 ლარი;
 სალიკვიდაციო ღირებულება – salvage=200 ლარი;
 ექსპლუატაციის ვადა – life=6 წელი.
 ამ შემთხვევაში სალიკვიდაციო ღირებულება, ანუ ღირებულება ექსპლუატაციის ვადის გასვლის შემდეგ, არის ამ დაზვის ჯართად რეალიზაციის ღირებულება. ფუნქცია SLN ასე ჩაიწერება:
 =SLN(1500,200,6).

ამოცანის შემხსენებლის ვიდეო გაიშვება ღილაკზე „შემხსენებლის ვიდეო“ დაწკაპუნებით სურ. 6-ზე ნაჩვენებია ვიდეოს პირველი გვერდი.

სურათი 6


ამოცანის შემხსენებლის პირველი გვერდი; ამოცანა წარმოდგენილი სურათებით.



შესაძლებელია ამოცანის პასუხი იყოს „კიბერ3S“-ის შემო-თავაზებული სურათებიდან ერთერთი ან ერთზე მეტი სურათი. მაგალითად სურ. 6-ზე გამოსახულ ამოცანაში საჭიროა ნაჩვენები იქნას წარმოდგენილი სურათებიდან რომელ სურათზეა ასახული შედარებითი დიაგრამა.

სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია რჩევის გაცნობა (იხ.სურ. 7) და განმეორებით პასუხის გაცემა ან მცდარი პასუხის დაფიქსირება.


სურათი 7



პასუხის გაცემის შემდეგ გვერდზე იწერება დარჩენილი გასაცემი პასუხების რაოდენობა. სურ.8-ზე ასახული სიტუაცია გვიჩვენებს, რომ გასაცემია ორი პასუხი, პასუხების გაცემის ველის ნუმერია N02 რაც ნიშნავს, რომ იწერება რიგით მეორე პასუხი.

სურათი 8

გვერდზე ასახულია სიტუაცია გასაცემი პასუხების რაოდენობის შესახებ.



„კიბერ3S“- თან მუშაობის ნებისმიერ დროს შესაძლებელია თვითსწავლების შეწყვეტა. ღილაკზე „ტრენინგის ოქმი“ დაწკაპუნების შემდეგ გამოვა გამაფრთხილებელი შეტყობინება თვითსწავლების რუჟიმის შეწყვეტისა და თვითსწავლების ოქმის გამოტანის შესაძლებლობის შესახებ. Yes ღილაკზე დაწკაპუნებით გადავდივართ ახალ გვერდზე, სა-

დაც შესაბამის ღილაკებზე დანაკაპუნებით შეგვიძლია კლიენტის კომპიუტერზე გამოვითანოთ თვით-სწავლების ოქმი ამოცანებისათვის ან ტესტებისათვის. სურ. 9-ზე ნაჩვენებია თვითსწავლების ოქმი ამოცანებისათვის გამოტანილი კლიენტის კომპიუტერზე Excel-ის გარემოში.

სურათი 9

გვერდი თვითსწავლების ოქმის გამოსატანად და სტუდენტის მიერ წინადადებების, რეკომენდაციების დასაწერად.



დასკვნა და შედეგები

1. თეორიული საკითხების განზოგადებისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე ნაშრომში ჩამოყალიბებულია ცოდნის ათვისების, გამოვლენისა და შეფასების კომპიუტერული სისტემების ფუნქციონალური შესაძლებლობისა და გამოყენების **აუცილებელი** პირობები, კერძოდ:
 - ტესტებში მაქსიმუმ შვიდი სავარაუდო პასუხიდან მაქსიმუმ სამი სწორი პასუხის არსებობა; პასუხების ფიქსირება მხოლოდ სწორი პასუხების საჭირო რაოდენობის მონიშვნისა და პასუხის ფიქსირების შესახებ ბრძანების მიცემის შემდეგ;
 - ამოცანებში პასუხების ნებისმიერი რაოდენობის არსებობა; ამოცანის $\forall n_i, n_i \in N$ პასუხზე ამ პასუხის შესაბამისი ქულის ფიქსირება $q_i \in Q$. ქულა შეიძლება იყოს მთელი ან ათწილადი დადებითი რიცხვი; ამოცანის პასუხებში სიტყვების, რიცხვების, დასახელებითი წინადადების ან მათი კომბინაციის, აგრეთვე აბრევიატურის გამოყენება;
 - ამოცანის პასუხებში გამოყენებული დასახელებითი წინადადების გაგება სინქრონიზაციის დარღვევის, სიტყვების ჩამატებისას; დასახელებით წინადადებაში და ზოგადად პასუხებში გამოყენებული სიტყვების დაწერა ნებისმიერ ბრუნვაში, ამ სიტყვის მცდარი ვარიანტების გამოყენება, ამოცანებისა ტესტების ტექსტებსა და პასუხებში მათემატიკური სიმბოლოების გამოყენება.
2. ტიპობრივი ამოცანებისა და ტესტების მიხედვით შინაარსობრივად ყოვლისმომცველი შემხსენებლების (დახმარების) შექმნა წარმოდგენილი ტექსტური, გრაფიკული, ვიდეო ინფორმაციის სახით;
3. ამოცანებსა და ტესტებზე მცდარი პასუხის გაცემისას რჩევების ბაზის შექმნა;
4. ამოცანების/ტესტების, შემხსენებლების, რჩევების ბაზაში ინფორმაციის პერიოდულად განახლება, ახალი ამოცანებისა და ტესტების დამატება, არსებულის მოდიფიკაცია;
5. პედაგოგის მიერ თვითსწავლების დავალების ფორმირება საგნების, თემების და პედაგოგის მიხედვით;
6. სტუდენტის მიერ ამოცანების/ტესტების მიხედვით თვითსწავლების ინდივიდუალური დავალების ფორმირება;
7. თვითშემოწმების დავალებაში საგანზე ამოცანებისა და ტესტების რანჟირება სირთულის უნივერსალური ცხრილის გამოყენებით;
8. საგნის გამოცდის დავალების ფორმირებითვის სცენარების შექმნა და გამოცდის დავალების ფორმირება;
9. გამოცდების ოპტიმალური გრაფიკის ფორმირება;
10. შერჩეულ საგანში ჯგუფების განსხვავებული სცენარით გამოცდაზე გატანა;
11. გამოცდის დაწყების წინ ნებისმიერი სტუდენტისათვის ინდივიდუალურად ამოცანები-

სა და ტესტების სიმრავლი-დან სცენარის მიხედვით, სცენარში მითითებული რაოდენობის ამოცანებისა და ტესტების ალბათურად ამორჩევა;

12. თვითსწავლების, თვითშემოწმების და გამოცდის მიმდინარეობის ამსახველი სხვადასხვა სახის ანალიტიკური ინფორმაციის ფორმირება და გამოტანა Excel-ის გარემოში კლიენტის კომპიუტერზე და სხვა;
13. სტუდენტის მიერ თვითსწავლებისა და თვითშემოწმების სისტემებთან მუშაობის შედეგად გამოთქმული მოსაზრებების, რეკომენდაციების ანალიზი; თვითშემოწმების სისტემასთან მუშაობისას პედაგოგისთვის ანალიტიკური ინფორმაციის ფორმირება დებრიფინგის ჩასატარებლად.

ლიტერატურა:

1. [Http://Kiber3s.Tsu.Ge/](http://Kiber3s.Tsu.Ge/)
2. Tea Munjishvili, Zurab Munjishvili (2014), Knowledge Demonstration And Assessment System “Cyber1”, International Journal “Information Technologies & Knowledge” Volume 8, Number 3, 2014, Pp. 271-279.
3. Munjishvil T., Munjishvil Z., Nakashidze V. (2014), System Of Knowledge Revealing And Rating – “Cyber 2”. 9th Mibes Annual International Conference 2014 Thessaloniki, Greece, 30/5– 1/6 .Cd Isbn# 978-960-93-6161-3. Pp. 111-121
4. Tea Munjishvili, Zurab Munjishvili (2015). The Semantic Analysis Method And Algorithms Of Open Tests Answers On “Cyber-2” Patternin The Knowledge Revival And Evaluation Systems. 2015 Ieee Seventh International Conference On Intelligent Computing And Information Systems (Icicis 2015), Volume 3, 12 - 14 December, 2015, Cairo, Egypt Pp. 50-55

“Kiber 3S” - Self-learning System

Tea Munjishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Associate Professor

Zviad Sigua

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, PhD student

SUMMARY

Our attention is focused on the issues of knowledge acquisition, self-examination, detection and evaluation. Three approaches to the problem of knowledge acquisition, detection and assessment were identified: traditional (informal), computer systems (formal) and a combination of two methods. Combined method.

An effective form of knowledge acquisition, detection and evaluation is achieved by using a combined method - mastery of creative processes, detection is done by traditional, and the acquisition of problem, technique and technology, assimilation of knowledge, detection and evaluation - by computer system. It is also advisable to reveal the encyclopedic knowledge of theoretical issues with the computer system.

Keywords: “kiber 3S”; Distance learning; Self-learning; Debriefing; VB.NET.

კორონავირუსული პანდემიის ქრისტიანული გააზრებისთვის

ბაბუღია მღებშიშვიდი

ასოციირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიული ქეშელაშვილი

ასოციირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტაგიაში ყუხადლება გამახვილებულია კორონავირუსის, მასთან საბიძგოდვედ შექმნილი ვაქცინებისა და ვაქცინაციის პროცესის იხვედვი განსხვავებული მოსახლებებისა და შეთქმულების თეოხიების შესახებ გავხცელებუდ მხავადფეხოვან ინფოხმაციაზე. სტაგიის ავტოხების ახით, ადამიანებში, აღნიშნუდ საკითხებთან დაკავშირებით უხითეხოსაპიხის-პიხო ინფოხმაციის გავხცელებამ, შიში დათესა და დააბნია ისინი. შედეგად მოხდა საზოგადოების პოდაიხზაცია: აცხილები და აუცხილები ეხთმანეთს დაუპიხისპიხენენ, ხაც აშკაიად ჩანს სოციალუხი ქსელებიდან. ავტოხები სთვლიან, ხომ ეს დაპიხისპიხება უნდა აღმოიფხვხას და ამაში გადამწყვეტი ხოდი უნდა ითამამოს კორონავირუსული პანდემიის ქხისტიანული მიდგომით გააზრება. ყველა უნდა დაფიქრეს კორონავირუსული პანდემიის უფდის მიეხ დაშვების შესაძლებლობაზე და მიიღოს ის, ხოგოხც უფდის წყალობა საკუთახი შეცდომების მოსანანიებდად. ამასთან, ყველამ უნდა იზხუნოს საკუთახი ჯანმხთედობის დასაცავად და უფდის მცნებების შესხუდებისთვის.

საკვანძო სიციყვები: კორონავირუსი, კორონავირუსული პანდემია, ბიბღია, უფდის განგებულება

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო უდიდესი განსაცდელის წინაშე აღმოჩნდა. ლამის ორი წელია, რაც მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში, კორონავირუსულ პანდემიას ებრძვიან, მაგრამ მისი დამარცხება ჯერჯერობით ვერ მოხერხდა. ამ ბრძოლას წინააღმდეგობრივი ხასიათი აქვს. მოსახლეობის ერთი ნაწილი ვაქცინაციას უჭერს მხარს და იცრება, მეორე ნაწილს კი არ სჯერა ვაქცინების და უარს აცხადებს აცრაზე. ნაწილი ადამიანებისა სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ იცრება, ნაწილი კი იძულებულია აიცრას სამსახურის დაკარგვის შიშით. აცრილ ადამიანთა ერთი ნაწილი აქტიურად ებრძვის აუცრელ ადამიანებს, მაგრამ აუცრელებიც „ვალში არ რჩებიან“ და უარყოფით პროგნოზებს აკეთებენ აცრილთა ჯანმრთელობის მოსალოდნელ გაუარესებაზე. სოციალური ქსელი ბრძოლის ასპარეზად გადაიქცა. საზოგადოების პოლარიზაცია სახეზეა. ეს დაპირისპირება დროულად უნდა აღიკვეთოს. კარგი იქნება, თუ აცრილი და აუცრელი ადამიანები პატივს სცემენ ერთმანეთის გადანყვეტილებებს, ზედმეტ აქტიურობას სოციალურ ქსელებში მოერიდებიან და ამ მიმართულებით „ასპარეზს“ დაუთმობენ სათანადო კვალიფიკაციის ადამიანებს, რომლებიც საზოგადოების წევრებს, სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდებით, დაეხმარებიან გადანყვეტილების მიღებაში. აცრასთან დაკავშირებით ზეწოლა ადამიანებზე და მუქარის შემცველი გზავნილები დაუშვებელია, რადგან მას საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილში უნდობლობის გამონწვევა მოსდევს.

კვლევის შედეგები

საქართველოში განსხვავებული მოსაზრებებია გავრცელებული, კორონავირუსისგან თავის დასაცავად, გასატარებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით. საზოგადოების ერთი ნაწილი ითვალისწინებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მითითებებს (აცრა, ხელის

სისტემატური დაბანა, პირბადის ტარება . . .) კორონავირუსული პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მეორე ნაწილი კი აცრის წინააღმდეგია, თუმცა სხვა მითითებებს ასრულებს. არიან ადამიანები, რომლებიც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს საერთოდ არ აქცევენ ყურადღებას და ისე ცხოვრობენ, თითქოს კორონა არ არსებობდეს. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანების რიცხვი არ არის მცირე. ასეა სხვა ქვეყნებშიც. ეს რომ ასე არ იყოს, სავარაუდოდ, მსოფლიო უკვე შეძლებდა კორონავირუსული პანდემიისგან თავის დაღწევას.

ისმის კითხვა: მაინც რამ განაპირობა, კორონავირუსულ პანდემიასთან ბრძოლის დროს გამოსაყენებელ მიდგომებზე, საზოგადოების წევრებში აზრთა ასეთი სხვადასხვაობა? ამის მიზეზია ის ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია, რომელიც სოციალური ქსელების და საერთოდ ინტერნეტის მეშვეობით ვრცელდება ცალკეული ადამიანების, ადამიანთა ჯგუფებისა და ინფლუენსერების მიერ. ამ ურთიერთგამომრიცხავმა ინფორმაციამ კორონავირუსთან და ვაქცინაციასთან დაკავშირებით საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში შიში, დაბნეულობა, გაურკვევლობა და უნდობლობა გამოიწვია.

კორონავირუსის გავრცელების საწყის ეტაპზე საინფორმაციო სივრცეში განთავსებული მოსაზრებების ნაწილი აქტიურად უარყოფდა ვირუსის არსებობას, შემდეგ უარყოფითი ინფორმაცია გავრცელდა ვაქცინებსა და მათგან მომდინარე შედეგებზე [5,6,7, 8]. უარყოფითი ინფორმაციის გავრცელებამ დინამიკაში ასეთი სახე მიიღო:

- კორონავირუსი არ არსებობს;
- კორონავირუსი ნაკლებად საშიში გრიპის ვირუსია;
- კორონავირუსი ლაბორატორიაში შეიქმნა ამერიკელების მიერ ჩინეთთან სავაჭრო-ეკონომიკურ ომში გასამარჯვებლად;
- კორონავირუსი არის ბიოლოგიური იარაღი;
- კორონავირუსი წარმოიქმნა „სინტიას“(ხელოვნური ბაქტერია, რომელიც მექსიკის ყურეში ჩაღვრილი ნავთობის გასანმენდად შექმნეს ლაბორატორიაში) ადამიანების ორგანიზმში მუტაციის შედეგად;
- კორონავირუსი და მისი საწინააღმდეგო ვაქცინები მსოფლიო მოსახლეობის შესამცირებლად შექმნეს;
- კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების შექმნისას არ ტარდება სათანადო კვლევები და ვაქცინებს არ უტარებენ ტესტირებას;
- ვაქცინები სახიფათოა ადამიანების ჯანმრთელობისთვის და მათ გამოცდიან განვითარებად ქვეყნებში;
- ვაქცინების შექმნის მიზანი მოსახლეობის „დაჩიპვაა“;
- ვაქცინები ცვლის ადამიანის დნმ-ს;
- თანამდებობის პირები რეალურად არა ვაქცინით, არამედ სხვა ნივთიერებებით იცრებიან;
- ვაქცინები მომავალში სხვადასხვა დაავადებებს გამოიწვევს, უფრო მძიმეს, ვიდრე კორონავირუსი და ა.შ.
- პანდემიის პერიოდში გავრცელდა შეთქმულების თეორიები [5], რომლებმაც ადამიანების დიდი ნაწილი ძალიან შეაშინა. ეს თეორიებია:
 - დედამიწას მართავენ ებრაული წარმოშობის ჯგუფები, რომელთა მიზანია მსოფლიო მოსახლეობის 50%-ით შემცირება;
 - სხვა თეორიის მიხედვით, მსოფლიო მოსახლეობა 8 მლრდ-დან 1 მლრდ-მდე უნდა შემცირდეს;
 - ამერიკელმა მილიარდელმა ბილ-გეთსმა დააფინანსა კორონავირუსის შექმნის პროცესი, მოსახლეობის დაჩიპვისა და გაკონტროლების მიზნით;
 - ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციას ბილ გეთსი და მისი მსგავსი მილიარდელი ადამიანები აკონტროლებენ და ა.შ.

სრულიად ცხადია, რომ ასეთი ინფორმაცია საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა კორონავირუსის და მასთან ბრძოლის გზების შესახებ.

ვფიქრობთ, რომ კორონავირუსთან დაკავშირებით საზოგადოებაში არსებული დაპირისპირების, შიშისა და გაურკვევლობის დაძლევა შესაძლებელია ამ დიდი განსაცდელის ქრისტიანული მიდგომით გააზრების გზით.

ჩვენი აზრით, რა გზითაც არ უნდა შეექმნათ და გაეგრძელებინათ კორონავირუსი, უფლის ნების გარეშე ეს არ მოხდებოდა. ადამიანები რატომღაც ამასთან დაკავშირებით სოციალურ ქსელებში თითქმის არაფერს არ ამბობენ, არ აფიქსირებენ თავიანთ მოსაზრებებს. ვფიქრობთ, რომ ეს მოსაზრება ბევრს ექნება, განსაკუთრებით, ეკლესიის მსახურთ და ეკლესიურ ადამიანებს. ასეთი მოსაზრების საფუძველი ბიბლიაშია მოცემული. უფალი, ბელურებთან მიმართებით, გვეუბნება ადამიანებს, რომ „ერთი მათგანიც კი არ დავარდება მიწაზე, თუ არ იქნება მამის თქვენის ნება“ (მათე 10:29), ამის შემდეგ უფალი ამბობს, რომ ადამიანების თავზე „... ყოველი ღერი თმაც კი დათვლილია“ (მათე 10:30) და ჩვენ, ადამიანებს არაფრის არ უნდა გვეშინოდეს, რადგან ბელურებზე უმჯობესი ვართ და „... თავიდან ერთი ღერი თმაც არ დაიკარგება“ (ლუკა 21:18) უფლის ნების გარეშე.

ბიბლიაზე დაყრდნობით ვფიქრობთ, რომ კორონავირუსული პანდემია უფლისგან დაშვებული განსაცდელია, რომელიც ადამიანებმა მთელ მსოფლიოში დაშვებული შეცდომების მოსანანიებლად უნდა გამოიყენონ. ალბათ ბევრი ადამიანი ჩათვლის, რომ ის „არაფერს აშავებს და მოსანანიებელიც არაფერი აქვს“. მაგრამ, ჩვენი აზრით, ადამიანები ვერ ვახერხებთ უფლის მცნებების სათანადოდ დაცვას, რადგან ეს ადვილი არ არის. ძნელია ადამიანი იყო სრულქმნილი. მაგრამ, მაინც ყველა უნდა შეეცადოს, იცხოვროს უფლის მცნებებით. ეს აუცილებლობაა და არა ჩვენი არჩევანი.

არამარტო ახალი აღქმა, არამედ ძველი აღქმაც ხაზგასმით მიუთითებს უფლის განგებულობაზე. ტობითი ეუბნება თავის შვილს-ტობიას: „ყოველ ჟამს აკურთხებდე უფალს, ღმერთს. მას შესთხოვდე, რათა წრფელი იყოს ყოველი შენი გზა და განზრახვა კურთხეულ იყოს. რადგან არც ერთი ხალხის ხელთ არ არის განგება, არამედ უფალი ანიჭებს ყოველივე სიკეთეს, ვისაც მოისურვებს, დაამდაბლებს თავისი ნებისაებრ“ (ტობითი 4:19). მაშასადამე, განგება უფლის ხელშია. ადამიანებს არ შეგვიძლია „არც ერთი ღერი თმის გათერთება ან გაშავება“ (მათე 5:36). ეს არ უნდა დაგვავინწყდეს.

უფალი ადამიანებს მოგვიწოდებს: „... გიყვარდეთ თქვენი მტერნი; დალოცეთ თქვენი მანყევარნი: კეთილი უყავთ თქვენს მოძულეთ და ილოცეთ თქვენსავ მდევენელთა და შეურაცხმყოფელთათვის“ (მათე 5:44). თუ დავფიქრდებით, მივხვდებით, რომ ამ მითითებებს ხშირად ვერ ვასრულებთ. ე.ი. მოსანანიებელი ნამდვილად გვაქვს.

კარგი იქნება, თუ საზოგადოების წევრები თავს დაანებებენ ერთმანეთთან ბრძოლას, კორონავირუსულ პანდემიასთან მიმართებით, აღიქვამენ მას, როგორც უფლის მიერ მიცემულ შანსს დაშვებული შეცდომების მოსანანიებლად და თან იბრუნებენ საკუთარი ჯანმრთელობის დასაცავად [1] და უფლის მცნებების შესრულებისთვის.

დასკვნა

კორონავირუსული პანდემიის წარმოშობის მიზეზების მიუხედავად, ჩვენი აზრით, ის არის უფლის მიერ დედამიწაზე დაშვებული განსაცდელი, რომელიც ცალკეულმა ადამიანმა და მთლიანად ქვეყნებმა საკუთარი ცოდვების, სწორი გზიდან გადახვევის, მოსანანიებლად უნდა გამოიყენონ. ეს შანსია და არ უნდა იქნეს ხელიდან გაშვებული. იქნებ სწორედ ასეთმა მიდგომამ, გატარებულ ღონისძიებებთან ერთად, უზრუნველყოს კორონავირუსული პანდემიის დასრულება.

ლიტერატურა:

1. მღებრიშვილი ბ. (2019). ადამიანის ჯანმრთელობაზე ზრუნვის ბიბლიური გაგება და მდგრადი განვითარება. მე-4 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის, - გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“- მასალები. თბილისი, გვ. 285-288.
2. https://www.researchgate.net/publication/337607594_Biblical_sense_of_human_health_care_and_sustainable_development
3. სახარება ლუკასი (1989). ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, გვ. 1011-1044.
4. სახარება მათესი (1989). ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, გვ. 949-990.
5. ტობითი (1989). ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო. თბილისი, გვ. 444-452.
6. <https://grass.org.ge/uploads/other/2021-03-26/888.pdf> - ლაჩაშვილი ი., მამულაძე ნ., ნაროშვილი დ. (2020). კორონავირუსთან დაკავშირებული დეზინფორმაცია. პრორუსული და ანტიდასავლური დეზინფორმაციისა და პროპაგანდის წლიური ანგარიში. საქართველოს რეფორმების ასოციაცია, თბილისი. გვ. 41-50
7. <https://www.mediachecker.ge/ka/covid-19/dezinformacia/article/86630-2020-tslis-9-yvelaze-farthod-gavrcelebuli-dezinformacia-kovid-19-is-shesakheb> - ვახტანგაშვილი ნ. (2021). ცხრა დეზინფორმაცია Covid-19-ზე.
8. <https://www.radiotavisupleba.ge/a/31338434.html> - როგორ გადაიქცა ბილ გეიტსის წინასწარმეტყველება სახიფათო შეთქმულების თეორიად
9. <https://sector3.ge/Libraries/Download/395> COVID-19 და დეზინფორმაცია - EEAS სპეციალური მოხსენება

For Understanding Coronavirus Pandemic with Christian Approach

Babulia Mghebrishvili

Associated Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Giuli Keshelashvili

Associated Professor

Iv. Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

SUMMARY

The article focuses on a variety of information about coronavirus, vaccines to fight it, conspiracy theories and different opinions about the vaccination process. Authors of the article think that the spreading of conflicting information about these topics without sources and evidence caused the fear and confusion of the people. The result is a polarized society: the vaccinated and the unvaccinated people confronting each other, which is clearly seen from social media. The authors believe that this controversy should be eliminated and that a Christian understanding of the coronavirus pandemic should play a crucial role in this process. Everyone should consider the possibility of a coronavirus pandemic being allowed by God and accept it as the Lord's mercy to repent of their sins and unrighteousness. At the same time, everyone must strive to protect their own health and to keep the commandments of God.

Key words: Coronavirus, pandemic, Bible, providence of the Lord

აგრობიზნესის მართვის ზოგიერთი ასპექტი საქართველოში

ეთეხი ნაჩიბანიშვილი

ასოციირებული პროფესორი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ნაშრომში დასაბუთებულია აგრობიზნესის განვითარებისა და მისი ეფექტიანი მართვის ხორცი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. დასაბუთებულია, რომ დღეს აგრობიზნესის სფეროში შენახიუნებულია განვითარების დაბალი ტემპი, დაბალია მწახმობებელუბობის დონე და ახაეფექტიანად გამოიყენება ხესუსხური პოტენციალი. თანამედროვე ეტაპზე განსაკუთხებული მნიშვნელობა ენიჭება აგრობიზნესის თავისებულებებისა და ტენდენციების კანონზომიერებათა კვლევას, აგრობიზნესზე მოქმედი ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლას, ამ სფეროს ეფექტიანი მართვის ასპექტების შესწავლას.

სტატიაში გამოვლენილია აგრობიზნესის მართვის სფეროში ახლებული გამოწვევები, დადგენილია ახაეფექტიანი მართვის დადებითი და უახყოფითი მხახეები, შემოთავაზებულია ახაეფექტიანობის დადგენის გზები, გაკეთებულია დასკვნა, რომ აგრობიზნესის ეფექტიანი მართვა გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად უნდა წახიმართოს. პიხვედადი მონაცემების ანალიზზე დაყრდნობით დასაბუთებულია, რომ აგრობიზნესის სფეროს მართვის ოპტიმალური მექანიზმების შეხრევა განსაკუთხებულ აქტუალუობას იჩენს იმ პიხობებში, ხოდესაც გამოკვეთილია ინფლაცია, სუსხათზე ფასების ზედა, აგროსასუსხათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის უახყოფითი სავაჭრო ბადანსი და სხვ. შემუშავებულია ხეკომენდაციები აგრობიზნესის მართვის ზოგიერთი ასპექტის სხუდყოფის შესახებ საქართველოში

საკვანძო სიგყვები: აგრობიზნესი, აგრობიზნესის მართვა, მართვის ეფექტიანობა, აგრობიზნესის განვითარება.

გლობალიზაციის პირობებში, როდესაც ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად მოსახლეობისათვის სურსათით უზრუნველყოფა განიხილება, განსაკუთრებით აქტუალურია აგრობიზნესის განვითარება და მისი ეფექტიანი მართვა. აგროსასურსათო სექტორი, ნებისმიერ ქვეყანაში, მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფასა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში პრიორიტეტულ როლს ასრულებს. გაეროს 2030 წლისათვის მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად მსოფლიო ამ მხრივ, რიგი გამოწვევების წინაშე დგას. პრობლემას ამწვაავებს Covid-19- ის პანდემიაც (Richard S. Gray, 2020).

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში აგრობიზნესის განვითარება ყოველთვის გადამწყვეტ როლს ასრულებდა, თუმცა, ამ სფეროში დღესაც შენარჩუნებულია განვითარების დაბალი ტემპი, აღინიშნება მწარმოებლურობის დაბალი დონე, რაც უამრავ ობიექტურ და სუბიექტურ პრობლემებს ქმნის ერთი მხრივ, სურსათის წარმოების, ხოლო მეორე მხრივ, მასთან დაკავშირებულ მომიჯნავე დარგებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრობიზნესის თავისებურებისა და ტენდენციების კანონზომიერებათა კვლევას, აგრობიზნესზე მოქმედი ფაქტორების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების შესწავლას, ამ სფეროს ეფექტიანი მართვის ასპექტების შესწავლას.

აგრობიზნესის ეკონომიკური გარემო მთელი რიგი სირთულეებითა და მრავალწახნაგოვნებით ხასიათდება, რომელიც შემდეგი გარემოებებით არის გამოწვეული: აგრობიზნესის განვითარება ორგანულად არის დაკავშირებული მიწისა და ბუნებრივი გარემოს გამოყენებასთან. ცნობილია ისიც, რომ მიწის რესურსები შეზღუდულია, და განსხვავებული ნაყოფიერებით გამოირჩევა; აგრობიზნესისათვის დამახასიათებელია წარმოების პროცესის სირთულე და მრავალფეროვნება, რაც თავის მხრივ, განპირობებულია სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიკური ფაქტორისა და პირობის ზემოქმედებით; აგრობიზნესის განვითარებაზე გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის სეზონურობა და სხვა. დასახელებული ფაქტორების გამო, აგრობიზნესის ეკონომიკური და ტექნოლოგიური გარემოს მა-

რთვა საკმაოდ თავისებურია და მოითხოვს კომპლექსურ-ინტეგრირებულ და მომავალზე ორიენტირებულ მიდგომებს (Girma Gebresenbet & Techane Bosona, 2012).

აგრობიზნესის ეფექტიანი მართვა გამოვლენილი პრობლემების შესაბამისად უნდა წარიმართოს. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევებით აგრობიზნესში რამდენიმე ძირითადი პრობლემა არის გამოვლენილი, კერძოდ: ბაზარზე დაბალი ხელმისაწვდომობა; მწირი საინვესტიციო რესურსებით უზრუნველყოფა; სურსათის უვნებლობის სისტემაში არსებული პრობლემები და სხვა (COVID-19-ის გავლენა, 2020). პანდემიამ ეს პრობლემები კიდევ უფრო გაამწვავა და ნათელი გახდა, რომ აუცილებელია მართვის ეფექტიანი მექანიზმების შერჩევა არა მარტო ეკონომიკური, არამედ, სოციოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებითაც.

აგრობიზნესის სფეროს მართვის ოპტიმალური მექანიზმების შერჩევა განსაკუთრებულ აქტუალურობას იჩენს იმ პირობებში, როდესაც გამოკვეთილია ინფლაცია, სურსათზე ფასების ზრდა, აგროსასურსათო პროდუქტების ექსპორტ-იმპორტის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი და სხვ.

COVID-19-ის კორონავირუსის გამო ახალი გამოწვევები გაჩნდა შიგა და საერთაშორისო სასურსათო ბაზრებზე. კორონავირუსის დასაძლევად მსოფლიო მასშტაბით საჭირო იქნება დამატებითი ფინანსური რესურსები, რაც თავის მხრივ, კიდევ უფრო გააღრმავებს მსოფლიოში მიმდინარე სასურსათო კრიზისს.

თანამედროვე რეალობების გათვალისწინებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკითხების კომპლექსურად მოგვარების გზების ძიება, ასევე, აუცილებელი ხდება პრობლემების შეფასება ჯანდაცვის სფეროსა და ეკონომიკურ საკითხებთან ურთიერთობის კონტექტში.

ცნობილია, რომ სურსათის წარმოება სეზონური ხასიათისაა და მსოფლიოში კორონავირუსის პანდემიით გამოწვეულმა ვითარებამ შესაძლებელია სურსათის გლობალური დეფიციტი გამოიწვიოს სურსათის მიწოდებისა და შენახვის სიტემებში წარმოქმნილი შეზღუდვების გამო. ასეთ პირობებში საჭიროა მოიძებნოს პასუხები კითხვებზე: რა ფაქტორები მოქმედებს აგრობიზნესის განვითარებაზე? როგორ შეიძლება სურსათის მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანი მართვა? აგრობიზნესის მართვის რომელ რგოლშია სისუსტეები? როგორია აგრობიზნესის მართვის ეფექტიანი მოდელი? და სხვ.

აგრობიზნესი საქმიანობის რთული სფეროა. შესაბამისად, ამ სფეროს მართვის პრობლემების გამოსავლენად დამათი დაძლევის გზების შესამუშავებლად მნიშვნელოვანია უპირველესად, აგრობიზნესის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორების დადგენა. აგრობიზნესის განვითარებას სხვადასხვა ფაქტორი აბრკოლებს, მათგან აღსანიშნავია განუვითარებელი სასურსათო ბაზრების განვითარების დაბალი დონე და მათზე მწარმოებლების წვდომის შეზღუდულობა (ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი., 2019). საქართველოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად ჯერ კიდევ არ არის გავითარებული როგორც საბითუმო, ისე საცალო სასურსათო ბაზრები. მათი ეფექტიანი მართვით სავსებით შესაძლებელია დამატებული ღირებულების გაზრდა ამ სფეროში. აღნიშნულის მიღწევის ერთ-ერთი გზა შეიძლება სასურსათო ბაზრების განთავსება ეკონომიკურად და სოციალურად ხელსაყრელ ტერიტორიებზე, მათი განვითარებისა და მოდერნიზაციის პერსპექტიული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება.

აგრობიზნესის განვითარების ერთ-ერთი შემაფერხებელ ფაქტორად განიხილება ფერმერთა და სპეციალისტთა ცოდნის დაბალი დონე აგროსასურსათო პროდუქტების წარმოებისა და მიწოდების მთლიან ჯაჭვში.

აგრობიზნესის განვითარებაზე, ასევე, უარყოფითად მოქმედებს დამამუშავებელი საწარმოებისა და აგროსასურსათო პროდუქტების საცავების ნაკლებობა (Kharaiashvili et al.); მწირი რაოდენობის ტექნიკურ საშუალებები და თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაბალი ხელმისაწვდომობა; წარმოების მცირე მასშტაბები; მწარმოებლურობის დაბალი დონე;

შეზღუდული ფინანსური რესურსები; არასრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა და სხვა.

ზემოთ აღნიშნული პრობლემების გამო დღეს თითქმის არ არსებობს აგრობიზნესის კომპლექსური მართვის მექანიზმი, რომლის საშუალებით მარტივად და ეფექტიანად მოხდება პრობლემების მოგვარება, მაგალითად, მიწის გაყიდვისა და შექმნის მსურველთა დაკავშირება, მიწების დანაწევრების აღმოფხვრა, მწარმოებლურობის ზრდა და ზოგადად სოფლად მცხოვრები მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლება.

ეფექტიანი მართვის მექანიზმების შესამუშავებლად მნიშვნელოვანია დასავლეთ ევროპის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, მაგალითად, ევროპის ქვეყნებში მიწის კონსოლიდაციის მოდელები ეფუძნება აგრობიზნესის სფეროში მაღალი რისკების გათვალისწინებას და უზრუნველყოფს ამ სფეროდან მიღებული შემოსავლების ზრდას. ეფექტიანი მართვისთვის აუცილებელია შესაბამისი ფინანსური რესურსებით სფეროს უზრუნველყოფა. ცხადია, რომ მწარმოებლურობის ზრდა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება მიუღწეველი იქნება შეღავათიანი აგროკრედიტების გარეშე. ცნობილია, რომ 2013 წლიდან საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყო „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ განხორციელება, მაგრამ დღემდე არ არის შემუშავებული ამ პროცესის მართვის ქმედითი მექანიზმები. აგრობიზნესის სფეროში შეღავათიანი აგროკრედიტებზე მოთხოვნა-მიწოდების შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენა ეფექტიანი მართვით ხელს შეუწყობს ამ სფეროში დამატებული ღირებულების ზრდას და სოფლად არსებული პრიორიტეტული პრობლემების მოგვარებას (Kharaisvili, 2018).

აგრობიზნესის მართვის სფერო კომპლექსურად უნდა ასახავდეს ზოგადად ორგანიზაციის მიერ გამოყენებული რესურსების, დასაქმებული პერსონალისა და ტექნოლოგიების, მომსახურების სხვადასხვა სახეობებისა და ინფორმაციების მართვის პროცესს (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. აგრობიზნესის სფეროს ორგანიზაცია, როგორც მართვის ობიექტი (მენეჯმენტი, 2020)



აგრობიზნესის მართვის პროცესში საჭიროა დადგინდეს უპირატესად რომელი ეგზოგენური და ენდოგენური ფაქტორები განაპირობებს აგრობიზნესის წარმატებას (მადდოკი, 2020). უმნიშვნელოვანესია აქცენტის გაკეთება იმ ფაქტორებზე, რომლებიც ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნის. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ მოქმედი ფაქტორების შესაბამისად ბიზნესის წარმოების გამარტივება საწარმოს წახალისების საუკეთესო პოლიტიკა იქნება. აგრობიზნესზე მოქმედი ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების შესწავლის მნიშვნელობაზე მეცნიერთა მსჯელობით გაკეთებულია დასკვნა, რომ უპირველესად სა-

ჭიროა იმის შეფასება თუ რით არის განსხვავებული ბიზნესის კეთება სოფლად და ამის შემდეგ გამოსავლენია აგრობიზნესზე ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორები. სწორედ ასეთ გადაწყვეტილებებს უნდა დაეყრდნოს შემდეგ საქართველოს სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადების ხარვეზებისა და საჭიროებების ანალიზი (საქართველო, 2017).

ამრიგად, აგრობიზნესის მართვის ეფექტიანი მექანიზმების შერჩევა გამოიწვევს ამ სფეროს რესურსული პოტენციალის მაქსიმალური უკუგებით გამოყენებას, განსაზღვრავს ხელსაყრელ ბაზრებს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციისთვის, ხელს შეწყობს დასქმებულთა ცოდნისა და უნარ ჩვევების გაუმჯობესებას, ორგანიზაციის ფულად-საკრედიტო და საფინანსო-საბანკო ურთიერთობების სრულყოფას, უზრუნველყოფს ეკონომიკური ინტეგრაციას და ზოგადად მუდმივ განვითარებაზე ორიენტაციას.

ლიტერატურა:

1. Richard S. Gray (2020). Agriculture, transportation, and the COVID-19 crisis.
2. <https://onlinelibrary.wiley.com/doi/full/10.1111/cjag.12235>
3. 2. Girma Gebresenbet and Techane Bosona (2012). Logistics and Supply Chains in Agriculture and Food. https://www.researchgate.net/publication/221928911_Logistics_and_Supply_Chains_in_Agriculture_and_Food
4. 3. COVID-19-ის გავლენა ფერმერებსა და სოფლის მეურნეობაზე file:///C:/Users/Admin/Desktop/GFA_COVID-19-IMPACT_GEO-FINAL_compressed-1.pdf
5. 4. ხარაიშვილი ე., ნაცვლიშვილი ი. (2019). ქართული აგროსასურსათო პროდუქტების ბაზრები და ექსპორტის მასტიმულირებელი ეკონომიკური პოლიტიკა, ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #8.
6. 5. Kharaiashvili, E., Gechbaia B., Mamuladze G. (2018). VEGETABLE MARKET: COMPETITIVE ADVANTAGES OF GEORGIAN PRODUCT AND COMPETITION CHALLENGES, Innovative Marketing, Volume 14, Issue 3, 2018. Volume 14 Issue #3, pp. 8-16.
7. <https://businessperspectives.org/journals/vegetable-market-competitive-advantages-of-georgian-product-and-competition-challenges>
8. 6. Kharaiashvili E. (2018), The Impact of Preferential Agro Credit on the Development of Agribusiness in Georgia, 2018. ECOFORUM. Volume 7, Issue 1(14).
9. 7. მენეჯმენტის ძირითადი საკითხები და აგრობიზნესის მენეჯმენტის თავისებურებები, გვ. 4. <http://agriedu.ge/Uploads/images/1547317453-%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%20%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%94%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%90-F2.pdf>
10. 8. ნიკ მადდოკი (2020). რა მუშაობს სოფლის განვითარებაში და როგორ? ეგზოგენური და ენდოგენური ზრდის ფაქტორები სოფლის განვითარებაში. https://grdn.ge/assets/img/uploads/publications/pdf_dc6b7ecaf471b58edf897c96cac4143c.pdf
11. 9. საქართველოს სოფლის მეურნეობის ადაპტაციის ეროვნული გეგმის მომზადების ხარვეზებისა და საჭიროებების ანალიზი (2017) <http://ieec.gov.ge/AboutUs/>

Some Aspects of Agribusiness Management in Georgia

Eteri Narimanishvili

*Associate Professor
Samtskhe-Javakheti State University*

SUMMARY

The paper substantiates the role of agribusiness development and its effective management in the socio-economic development of Georgia. It is substantiated that the low rate of development in the field of agribusiness is maintained today, Productivity levels are low and resource potential is used inefficiently. At the present stage, special importance is attached to the research of the peculiarities of agribusiness and trends regularities, Study of theoretical-methodological issues of factors affecting agribusiness, To study the aspects of effective management in this field.

The article identifies the challenges in the field of agribusiness management, The pros and cons of inefficient management are identified, Ways to overcome inefficiency are suggested, The conclusion is that Effective management of agribusiness should be conducted in accordance with the identified problems. Based on the analysis of primary data, it is substantiated that the selection of optimal management mechanisms in the field of agribusiness is particularly relevant in the conditions when outlined the inflation, rising food prices negative trade balance of exports and imports of agri-food products and etc. recommendations for improving some aspects of agribusiness management in Georgia have been developed.

Key words: agribusiness, agribusiness management, management efficiency, development of agribusiness.

კორონა ვირუსის გავლენა სამშენებლო ბიზნესზე საქართველოში

დავით ნახმანია

ეკონომიკის დოქტორი, პოლიტიკის, თსუ მენეჯმენტის კათედრის ხელმძღვანელი

ნინო ზუხაშვილი

ბიზნესის ადმინისტრაციის დოქტორი, „ადგილობრივი“ ასოციაციის ხელმძღვანელი

ბევრ ქვეყანაში სამშენებლო ბიზნესი წახმოადგენს მნიშვნელოვან სფეროს. ბიზნესის ეს დარგი წახმოადგენს გვიქმნის ქვეყნის ეკონომიკის განვითარებისა და მდგრადობის ტენდენციებზე. განვითარებული ქვეყნები ცდილობენ უზრუნველყონ ისეთი გახეიმი, რომელიც ხელსაყრელი იქნება სამშენებლო ბიზნეს სუბიექტებისთვის.

Covid 19 პანდემიამ უახლოვებით გავლენა მოახდინა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებზე. ბევრმა კომპანიამ ველახ შეძლო ფუნქციონირების გაგრძელება. მთავარი საშუალო ადგილი დაიკავა, რომელიც გამოწვეული იყო Covid 19 პანდემიის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. კოვიდ 19-ით გამოწვეული პანდემია უახლოვითად აისახა სამშენებლო ბიზნეს სექტორზე ევროკავშირის მასშტაბით, შემცირდა გაყიდვები, შეიცვალა მომხმარებელთა ქცევა.

საქართველოში კოვიდ 19 პანდემიის გამო მთავრობამ დააწესა შეზღუდვები ვიზიტის გავრცელების თავიდან ასაცილებლად. ეს ასევე უახლოვითი ზეგავლენის მქონე აღმოჩნდა საქართველოს ეკონომიკისთვის. მთავარი კომპანია დაიხუჯა, ხოლო თანამშრომლები კი უმუშევარი დახრნენ. ასევე, სამშენებლო ბიზნესს ჰქონდა სიხტუდები პანდემიის შეზღუდვების გამო. აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ მთავრობის შეზღუდვები ახ შეხება სამშენებლო სექტორს, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა ჩვეულებრივ გავრცელებინა ფუნქციონირება.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ 19, პანდემია, სამშენებლო ბიზნესი, პანდემიის გავლენა მშენებლობაზე

შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში კოვიდ 19-ის პანდემიამ გამოიწვია მრავალი უარყოფითი მოვლენა, საშინელი იყო პანდემიის გავლენა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკებზე. პანდემიის გავლენა განსხვავებული იყო ინდუსტრიების მიხედვით.

სამშენებლო ბიზნესი წარმოადგენს ერთ - ერთ მნიშვნელოვან ინდუსტრიას თითოეული ქვეყნის ეკონომიკაში, რომელიც გავლენას ახდენს სხვა ბიზნეს დარგების განვითარებაზე. ქვეყანაში სამშენებლო ბიზნესის განვითარება ხელს უწყობს, ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი საშუალო ადგილების შექმნას, სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებული ახალი კომპანიების ჩამოყალიბებას და ა.შ. სამშენებლო ინდუსტრიაში დასაქმებულთა ხელფასების მოცულობა უფრო მაღალია, ვიდრე სხვა სფეროში დასაქმებულების.

სამშენებლო ბიზნესის მნიშვნელობიდან გამომდინარე, პანდემიის დაწყებისთანავე, როდესაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებმა დაანესეს სხვადასხვა ტიპის აკრძალვები, მათ შორის გადაადგილების შეზღუდვა, მრავალმა კომპანიამ შეაჩერა ფუნქციონირება, მრავალმა ორგანიზაციამ დაკარგა მომხმარებლები და დაიხურა. თუმცა მთავრობები ცდილობდნენ მაქსიმალურად შეენყოთ ხელი სამშენებლო ბიზნესის ფუნქციონირების გაგრძელებისთვის. მუშაობის აკრძალვა არ შეეხო სამშენებლო ინდუსტრიას და მაშინ როდესაც სხვა სფეროში მომუშავე კომპანიები შეჩერებულნი იყვნენ, მშენებლობები კვლავ განაგრძობდნენ ფუნქციონირებას.

სამშენებლო ბიზნესი ძალზედ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს საქართველოსთვის. სამშენებლო ბიზნესის წილი მთლიან შიდა პროდუქტში საკმაოდ დიდია, ასევე დასაქმებულთა მოცულობითი ნაწილი მოდის ამ ბიზნესზე. სამშენებლო ბიზნესის განვითარების ტენდენცია კარგი ინდიკატორია, ზოგადად ქვეყნის განვითარების შესაფასებლად. საქართველოს მთავრობა, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნების მთავრობები, ცდილობ-

და ხელი შეეწყო კომპანიებისთვის, რათა არ გაჩერებულიყო მიმდინარე მშენებლობები. მთავრობების მცდელობების მიუხედავად, პანდემიას მაინც ჰქონდა უარყოფითი გავლენა სამშენებლო ბიზნესზე არამხოლოდ საქართველოში, არამედ ევროკავშირსა და მთლიანად მსოფლიოში, რასაც გავაანალიზებთ სტატიაში.


1. კოვიდ პანდემიის გავლენა სამშენებლო ბიზნესზე ევროკავშირის ქვეყნებში

ევროკავშირის სამშენებლო აღჭურვილობისა და მასთან დაკავშირებული ინდუსტრიების ასოციაციამ ჩაატარა კვლევა, რათა გამოერკვია თუ როგორი იყო კოვიდ პანდემიის გავლენა სამშენებლო ბიზნესზე ევროკავშირის მასშტაბით. ეს ორგანიზაცია “CECE” თანამშრომლობს ევროკავშირის წევრი ქვეყნების ეროვნულ ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან, რომლებიც ახორციელებენ სამშენებლო ბიზნეს საქმიანობის ორგანიზებასა და მონიტორინგს. კვლევა ჩატარდა 2020 წლის დასაწყისიდან აპრილამდე პერიოდში. (CECE, 2020)

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ კოვიდ პანდემიის დაწყების შემდგომ 32%-ით შემცირდა სამშენებლო პროდუქტის გამოშვება. დაიკეტა ქარხნების 30%, რომლებიც ახორციელებდნენ სამშენებლო ინდუსტრიისთვის საჭირო მასალების წარმოებას. სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლების მხოლოდ 3% აცხადებდა, რომ მათი ფუნქციონირება კვლავ ეფექტური იყო ისევე, როგორც პანდემიამდე პერიოდში. (Maarten J, Gross A. Flickenschild, 2021)

დიაგრამა 1. სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებული გამოწვევები ევროკავშირში

სამშენებლო ბიზნესთან დაკავშირებული გამოწვევები




- მომხმარებლის ქცევა
- ბიზნესის აქტიურობის დაბალი დონე
- მიწოდების ჯაჭვის პრობლემები

წყარო: <https://www.cece.eu/news/covid-19-significantly-impacting-60-of-the-european-construction-equipment-industry>

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამშენებლო ინდუსტრიისთვის მთავარი გამოწვევა აღმოჩნდა, არა უშუალოდ პანდემია ან მისით გამოწვეული შეზღუდვები, არამედ მომხმარებელთა ქცევის ცვლილება. ასევე, პრობლემა იყო თავად დასაქმებულთა ქცევა და სამუშაო ადგილის დამსაქმებლის გაუფრთხილებლად მიტოვება.

კოვიდ პანდემიის უარყოფითი გავლენა პირველ რიგში აისახა მომხმარებლებზე, რომელთა მოთხოვნა სამშენებლო პროდუქტზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებში საკმაოდ შემცირდა. მოთხოვნის შემცირება კი გამოწვეული იყო უარყოფითი მოლოდინებით, რის გამოც მომხმარებლების უმრავლესობამ გადაწყვიტა დაეზოგა თანხა. მოთხოვნის შემცირებას მოჰყვა ფასების მცირედით შემცირება, თუმცა ვინაიდან სიტუაცია იყო საგანგებო, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენად შეძლებდნენ კომპანიები მდგრადობის შენარჩუნებას, ფასების მკვეთრი შემცირება არ მომხდარა. ფუნქციონირების მდგრადობისთვის კი აუცილებელი იყო სამუშაო ადგილების შენარჩუნება და დაქირავებულთათ-

ვის ანაზღაურების მიცემა. მსოფლიოს მასშტაბით, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მთავრობებმა შეიმუშავეს სხვადასხვა პროგრამები სამშენებლო ბიზნესის დასახმარებლად. მათ მოახდინეს დასაქმებულთა ანაზღაურების სუბსიდირება. (World Build Environment Forum,2020)



დიაგრამა 2. კოვიდ პანდემიის გავლენა გაყიდვებზე ევროკავშირში 2020

წყარო: <https://www.cece.eu/news/covid-19-significantly-impacting-60-of-the-european-construction-equipment-industry>

როგორც ვხედავთ, ევროკავშირის ქვეყნებში მძიმე იყო კოვიდ პანდემიის გავლენა სამშენებლო სექტორზე, ვინაიდან გაყიდვების მოცულობა 30%-ით და მეტად შემცირდა კომპანიების 32%-ში. აღსანიშნავია, რომ მთავრობების მიერ გამოყოფილი სუბსიდია გარკვეული პერიოდის მანძილზე შესაძლოა კომპანიებს წაადგეთ სამუშაო ძალის შესანარჩუნებლად, მაგრამ თუ მომხმარებლის ქცევა არ შეიცვლება და კვლავ არ გაიზრდება გაყიდვები, ვერც მთავრობები შეძლებენ სუბსიდირების გაგრძელებას.

2. კოვიდ 19-ის გავლენა სამშენებლო ბიზნესზე საქართველოში

სამშენებლო ბიზნესს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს ეკონომიკაში, ამაზე მეტყველებს სამშენებლო ბიზნესის წილი მთლიანი ეკონომიკის გამოშვებაში, რომელიც 2020 წლისთვის იყო 12,9%.


საქართველოში სამშენებლო ბიზნესმა გააქტიურება დაიწყო 2003 წლიდან, ხოლო პიკს მიაღწია 2013 წელს. ამ წელს მოხდა უახლოესი 10 წლის მანძილზე ყველაზე დიდი ფართის 2 278 680 კვადრატული მეტრის აშენება და ჩაბარება. მათ შორის ყველაზე მეტი პროექტი 1431 შენობა-ნაგებობა აშენდა თბილისში, ხოლო სულ კი აშენდა 3 163 შენობა.

2013 წლის შემდეგ საკმაოდ გაიზარდა და განვითარდა სამშენებლო სექტორი. თბილისის გარდა მშენებლობა გააქტიურდა აჭარაში, კერძოდ კი ბათუმში. მას მოჰყვებოდა ქუთაისი. ასევე სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტებით აქტიური იყო კახეთის რეგიონიც.

2020 წელს დაწყებული კოვიდ პანდემიის უარყოფითი გავლენა მრავალი ფაქტორით გამოიკვეთა. 2020 წელი გამოირჩეოდა ყველაზე მცირე რაოდენობით გაცემული სამშენებლო ნებართვებით.

მრავალი კომპანია რომელიც აპირებდა შესულიყო სამშენებლო ბიზნესში და მოეთხოვა სამშენებლო ნებართვა, შეფერხდა და მათ გადაწყვიტეს დალოდებოდნენ ვითარების დასტაბილურებას.

დიაგრამა 3. გაცემული სამშენებლო ნებართვები საქართველოში 2015-2020



წყარო: www.geostat.ge

კომპანიებმა, რომლებიც უკვე ფუნქციონირებდნენ სამშენებლო ბიზნესში და აპირებდნენ ახალი პროექტის დაწყებას, ასევე შეიკავეს სამშენებლო ნებართვის მოთხოვნისგან თავი. უცხოელი ინვესტორები რომლებსაც ჰქონდათ სურვილი საქართველოს სამშენებლო სექტორში განეხორციელებინათ ინვესტიციები, შეფერხდნენ და მოცდა გადაწყვიტეს, ეს კი განპირობებული იყო იმ ფაქტორებით, რომ კომპანიებმა არ იცოდნენ როგორ შეიცვლებოდა მომხმარებელთა ქცევა, აცნობიერებდნენ მთავრობის მიერ დაწესებული შეზღუდვების სიმძიმესა და მათგან გამომდინარე დამატებით ხარჯებს, რომლის გაღებაც კომპანიას მოუწევდა. ყველაზე მნიშვნელოვან რესურსს კი წარმოადგენს სამუშაო ძალა, რომელიც კოვიდ პანდემიის გამო შესაძლოა არასტაბილური და ნაკლებ შრომისუნარიანი ყოფილიყო.


2020 წელს 2019 წელთან შედარებით 11%-ით შემცირდა გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა. აღსანიშნავია, რომ სამშენებლო ნებართვების რაოდენობის განსაკუთრებული ცვლილება არ შეხებია დედაქალაქ თბილისს, მაშინ როდესაც რეგიონებში 2020 წელს გაცემული ნებართვების რაოდენობა წინა წლებთან შედარებით საკმაოდ შემცირდა.

2020 წელს კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებითა და კრიზისით გამოწვეული მდგომარეობის გამო დასაქმების დონე საგრძნობლად შემცირდა. 2020 წლის მაჩვენებელი ჩამოუვარდება 2014 წლის მონაცემსაც კი. 2020 წელს 2000 თანამშრომელმა დატოვა სამუშაო ადგილი, რაც შეიძლება განპირობებული ყოფილიყო სხვადასხვა მიზეზებით. ერთ-ერთ ყველაზე ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენდა, სამოქალაქო ტრანსპორტის შეზღუდვა, რის გამოც დასაქმებულები ვერ ახერხებდნენ სამუშაო ადგილზე მისვლას.

კომპანიათა გარკვეული ნაწილი თავად უზრუნველყოფდა მუშა ხელის ტრანსპორტირებას, მაგრამ ეს დამოკიდებული იყო თავად კომპანიაზე და მის ფინანსურ შესაძლებლო-


ბებზე, რის გამოც მცირე კომპანიები შემცირებული მოთხოვნის პირობებში, დამატებით ხარჯებს ვერ გაიღებდნენ თანამშრომელთა ტრანსპორტირებისთვის.

დიაგრამა 4. დასაქმების დონე სამშენებლო სექტორში, საქართველო 2014-2020



წყარო: www.geostat.ge

დიაგრამა 5. პროდუქტისა და მომსახურების შესყიდვები მლნ. ლარი საქართველო



წყარო: www.geostat.ge

სამშენებლო კომპანიებს მრავალი პროდუქტი და მომსახურება ესაჭიროებათ სამუშო პროცესში, რის შესყიდვებსაც ახორციელებენ. როგორც დიაგრამაზე ვხედავთ, 2020 წელს 2019 წელთან შედარებით 70%-ით შემცირდა სამშენებლო კომპანიების მიერ განხორციელებული შესყიდვები. ეს არის ძალიან დიდი მაჩვენებელი და მიუთითებს პანდემიით გამოწვეული კრიზისის ძალზედ უარყოფით შედეგებზე.

შესყიდვების შემცირება გამოწვეულია ასევე იმ ფაქტორებითაც, რომ ქვეყნებში სადაც ხდება ძირითადი მასალების წარმოება, პანდემიიდან გამომდინარე შეფერხდა ბიზნესი და ამას მოჰყვა მასალების გაძვირება. საქართველოში ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული ბიზნესების სრული გაჩერების გამო, მკვეთრად გაუფასურდა ეროვნული ვალუტა, რამაც განაპირობა დოლარში ნაყიდი მასალების კიდევ უფრო გაძვირება ქართველი მომხმარებლისთვის. საბოლოოდ, გაზრდილი ხარჯები აისახება სამშენებლო პროდუქტის გაზრდილ ფასზე, მაგრამ თავის მხრივ ვინაიდან შეიცვალა მომხმარებლის ქცევა და შემცირდა მოთხოვნა სამშენებლო პროდუქტზე, ფასების გაძვირების ნაცვლად, კომპანიები ცდილობენ მაქსიმალურად შეამცირონ დანახარჯები, ანდაც გაუკეთონ განსაკუთრებულად მოსახერხებელი შეთავაზებები მომხმარებლებს.

კოვიდ პანდემიის უარყოფით გავლენაზე მეტყველებს მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის უარყოფითი -6,2 მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით. ეკონომიკის და მუხრუჭება და ეკონომიკური კრიზისი, საბოლოოდ გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ ყველა ინდუსტრიაზე, მიუხედავად იმისა რამდენად შეეცდება მთავრობა, ხელი შეუწყოს ამა თუ იმ ბიზნეს ინდუსტრიის განვითარებას.

დასკვნა

დასკვნის სახით შეგვიძლია შევაჯამოთ მსჯელობა და ჩამოვაცალიბოთ, რომ კოვიდ პანდემიის გავლენა სამშენებლო ბიზნესზე იყო უარყოფითი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. აღსანიშნავია, რომ მომხმარებლების ქცევა იყო მსგავსი, როგორც ევროკავშირში ასევე საქართველოში. სამშენებლო პროდუქტზე მკვეთრად დაეცა მოთხოვნა, შემცირდა გაყიდვები. ევროკავშირში წევრი ქვეყნების მთავრობებმა მოახდინეს დასაქმებულთა ხელფასების სუბსიდირება, ხოლო საქართველოში კი მთავრობამ სამშენებლო ინდუსტრია იმ გამონაკლის დარგებს შორის შეიყვანა, რომლებიც ფუნქციონირებდნენ საყოველთაო შეზღუდვების პერიოდში.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ კოვიდ პანდემია ჯერ კიდევ გრძელდება, ეს კი კვლავ გაურკვეველ სიტუაციასთან ასოცირდება მომხმარებლების თვალში, რის გამოც მომავალშიც ნაკლებად სავარაუდოა მოთხოვნის მკვეთრი ზრდა სამშენებლო პროდუქტზე. ამ პერიოდში კი იზრდება ფასები სამშენებლო მასალებზე. კომპანიებს მართებთ უკიდურესი სიფრთხილით გაუმკლავდნენ კრიზისს და გადაარჩინონ კომპანიები დახურვისგან.

ლიტერატურა:

1. World Build Environment Forum “Covid 19 and the European construction sector”, 2020
2. Maarten J, Gross A. Flickenschild M. European Parliament’s document “Impacts of the Covid 19 Pandemic on EU industries”, 2021
3. CECE “Covid 19 significantly impacting 60% of the European construction industry”, 2020
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური www.geostat.ge

Covid 19 Pandemic influence on construction business in Georgia

Davit Narmania

Doctor of economics, Head of Management and Administration Department, Tbilisi State University

Nino Zurashvili

Doctor of Business Administration, Associated Professor at "Alter Bridge" University

SUMMARY

Construction business is essential business field in many countries. The business field shows development and sustainability of the economy of the country. Developed countries are trying to ensure the environment that would be convenient for construction business entities.

Covid 19 pandemic had very bad influence on the economies of the countries in the world. Many companies failed and stopped functioning. Many jobs were lost because of the limitation of Covid 19 pandemic in the whole world.

- ანტიკრიზისული გეგმის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი;

განვიხილოთ ეს მიმართულებები უფრო დეტალურად.

აუდიტის წლიური გეგმის განხორციელების შეჩერება (A factsheet from IIA Australia. Internal Audit and Pandemics, 2020)

აღნიშნული გადაწყვეტილების მხარდასაჭერად უმთავრესი არგუმენტია ის, რომ რამდენიმე თვის წინ შედგენილი და დამტკიცებული შიდა აუდიტის წლიური გეგმა ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რაც კომპანიის წინაშე დგას და მან დაკარგა აქტუალობა. კომპანიის მფლობელებისა და მენეჯმენტის ძირითად გამოწვევას ამ ეტაპზე ბიზნესის გადარჩენა

წარმოადგენს და დანარჩენი უკვე მეორეხარისხოვანია ბიზნესგარემოს გაუმჯობესებამდე. კომპანიის ხელმძღვანელობის (საშუალო და ზედა რგოლის) მხრიდან ერთ-ერთი ყველაზე ხშირი კრიტიკა შიდა აუდიტის მიმართ არის მისი არაპროდუქტიული ტვირთი ბიზნესზე, რის მიზეზადაც ასახელებენ დასაქმებულების მოცდენას მათი ძირითადი ვალდებულების შესრულებისას. სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ კომპანიაში დასაქმებულები არ ამახვილებდნენ ყურადღებას და დროს ხარჯავდნენ იმ მოთხოვნების შესრულებაზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესის გადარჩენასთან (M Eulerich, M Wagener, DA Wood, 2020). აუცილებელია იმის ჩვენება, რომ შიდა აუდიტს გააზრებული აქვს ბიზნესის პრიორიტეტები და რეალობას სწორად აფასებს. რა თქმა უნდა, ასეთი ნაბიჯების გადადგმამდე აუცილებელია დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმდეს შიდა აუდიტის მუშაობის სტრატეგია.

აუდიტის საკონსულტაციო ფუნქციის პრიორიტეტულობა

დაუკავშირდით კომპანიის ხელმძღვანელობას და აუხსენით არსებული სიტუაციის სირთულე. ჩააყენეთ საქმის კურსში, რომ წლის დასაწყისში დამტკიცებული აუდიტის გეგმის განხორციელება არსებული მდგომარეობის გამო შეჩერებულია. იმავდროულად, უნდა შესთავაზოთ, რომ აუდიტორებს გააჩნიათ ფინანსური ანალიზის, კონსულტაციების, პროგნოზირებისა და ბაზრის კვლევის კომპეტენციები და შესაძლებელია, კომპანიამ ეს ყველაფერი გამოიყენოს საკუთარი ბიზნესის სასიკეთოდ სხვადასხვა მიმართულებით (LEVAN SABAURI, 2018/6/25).

ანტიკრიზისული ღონისძიებების გეგმის შეფასება:

- ბიზნესის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობის დამოუკიდებელი შეფასება;
- ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული ანტიკრიზისული ღონისძიებების გეგმის შეფასება და ხარჯების შემცირება;
- გამოყენებული ფინანსური მოდელების სანდოობის შემოწმება და მოცემული დაშვებების გონივრულობის შეფასება;
- სხვადასხვა სცენარის გათვალისწინებით ფინანსური სტაბილურობის პროგნოზირებადი მოდელების შემოწმება;
- დაფინანსების წყაროების შემოწმება, ფულადი სახსრების დეფიციტის აღმოსაფხვრელად მოზიდული კაპიტალის გამოყენების პერიოდის შეფასება და დასაბუთება.

სხვა ღონისძიებები:

- ხარჯების შემცირების გზების ძიება იმ მიმართულებებზე, რომლებიც არ არის მოცემული ანტიკრიზისულ გეგმაში;
- კომპანიის მენეჯმენტისთვის წინადადების წარდგენა იმ ხარჯების შემცირებაზე, რომლის შესახებაც თავდაპირველი განხილვის დროს უარი მიიღო შიდა აუდიტის სამსახურმა. შეცვლილი მდგომარეობის გამო მსგავსი ხარჯების შემცირება შეიძლება აქტუალური გახდეს;
- ტენდერის პროცედურების ოპტიმიზაცია (მაგალითად: ყველა მსხვილი შესყიდვის გამოცხადება ელექტრონული ტენდერის პლატფორმის საშუალებით, კომპანიის შესყიდვების შესახებ ინფორმაციის განთავსება საკუთარ ვებ-გვერდზე და ინფორმაციის სხვა ღია წყაროებში);
- ინფორმაციის გადამოწმება ყველა იმ ძირითადი მომწოდებლის შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ კომპანიის ძირითადი საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვაზე, იმისათვის, რომ შემცირდეს მომარაგების ჯაჭვის უწყვეტობისა და შესყიდული მასალის გაძვირების რისკი;
- ბაზრის მდგომარეობის ანალიზი: რა პოზიცია უკავიათ კონკურენტებს? რა სახის

დახმარებას სთავაზობს სახელმწიფო ბიზნესს და იყენებს თუ არა ბიზნესი თავის შესაძლებლობებს სრულად (საგადასახადო შეღავათები, სესხის გადავადება და ა.შ)?

- გაყიდვების ალტერნატიული არხების მოძიება.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიების განხორციელების შემთხვევაში შიდა აუდიტი შეძლებს გახდეს კომპანიის ხელმძღვანელობის დამხმარე და შეძლებს აგრეთვე, მთლიანად/ნაწილობრივ შეითავსოს გარე კონსულტანტის ფუნქციები.

ანტიკრიზისული გეგმის შექმნასა და განხორციელებაში მონაწილეობა

არ დაიშუროთ ძალისხმევა, გახდეთ ანტიკრიზისული საბჭოს/კომიტეტის წევრი. ეს შესაძლებლობას მოგცემთ, დაეხმაროთ ბიზნესს ონლაინ რეჟიმში: შესთავაზოთ ბიზნესის მფლობელებს პრობლემების გადაჭრის არაორდინალური გზები, შეაფასოთ არსებული რისკები და ჰქონდეს უკუკავშირი იმ დროს, როდესაც პრობლემა დაუყოვნებლივ გადაჭრას საჭიროებს. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ანტიკრიზისული გეგმის განხორციელებაში მონაწილეობაა. როგორც წესი, ამ გეგმის განხორციელება მოითხოვს გარკვეულ ადამიანისეულ რესურსს, რომლის მოკლე დროში მოძიებაც ძალიან რთულია. შიდა აუდიტი ყოველთვის უნდა იყოს მზად, აიღოს პასუხისმგებლობა და მიიღოს თამამი გადაწყვეტილება, რაც პანდემიის დასრულების შემდეგ სამსახურის პროფესიულ რეპუტაციას კიდევ უფრო გაზრდის.

თუ რისკების შესამცირებლად, აუცილებელია იმ მიმართულების აუდიტის ჩატარება, სადაც პანდემიის დროს შიდა აუდიტის პერსონალი მუშაობდა, შესაძლებელია გარე აუდიტის მომსახურებით სარგებლობა, ან შეიძლება აუდიტის სხვა ჯგუფის მიერ მოხდეს აუდიტის ჩატარება. კომპანიის ხელმძღვანელობა და აუდიტის კომიტეტი ინფორმირებული უნდა იყოს ყველა იმ სამუშაოს შესახებ, რომელიც შიდა აუდიტის პერსონალმა შეასრულა პანდემიის პერიოდში და შემდგომი გადასინჯვის მიზნით შეაფასოს მისი გავლენა აუდიტის გეგმაზე.

ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელების მონიტორინგი და კონტროლი

გადაუდებელი ანტიკრიზისული ღონისძიებების განხორციელების დროს, მენეჯმენტის მხრიდან კონტროლზე უარი შესაძლებელია მხოლოდ არასაკმარისი დროის გამო. შიდა კონტროლის სამსახურთან ერთად (თუ არსებობს ასეთი სამსახური), შიდა აუდიტის სამსახურს შეუძლია მოქმედებდეს, როგორც კონტროლის პროცედურების განხორციელების გარანტი (Levan Sabauri, Nino Mamardashvili, 2014). ასევე, ანტიკრიზისული ღონისძიებების გეგმის განხორციელების დროს, შეიძლება არსებობდეს კონფლიქტი სხვადასხვა განყოფილებებს შორის ან ეს კონფლიქტი გამომწვეული იყოს შესაბამისი მიმართულების მენეჯერის არარსებობით. მსგავსი სიტუაცია შეიძლება უარყოფით გავლენას ახდენდეს დროში ანტიკრიზისული სტრატეგიის განხორციელებაზე. ასეთ შემთხვევებში შიდა აუდიტის სამსახური შეიძლება იყოს შუამავალი გარკვეული გადაწყვეტილებების მიღების დაჩქარებაში.

შიდა აუდიტს შეიძლება დაევალოს ანტიკრიზისული ღონისძიებების შეუფერხებელ განხორციელებაზე კონტროლი, რათა ღონისძიებების დროულ განხორციელებასთან ერთად, აღმოიფხვრას შიდა კონტროლის სისტემის ნაკლოვანებები და შემცირდეს დანაკარგები.

რომელ ბიზნესსაც შეეხო კარანტინის გამო დაწესებული პირდაპირი გაყიდვების შეზღუდვა, აუცილებელია დანაკარგების ოპტიმიზაციის მიზნით ყველა გაყიდვის ონლაინ რეჟიმზე გადაყვანა.

კომპანიამ უარი უნდა თქვას ტრადიციულ მარკეტინგულ რეკლამაზე და მეტი ყურადღება დაუთმოს ციფრულ მედიაში გაკეთებულ რეკლამას. პარალელურად, უნდა განხორციელდეს კონტროლი ყველა არსებული კონტრაქტის შეჩერებაზე.

უნდა მოხდეს კომპანიის ყველა თანამშრომლის დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადაყვანა. ამ დროს, აუცილებელია, საკუთარი და კლიენტების მონაცემებზე წვდომის უსაფრთხოების ღონისძიებების გატარება (ლექტოპებში USB-პორტების ბლოკირების შემოწმება, კორპორატიულ ქსელთან/ფოსტასთან კავშირი მხოლოდ VPN-ის საშუალებით, დისტანციური მუშაობისთვის გამოყოფილ ყველა კომპიუტერზე დაინსტალირებული უნდა იყოს ანტივირუსის უახლესი ვერსიები და ა.შ.).

იჯარის ხელშეკრულებების გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში გადასახადის შეჩერებაზე/შემცირებაზე შეთანხმების მიღწევა.

ყველა მომწოდებელთან შეთანხმება გადასახადების მაქსიმალურად დასაშვებ ვადამდე გაგრძელებაზე, რაც კომპანიას დაეხმარება ჯარიმებისა და საურავების თავიდან აცილებაში. აუცილებელია, პარალელურ რეჟიმში გაკონტროლდეს ამ შეთანხმებების შესრულება.

დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადასვლის პერიოდში ანაზღაურების შემცირება (მგზავრობის, სპორტულ-გამაჯანსაღებელ კომპლექსში სიარულისა და კვების დამატებითი გადასახადების გაუქმება იმ თანამშრომლებზე, რომლებიც დისტანციურ სამუშაო რეჟიმზე გადავიდნენ).

დროებით უნდა შეჩერდეს დასუფთავების, დაცვის, ინკასაციისა და სერვისულ მომსახურებაზე ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მოქმედება.

საწყობიდან იმ სავაჭრო განყოფილებებში საქონლის გადატვირთვის შეზღუდვა, სადაც კარანტინის გამო დროებით შეჩერებულია მუშაობა.

საცალო ვაჭრობის ობიექტების დახურვა იმ ქალაქებში/სავაჭრო ცენტრებში, სადაც გამოცხადებულია კარანტინი ან სადაც სავაჭრო ცენტრებმა მიიღეს დახურვის გადაწყვეტილება.

საცალო ვაჭრობის ობიექტებზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დასაქმებული პერსონალის დატვირთვა კომპანიის შიგნით სხვა საჭირო ფუნქციებით: ონლაინ შეკვეთების მიღება, დამხმარე მომსახურების გაძლიერება, აუტოსორსინგის შეცვლა საკუთარი პერსონალით და ა.შ.

კომპანია აქტიურად უნდა იყოს ჩართული საზოგადოებრივ ინიციატივებში და არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მთავრობას ბიზნესის გადასარჩენად დამატებითი დახმარების მოთხოვნით მიმართოს.

კლიენტებთან სოციალური ქსელების დახმარებით მუშაობის გააქტიურება, რათა სხვა საკითხებთან ერთად, კომპანიას ჰქონდეს მყისიერი უკუკავშირი მყიდველებისგან (ისინი ხშირად მათთან ურთიერთობისას კომპანიისთვის ურთიერთობისა და სამომავლო პერსპექტივისთვის საუკეთესო იდეების ავტორები არიან).

ყველა ისეთი ხარჯის (მივლინება, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების) დროებით „გაყინვა“, რომელიც გავლენას არ მოახდენს ბიზნესის ონლაინ ფუნქციონირებასა და თანამშრომლების დისტანციურ რეჟიმით მუშაობაზე. „სხვა ხარჯების“ კატეგორიის კონტროლი და ანალიზი ყოველთვიურიდან უნდა გადავიდეს ყოველკვირეულ/ყოველდღიურ კონტროლზე. წინა წელს შედგენილი მიმდინარე წლის ბიუჯეტის გადახედვა და ხარჯების შემცირება. ყველა პროექტის დროებით შეჩერება, გარდა იმ პროექტებისა, რომლებიც კომპანიის ზედა რგოლის მენეჯმენტის მიერ არის დამტკიცებული და გავლენას ახდენს კომპანიის მომავალზე სტრატეგიული თვალსაზრისით.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების (მანქანა-დანადგარები, მიწა) შესყიდვის გადავადება და აუცილებლობის შემთხვევაში იჯარით ჩანაცვლება იმ პერიოდით, რა პერიოდშიც იქნება მოცემული განუსაზღვრელობა.

არაპროფილური და დამატებითი მარაგების რეალიზაცია (IT-მონყობილობები, სავაჭრო ტექნიკა, სათადარიგო ნაწილები და ა.შ.)

შესყიდვების დროს სარეზერვო მარაგის მინიმუმამდე შემცირება და „ზუსტად დროში“ (just in time) მოდელით მარაგების მართვაზე გადასვლა.

ლოგისტიკური რესურსის კონსოლიდაციის მიზნით სხვადასხვა დარგის კომპანიის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებების გამართვა, რაც შესაძლებლობას მოგვცემს, შევამციროთ მარაგების შენახვისა და გადაზიდვის ხარჯები.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ღონისძიების დროულად/დაგვიანებით განხორციელებაში შიდა აუდიტს შეუძლია კომპანიის მენეჯმენტის დარწმუნება შესაბამისი გაანგარიშებით და მტკიცებულებებით, იმავდროულად, შიდა აუდიტი უნდა იყოს ერთგვარი ბიძგი პასუხისმგებელი პირებისთვის, რათა მათ საქმიანობა განახორციელონ გეგმის მიხედვით.

საქმიანობის სფეროები, სადაც დაინტერესებულმა მხარეებმა უარი განაცხადეს ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებაში შიდა აუდიტის ჩართვაზე

თუ კომპანიის მენეჯმენტი ვერ დაარწმუნეთ შიდა აუდიტის ჩართულობით მოახდინოს კომპანიის ანტიკრიზისული გეგმის განხორციელება, მაშინ, შიდა აუდიტმა გამოთავისუფლებული დრო უნდა მოახმაროს ისეთი ამოცანების შესრულებას, სადაც მენეჯმენტი ნაკლებად არის ჩართული.

ჩაატარეთ აუდიტორული პროცედურები, რომელიც არ მოითხოვს მენეჯმენტის ჩართულობას: მონაცემების შეგროვება და ანალიზი, ანგარიშების მომზადება.

ფოკუსირება მოახდინეთ ისეთი პროექტების გაგრძელებაზე, რომლებმაც შეიძლება დაზოგონ ხარჯები და/ან გაზარდონ შემოსავალი.

შეცვალეთ ყველა პროცედურა, რომელიც საჭიროებდა ადგილზე ყოფნას (საამქროს/ქარხნის ადგილზე დათვალიერება), ალტერნატიულით, რომელსაც შეუძლია რისკების სრულად დაფარვა (უსაფრთხოების სისტემის შეფასება ვიდეო თვალის საშუალებით).

აუცილებელია შიდა პროცედურების განახლება.

კომპანიის თანამშრომლებისთვის ჩაატარეთ ონლაინ-ტრენინგები ხშირად დასმულ კითხვებზე (შესყიდვები, საცალო ვაჭრობის ობიექტებზე კონტროლი, უფლებამოსილების გამიჯვნა და ა.შ.).

კომპანიის საქმიანობაში მონაწილეობის ნებისმიერი შერჩეული ვარიანტი უნდა ეცნობოს აუდიტის კომიტეტს თანხმობის მისაღებად, ასევე, უნდა მიეწოდოს ინფორმაცია წლიური გეგმის განხორციელებაზე გავლენის შესახებ და შეთანხმდეს მათთან ამ გეგმაში შესატანი ცვლილებები.

ლიტერატურა:

1. A factsheet from IIA Australia. Internal Audit and Pandemics. (2020, 03 26). <https://iia.no/internal-audit-and-pandemics/>. Retrieved from <https://iia.no/internal-audit-and-pandemics/>.
2. Hafizah Marzuki Intan Zurina Md Naain . (2020). Internal Audit Effectiveness During Movement Control Order (MCO) Period. Seminar Antarabangsa Islam Dan Sains (SAIS 2020). Universiti Sains Islam Malaysia.
3. <https://www.aljazeera.com/news/2021/3/22/how-has-the-world-changed-since-covid-19>. (2021, August 20).
4. LEVAN SABAU RI. (2018/6/25). AUDIT RISK MANAGEMENT AND ITS AFFECT ON THE AUDIT OF THE FINANCIAL STATEMENT. Globalization & Business, 215-220.
5. Levan Sabauri. (2021). Impacts of COVID-19 on the Financial Reporting and Audit. Economics and Business .
6. Levan Sabauri, Nadezhda Kvatashidze. (2018). Prospects of Application of International Standards in Financial Reporting by Small and Medium-size Businesses in Georgia. International Journal of Business Administration, 1-8.

7. Levan Sabauri, Nino Mamardashvili. (2014). General review of the mistakes made during the audit that are common in practice. (pp. 184-191). Tbilisi: TSU Publishing House.
8. M Eulerich, M Wagener, DA Wood. (2020, August 20). Evidence on Internal Audit Effectiveness from Transitioning to Remote Audits Because of COVID-19. Retrieved from https://www.researchgate.net/profile/Marc-Eulerich/publication/348805905_Evidence_on_Internal_Audit_Effectiveness_from_Transitioning_to_Remote_Audits_because_of_COVID-19/links/601133c845851517ef1a3c3c/Evidence-on-Internal-Audit-Effectiveness-from-Transiti.
9. Mark Martinelli, Alfred E. Friedman, and Joel Lanz. (2020). The Impact of COVID-19 on Internal Audit. *THE CPA JOURNAL*, 60.
10. Mohammed Haddad. (2021, March 22). <https://www.aljazeera.com/news/2021/3/22/how-has-the-world-changed-since-covid-19>. Retrieved from <https://www.aljazeera.com>.
11. OXFAM. (2021, August 20). <https://oxfamilibrary.openrepository.com/bitstream/handle/10546/621149/bp-the-inequality-virus-250121-en.pdf>. Retrieved from <https://www.oxfam.org/en>.

The Modified Role of Internal Audit in COVID-19 Pandemic Conditions

Levan Sabauri

Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi State University

SUMMARY

New reality drives the changes not only for the industries, cities, countries, or the world but forces us to follow these changes. The article aims to present how the pandemic impacted internal audit and the responses the auditors should take in the Covid crisis. The article also discusses the necessities that caused changes in the role of internal audit during the pandemic. While discussing the change in the role of an audit we elaborate on the stages that provide reduction of the risks with the help of the audit and preserve stable financial condition for the company.

Keywords: Planning an Audit, Audit Strategy, Monitoring, Financial Model, Internal Audit, Internal Control.

საშუალო კლასი საქართველოში: მდგომარეობა, გამოწვევები, შესაძლებლობანი

უშანგი სამადაშვიდი

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი

ასოციირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

წინამადებიახე ნაშრომში გადმოცემულია საშუალო კლასის ახლი და მნიშვნელობა; დასაბუთებულია საქართველოში საშუალო კლასის ფორმირების აქტუალობა; გამოყოფილია საშუალო კლასის იდენტიფიკაციების მთავარი კრიტერიუმები; შეჩვენებული კრიტერიუმის მიხედვით განსაზღვრულია ქართული საშუალო კლასის სიდიდე და სტრუქტურული ედემენტები; დახასიათებულია საშუალო კლასის დინამიკა და მდგომარეობა კორონაპანდემიამდე და მის შემდეგ; გამოვლენილია საქართველოში საშუალო კლასის ხაოფენობისა და ხაჩისხის ზეხის შესაძლებლობები და შემუშავებულია მათი ეფექტიანი გამოყენების წინადადებები და ჰეკომენდაციები.

საკვანძო სიგყვები: საშუალო კლასი, იდენტიფიკაცია, კრიტერიუმი, დინამიკა, სტაბილურობა

ნებისმიერი სალად მოაზროვნე სახელმწიფოს სანუკვარი მიზანია საკუთარი მოსახლეობის საყოველთაო და დიფერენციული კეთილდღეობის მიღწევა, რაც თითოეულ მოქალაქეში ბადებს კანონზომიერი სიამაყისა და ქვეყნისადმი პატრიოტული დამოკიდებულების გრძნობას. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ეკონომიკის სტაბილური და გრძელვადიანი ინკლიუზიური ზრდით, ანუ ეკონომიკაში საყოველთაო ჩართულობითა და სოციალური დაცვის მისამართიანი პოლიტიკით. თავის მხრივ, გრძელვადიანი ინკლიუზიური ეკონომიკური ზრდის წინაპირობაა მდგრადი და პროგნოზირებადი სტაბილურობა, რისი გარანტიც საშუალო კლასია (ფენაა).

განვითარებულ ქვეყნებში მოსახლეობის ნახევარზე მეტი სწორედ საშუალო კლასშია წარმოდგენილი. ასე მაგალითად, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის ქვეყნების საშუალო ფენა მოსახლეობის 61%-ია. თუმცა, თითოეული ქვეყნისთვის ეს ციფრი განსხვავებულია: ამერიკის შეერთებულ შტატებში საშუალო ფენას ეკუთვნის მოსახლეობის დაახლოებით 50%, ხოლო სკანდინავიის ქვეყნებში-დაახლოებით 70% [1]. საქართველოს საშუალო ფენაში კი, სამწუხაროდ, მოსახლეობის მხოლოდ 24%-ია ფოკუსირებული, რაც ზღუდავს მის ეფექტიან ფუნქციონირებას.

ჩვენი აზრით, საქართველოში საშუალო კლასის ზრდა-განვითარებას აფერხებს რიგი მიზეზ-ფაქტორები და მათი აღმოფხვრა-მინიმიზების გზების ჯეროვანი მეცნიერული შეუსწავლელობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, **შემოთავაზებული კვლევის მიზანია** ქვეყანაში საშუალო კლასის არსებული მდგომარეობისა და დინამიკის ღრმა და სისტემური ანალიზის საფუძველზე გამოვავლინოთ განვითარების შემაფერხებელი მიზეზ-ფაქტორები და საერთაშორისო გამოცდილებისა და საკუთარი ხედვების საფუძველზე შევიმუშაოთ მათი აღმოფხვრის გზები და მიმართულებები.

დასახული მიზნისკენ მიმავალ გზაზე, უნინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს საშუალო კლასის არსი და მისი მნიშვნელობა. საშუალო კლასი არის მოსახლეობის სოციალური ჯგუფი, რომელსაც აქვს სტაბილური და საკმარისი შემოსავალი მატერიალური და სოციალური მოთხოვნილებების ფართო სპექტრის დაკმაყოფილებისთვის. საშუალო ფენის სიმდიდრე საკმარისია იმისათვის, რომ უზრუნველყოს საკუთარი ცხოვრების „ღირსეული“ დონე. ამის გამო საშუალო კლასი გამოირჩევა შედარებით მაღალი სოციალური სტაბილურობით, მდგრადობით [2]. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში გვევლინება რეფორმების ინიციატორად და მისი განხორციელების სოციალურ ბაზადაც [3].

სხვაგვარად, საშუალო კლასი (middle class) საზოგადოების დიდი ნაწილია, რომელსაც თავისი სტატუსით შუალედური მდგომარეობა უჭირავს ზედა კლასს (მდიდრებსა) და ქვედა კლასს (ღარიბებს) შორის. საშუალო კლასი ერთგვარი "ბუფერია", რომელიც მიჯნავს ამ

ორ საპირისპირო პოლუსს (მდიდრებსა და ღარიბებს) და არ აძლევს მათ შეჯახების შესაძლებლობას. რაც უფრო თხელია ეს "ბუფერი" (საშუალო კლასი), მით უფრო ახლო დგანან დაპირისპირებული მხარეები და მით მეტი შანსია მათი შეჯახებისა და - პირიქით [4].

სოციალურმა მეცნიერებამ დაასაბუთა და პრაქტიკამ დაადასტურა, რომ საზოგადოების განვითარებაში საშუალო კლასი ასრულებს მრავალფეროვან ფუნქციებს. ესაა: 1)პოლიტიკური სტაბილურობის ფუნქცია; 2)ეკონომიკური ფუნქცია; 3)სოციალური წინააღმდეგობების შერბილებისა და განვითარების ევოლუციური ხასიათის უზრუნველყოფის ფუნქცია; 4)ინოვაციური და კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნის ფუნქცია; 5)კულტურული ფასეულობების დაცვისა და განვითარების ფუნქცია; 6)ჯანსაღი თაობის აღზრდის ფუნქცია; 7)კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღების ფუნქცია; 8)კადრებით "მომარაგების" ფუნქცია; 9)ადმინისტრაციულ-საშემსრულებლო რეგულიატორის ფუნქცია; 10) საზოგადოებაზე გავლენის მოხდენის ფუნქცია[5].

საქართველოში საშუალო კლასის ფორმირება-ზრდის პრობლემა აქტუალურია იმიტომ, რომ ის არის ქვეყანაში პოლიტიკისა და ეკონომიკის სტაბილურობის გარანტი. ადამიანებს, რომელთაც აქვთ მილიონები ან მილიარდები ნაკლებად აღელვებთ რა ხდება ქვეყანაში: საჭიროების შემთხვევაში ისინი ადვილად წავლენ საზღვარგარეთ და დაგროვილი ფულით იქ მოიწყობენ კომფორტულ ცხოვრობას. ასევე, ღარიბ ადამიანებს, რომელთაც არაფერი აქვთ დასაკარგი, მათაც შეუძლიათ რადიკალური ქმედება, არეულობის პირადი ინტერესებისათვის გამოყენება, ანუ „ამღვრეულ წყალში თევზის იოლად დაჭერა“.

იმ შემთხვევაში, როდესაც საზოგადოება მხოლოდ ღარიბების უდიდესი და მდიდრების უმცირესი რაოდენობით არის წარმოდგენილი, არსებობს დაპირისპირებული მხარეების შეჯახების დიდი ალბათობა ანუ რევოლუციური საშიშროება და, შესაბამისად, ქვეყნის პოლიტიკური არასტაბილურობის საფრთხე. ამასთან, მხოლოდ მდიდრებისა და ღარიბების სტრუქტურით წარმოდგენილ საზოგადოებაში ეფექტიან, ინოვაციურ ეკონომიკაზე და დემოკრატიულ, მიუკერძოებელ, თავისუფალ არჩევნებზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. ღარიბ-ღატაკი, მშიერ-მწყურვალი, ჩაუცმელ-დაუხურავი, სამედიცინო და საგანმანათლებლო მომსახურებას მოკლებული ადამიანის ეკონომიკური, შემოქმედებითი უკუგება და სოციალური აქტივობა დაბალია.

ამასთან, არჩევნებისას იგი აპრიორი (ავტომატურ რეჟიმში) იმისკენ იხრება, ვინც მას მისცემს ფულად თუ მატერიალურ დახმარებას. მოკლედ, ღარიბ-ღატაკი ადამიანი ვერანაირად იქნება დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებაში. აი, ასეთ პირობებში პოლიტიკურ ელიტასა და რადიკალურად მოაზროვნე მარგინალებს თავისუფლად შეუძლიათ გამოიწვიონ საპროტესტო აქციები, სამოქალაქო ომები, გადატრიალებები და რევოლუციები.

საშუალო კლასი კი არის საზოგადოების ის უპირატესი ნაწილი, რომელსაც ყველაზე მეტად აინტერესებს სტაბილურობა, რადგანაც მას აქვს კომფორტული ცხოვრება: ჯეროვანი განათლება, სტაბილური სამუშაო, ნორმალური შემოსავალი, გარკვეული ქონება, ავტორიტეტი, პერსპექტივა. სწორედ ამიტომ, რადიკალური ცვლილებები მათთვის ნაკლებად მიზიდველია, რადგანაც ამ შემთხვევაში მათი კომფორტული ცხოვრების წესი დაირღვევა. ეს იმას ნიშნავს, რომ საშუალო კლასი ყოველთვის აქტიურად დაიცავს და მხარს დაუჭერს არსებული ხელისუფლების კომპეტენტურ და გონივრულ პოლიტიკას.

ამავდროულად, საშუალო კლასი არის „მასობრივი“ ბიზნეს სეგმენტის ძირითადი სტიმული და ძრავა. მდიდარი ადამიანები ორიენტირებული არიან ძვირად ღირებულ, მდიდარ ბაზარზე: მათთვის იქმნება უნიკალური მანქანები, ფეშენებლურ უბნებში შენდება უნიკალური სახლები და ბინები, იწარმოება უნიკალური ტანსაცმელი და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი იწარმოება მცირე რაოდენობით. ფაქტობრივად, საქართველოში, სადაც მხოლოდ 500 შინამეურნეობა, ანუ 1500 მოქალაქეა ღარში მილიონერი, ანუ მთლიანი მოსახლეობის 0.04%-ი, აყალიბებს მოთხოვნას მხოლოდ ფუფუნების საგნებზე, რაც არ არის საკმარისი.

მაგრამ აი, საშუალო კლასის საქონელზე მოთხოვნა არის უზარმაზარი, ვინაიდან მას ყიდულობს ის, ვინც საშუალო კლასს მიეკუთვნება და ისიც, ვინც ესწრაფვის მასში შესვლას. ანუ, ეს ბაზარი არის ყველაზე მასიური, ყველაზე აქტიური და ყველაზე ფართო. და რაც მეტია საშუალო კლასის მოქალაქე, მით დიდია ეს ბაზარი (მით მეტი ფულია მასში), და მით მეტი კომპანიები ესწრაფვიან იქ მოხვედრას.

სწორედ ამიტომ, პოსტსაბჭოურ საქართველოში სოციალური კატაკლიზმების თავიდან აცილებისა და ნამდვილად დემოკრატიული საზოგადოების, კონკურენტუნარიანი, ინოვაციური ეროვნული ეკონომიკისა და ეფექტიანი სახელმწიფოს შექმნის საუკეთესო პირობაა ძლიერი საშუალო კლასის ფორმირება, რომელშიც მოსახლეობის ნახევარზე მეტი იქნება წარმოდგენილი.

რა კრიტერიუმებით უნდა მოვახდინოთ საშუალო კლასის იდენტიფიკაცია? მიუხედავად იმისა, რომ "საშუალო კლასის" ცნება ფართოდ გამოიყენება, მისი სიდიდის რაოდენობრივი შეფასების შესახებ ერთიანი აზრი და უნიფიცირებული მოდელი მაინც არ არსებობს. ყველაფერი დამოკიდებულია მეთოდოლოგიაზე. ამიტომაცაა, რომ საქართველოში საშუალო კლასის სიდიდის შეფასების რაოდენობრივ და შეფარდებით მაჩვენებლებთან დაკავშირებით ჩატარებულ კვლევებში ზოგჯერ ვხვდებით რეალობისაგან პრინციპულად განსხვავებულ მონაცემებს. ასე მაგალითად, „**მსოფლიო ბანკის მეთოდოლოგიით დათვლის შედეგებით, საქართველოში საშუალო ფენა 7%-ს არ აღემატება**, 32% ღარიბია, 37% - ზომიერად ღარიბი, 24% კი - მონყვლადი ჯგუფი“**[6]**. ამ მონაცემებით, საქართველოს მოსახლეობაში საშუალო კლასს, ჯერ ერთი, ერთობ მცირე კუთრი წონა უჭირავს, ხოლო, მეორე მხრივ, შეძლებულთა და მდიდართა ფენისთვის საერთოდ არ არის დატოვებული ადგილი, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

აღნიშნულზე მეტყველებს საქართველოში ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებული ნაშრომი **[7]**, სადაც ხაზგასმულია, რომ 2017 წლის მონაცემებით, საქართველოში **საშუალო კლასის რაოდენობა საზოგადოების 24.6%-ია** (თუმც, არც ამ კვლევაშია გამახვილებული ყურადღება შეძლებულთა და მდიდართა ფენაზე!).

ჩვენი აზრით, ქართველ მკვლევართა მიერ შემოთავაზებული საშუალო კლასის სიდიდის **24.6%-იანი** ციფრი უფრო ახლოსაა სინამდვილესთან, ვიდრე მსოფლიო ბანკის მიერ წარმოდგენილი **-7%**, რაც იმაზე მეტყველებს, რომ „მოვლენა შიგნიდან და გარედან სხვადასხვანაირად ჩანს“. „**24.6 პროცენტიან მონაცემთან**“ ახლოსაა ჩვენი კვლევის შედეგიც, რაშიც ქვემოთ დავრწმუნდებით.

ჩვეულებრივ, ექსპერტები საშუალო კლასის იდენტიფიკაციისათვის ერთი რომელიმე მთავარ კრიტერიუმს იყენებენ, რაც სინამდვილის ობიექტური შეფასებისათვის არაა საკმარისი. საქმე ისაა, რომ საშუალო კლასს ყველა აფასებს თავისი პროფესიული გადასახედიდან. ასე მაგალითად, **ეკონომისტები** აქცენტს აკეთებენ შინა მეურნეობების შემოსავლებრივ-ქონებრივ მდგომარეობაზე და ხარჯების მოცულობაზე; **სოციოლოგები** ყურადღებას ამახვილებენ განათლების დონეზე, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ინდივიდის პროფესიის შესაბამისად მდგრადი დასაქმება და ადეკვატური შემოსავლის მიღება, ასევე, თანამდებობაზე გამწესება და პოლიტიკაში გაცნობიერებული მოქმედება; **ფსიქოლოგები** კი ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ სუბიექტის მიერ საკუთარი კეთილდღეობის თვითშეფასებას და მოლოდინებს, ანუ იმას თუ ადამიანი ვის მიაკუთვნებს საკუთარ თავს შემოსავლებრივი და ქონებრივი მდგომარეობით. მოკლედ, ადამიანის საშუალო კლასად დანიშვნა „ზემოდან“ კი არ უნდა მოხდეს, არამედ ინდივიდი საკუთარ თავს თვით უნდა აღიქვამდეს საშუალო კლასად. ეს მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგანაც საშუალო კლასის წარმომადგენელი უნდა იყოს არა პატერნალისტური ფსიქოლოგიის, ანუ სხვის კმაყოფაზე მყოფი და ხელში შემყურე, არამედ საკუთარი კეთილდღეობის შემოქმედი და მჭედელი.

სხვადასხვა დარგის ექსპერტთა აზრთა ჭიდილი შეიძლება უსასრულოდ გაგრძელდეს,

მაგრამ, საბოლოო ანგარიშში, მივიღებთ საშუალო კლასის შეფასებისათვის არასაკმარის ინფორმაციას. სწორედ ამიტომ, **უმჯობესია ერთობლივად ვისარგებლოთ სამივე მიდგომით და ისე შევაფასოთ, თუ მოსახლეობის რამდენი პროცენტი შეიძლება მივაკუთვნოთ საშუალო კლასს საქართველოში.**

განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალო კლასი ყალიბდება იმ ინდივიდებისაგან (შინამეურნეობებისაგან), ვისაც აქვს: **1.განათლების დონე** უმაღლესი განათლება ან საშუალო პროფესიული განათლება; **2.დასაქმება** სტაბილური ბიზნესითა და უპირატესად არაფიზიკური, ინტელექტუალური და მაღალკვალიფიციური შრომით; **3.საკმარისი შემოსავალი.**

ინდივიდი (შინამეურნეობა), რომელიც ამ სამი კრიტერიუმიდან თითოეულს მინიმალური, საშუალო და მაქსიმალური რაოდენობით პასუხობს შესაძლებელია მიეკუთვნოს საშუალო კლასის ქვედა, შუა და ზედა ფენას. **ბუნებრივად იბადება კითხვა-როგორ გამოიყურება ზემოთ მოხმობილი სამი მთავარი კრიტერიუმი განვითარებულ ქვეყნებში და, კერძოდ, საქართველოში?**

განათლების კრიტერიუმი. ჩვეულებრივ, განვითარებულ ქვეყნებში განათლების კრიტერიუმი საკმარისია იმისათვის, რომ ადამიანი საშუალო ფენას მიეკუთვნოს. ეს იმიტომ, რომ სწორედ მასზეა დამოკიდებული დასაქმებისა და შემოსავლის კრიტერიუმის სიდიდე. ამის კარგი მაგალითია აშშ-ი და შვეიცარია, სადაც დასაქმებას, შემოსავლსა და განათლებას შორის უაღრესად მკაცრი კავშირია. ამ ქვეყნებში, რაც უფრო სტაბილურია ადამიანის დასაქმება და მაღალია შემოსავალი, მით უფრო მაღალია ალბათობა იმისა, რომ იგი საშუალოზე მაღალ განათლებას ფლობს. სხვა სიტყვებით, საანალიზო ქვეყნებში სახელდობრ განათლებას ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ლიფტი და არა რომელიმე კონკრეტული სოციალური, პოლიტიკური ან ფინანსური კასტის კუთვნილება, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე [8]. **აღსანიშნავია, რომ საქართველოშიც მოსახლეობის საკმაოდ ფართო ფენას აქვს ხელმისაწვდომობა განათლების სერვისებზე.** კერძოდ, საბაზო განათლებაში ჩართულობის მაჩვენებელი ახლოსაა გლობალურ მაჩვენებელთან, ხოლო ზოგად განათლებაში ჩართულობა კი ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებელს აჭარბებს. **ასევე, 25-64 წლის მოსახლეობის 35 პროცენტი ფლობს უმაღლეს განათლებას.** ეს მონაცემი შედარებითაა მაღალი შემოსავლის მქონე ევროპული ქვეყნების მონაცემებთანაც კი [9]. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოში უმაღლესი განათლების დიპლომირებული სპეციალისტებიდან ზოგი სოციალისტური ეკონომიკური სისტემის მცოდნეა, ქვეყანაში კი დღეს საბაზრო ეკონომიკური სისტემა ფუნქციონირებს; ზოგს აქვს ჯეროვანი პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, მაგრამ აცდენილია შრომის ბაზრის მოთხოვნებს, არის უმუშევარი, შემოსავლის უქონელი და, შესაბამისად, ღარიბი; ზოგს აქვს ბაზრის მოთხოვნის პროფესიული ცოდნაც და უნარ-ჩვევებიც, მაგრამ პატერნალისტური მენტალურობით ხასიათდება, ანუ სხვისი (სახელმწიფოს, ნათესავის, მეგობრის) ხელში შემყურეა და უარს ამბობს დასაქმებაზე; ზოგი არარაციონალური ქცევების ტყვეობაშია და ა.შ.

ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოში თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის უმაღლეს განათლებას ფლობს და საშუალო კლასისადმი მიკუთვნების განათლების კრიტერიუმს აკმაყოფილებს მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი. თუმცა, მხოლოდ განათლების კრიტერიუმით საშუალო ფენის იდენტიფიცირება მიუღებელია.

დასაქმების კრიტერიუმი. თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნების საშუალო კლასში შედიან მცირე და საშუალო საწარმოების მესაკუთრეები და მსხვილი საწარმოების ტოპმენეჯერები; ასევე, მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი სპეციალისტები, სახელმწიფო მოხელეები, შემოქმედებითი პროფესიის წარმომადგენლები და სხვა. ცხადია, საქართველოშიც მოსახლეობის ამ ჯგუფებს ეწოდებათ საშუალო კლასი და სწორედ მათი მატების ხარჯზე უნდა მოხდეს საშუალო ფენის ზრდა. **თუმცა, მსოფლიო-**

ში, ტრადიციულად საშუალო ფენა მაინც კერძო კომპანიების მენარმეებთან და თანამშრომლებთან ასოცირდება.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ბიზნესსექტორში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 659.7 ათასი კაცით განისაზღვრა. აქედან, დასაქმებულთა მთლიანი რაოდენობის 40.6 პროცენტი მსხვილ ბიზნესზე მოდის, 22.6 პროცენტი – საშუალოზე, ხოლო დარჩენილი 36.8 პროცენტი – მცირე ბიზნესზე. სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 304956 კაცი, ხვდრითი წილმა კი - 18%. მთლიანად კერძო და სახელმწიფო სექტორში დასაქმებულია 964 656 ადამიანი, ანუ ქვეყნის მოსახლეობის 25% [10].

მაშასადამე, საქართველოში ბიზნესსექტორში დასაქმებულთა და მაღალკვალიფიციური, დაქირავებულ მუშაკთა ჯამი, ანუ საშუალო კლასი მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 25%-ია.

შემოსავლების კრიტერიუმი. ეკონომიკურ მეცნიერებაში საზოგადოების სოციალური სტრატეფიკაციის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმდაა მიჩნეული საზოგადოების დაყოფა შემოსავლების მიხედვით. მსოფლიო ბანკის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების მიხედვით განვითარებად ქვეყნებში უკიდურესად ღარიბად, ანუ ლატაკად ითვლება ის, ვინც დღეში 1.25\$-ზე ნაკლებს ხარჯავს (საქართველოში დღეში - 3.8 ლარზე და თვეში - 94 ლარზე ნაკლებს); ღარიბი დღეში მოიხმარს მაქსიმუმ 2.5\$-ს (საქართველოში დღეში - 7.75 ლარზე და თვეში-232 ლარზე ნაკლებს); ზომიერად ღარიბი კი ჭამა-სმაზე, ჩაცმაზე, კომუნალურ ხარჯებზე და სხვაზე დღეში 5\$-ზე ნაკლებს (საქართველოში დღეში -15 ლარზე ნაკლებს, თვეში კი- 450 ლარზე ნაკლებს) სჯერდება.

მსოფლიო ბანკის, საქსტატის და საქართველოს შემოსავლების სამსახურის 2019 წლის მონაცემების მიხედვით საქართველოში ღარიბებსა და უკიდურესად ღარიბებს, ანუ ლატაკებს მიეკუთვნება 1 835 250 მოქალაქე, ანუ 539 779 ოჯახი, რაც მთლიანი მოსახლეობის 49%-ს შეადგენს. ზომიერად ღარიბთა ფენას მიეკუთვნება 745 000 მოქალაქე, ანუ 219 118 ოჯახი, რაც მთლიანი მოსახლეობის 20%-ია.

მაშასადამე, საქართველოში უკიდურეს ღარიბთა, ღარიბთა და ზომიერად ღარიბთა ფენა წაროდგენილია 2 580 250 ადამიანით, რაც მთლიანი მოსახლეობის 69%-ს შეადგენს.

ზოგის აზრით ამგვარი სიღარიბისა და სილატაკის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გადაჭარბებული საბანკო დავალიანებაა. ეს იმიტომ, რომ როდესაც ადამიანები იღებენ იმაზე მეტ სესხს, ვიდრე შეუძლიათ გადაიხადონ, ისედაც მცირე შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილი მიდის ვალების მომსახურებაზე და სხვა მოთხოვნიელებები დაუკმაყოფილებელი რჩება.

სინამდვილეში გადაჭარბებული დავალიანება სიღარიბისა და უკიდურესი სიღარიბის მიზეზი კი არა, შედეგია. ხალხი სესხულობს ფულს იმიტომ, რომ დაბალი შემოსავლები არ აძლევს მათ საშუალებას დაიკმაყოფილონ ელემენტარული, ყოველდღიური საჭიროებები კრედიტების აღების გარეშე. რომ აღარაფერი ვთქვათ იმ ფაქტზე, რომ მოსახლეობის უმრავლესობას არ აქვს დანაზოგი ე.წ. „უსაფრთხოების ბალიში“, რომელიც გამოყენებული იქნებოდა ისეთი გაუთვალისწინებელი, დაუგეგმავი ხარჯების დაფარვისათვის, როგორცაა, მაგალითად, სამუშაოდან განთავისუფლება, ქირურგიული ოპერაცია, სამედიცინო მკურნალობა, მედიკამენტების შეძენა და ა. შ.

რაც შეეხება საშუალო კლასის წარმომადგენელს, სამსულიან შინამეურნეობას დღეში აქვს 33.3\$-დან 167\$-მდე, თვეში კი 1000\$-დან 5000\$-მდე (საქართველოში დღეში -103 ლარიდან 517ლარამდე, თვეში კი- 3100 ლარიდან 15 500 ლარამდე). ჩვენ ვემხრობით ამ მოსაზრებას, ოღონდ გათვალისწინებული უნდა იქნას ოჯახის სულობრივი რაოდენობა, ქვეყნის განვითარება, ასევე ისიც, ქალაქში ფასდება საშუალო კლასი, თუ სოფლად.

ამგვარად, საანალიზო, შემოსავლების კრიტერიუმით საქართველოში საშუალო კლასს მიეკუთვნება 305 589 ოჯახი, ანუ 1 039 000 მოქალაქე, რაც მთლიანი მოსახლეობის 27.8%-ია.

ხაზგასასმელია, რომ საქართველოში დაახლოებით 27.8 პროცენტთან საშუალო ფენას, სწორედ შედარებით მცირე რაოდენობისა და სუსტი პოზიციების გამო არ ძალუძს სრულად განახორციელოს ის ფუნქციები, რასაც იგი ასრულებს განვითარებულ ქვეყნებში. მიუხედავად ამისა, სწორედ მისი დამსახურებაა, რომ დღევანდელ საქართველოში მართალია არამდგრადი, მაგრამ მაინც სტაბილურობაა. ქართული საშუალო კლასის არასახარბიელო პოზიციები უნდა აიხსნას, როგორც მცირე და საშუალო ბიზნესის, ისე ეკონომიკის ინოვაციური და ადამიანური კაპიტალის განვითარების დაბალი დონით.

საქართველოში შეძლებულთა ფენის წარმომადგენლები წელიწადში ღებულობენ 200 000 ლარიდან მილიონ ლარამდე შემოსავალს, **მდიდრები კი წელიწადში** - მილიონ ლარზე მეტს. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოში **შეძლებულთა ფენას მიეკუთვნება** 30 676 ოჯახი, ანუ 104 300 მოქალაქე, რაც მთლიანი მოსახლეობის **2.8%-ია**. **მდიდართა ფენას კი მიეკუთვნება** 500 ოჯახი, 1500 მოქალაქე, რაც მთლიანი მოსახლეობის **0.04%-ია**. **მაშასადამე, საქართველოში მდიდართა და შეძლებულთა სვედრითი წონა შეადგენს 2.84%-ს.**

ზემოთ განხილული საშუალო კლასის შეფასების მთავარი კრიტერიუმები შინა მეურნეობებსა და ინდივიდებს შესაძლებლობას აძლევთ: მეტნაკლებად ფლობდნენ სამუშაო მდგომარეობაში მყოფ უძრავ (ბინა, სახლი, აგარაკი) და მოძრავ (მსუბუქი ავტომანქანა, მაცივარი, სარეცხის მანქანა, ტელევიზორი, კომპიუტერი ინტერნეტზე წვდომით, და სხვა) ქონებას, საბაზისო კომუნალურ ინფრასტრუქტურას, ფიქტიურ კაპიტალს (ფასიან ქაღალდებს-აქციებს, ობლიგაციებს); საკუთარი სახსრებით მიიღონ სამედიცინო, საგანმანათლებლო და კულტურული მომსახურება; შვებულება გაატარონ საზღვარგარეთ ორგანიზებულ ტურისტულ მოგზაურობაში; შეიძინონ სასურსათო და პირველადი მოხმარების საქონელი; დაზოგონ დროებითი თავისუფალი ფული, რათა ავადმყოფობის, სამსახურიდან გათავისუფლების, ანაზღაურების შემცირების, გამრავლებისა ან პენსიაზე გასვლის შემთხვევაში სიღარიბის ზღვარს ქვემოთ არ აღმოჩნდნენ. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად მნიშვნელოვანია, ასევე, ადამიანებმა ობიექტურად მოახდინონ საკუთარი თავის იდენტიფიცირება საშუალო კლასის წარმომადგენლად.

როგორ გამოიყურება საშუალო კლასის სტრუქტურული ელემენტები? საშუალო კლასის სტრუქტურის დახასიათებისას იკვეთება ორგვარი მიდგომა: პირველი მიდგომისას მეცნიერები საშუალო კლასს განიხილავენ, როგორც ერთგვაროვან წარმონაქმნს, რომელშიც შედიან მცირე მენარმენი, ხოლო მეორე მიდგომის თანახმად -“საშუალო კლასი” არაერთგვაროვანია. ამასთან, პირველი მიდგომისას ხაზი ესმება იმ გარემოებას, რომ “შუა საშუალო კლასის” წარმომადგენლებს “ქვედა საშუალო კლასთან” შედარებით უკეთესი შემოსავალი და შრომის პირობები აქვთ, ხოლო “ზედა საშუალო კლასის” ადამიანებთან შედარებით მათი პოზიციები უარესია.

მეორე მიდგომისას კი თვით “საშუალო კლასს” შიგნით გამოიყოფა ორი ძირითად ჯგუფი: **ძველი და ახალი საშუალო კლასი**. პირველი ჯგუფი ეს არის “ძველი საშუალო კლასი”, რომელიც მოიცავს წვრილ და საშუალო მენარმეებს და ხასიათდება რაოდენობის ცვალებადობით. თუმცა, მოსახლეობის შემადგენლობაში მისი ხვედრითი წილი რჩება მაღალი. ეს იმით აიხსნება, რომ მუდმივად მიმდინარეობს გაკოტრებული მენარმეების “თამაშიდან გასვლის პროცესი”, რომელიც წონასწორდება იმ ადამიანთა ახალი ნაკადით, რომელთაც სურვილი აქვთ საკუთარი შესაძლებლობების გამოცდისა საკუთარ ბიზნესში.

მეორე ჯგუფი ეს არის “ახალი საშუალო კლასი”, რომელიც შედგება ინტელექტუალური შრომით დაკავებული მაღალანაზღაურებადი დაქირავებული მუშაკებისაგან. “ახალი საშუალო კლასის ზედა ფენა” მოიცავს „თეთრ და ლურჯსაყელოიან“ მენეჯერებს, მაღალი კლასის სპეციალისტებს (ფინანსისტი, იურისტი, მარკეტოლოგი), რომლებიც დასაქმებულნი არიან მსხვილი ბიზნესის სფეროში და სახელმწიფო მოხელეებს; **“ახალი საშუალო კლასის შუა ფენას”** მიეკუთვნება შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები: მწერლე-

ბი, რეჟისორები, პროფესორები; **“ახალი საშუალო კლასის ქვედა ფენას”** წარმოადგენს მრავალფეროვანი ჯგუფი ადამიანებისა (მასწავლებლები, ექიმები, მოსამსახურეები და სხვა), რომელიც რიგი პარამეტრების მიხედვით წააგავს მუშათა კლასს [11].

როგორია საქართველოში, “საშუალო კლასის” განვითარების დინამიკა? აღსანიშნავია, რომ 2009 წელს საშუალო კლასს შინამეურნეობების 7.4 პროცენტი განეკუთვნებოდა, 2017 წელს - შინამეურნეობების 24.6 პროცენტი [12]. **როგორც უკვე ითქვა, 2019 წელს, ანუ კორონაპანდემიამდე, საქართველოში საშუალო კლასმა შეადგინა მთლიანი შინამეურნეობების 27.8% და 2009 წლის მაჩვენებელთან შედარებით 3.7-ჯერ გაიზარდა.** შესაბამისად, 2009-2019 წლებში საქართველოში დაფიქსირდა გარკვეული პოზიტიური ტენდენციები მცირე და საშუალო საწარმოების მესაკუთრეების, მსხვილი საწარმოების ტოპმენეჯერების, ქვეყნისა და რეგიონულ დონის უმაღლესი და საშუალო რანგის სახელმწიფო მოხელეების, საბიუჯეტო დაწესებულებების (უნივერსიტეტები, საავადმყოფოები, სკოლები და სხვა) ხელმძღვანელების, ძალისმიერი უწყებების უმაღლესი და საშუალო რანგის თანამშრომლების, მეცნიერების, რეჟისორების, მწერლების, ტალანტიანი სპორტსმენებისა და მსახიობების, კვალიფიციური ექიმების, პედაგოგების, იურისტების ზრდა. ასევე, გაიზარდა დეკლარირებული შემოსავლების მქონე მოქალაქეთა რიცხვი, საშუალოთა კლასი. გარდა ამისა, განხორციელდა მოსახლეობის უღარიბესი ნაწილის გადასვლა შედარებით უკეთეს, ზომიერად ღარიბების მდგომარეობაში.

2020-2021 წლებში კი გართულებული პანდემიური მდგომარეობით გამოწვეული აკრძალვებისა და შეზღუდვების გამო ახალი ბიზნესების რეგისტრირებისა და მოქმედი ბიზნესების შემცირებამ, მუშაკთა სამუშაოს დაკარგვამ, შემოსავლების შემცირებამ, უხელფასო შვებულებაში გაშვებამ, ინფლაციამ, დევალვაციამ, საზოგადოებრივ ტრანსპორტზე შეზღუდვების დაწესებამ და სხვა ფაქტორებმა **საშუალო კლასი დაახლოებით 3.8%-ით შეამცირა და დაიყვანა 24%-მდე**, ხოლო ღარიბთა, ზომიერად ღარიბთა და მდიდართა რაოდენობა რამდენადმე გაზარდა.

რასაკვირველია, ოცდაათხუთპროცენტიანი ქართული საშუალო კლასი თავის როლს საზოგადოებაში ვერ შეასრულებს. ეს იმიტომ, რომ განვითარებული ქვეყნების გამოცდილებიდან გამომდინარე, საშუალო კლასი საკუთარ იმანენტურ ფუნქციებს ეფექტიანად ასრულებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსახლეობის 50%-ს აღემატება.

აქვე ვიტყვი იმასაც, რომ საქართველოს აქვს პოტენციალი გააორმაგოს მთლიანი შიდა პროდუქტი და **შექმნას სოლიდური საშუალო კლასი 2030 წლისთვის**, თუკი ის შეინარჩუნებს საშუალო წლიურ ზრდას 5 პროცენტით. ერთ-ერთი რეალური გზა ამ ზრდისაკენ არის გაზრდილი ტოტალური მწარმოებლურობის ფაქტორი, ამ მაჩვენებლის გაუმჯობესება კი მოითხოვს ადამიანურ კაპიტალში ინვესტირების ზრდას [13].

მართალია, საკარანტინო შეზღუდვების დროს საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილი 200 ლარის შემწეობა (დაახლოებით 60 აშშ დოლარი), რომელიც სახელმწიფომ გადაუხადა კორონა პანდემიის გამო სამუშაოს გარეშე დარჩენილებს, მართლაც მნიშვნელოვანი მხარდაჭერა იყო დაბალი შემოსავლიანებისთვის, მაგრამ იმ ადამიანებისთვის, რომელთა შემოსავალი იყო 1000-1500 ლარი, 200 ლარი ვერ აღმოჩნდა საკმარისი საშუალო კლასის რაოდენობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის [14].

რა შესაძლებლობები არსებობს საქართველოში საშუალო კლასის რაოდენობისა და ხარისხის ზრდისა? ძალიან ბევრი მწარმოებრივი და შემოქმედებითი პოტენციალის ადამიანი (ახალგაზრდები, საბიუჯეტო ორგანიზაციების მუშაკები), დღესაც შრომის ბაზრის მოთხოვნის, პატერნალისტური მსოფლმხედველობისა და არარაციონალური ქცევების ტყვეობაში იმყოფება. სწორედ ამ ადამიანების ხარჯზე, რომელთაც სურთ, მაგრამ დღემდე ვერ მოუხერხებიათ თავიანთი თავის რეალიზება მცირე და საშუალო ბიზნესში ან, ვთქვათ, შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში, უნდა გაიზარდოს საშუალო კლასი და შრომის მწარმოებლურობა. არიან ზომიერად ღარიბებიც (საქართველოში დაახლოებით

10%-20%), რომლებიც უკვე აღარ არიან ღარიბები, მარამ ჯერ კიდევ არ გადასულან "საშუალო კლასში". **მას შეიძლება ვუნოდოთ ღარიბებიდან "საშუალო კლასში" გარდამავალი ფენა.**

აღნიშნული შესაძლებლობების გამოყენებისა და საქართველოში საშუალო კლასის რაოდენობისა და ხარისხის ზრდისთვის, ჩვენი აზრით, საჭიროა:

-ქვეყანაში იმგვარი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიმართული იქნება ხელისუფლების სოციალური დასაყრდენის, საშუალო კლასის ზრდა-განმტკიცებისაკენ, რაც სერიოზულ საფუძველს შეუქმნის ქვეყანაში პროგნოზირებად სტაბილურობას, ინვესტიციებს, სამუშაო ადგილებსა და ინკლიუზიურ ეკონომიკურ ზრდას და - პირიქით;

-ყურადღება მიექცეს, არა მხოლოდ საშუალო კლასის სიდიდეს, არამედ მის სტრუქტურულ ელემენტებსაც. მაშინაც კი, თუ საშუალო კლასის სიდიდე არ შემცირდება, მისი გასახელმწიფობრიობა გააუარესებს ქვეყნის განვითარების პერსპექტივას, რადგან მას შეავსებენ ადამიანები, რომლებიც ეკონომიკას კი არ ამოდრაობენ, არამედ ხელისუფლების იმედზე არიან;

-ადამიანური კაპიტალის კვლავწარმოების დაფინანსების გაზრდა 1,5-2-ჯერ, რაც შესაძლებელს გახდის, მართლაც რეალური ღირსეული ხელფასი მიიღონ ტიპიურმა ექიმებმა, მასწავლებლებმა, სოციალურმა მუშაკებმა და მასიურად შეავსონ საშუალო კლასი საბიუჯეტო დანესებულებების ხელმძღვანელებთან ერთად;

-მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარდეს სიმეტრიულად დარგობრივ, რეგიონალურ და გენდერულ ჭრილში;

-განათლების მთლიანი სისტემა ამუშავდეს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად. ახალგაზრდებს სასკოლო პროცესში ხელი შეეწყოს სამეწარმეო უნარების დაუფლებაში;

- ხელი შეეწყოს მენარმეობრივი სულისკვეთების ადამიანებში ბიზნეს-განათლების ფართოდ გავრცელებას, რადგანაც სწორედ ბიზნეს-განათლებაა ის, რაც ყველაზე გაჭირვებულსაც კი გარდაქმნის შეძლებულად;

-ჩამოყალიბდეს მაქსიმალურად კომფორტული გარემო და ქმედითი სტიმულები მენარმეობრივი საქმიანობისა და ადამიანთა შესაძლებლობების თვითრეალიზაციისათვის. მცირე ბიზნესი, რომელიც აყალიბებს საშუალო კლასის ძირითად ბირთვს, სახელმწიფოსა და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან საჭიროებს მეტ ინფორმაციულ, ეკონომიკურ, მატერიალურ-ტექნიკურ, ორგანიზაციულ, ფინანსურ, სამართლებრივ, ინფრასტრუქტურულ და კონსულტაციურ მხარდაჭერას.

-ინოვაციურ ბიზნეს-პროექტებზე დაწესდეს საგადასახადო შეღავათები და შემოღებული იქნას საკრედიტო პროცენტის სახელმწიფოებრივი სუბსიდირება, ან თანაგადახდა, ასევე, ხელსაყრელი საიჯარო პირობები, გრანტები;

-სატრანზიტო ფუნქციაზე, იმპორტზე და გარედან მიღებულ შემოსავლებზე ორიენტირებული ქვეყნიდან, საიდანაც მცირეა მაღალ ანაზღაურებადი სამუშაო ადგილები, საქართველომ გარდავემნათ ინოვაციურ ეკონომიკად, რომლის ეფექტიანი ფუნქციონირება შეუძლებელია მაღალკვალიფიციური და მაღალანაზღაურებადი, შემოქმედებითი სამუშაო ადგილების გარეშე;

-შეიქმნას ხელმისაწვდომი უწყვეტი და ეფექტიანი განათლების სისტემა ჰორიზონტალური და ვერტიკალური სოციალური მობილურობისათვის (პროფესიული მომზადების, კვალიფიკაციის ამაღლების, გადამზადებისა და ტრინინგების ფართო ქსელი), რათა საშუალო და წინასაპენსიო ასაკის ადამიანები შრომის ბაზარზე დარჩნენ კონკურენტუნარიანნი. რაც იმას ნიშნავს, რომ, ვთქვათ, 50 წლის მამაკაცს შეეძლება კვალიფიკაციის ამაღლება, პროფესიის შეცვლა, უნარ-ჩვევების გამომუშავება და კიდევ მინიმუმ 15 წელი ეფექტიანი მუშაობა სპეციალობის მიხედვით;

-მასობრივად ხელმისაწვდომი გახდეს საკრედიტო (იპოთეკური) სქემით ბინებისა და ხანგრძლივი მოხმარების საგნების შეძენა, რათა წახალისდეს ერთობლივი მოთხოვნა და ინკლიუზიური ეკონომიკური ზრდა;

-ჩამოყალიბდეს იმგვარი ჯანდაცვის სისტემა, რომელიც სახელმწიფოებრივ სამედიცინო მომსახურებასთან ერთად, ასევე წაახალისებს დამქირავებლებისა და დაქირავებულების ნებაყოფლობით მონაწილეობას სამედიცინო დაზღვევის პროგრამაში;

-ფართო პროპაგანდა გაენიოს საშუალო კლასის ახალი "სახის" (მენეჯერები და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლები, იურისტები, ექიმები, პედაგოგები) მიღწევებს. ამ ადამიანებმა საზოგადოებაში უნდა ჰპოვონ ჯეროვანი პატივისცემა და აღიარება. ისინი უნდა გადაიქცნენ წარმატებული სოციალური ქცევის ნიმუშად. მაგალითად, საქართველოში წლის საუკეთესო მენარმე უნდა გამოვლინდეს არა მხოლოდ მსხვილ მენარმეებს, არამედ მცირე და საშუალო ბიზნესმენებს შორისაც.

და ბოლოს, იმისათვის, რომ საქართველოს საშუალო კლასმა მოიცილას მოსახლეობის ნახევარზე მეტი, ჩვენი გათვლებით, აუცილებელია მინიმუმ ათი წელი, რადიკალური ცვლილებები ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ სფეროში, ანუ საჭიროა მთლიანად ქვეყნის გარდაქმნა. ამასთან, საქართველოს მიზანია არა უბრალოდ საშუალო კლასის ფორმირება, არამედ მისი გადაქცევა კონკურენტუნარიან, საყოველთაო, მაგრამ დიფერენციული კეთილდღეობის, აყვავებულ და თანამედროვე ქვეყნად.

ლიტერატურა:

1. Сокращение среднего класса угрожает росту мировой экономики. [https://www.vedomosti.ru/economics/articles/2019/04/.](https://www.vedomosti.ru/economics/articles/2019/04/)
2. .А.Н. Зубец, А.С. Сазанаква. Оценка численности среднего класса в России по итогам 2013 года // журнал «Финансы». — 2014. — № 7. — С. 72-73.
3. 3.Максим Рубченко. Что значит в России “средний класс <https://ria.ru/20180620/1522978813.html>”
4. Ushangi Samadashvili, Business and middle class in modern Georgia. III International Conference on Economic Sciences “Functioning of economic systems in the global world”. The conference materials are assigned ISBN Issued by Austria, USA and Canada. 2018. P.14-15
5. უშანგი სამადაშვილი. საშუალო კლასის ფორმირება-დომინირების პრობლემები საქართველოში. ჟურნ. ეკონომიკა და ბიზნესი. 2009წ. №5 გვ. 11-13.
6. <https://commerciant.ge/ge/post/saqartveloshi-sashualo-fena-7-dan-25-mde-gaizarda-vin-da-rogor-daitvales-sashualo-klasi>).
7. მერაბ კაკულია, ნოდარ კაპანაძე. საშუალო კლასი საქართველოში: როდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა. თბ. 2018წ. გვ. 58.
8. <https://aboutswiss.ch/voprosy-o-shvejtsarii/kto-otnositnya-k-srednemu-klassu-v-shvejtsarii/>
9. გადარჩენა, სწავლა, კეთილდღეობა. სტრატეგიული ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში საქართველოს პოტენციალის განვითარებისთვის. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი/ მსოფლიო ბანკი.2020წ. გვ.21.
10. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019.
11. Средний класс в современной России / Отв. ред. М. К. Горшков, Н. Е. Тихонова; Ин-т социологии РАН. — М.: 2008. — 320 с.
12. მერაბ კაკულია ნოდარ კაპანაძე. საშუალო კლასი საქართველოში: როდენობრივი შეფასება, დინამიკა და პროფილი. ეკონომიკურ-სტატისტიკური გამოკვლევა. თბ. 2018წ. გვ. 56;58.
13. გადარჩენა, სწავლა, კეთილდღეობა. სტრატეგიული ინვესტირება ადამიანურ კაპიტალში საქართველოს პოტენციალის განვითარებისთვის. 2020წ. რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკი/ მსოფლიო ბანკი.
14. Подробности: <https://regnum.ru/news/polit/2931751.html>

Middle class in Georgia: The Situation, Challenges, Opportunities

Ushangi Samadashvili

Associate Professor, Doctor of Economic Sciences

Ivane Javakishvili Tbilisi State University

SUMMARY

The present paper presents the essence and significance of the middle class; The urgency of forming a middle class in Georgia is substantiated; The main criteria for identifying the middle class are identified; The size and structural elements of the Georgian middle class are determined according to the selected criteria; Characterized by middle-class dynamics and condition before and after coronapandema; Opportunities for increasing the quantity and quality of the middle class in Georgia have been identified and suggestions and recommendations for their effective use have been developed.

Keywords: *middle class, identification, criterion, dynamics, stability*

პერსონალური გაყიდვების შესახებ ახალი განმარტება და ქრისტიანული სწავლება

მაია სეთუხი

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასისტენტ-პროფესორი

სტატიაში განხილულია პერსონალური გაყიდვების შესახებ ახალი განმარტება და მასთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები. ისინი გადმოცემულია ქრისტიანული სწავლების მიხედვით უმნიშვნელოვანეს ასპექტებთან მიმართებით. სტატიაში მოყვანილია ის მსგავსი მიდგომები, რომლებიც მნიშვნელოვანია ქრისტიანული მართლმადიდებლური შეხედულებების მიხედვით და შეგანილია გაყიდვების ე.წ. „ოქმის წესში“. სტატიის ავტორი მიიჩნევს, რომ, თუ გაყიდვების სფეროში დასაქმებული ადამიანი ახის ეთიკური ქცევის მქონე პიროვნება, იზიარებს ქრისტიანულ შეხედულებებს ცხოვრებაში, მას შეუძლია მიაღწიოს უფრო მეტ შედეგებს და გზიდვადიან წახმაგებებს თავის პროფესიულ საქმიანობაში.

საკვანძო სიტყვები: გაყიდვების პერსონალი, ქრისტიანული სწავლება, „ოქმის წესით“ გაყიდვები.

გაყიდვების პერსონალი არის დაკავებული რთული პროფესიული კარიერით. პერსონალური გამყიდველი ხშირად მუშაობს პოტენციურ მყიდველებთან, რათა შეისწავლოს მათი მოთხოვნილებები, მიიღოს მათგან ინფორმაცია, შესთავაზოს შესაბამისი პროდუქტი და გაყიდვის შემდეგ უზრუნველყოს მათი კმაყოფილება. პერსონალური გაყიდვის შესახებ ტრადიციული განმარტება მოიცავს კომუნიკაციებს გამყიდველსა და მყიდველს შორის. ტრადიციული გამყიდველების საქმიანობა ძირითადად მიმართულია გაყიდვების უზრუნველყოფაზე, მათთვის სხვა ადამიანების პრობლემების გაზიარება არ არის მნიშვნელოვანი, შემოსავალი და ფული მათთვის მთავარი მოტივატორია.

პერსონალური გაყიდვების შესახებ ტრადიციული განმარტებისაგან განსხვავდება ახალი განმარტება. პერსონალური გაყიდვის ახალი განმარტება შეიცავს სიტყვას „უანგარო“, რითაც ის განსხვავდება ტრადიციული განმარტებისაგან. პერსონალური გაყიდვების ახალი განსაზღვრება გულისხმობს გაყიდვების ისეთ პერსონალს, რომელიც ეხმარება სხვა ადამიანებს გაყიდვების საშუალებით. სიტყვა „უანგარო“ პერსონალური გაყიდვების შესახებ განმარტებას სრულიად ახალ შინაარსს სძენს და ცვლის ადამიანების შეხედულებებს გაყიდვის პერსონალის მიმართ (Futrell, Charles; 2011).

სიტყვა „უანგარო“ მოუწოდებს გაყიდვების პერსონალს იზრუნოს მომხმარებელზე, ემსახუროს, დაეხმაროს პიროვნებას ან ორგანიზაციას სანაცვლოდ რაიმეს (მოგების) მიღების მოლოდინის გარეშე. გაყიდვების შესახებ „უანგარო“ მიდგომა გულისხმობს იმას, რომ პერსონალური გამყიდველები უნდა მოემსახურონ თავიანთ მომხმარებელს უანგაროდ და ეთიკურად, და არა მხოლოდ შემოსავლის და სარგებლის მისაღებად.

ქრისტიანულ სწავლებაში ყურადღება გამახვილებულია სწორედ იმაზე, რომ ქრისტიანისთვის კერპთმსახურებად ითვლება ცოდვითი მიდრეკილებებისადმი მონობა. ბევრი ადამიანი მიისწრაფის შეიძინოს სიმდიდრე, ზოგიერთი პატივმოყვარეობის ავადმყოფური სენით არის შეპყრობილი; ზოგს მთავარ საქმედ ხორციელი სიამოვნება გაუხდია, სხვები ლოთობენ, აზარტულ თამაშებს მისდევენ და ა.შ. ღმერთი და მისთვის მსახურება კი აღარ ახსოვთ. თვით ცოდნის შეძენის სურვილი და მეცნიერულ აღმოჩენათა სიმრავლე ფასს კარგავს, თუ მას რწმენა და სიყვარული არ განსაზღვრავს. რადგან ასეთი ცოდნა შეიძლება დიდი ბოროტების მომტანი გახდეს. ამის შესახებ არის მინიშნება მეორე მცნებაში: „**არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსი, რაოდენი არს ცათა შინა ზე, და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა: არა თაყვანი-სცე მათ, არცა მსახურებდე მათ**“ (ათი მცნება).

პერსონალური გაყიდვების ახალი განმარტების თანახმად, გაყიდვების პერსონალი ვერ დაამყარებს გრძელვადიან ურთიერთობებს მომხმარებლებთან, თუ იგი საკუთარ ინტერესებს პირველ ადგილზე აყენებს. ამ დროს სხვა ადამიანების ინტერესები ყველაზე მნიშვნელოვანია. ქრისტიანულ სწავლებაში ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, ქრისტიანობის არსი არის სიყვარული, რაც უფლის უმაღლესი მცნებაა. იესო ქრისტემ მოგვინოდა: „**შეიყუარო მოყუასი შენი, ვითარცა თავი თვისი. უფროდს ამათ-სა სხუად მცნებად არა არს**“. (ახალი აღთქმა, მარკოზის სახარება, თ.12 -31). ამ სწავლების თანახმად, ქვემარტივი მორწმუნე ის არის, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე კი არ ზრუნავს, არამედ მოყვასზე. რაც საქმით უნდა გამოიხატოს და ყოველი მოქმედება უნდა ასახავდეს მოყვასზე ზრუნვას (**მაჭარაშვილი თ., 2008**).

პერსონალური გაყიდვების ახალი განმარტების თანახმად, გაყიდვის მუშაკმა სწორი ინფორმაცია უნდა მიიწოდოს მომხმარებელს: რა პროდუქტია, რისი გაკეთება შეუძლია მას; დაადგინოს საუკეთესო ფასი მომხმარებლისათვის საჭირო პროდუქტზე, მიიწოდოს იგი დროულად; უზრუნველყოს გაყიდვის შემდგომი მომსახურება, რათა დარწმუნდეს, რომ მომხმარებელი კმაყოფილია შენაძენით. შეუძლებელია, რომ გაყიდვის პერსონალმა შეძლოს პოზიტიური ურთიერთობები დაამყაროს მომხმარებლებთან, თუ იგი მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე ზრუნავს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაყიდვების მუშაკმა არ მოატყუოს მყიდველი, სიმართლე უთხრას მომხმარებელს პროდუქტის შესახებ (**Seturi, M., 2019**).

ზუსტად იგივე დასტურდება შვილის სოციალურ-კულტურულ შინაარსთან დაკავშირებით საქართველოს ყველა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულში. „შვილი ადამიანებს ეძლევათ ღმერთისგან. ამიტომ მემკვიდრე უნდა აღზარდო ქვეყნის და მტრისაც წინაშე მოყვარული მისიის მატარებლად და არა „ჩემებურად“, „როგორც შევძელი“ მიდგომით“. საქართველოში ყველგან გეტყვიან, რომ მშობელი ხარობს, „თუ მართლა შვილი, ანუ ყველა-სთვის ნათელი კვალი, მხარი აღზარდა“; „შვილი ღვთის ნებით გაჩენილია მისსავე სახედ. ამიტომ შენ უნდა აღზარდო, ქვეყანას როგორც გამოადგება, წინაპრის კვალზე, უფლის რწმენით. შეასრულებ მისიას აღზრდი შვილს სწორად? საზღაურს აბრუნებ შენ, როგორც შვილი და, როგორც შვილის აღმზრდელი“.

მდრ., ქრისტიანული: „შენ ძე ხარ ჩემი, დღეს გშობე შენ [ფსალმუნები 2:7] (<https://mybible.ge/gvtis-shvilebi/> დადასტურება 19.07.2021) და ხალხურ ტრადიციული - „ღვთის შვილი“.

საქართველოს ყველა კუთხეში ხაზგასმით გეტყვიან ქალის მეტი პასუხისმგებლობის შესახებ. ერთხელ უკვე ვწერდით და აქაც შევნიშნავთ, რომ ქართველოში **ქალი „წულია“, „ქალიშვილია“, „მანდილოსანი დედაკაცია“. წული ქალის, ქალიშვილის და მანდილოსანი დედაკაცის**

1 გასაზიარებელი შეხედულებით, ტერმინი გარდა კონფესიურობისა, მართებული ცხოვრებისეული გზის აღმნიშვნელია

იღნგუხია „შვიდ ქაღიც“. შვიდ ქაღიცის მთავარი განმსაზღვრელიც „სოფელ-ქვეყნის და სახლობის ბუჩქობასთან ერთად უბინო, „ხოცის აუყოლავი“ მანდილიანობაა, „გაუდანძლავი ღიხსებიანობის“ აღმნიშვნელია და ახა მხოლოდ დეფლოხაციურ მდგომარეობის. ეთნოგრაფიული მასალა: „შვილი წმინდა ქალია, შვილ ქალობა ადამიანობის მწვერვალობაა“ (მთხრობელი, გ. არუთინოვი. თელავი. 2017); „შვილ ქალი ღვთისმშობლის მსგავსი უბინოა, მიწაა, საყრდენია შენი და სახლობის“ (მთხრობელი, ფ. ფიცხელაური, ყაზბეგი 2017); „ქალობა შინაარსია და არა ფიზიკურობა. სუფთა, კეთილით სავსეობის მდგომარეობაა“ (მთხრობელი, რ. რომანაძე. აჭყვისთავი. 2015); „ქალობა სიყვარულის, სიკეთის მაზეიმებელი მოცემულობაა და არა მართო სხეული“ (ლ. გოლეთიანი. ლეჩხუმი, ნაკურალეში, 2017); „ქალობა სიცოცხლის მშობლობა, ცხოვრების სანთელ-საკმეველობაა, დედაობაა, შვილობაა. არსია და არა მხოლოდ სხეული“ (მთხრობელი, ნ. კბილაძე. ნიკორწმინდა. 2005); „ქალობა უფლისმიერი სიკეთეა, ფიზიკურს არ აყოლილი სუფთა ღირსებაა“ (მთხრობელი, მთვ. სიჭინავა. ნოღა. 2014); „ქალობა წმიდაობაა, ზნეობიანი პასუხისმგებლობაა. უბინო ქალის დედაობა, საამაყო“ (მთხრობელი, ფ. გოგოლაშვილი. ოზურგეთი. 2007); „ქალობა, დედაობა ნიშნავს იყო გმირი, სამოთხისკენ გზის მკაფველი უბინოებით“ (მთხრობელი, ელდ. დვალისვილი. სულორი. 2015); „ქალობა მისიაა ღიხსებიანობის“ (მთხრობელი დ. ღვაჩლიანი. უშგული. 1998); „ქალიშვილი ხორციელებას, საკუთარის წინ დაყენებას არ ნიშნავს. ქალობა ძალაა ღვთიური, ღირსებაა“ (მთხრობელი, ც. კაჭარავა. ნოღოხაში. 2000წ).

„სულის სინმინდე, თავისთავად უპირისპირდება ხორცის უწმინდურობას. აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ადამიანი თავისი არსებით შედგენილია ორი ხარისხობრივად საპირისპირო სუბსტრატისაგან, წმინდისა და უწმინდურისაგან, რომელთაგან პირველი, სული, - ციური საწყისიდან მომდინარეობს, ხოლო მეორე, ხორციელეობა მიწას განეკუთვნება. თავის მხრივ ეს დაპირისპირებანი ემთხვევა ციურსა და მიწიერს, ხოლო ეს უკანასკნელი კი კეთილისა და ბოროტის ზოგიერთ ასპექტს“ (ირ. სურგულაძე, 2002). ამ აღნიშნულ სინამდვილეს ქართველმა ქალმა შეუნივთა, წესად იქცია „ხორცის, „მე“-ს მიუდევნელი უბინო“ ცხოვრების შინაარსი. ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიით უბინოება სულისა და სხეულის სინმინდეა. სიძვა დამარცხდება მუდმივი სიფხიზლით, თავის დამდაბლებით, სხეულის სულისადმი დამონებით (<http://martlmadideblob-a.ge/mogvatseoba26.html>). წმინდა მღვდელთმთავარი ტიხონ ზადონელის სწავლებით: „... ღვთის წინაშე ხარ, ის ყველგან გხედავს და უყურებს შენს საქმეებს, სიტყვებსა და აზრებს. როგორ გაბედავ ღვთის წინაშე შესცოდო და თავი შეიბილწო? გაფრთხილდი, არა მხოლოდ საქმით, არამედ აზრითაც არ შესცოდო“. **მაგალითისთვის:** ფებრონიამ, მორწმუნემ და უფლისთვის თავშენიერულმა ქალმა, მიუხვდა რა ზრახვას მიწიერ ხელმწიფეს, აშოტ კურაპალატს კარები ცხვირში მიახეთქა, ზნეობრიობისკენ მოუწოდა, „სიძვის დიაცია“ კი მომავლის უღირსებობას გადაარჩინა; ჩვეულებრივი რიგითი ადამიანი იყო გურიის სოფელ ბახვის მკვიდრი „სასტიკი დედა“, რომელმაც სახლს წაუკიდა ცეცხლი, რადგან დაღუპა ხუთი თათარი და საკუთარი ქალი შვილი („ძალიან ლამაზი ციცი, თლა ბაღანე ქალი“), რომლისთვისაც საკუთარ „ქუხნა სახლში“ ღირსება აუნდა აეხადათ. ხალხისგან დედის (დედას აღარ უნდოდა ღირსება აყრილი შვილი; აღარ უნდოდა ღირსება აყრილი შვილის დედაობა), გასამართლება იმით დამთავრდა, რომ „სასტიკი“ უწოდა (ე. ნიკოლაიშვილი, 2019გვ. 11).

ქალის სათემო, საქვეყნო-საზოგადო ფუნქცია: ეთნიკურ-კულტურულობის ბურჯად აღიარებული ქალის->ქალობის მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ: შუშანიკი, ფებრონია, თამარი, ქეთევან დედოფალი. მწერლობამ ლელას, სანათას, მელანოს და სხვათა სახით შემოგვინახა ღვანლით და არსობით წმიდა სახეები ქართველი ქალისა. მსოფლიო ისტორიამ არ იცის სხვა პრეცედენტი ქალის მეფობისა ვიდრე თამარ მეფემდე. მსოფლიო ისტორიაში პირველია პარლამენტარიზმის პრეცედენტი თამარის დროს. მან პირველმა

1 შდრ.: შესცოდეს მას, მისმა ბინიერმა შვილებმა. გარყვნილი და გზასაცდენილი მოდგმა ის! [მეორე რჯული 32:5] (<https://mybible.ge/gvtis-shvilebi/> დადასტურება 19.07.2021).

გააუქმა სიკვდილით დასჯა. უამრავი წინააღმდეგობა დაძლია ქართველმა მეფე ქალმა და ქვეყანა მაშინდელი მსოფლიოს ზესახელმწიფოდ აქცია; ქაჯეთის ციხეში გამომწყვდეული ნესტანი არად დაგიდევს მის შესაძლო ვერ გამეფებას. არა თავის, არამედ სამშობლოს გადარჩენას თხოვს გმირ სატრფოს, რომ „მიმართოს ინდოეთს და არგოს რა მათ სამშობლოს“; სანათა აღარ იტირებს საკუთარ შვიდ შვილს და ქმარს, თუ მტერზე გაიმარჯვებს ქართველობა; ლელა ბაჩლელი მზადაა თავად იძიოს შური მტერზე; ისტორიული პირი მარიამ დედოფალი ანთებულ სანთლად დაგვიტოვა აკაკი წერეთელმა თავის მოთხრობა „ბაში-აჩუკში“. სწორედ მან, ქალმა გადააწყვეტინა ფრიად ძნელი საბჭო საქმე მეუღლეს შემოაბრძანა რა თათბირობაზე წმინდა გიორგის ხატი სიტყვებით: „ღმერთმა კეთილად დააგვირგვინოს ეგ თქვენი ქრისტიანული განზრახვა და ეს იყოს თქვენი წინამძღოლი!“; ჩვენი ქვეყნის გადარჩენის ერთი მიზეზი ქალის მიზნთან-გულიან ქმედებააო, დაგვიბარა აკაკი წერეთელმა, გაგვიმხილა რა სიმდიდრეზე, ოქროზე გაუყიდველი მელანოს ვაჟკაცობით გაკვირვებული აბდუშაჰილის ფიქრი: „აი, სად ყოფილა ქალი! კიდევ ეს არის, რომ ამდენი ხანია ქართველები გვიმკლავდებიანო!“. **ეთნოგრაფიული მასალა:** „ცხოვრების საქვეყნო-სამტერ-მოყვრო წესი მაშინ იცი, როცა ჯერ საზოგადო გტკივა და მერე შენი. ეს უფლებიანობის ცოდნაა“ (მთხრობელები: თ. ბიბილეიშვილი, ლ. ბოჭორიშვილი. ოკრიბა, ორპირი. 1997).

მართასა და მარიამის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ მაცხოვრისათვის ქალის ფუნქციები მხოლოდ საოჯახო საქმიანობით არ შემოიფარგლება. პირიქით, იგი საქციელს უწონებს მარიამს, რომელმაც სამზარეულოში ფუსფუსს იესოს მოსმენა არჩია. ეს მაგალითი ნამდვილად ასახავს ქალის ცხოვრების ორ სხვადასხვა მოდელს, ორ არსებულ პოტენციალს ქალში. 1. ქალი დაკავებული სასულიერო საქმიანობით; 2. ქალი დაკავებული საოჯახო ზრუნვით (<http://feminism-boell.org/index.php/ka/2015/09/20/kalisa-da-kacis-tanacorobis-sakitxi-martlmadidebluri-teologiis-mixedvit>).

ეთნოგრაფიული მასალებიც ადასტურებენ, რომ „ქალის ფუნქცია მდგომარეობდა საერო-საქვეყნო მსახურების „საჯილდაო ქვის“ ანევაში, ანუ **ქალს მესამე, სათემო, საქვეყნო-საზოგადო ფუნქციაც ჰქონდა**“. ირკვევა ქალის მახვზად, ჩვეულებით სამართალში განმსჯელად ყოფნის, ქალის საკუთარი ნებით მოსისხლე გვარში გათხოვების და ასე საგვარო თემების შემრიგებლის ფუნქციის შესახებ; ირკვევა, რომ „ქართულში ქალი დედისიმედი, დედური ძალების სახე, ზღურბლის ჯვრის გადამსახველია“: „ქალისგან ქალობის მოლოდინი იყო დიდი. გვქონდა ქართველებს ქალის სახელად **-დედისიმედი**. დედისიმედობა ქალისგან საკუთარი, „მთავარი თავი სახლის“ და „თავი სახლის“/მამის სახლი ზღურბლის მაძლიერებელი ჯვრის ტარებას ნიშნავდა. გაამართლებდი ამ იმედს და იქნებოდი დალოცვილქალი“ (მთხრობელი, ალ. ვიბლიანი. ტანძია. 2019); „დედა უმღეროდა აკვანში მძინარე ყრმას და მასში ზრდიდა მართლს, სიკეთეს, ფასეულობებს. ანუ, დიხსალი/დიხსახლისი მართო საშინაო საქმის, ხელსაქმის მკეთებელი არაა. იგი ცხოვრების წარმართველია, შვილის ქუდოსნად მზრდელია, მეუღლის, თავის და მამის სახლობის ნევრთა ქუდის დამხურავად მზრდელია“ (მთხრობელი, ზ. ჭკადუა, ლახამულა. 2017). **შდრ.**: ქრისტიანობის თანახმად იმედი ერთ-ერთია სამი სათნოებიდან. იმედი, ანუ დადებითი ემოცია დაკავშირებულია სასიკეთო მოლოდინთან და კარგ შედეგთან.

ზუსტად იგივე, რომ ქალები სხვადასხვა პროცესში იღებენ მონაწილეობას; რომ სვანი, ხევსური და ფშაველი ქალის ფუნქცია იყო: შუამავლის უფლება; დაპირისპირებულ მხარეთა მანდილით მომრიგებლობა ირკვევა სპეციალური ლიტერატურიდან (ტ. მარგველაშვილი, 2017. გვ. 127; М. Ковалевский, Т. II, 1925 გვ. 52).

უნდა ითქვას, რომ იყო, გვხვდება მიუღებელი, ვერგასამართლებელი („მუდამ ცუდად მისაძახებელი“ დაქვრივებული ქალის მაზღზე გათხოვების; ქალის ნების გაუთვალისწინებლად, მშობლის გადაწყვეტილებით გათხოვების; აკვანში დანიშვნა და ამ ნიშნო-

1 შევნიშნავთ, რომ ტერმინი „მთავარი თავი სახლი“ პირველად შეგვხვდა სვანეთში

ბის აუცილებელი ქორწინების პირობად აღიარება და სხვა) შემთხვევები. მიუღებელია, ქართული ეთნოფსიქოლოგიის გამოვლინებად, ცხოვრების ტრადიციულ-ჰუმანურ წესად აღიარებული (შუშანიკისგან და ფებრონიასგან, სანათასგან საკუთრივ, ნებით მიღებული ცხოვრების წესი; საოჯახო საქმიანობაში ქალის ასაკის და სქესის შესაბამისი დასაქმება; „კერასთან“ ზიარებული, სახლობის მანაღმარებელი/სარტყელი/ხელი/დედაბოძი ქალისგან საკუთარი ნაწილი უღლის ტარება ...) სინამდვილის უფლებათა რღვევად გამოცხადების ფაქტები.

არ ვამბობთ, რომ საქართველოში არ შეინიშნება მამაკაცთა „აბსოლუტური უფლებიანობის კვალი“, მაგრამ ვერ დავეთანხმებით აღნიშნულისთვის პატრიარქალურის დარქმევას; რომ ქართველები, ქართველური წარმოშობის ხალხები დასაბამიდან უგულბელ-ჰყოფდნენ მატრიარქალური კულტურის ინსტიტუტებს. არ ვფიქრობთ, ფშავ-ხევსურეთის კარგ მცოდნე გ. თევდორაძეს მიაჩნდეს, რომ ქალის მდგომარეობა გათხოვების შემდეგაც არ უნდა იყოს უბინო, უმნიშვნელო. არ მიეწოდებინათ მისთვის საქართველოს ამ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ერთეულებში მსგავსი მასალა, მაშინ, როცა დღესაც გეტყვიან, რომ გათხოვების შემდეგაც „უბინოება წმიდაობაა და ეს მდგომარეობა ქალის ცხოვრების ქართული წესი უნდა იყოს“; არ ვფიქრობთ, რომ ბევრგან საქართველოში გავრცელებული თქმა „ნება მიბოძეთ, დაგისახელოთ, ჩემი მეუღლე“ მიუღებელია და იგი მხოლოდ „პატრიარქალური უფლებების“ გამოხატულებაა (ტ. მარგველაშვილი, 2017. გვ. 132, 133, 141); შეცდომად, მეტიც, ერთგვარ იდეოლოგიად მიგვაჩნია, მაგალითად კოვალევსკის მოსაზრება, რომ ფშავში „მამაკაცის დამოკიდებულება ცოლისადმი გამარჯვებულის დამარცხებულისადმი მოპყრობას ჰგავს“ (იქვე).

სადავო არაა, რომ შენი ეროვნულ-კულტურულის საზიანო იდეოლოგიის გაზიარება ეთნიკური მარკერების უგულბელყოფას იწვევს. აღნიშნული მიდგომა დაღს ასვამს, მტრისთვის, თუ მოყვარე მტრისთვის სასურველად წარმოაჩენს, ქალის/**საოჯახო ცხოვრების მთავარი მონაწილე, მეუღლე-სინდისი** სახეს.

დასკვნა: ა. ქალმა საკუთარი მეობით, თავისთვის დანესებული თვითშეზღუდვით მოახერხა შეენარჩუნებინა „ღირსებიანი „მე“ და დატვირთულიყო ღვთისმშობლის გატოლებულობით; სიცოცხლის მშობელი „შვილ ქალობა“ ღირსება-სინმინდით, მიზნისთვის მებრძოლობით, სახლობის ბურჯობით, შვილთა სასამშობლოოდ ვარგად აღზრდის უზრუნველყოფით უმაღლეს ეთნიკურ-კულტურულ იდეოლოგიაზე გადის¹; ბ. მიუღებელია, იდეოლოგთაგან შირმაში შეფუთული „უკეთესი წესების“ მომარჯვება ქართველი ქალის მიერვე უზრუნველყოფილი, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური რელიგიის მიერაც გატრადიცილებული ცხოვრების შესაცვლელად. აღნიშნულ გზაზე მიუღებელია ჩვენგანაც საკუთარის სხვათა ცხოვრების წეს-ელემენტებით ჩანაცვლება.

ლიტერატურა:

1. მარგველაშვილი, ტ., (2017). კავკასია და ძველი აღმოსავლეთი. ისტორიულ-ეთნოლოგიური ნარკვევი
2. ე. ნიკოლაიშვილი, მოთხრობები გურიის ახლო წარსულიდან. დიალექტური ტექსტების კრებული. 2019გვ. 11
3. სურგულაძე, ირ (2002). მითოსი, კულტი, რიტუალი საქართველოში
4. Ковалевский, М., (1925). Современный обычай и древний закон. Москва. Т. II
5. Putkaradze, T. A., Gitation: ტ. ფუტკარაძე, <https://ortakfikir.com/webstore/160220180726421.pdf>
6. http://putkaradze.blogspot.com/2017/03/blog-post_27.html
7. <https://qtv.ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/%E1%83%A0%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/11-%E1%83%99%E1%83%98%E1%83%97%E1%83%AE%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A5>

1 საჭიროა ეთნოგრაფიულ ტერმინთა მართებული გამოყენება.

[E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%A8%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%9A%E1%83%94/](https://mybible.ge/gvtis-shvilebi/) დადასტურება 19.07.2021

8. <https://mybible.ge/gvtis-shvilebi/> დადასტურება 19.07.2021
9. <http://martlmadidebloba.ge/mogvatseoba26.html>
10. მემორე რჯული 32:5 <https://mybible.ge/gvtis-shvilebi/> დადასტურება 19.07.2021
11. <http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/religia-da-mecniereba/360-sadac-uflis-sulia-iq-thavisuflebaa.html>
12. <http://feminism-boell.org/index.php/ka/2015/09/20/kalisa-da-kacis-tanascorobis-sakitxi-martlmadidebluri-teologiis-mixedvit>

A WOMAN AS THE FACE OF CULTURAL-SOCIAL AND RELIGIOUS IDENTITY (according to ethnographic materials)

Davit Shavianidze

Associate Professor of Akaki Tsereteli State University and Kutaisi University, Ethnologist

SUMMARY

A woman, mother-woman is the face of cultural-social and religious identity in Georgia, the founder of ethnic-cultural ideology. Created by a woman, this reality has been seriously reinforced by the Christian Orthodox religion.

The analysis of available historical data, ethnological studies and our ethnographic materials on the issue under discussion reveals: **a.** About equality of women and men in Christianity and the mentality of Georgian people, (cf. equality between men and women is reflected in the Georgian language. We also have the terms, such as “mother-man”, “father-man” [For discussion: see T. Putkaradze’s work, <https://ortakfikir.com/webstore/160220180726421.pdf>]), about the gospel-like counsel from a woman, of unblemished (purity of soul and body) services, as well as about the fact that woman is the main figurant of the folk beliefs in Georgian reality; **b.** the code of faith, firmness and justice, imprinted by the Lord in woman, is the provider of femininity carrying the national mission; **c.** For a “Christian” daughter (in addition to religious affiliation, the term also denotes the person living the righteous lifestyle), influenced by the cult of Nana, immaculate motherhood and nursing mission were considered to be “the grace from the Lord.”

In fact, it turns out to be a manifestation of Georgian ethnopsychology, recognized as a traditional-humane way of life (employment of a woman according to age and gender in family activities; decision made voluntarily and following the wishes of Shushanik, Febronia, Sanata) and the cases unacceptable for us (some single cases of condemning widowed woman, who was apparently forced to get remarried to husband’s brother; getting married just following her parents’ wishes; betrothal from the cradle and considering this betrothal to be a mandatory pre-requisite for marriage). **Our attitude:** The reality of the traditional life we described above is today wrapped in an ideological package and recognized as a violation of rights. Despite this, a woman with her dignity and self-restraint did manage and still manage to keep her dignity.

Several rules are also unacceptable for us, which have not been confirmed for a long time, have not become a tradition.

A cultural-social and religious nature of a woman in Georgian reality is a rule of her traditional cultural and general lifestyle identical to one that is established by Christ.

Key words: woman; mother-woman as the face of cultural-social and religious identity in Georgia; ethnic-cultural reality; Christian Orthodox religion; the code of firmness and justice; national mission of femininity; woman’s lifestyle in Georgian reality is identical that established by Christ.

COVID-19 ზეგავლენა სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკოლოგიურ-ეკონომიკურ განვითარებაზე

თეიმურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ისევე, როგორც მთელს მსოფლიოში COVID-19-ის პანდემია უახლოვით ზეგავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებაზე. ამ ქვეყნების მიერ მიღებული პრევენციული ზომები მიმართული იყო ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესების, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და დაზარალებული ბიზნესის დახმარებისკენ, ხოლო მათი მთავრობები ახდენდნენ იმ ღონისძიებების ხედაზარებას, რომლებიც ოხიენტივებული იყო გახეიმოსდაცვითი მიზნების მიღწევაზე. თუმცა, პოსტპანდემიური პერიოდში „ეკოლოგიური ეკონომიკაზე“ გადასვლის დასაჩქარებლად გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ამ სტატიაში გაანალიზებულია სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოტენციურიდან გამომდინარე COVID-19-ზე ზეგავლენის ეკოლოგიური ასპექტები.

საკვანძო სიტყვები: კოვიდ-19, ეკოლოგიზაცია, ეკონომიკური განვითარება, სამხრეთ კავკასია, ქვეყნები.

2019 წლის ბოლოს დაწყებული COVID-19 კრიზისი 2020 წლის 12 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ პანდემიად გამოაცხადა. მან უზარმაზარი ზიანი მიაყენა ადამიანების ჯანმრთელობასა და ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას. პანდემიის შედეგები, ისევე როგორც მასთან დაკავშირებული შეზღუდვები, ზეწოლას ახდენს ჯანდაცვის სისტემებზე, აზიანებს თავისუფალ ვაჭრობას, ანელებს წარმოების, მოხმარებისა და ინვესტიციების ზრდის ტემპებს. კოვიდპანდემიამ გამოიწვია XXI-ე საუკუნის ყველაზე მწვავე ეკონომიკური კრიზისი. წინასწარი მონაცემები მეტყველებენ, რომ პანდემიით გამოწვეული ეკონომიკური და სოციალური დანაკარგები მაღალია, ხოლო უახლოეს მომავალში მისი უარყოფითი ზეგავლენა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაზე გაიზრდება. სხვადასხვა ქვეყნებისა და რეგიონების განვითარებისთვის ის მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორი გახდება. არაერთგვაროვანია ცალკეული ქვეყნების კრიზისიდან გამოსვლის ტემპები და დონე. Covid-19 პანდემია არის გლობალური გამოწვევა ჯანდაცვის სისტემის, სოციალური და ეკონომიკური წესრიგისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ქვეყანა ვირუსის მეოთხე ტალღას ებრძვის, მთავრობებმა დააჩქარეს პოსტპანდემიურ პერიოდში ეკონომიკის აღდგენის საშუალო და გრძელვადიანი ეროვნული სტრატეგიის შემუშავება, რომელიც ასევე მოიცავს გარემოსდაცვით გამოწვევებზე რეაგირებას, „ეკოლოგიური ეკონომიკის“ ფორმირებას. არსებული რეალობიდან გამომდინარე, ეროვნული მთავრობები ცდილობენ პანდემიის დროს პრიორიტეტი მიანიჭონ იმ პროექტებს, რომლებიც ხელს უწყობენ ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას, მაშინაც კი, თუ ამ პროექტებს აქვთ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების პოტენციალი. ამიტომ, მნიშვნელოვანია რომ COVID-19-ზე რეაგირების ღონისძიებები შეესაბამებოდეს ეროვნულ გარემოსდაცვით მიზნებს (OECD, 2020).

ეკოლოგიურმა ზომებმა შესაძლებელია უზრუნველყონ ქვეყნების ეკონომიკის აღდგენა და სამუშაო ადგილების შექმნა. სპეციალისტთა დასკვნებით „ეკოლოგიური ეკონომიკა“ 2030 წლისთვის შეუძლია შექმნას 395 მილიონი სამუშაო ადგილი (World Economic Forum, 2020). მხოლოდ მწვანე სატრანსპორტო სექტორს შეუძლია დაასაქმოს 15 მილიონამდე ადამიანი, ხოლო განახლებად ენერჯიაში განხორციელებული ინვესტიციები კი 2050 წლისთვის მსოფლიოს 63 მილიონამდე სამუშაო ადგილით უზრუნველყოფს. ამ მხრივ, ეკონომიკური ზრდის განსახორციელებლად მწვანე ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები მნიშვნელოვანი პოტენციალის მატარებელია (OECD, 2020).

ანალიზმა აჩვენა, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების COVID-19-ის დაძლევის ღონისძიებებს, გააჩნიათ როგორც დადებითი ასევე უარყოფითი ეკოლოგიური ეფექტები (იხ. ცხრილი 1).

ცხრილი 1. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების კოვიდ-19 დაძლევის ღონისძიებანი, რომელთაც გააჩნიათ დადებითი და უარყოფითი ეკოლოგიური ეფექტი

ქვეყნები	კოვიდ-19 დაძლევისა და ეკონომიკის აღდგომის გეგმებში ეკოლოგიური მიდგომების არსებობა	არსებულ გეგმებში ეკოლოგიური მიდგომების რეალიზაციის დაჩქარება	მცირე და საშუალო ბიზნესის ეკოლოგიური მხარდაჭერა	ეკოლოგიური ელემენტები ქვეყნების საერთაშორისო მხარდაჭერის ინიციატივებში	კოვიდ-19-ის დაძლევის ეკოლოგიური ღონისძიებები, რომლებსაც გააჩნიათ, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები					უარყოფითი ზეგავლენის მქონე ეკონომიკის აღდგენის ღონისძიებები
					ჰაერის დაბინძურების ხარისხი	ენერგეტიკა	სოფლის მეურნეობა	ნარჩენების მართვა	წყალმომარაგება და სანიტარია და ჰიგიენა	
სომხეთი	✓		✓	✓		✓		✓		✓
აზერბაიჯანი		✓		✓	✓	✓		✓		
საქართველო			✓	✓	✓	✓	✓	✓		

წყარო: OECD, 2020

ცხრილი 1 წარმოგვიდგენს COVID-19-ის პირობებში ცალკეული ქვეყნების მიერ განხორციელებულ ეკოლოგიურ საქმიანობას. თუმცა, შეიძლება ნაადრევი იყოს იმის შესახებ დასკვნების გამოტანა, ექნება თუ არა მოცემულ პოლიტიკას საბოლოოდ დადებითი ან უარყოფითი გავლენა ბუნებრივ გარემოსა და ქვეყნების ეკონომიკაზე.

1. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების COVID-19-ზე ეკოლოგიური ზემოქმედების ზომები და ეკონომიკის აღდგენის გეგმები

სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ღებულობენ COVID-19-ზე ეკოლოგიური ზემოქმედების ზომებს და ეკონომიკის აღდგენის გეგმებს. სომხეთში COVID-19 პანდემიის ნეგატიური ზემოქმედების შესამცირებლად განხორციელდა 22 ღონისძიება, რომელთაგან ერთ-ერთი, დასაქმებაზე ეკოლოგიური ზემოქმედების თვალსაზრისით მოიცავდა გამწვანების მიზნით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. ამ პროგრამაში დასაქმებულებმა მდინარეების გასწვრივ დარგეს ტირიფის ხეები. ანაზღაურების სახით მათ ჯამურად მიიღეს 19 000 აშშ დოლარი (რაც 19 აშშ დოლარია ერთ ადამიანზე დღეში). პროგრამის რეალიზაციის შედეგად შეიქმნა სეზონური ხასიათის 1000 სამუშაო ადგილი. 2020 წლის 1 ივნისის მონაცემებით, 2 მილიონზე მეტი ნერგი დაირგო. ამ პროექტის წარმატების გათვალისწინებით, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალურმა სამინისტრომ მხარი დაუჭირა პროგრამის მე-2 ფაზის განხორციელებას (Ministry of Environment of the Republic of Armenia, 2020). აზერბაიჯანში, პანდემიის დროს სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობის მიზნით, გაიზარდა საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 38000-დან 90000-მდე. პროგრამაში მონაწილეები დასაქმდნენ სადებიზინფექციო სამუშაოებზე, დაუცველი ჯგუფებისთვის სოციალური მომსახურების მიწოდებაზე, ურბანული მწვანე ფართების განვითარებაზე. ქვეყანამ შეიმუშავა აზერბაიჯანის ენერგოეფექტიანობის პოლიტიკის პროგ-

რამა და ამჟამად ის მუშაობს EU4Energy ინიციატივის ფარგლებში ენერგოეფექტიანობის ეროვნული სამოქმედო გეგმის პროექტზე, ენერგეტიკული განვითარების გასაუმჯობესებლად ენერგოეფექტიანობის კონცეფციასა და განახლებადი ენერჯის წყაროების გამოყენების განვითარების ხელშეწყობაზე (OECD, 2020).

იმის გათვალისწინებით, რომ COVID-19 კრიზისი განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესზე, რეგიონის ქვეყნები სრულყოფენ კერძო სექტორის განვითარების ეროვნულს ტრატეგიებს. მნიშვნელოვანია, რომ ეს გეგმები შეესაბამებოდეს გარემოსდაცვით მიზნებს, მოიცავდნენ ბიზნესის განვითარების სტიმულებს. ზოგიერთმა ქვეყანამ უკვე შეიტანა მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის ღონისძიებებში ეკოლოგიური ასპექტები. სომხეთის ეკონომიკის სამინისტრომ, მენარმეობის მხარდაჭერის ოფისთან და საინვესტიციო მხარდაჭერის ცენტრთან ერთად, მოაწყო ვებინარების სერია მენარმეებისთვის თემაზე: „სანარმოების სწავლება COVID-19-ის წინააღმდეგ საბრძოლველად“. საქართველოში არა ერთი ღონისძიება ტარდება მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად პროგრამის „ანარმოე საქართველოში“ გაფართოებისა და მიკრო და მცირე ბიზნესისათვის გრანტების მოცულობის ზრდის საფუძველზე. პროგრამა ორიენტირებულია მწვანე, ინოვაციურ და მდგრად ბიზნესზე (თ. შენგელია, 2021). მცირე და საშუალო ბიზნესის ეკოლოგიზაციის პროგრამა ამოქმედდა აზერბეიჯანში. გარემოს ეფექტიან მენეჯმენტთან დაკავშირებული ცოდნისა და უნარების გაღრმავებით, ეკონომიკური სტიმულირების დანერგვით, მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისების მიზნით ეკოლოგიური ზომების გატარებით და საერთაშორისო სტანდარტებისა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების დანერგვით, ის უზრუნველყოფს ბიზნესის მეთოდოლოგიურ და ფინანსურ მხარდაჭერას (ODIMM, 2020).

2. COVID-19 პანდემიის პირობებში ეკოლოგიური ეკონომიკის საერთაშორისო მხარდაჭერა

საერთაშორისო პარტნიორები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ. საკარანტინო შეზღუდვების მიუხედავად, პანდემიამდე დაწყებული რამდენიმე ეკოლოგიური პროექტი აგრძელებს გეგმის მიხედვით რეალიზაციას, ასევე შემუშავდა COVID-19-ზე მიზნობრივი მწვანე რეაგირების ახალი ინიციატივები. გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) მხარს უჭერს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში COVID-19-ზე რეაგირების პროგრამის შემუშავებას. სომხეთმა მიიღო დამატებითი დაფინანსება ევროკავშირის EU4 საქმიანი ინიციატივის მეშვეობით. მწვანე ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, მას გამოეყო დამატებითი სესხები და გრანტები მცირე და საშუალო ბიზნესისთვის. საქართველოში ევროკავშირმა (UE) და UNDP-მა დაიწყო 2.7 მილიონი აშშ დოლარის საგრანტო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს სოფლის მენარმეობის სტიმულირებას, სამუშაო ადგილების შექმნას, ბუნებრივი რესურსების მენეჯმენტის გაუმჯობესებასა და პანდემიის შემდეგ კლიმატის ცვლილებებთან ბრძოლის ღონისძიებების წახალისებას (თ. შენგელია, 2020).

ფართოდ გავრცელებულმა საკარანტინო ზომებმა მოახდინა როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მოკლევადიანი გავლენა გარემოზე. ერთ-ერთი უარყოფითი შედეგი იყო ერთჯერადი პლასტიკური მასის პროდუქტების გამოყენებისა და პლასტიკური ნარჩენების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა. მხოლოდ ერთჯერადი ნიღბების გლობალური გაყიდვები 2019 წლის 800 მილიონი აშშ დოლარიდან 2020 წელს 166 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა (UNCTAD, 2020). დადგენილია, რომ ერთჯერადი გამოყენების პლასტმასის პროდუქტების გაზრდილი მოხმარება მინიმუმ სამი წლით შეამცირებს პლასტიკური ნარჩენების შემცირების მცდელობებს. იზრდება ნიღბების, რეზინის ხელთათმანების, სადეზინფექციო ბოთლებისა და საკვების შესაფუთი მასალების არასათანადო უტილიზაციის პრაქტიკა. COVID-19-მა ასევე უარყოფითად იმოქმედა ტურიზმზე, რამაც გამოიწვია ეროვნული პარკებისა და დაცული ტერიტორიების დაფინანსების შემცირება. ასე მაგალითად,

საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბიუჯეტი 2020 წელს 7 მილიონი ევრო-დან 4 მილიონ ევრომდე შემცირდა. პანდემიის დროს ქვეყნების დაცული ტერიტორიების მხარდასაჭერად, კავკასიის ბუნების ფონდმა საქართველოსა და სომხეთისთვის გამოყო 1.2 მილიონი ევრო (Caucasus Nature Fund, 2020).

3. ჰაერის დაბინძურება და Covid-19 პანდემია

ამავდროულად, სატრანსპორტო შეზღუდვების გამო, საკარანტინო ზომებმა დადებითი ზეგავლენა მოახდინა ჰაერის ხარისხზე. კვლევაში (Amiranashvili, Kirkitadze and Kekenadze, 2020) გაანალიზებულია საქართველოში საკარანტინო ღონისძიებების გავლენა თბილისში ჰაერის დაბინძურების დონეზე. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ 2020 წლის 17 აპრილიდან 2020 წლის 27 აპრილამდე, როდესაც ავტომობილის მართვის აკრძალვა დაწესდა, დაფიქსირდა წვრილი ნაწილაკების (PM2.5), აზოტიოქსიდების (NO2) და ნახშირბადის მონოქსიდის (CO) შემცირება, თუმცა მინისზედა ოზონის (O3) დონე გაიზარდა. სომხეთის სახელმწიფო არაკომერციულმა ორგანიზაციამ “გარემოს მონიტორინგისა და ინფორმაციის ცენტრმა” დადგინა, რომ მოხდა NO2-ის ემისიის შემცირება 2020 წლის 1 აპრილიდან 16 აპრილის ჩათვლით, რაც დროში ემთხვევა საკარანტინო ზომების შემოღებას.

ჰაერის ხარისხის მოკლევადიანი გაუმჯობესების მიუხედავად, ეს გარემოსდაცვითი სარგებელი დროებითია. კლიმატის ცვლილების თვალსაზრისით, ის მცირე გავლენას ახდენს ატმოსფეროში CO2-ის მთლიან კონცენტრაციაზე. საკარანტინო შეზღუდვების გამო ყოველდღიური გლობალური CO2 გამონაბოლქვი დაეცა 17%-მდე, მაგრამ 2020 წლის ივნისის მონაცემებით ის მხოლოდ 5%-ით ჩამორჩებოდა 2019 წელს დადგენილ დონეს (World Economic Forum, 2020). გლობალური ყოველდღიური ჰაერის გამონაბოლქვის შემცირება ხდება ტრანსპორტიდან CO2 გამონაბოლქვის 40% შემცირებით. მეორეს მხრივ, ენერგეტიკამ და მრეწველობამ ნაკლები წვლილი შეიტანეს ამ პროცესში - შესაბამისად 22% და 17%. დაბინძურებული ჰაერის მაჩვენებელსა და COVID-19 განვითარების რისკს შორის პირდაპირი კორელაციის არსებობა ქვეყნებს აძლევს დამატებით სტიმულს ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად. ამ მიზნით რეგიონის ზოგიერთი ქვეყანა უკვე დგამს ნაბიჯებს. აზერბაიჯანი გეგმავს 300 ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსის იმპორტს, რომლებიც შეკუმშული ბუნებრივი გაზით ან ჰიბრიდული ძრავებით მოძრაობენ. საქართველოში, ქ.თბილისის მერიამ გარემოზე დადებითი ეფექტის გახანგრძლივების მიზნით შემოგვთავაზა კვირაში ორი დღით მანქანებით გადაადგილების აკრძალვის შემოღება, ასევე განათავსა ელექტროსკუტერები, ქირავდება ალტერნატიული სატრანსპორტო საშუალებები (Caucasus Nature Fund, 2020).

არსებობს მეცნიერული დასკვნები, რომელებიც ადასტურებენ დადებით კორელაციას დაბინძურებულ ჰაერსა და COVID-19-ით გამოწვეულ სიკვდილიანობას შორის. რიგი კვლევები მიუთითებენ სტატისტიკურად მნიშვნელოვან პოზიტიურ კავშირზე ჰაერის დაბინძურების დონესა და COVID-19-ის შემთხვევებს შორის. იტალიაში ჩატარებული კვლევის შედეგები აჩვენებენ, რომ არსებობს დადებითი კორელაცია ახალი შემთხვევების ყოველდღიურ მატებასა და ჰაერის ხარისხის ინდექსს შორის, ჰარვარდის უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევით დადგინდა, რომ შეერთებულ შტატებში, PM2.5-ის გრძელვადიანი საშუალო კონცენტრაციის 1 მკგ/მ³ ზრდა ასოცირდება COVID-ით დაღუპულთა 11%-თან. მსგავსი შედეგები გამოქვეყნდა კვლევაში, რომელიც მოიცავდა ნიდერლანდების 355 მუნიციპალიტეტს. აღმოჩნდა, რომ თუ მუნიციპალიტეტს აქვს PM2.5 კონცენტრაციის დონე 1 მკგ/მ³ 3-ზე უფრო მაღალი, მაშინ COVID-19 იზრდება 9.4-ჯერ, ჰოსპიტალიზაცია 3-ჯერ და სიკვდილიანობა 2.3-ჯერ (World Economic Forum, 2020). ეს ინფორმაცია ქვეყნებს აძლევს დამატებით სტიმულს, რომ გააგრძელონ გარემოს დაცვითი მიზნების რეალიზაცია და ნახალისონ ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები (Zhu et al., 2020).

ენერგეტიკა

იმ ღონისძიებების დიდი ნაწილი, რომელიც ორიენტირებულია ენერგეტიკულ ზრდაზე მიზნად ისახავს შინამეურნეობების შემოსავლების ზრდას, რადგან მთავრობები და კომპანიები კრიზისის დროს ვალდებულნი არიან შეამცირონ მოსახლეობის ფინანსური ტვირთი. დამატებითი ღონისძიებები მოიცავს ფინანსურ დახმარებას, რომელიც მნიშვნელოვანია COVID-19-ით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური ტვირთის შესამცირებლად. სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ენერგეტიკულ სექტორში ეკონომიკური ზრდის აღსადგენად COVID-19-ზე რეაგირების ზომები შემდეგია: სომხეთში 2020 წლის თებერვალში COVID-19-ის სოციალური გავლენის შემცირების მიზნით მოსახლეობას გაენია დახმარება კომუნალური გადასახადების (ელექტროენერჯია, გაზი და წყალი) გადახდაში. აზერბაიჯანში 2020 წლის აპრილიდან მაისის ჩათვლით მოსახლეობის მიერ ელექტროენერჯიის შეღავათიანი მოხმარების ლიმიტი გაიზარდა 300 კვტ/სთ -დან 400 კვტ/სთ-მდე. საქართველოში COVID-19 პანდემიის გავლენის შესამცირებლად, ელექტროენერჯიისა და გაზის დაბალი მოხმარების მქონე საყოფაცხოვრებო გადასახადები დაფინანსდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან (2020 წლის მარტში, აპრილში და მაისში) (OECD, 2020). საქართველოს ენერგეტიკისა და წყლის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მონაცემებით, ამ საქმიანობის საერთო ღირებულება იყო დაახლოებით 150 მილიონი ლარი (45 მილიონი აშშ დოლარი). ინიციატივა გაგრძელდა 2020 წლის ნოემბრიდან 2021 წლის თებერვლამდე და მიზნად ისახავს მოსახლეობის იმ ფენების დახმარებას, ვისი შემოსავლებიც მნიშვნელოვნად შემცირდა პანდემიის დროს (Shengelia, 2020).

სოფლის მეურნეობა

პანდემიის ფონზე გაძლიერდა სასოფლო-სამეურნეო სექტორის დამხმარების ღონისძიებები. ისინი მოიცავდნენ: დიზელზე ფასების შემცირებას (საქართველოში) და სარწყავი წყლის რესურსების გამოყენების გადასახადის 50%-ით შემცირებას (აზარბეიჯანში). გარემოსდაცვითი მიდგომების მაგალითია პროგრამა Plant the Future, რომელიც დაიწყო საქართველოში, ამ პროგრამით თანადაფინანსებულია პანდემიის დროს მრავალწლიანი კულტურების სარწყავი სისტემის შესყიდვა და მონტაჟი (Shengelia, 2020).

ნარჩენების მართვა

Covid-19 პანდემიის გავრცელების რისკის შესამცირებლად, საქართველომ და სომხეთმა მოქალაქეებს ურჩიეს გადაყარონ გამოყენებული ნიღბები პლასტიკურ ჩანთაში მოთავსებით. ერთჯერადი პლასტიკური ჩანთების გამოყენებამ გაზარდა გარემოს დაბინძურება იმ ქვეყნებში, რომლებსაც ნარჩენების მართვის უნარი არ გააჩნიათ. ამავე დროს, ზოგიერთი ქვეყანა ასევე დგამს ნაბიჯებს პანდემიის შედეგად წარმოქმნილი დამატებითი ნარჩენების უტილიზაციის მიზნით. მაგალითად, აზერბაიჯანში შემუშავებულია COVID-19-ის ნეგატიური ზემოქმედების შემცირების სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს მყარი ნარჩენების მართვის გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს. ანალოგიურ ნაბიჯებს დგამს სომხეთი.

ამრიგად Covid-19-ის ზეგავლენა ეკოლოგიურ გარემოზე სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში არაერთგვაროვანია, ისევე როგორც ამ ქვეყნების მთავრობების ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიდგომები, რომლებიც არ გამოირჩევა დინამიზმითა და სისტემურობით.

დასკვნა

ნაშრომში წარმოდგენილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში Covid-19 პანდემიის დაძლევის მიზნით გატარებული სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებანი, რომლებიც ეკოლოგიურ გარემოზე ახდენენ როგორც დადებით, ასევე უარყოფით ზემოქმედებას. რიგმა

ქვეყნებმა უკვე გადადგეს ნაბიჯები მწვანე ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ეკონომიკის განვითარების საშუალო და გრძელვადიან სტრატეგიებში გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩართვით. ეს აქტივობა შეიძლება გახდეს მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის კატალიზატორი. თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, ამ საქმიანობას აკლია თანმიმდევრულობა. იმის გათვალისწინებით, რომ რეგიონი დამოკიდებულია სამთო და ნახშირბადის ინდუსტრიებზე, მნიშვნელოვანია, რომ ეკონომიკური ტრანსფორმაციის დაჩქარებასა და კლიმატის ცვლილების გლობალური მიზნების მიღწევაში „ეკოლოგიური ეკონომიკაზე“ გადასვლა გახდეს პრიორიტეტული.

ლიტერატურა:

1. შენგელია თ.(2021). ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული კრიზისის პირობებში. კრებულში: „XXI საუკუნის ეკონომიკური, სოციალური, ეკოლოგიური და ტექნოლოგიური გამოწვევები“ თსუ-ს პ.გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი. თბილისი
2. შენგელია თ. (2021) მცირე ბიზნესის განვითარების პერსპექტივები კოვიდპანდემით გამოწვეული გაურკვევლობის პირობებში. კრებულში: საქართველოს პოსტპანდემიური ეკონომიკა: გამოწვევები, პრობლემები, გადაჭრისგზები. თბილისი
3. შენგელია თ. (2020). კორონავირუსის მსოფლიო გეოგრაფია და საქართველოს ეკონომიკის პერსპექტივები. კრებულში „კორონომიკა: ეკონომიკური მეცნიერების და ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე გამოწვევები“
4. შენგელია თ. (2020) გლობალური ეკონომიკის რეცესია და საქართველოს პოსტვირუსული განვითარება. ჟ. ეკონომიკა და ბიზნესი 1, თბ., თსუ
5. Shengelia T. (2020). The post-coronavirus economy of the world and Georgia. *Jor.Economics and Business* №12.
6. OECD (2020), “COVID-19 Crisis Response in Eastern Partner countries”, *OECD Policy Responses to Coronavirus(COVID-19)*, <http://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/covid-19-crisis-response-in-eu-eastern-partner-countries-7759afa3/> (accessed on 22 September 2020).
7. World Economic Forum (2020), *The Future of Nature and Business*, World Economic Forum, http://www3.weforum.org/docs/WEF_The_Future_Of_Nature_And_Business_2020.pdf.
8. Layke, J. and N. Hutchinson (5 May 2020), “3 Reasons to Invest in Renewable Energy Now”, World Resources Institute blog, <https://www.wri.org/blog/2020/05/coronavirus-renewable-energy-stimulus-packages>
9. Ministry of Environment of the Republic of Armenia (2020), *Awareness Campaign*, <http://www.env.am/en/post/4552>.
10. ODIMM (2020), *Greening Program of Small and Medium Enterprises*, Organization for Small and Medium Enterprises Sector Development, Chişinău, <https://odimm.md/en/ecoimm>.
11. UNCTAD (2020), “Growing plastic pollution in wake of COVID-19: How trade policy can help”, News, 27 July, United Nations Conference on Trade and Development, <https://unctad.org/news/growing-plastic-pollution-wake-covid-19-how-trade-policy-can-help>.
12. Caucasus Nature Fund (2020), “Emergency Funding to Georgia’s Agency of Protected Areas”, News, 29 June, Caucasus Nature Fund, Frankfurt am Main, <https://www.caucasus-naturefund.org/emergency-funding-to-georgias-agency-of-protected-areas/>.
13. Amiranashvili, A., D. Kirkitadze and E. Kekenadze (2020), “Pandemic of Coronavirus COVID-19 and air pollution in Tbilisi in spring 2020”, *Journal of the Georgian Geophysical Society*, Vol. 23/1, pp. 57-72, <https://openjournals.ge/index.php/GGS/article/view/2654>.
14. Zhu, Y. et al. (2020), “Association between short-term exposure to air pollution and COVID-19 infection: Evidence from China”, *Science of The Total Environment*, Vol. 727/138704, <https://doi.org/10.1016/j.scitotenv.2020.138704>

The Impact of the COVID-19 on Ecological Economic Development of the South Caucasus Countries

Teimuraz Shengelia

*Doctor of Economic Sciences, Professor
Ivane Javachisvili Tbilisi State University*

SUMMARY

The paper presents the socio-economic measures, taken by the South Caucasus Countries to overcome the COVID-19 pandemic, that have both the positive and the negative impacts on the ecological environment. A number of the countries have already taken steps for ensuring green economic growth by involvement of environmental measures in medium and long-term strategies of the economic development.

This activity can become a catalyst for the transition to a green economy. However in most cases, this activity lacks of the consistency. Considering, that the region depends on the Mining and Carbon industry. This is an important that the transition to an “ecological economy” becomes a priority in accelerating economic transformation and achieving goals of the global climate change.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ღვთივგანბრძობილი მასწავლებელი, წინამძღოლი და მოღვაწე

გიორგი შინაშვიდი

ეკონომიკის დოქტორი, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მოწვეული პროფესორი

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II ახის თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ღვთივგანბრძობილი, სინერგიულად მოაზროვნე და მოღვაწე პიროვნება; უფლისმიერი ნეტარებებით ზეგარდმო შთაგონებულად მცხოვრები; თვითონაც საუკუნო ნეტარების გზაზე მდგახი და ამ გზაზე ყოველი ჩვენგანის და სხუიდან საქართველოს დამყენებელი; სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის კომპლექსური ეროვნული და გლობალური პირობებისა და შესაბამისი ქმედებათა მასწავლებელი.

საკვანძო სიტყვები: სინერგიული სოციალურ-ეკონომიკური განვითარება და მართვა. ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის. ვიხაროთ ერთად სოფელსა შინა.

დღიდან აღსაყდრებისა (1977 წლის 25 დეკემბერი) საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დაუცხრომლად იღვწის ეკლესიის მისიის განხორციელებისათვის, საზოგადოების ზნეობრივი განწმენდისა და ღვთივსულიერი, სინერგიული განვითარებისათვის.

საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის უმნიშვნელოვანესი სულიერი ზესვლაა. რელიგიასთან ერთად, ამ სფეროს განეკუთვნება სოციალურ-ეკონომიკური და მმართველობითი საქმიანობა. მხოლოდ ღვთაებრივ, ეკლესიურ საწყისებთან მისი სინერგიული შეთანაწყობის საფუძველზე არის შესაძლებელი ჭეშმარიტი სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის მიღწევა, როგორც ეროვნულ, ასევე გლობალურ დონეზე.

ეკლესიის უმთავრეს იარაღს რწმენისმიერი სიტყვა და ღვთივსათნო საქმე წარმოადგენს. ჩვენი პატრიარქიც ლოცვით, ეპისტოლეებით, ქადაგებით, შეგონებებით, ლოცვა-კურთხევებით და დაუცხრომელი, თავდადებული პირადი მოღვაწეობით აღასრულებს მისთვის ღვთივბოძებულ მისიას.

ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულით აღსავსე, თავისი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებითა და დაუცხრომელი, თავდადებული მოღვაწეობით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II წარმოგვიდგება, როგორც:

- მაცხოვრისა და ღვთისმშობლისაგან გამორჩეული პატრიარქი, მათგან საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის სინერგიული მსახურების მისიადაკისრებული მწყემსმთავარი და ივერიის ერთიანობა-გაბრწყინებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი და წინამძღოლი.
- სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის კომპლექსური ეროვნული და გლობალური პრობლემეტიკის მართლმადიდებლური სინერგიული გააზრებისა და შესაბამისი ქმედებათა მასწავლებელი.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II არის თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ღვთივგანბრძობილი, სინერგიულად მოაზროვნე და მოღვაწე პიროვნება; უფლისმიერი ნეტარებებით ზეგარდმო შთაგონებულად მცხოვრები; თვითონაც საუკუნო ნეტარების გზაზე მდგარი და ამ გზაზე ყოველი ჩვენგანის და სრულიად საქართველოს დამყენებელი; სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი სინერგიული მოწოდებებით და დალოცვით: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! ქართველნო, ერთად ღვთისაკენ! ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის! იხარეთ ერთად სოფელსა შინა!

სამი ილია – ღვთივმომადლებული სინერგიული მოძღვრებით განბრძობილნი, მქადაგებულნი და მოღვაწენი

უფლის განგებულებით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის მფარველი ანგელოზის დღე აღინიშნება 2 აგვისტოს, როდესაც მოიხსენებიან წმ. წინასწარმეტყველი ილია თეზბიტელი და წმ. ილია მართალი (ჭავჭავაძე). ასეთი ღვთივდადგენილი გარემოება ცხადად გვიდასტურებს სამი ილიას ღვთივრჩეულობას და ღვთივსულიერი, სინერგიული მოძღვრებით მათი ქადაგებისა და თავდადებული მოღვაწეობის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოსა და მთელი კაცობრიობისათვის (იხ.: შიხაშვილი, 2021, გვ. 402-403).

ქვემოთ გადმოვცემთ მათი წინასწარხედვის, წინასწარმეტყველების, სწავლებისა და პირადი ცხოვრებისეული მოღვაწეობის უმთავრეს სამერთიან მომენტებს:

- მარხვა, ლოცვა, უფალი. (ღვანლი წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- უფალ ღმერთს მიჰყევით. (სწავლება წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- ლოცვა, ღრუბელი, წვიმა. (ღვანლი წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- ვენახის წამრთმევი დაილუპება. (სწავლება წმ. ილია თეზბიტელის ცხოვრებიდან).
- ილია, ენოქი, მაცხოვარი. (სწავლება იოანე ღმრთისმეტყველის გამოცხადებიდან).
- ილია, მოსე, ქრისტე. (მაცხოვრის სწავლება და ქმედება ფერისცვალებისას).
- აღმოგვიცენებს კურნებასა და წყალობასა (წმ. ილია თეზბიტელის კონდაკიდან).
- ხალენი, კვართი, პერანგი. (ილიას ხალენი, მაცხოვრის კვართი, ღვთისმშობლის პერანგი _ საქართველოს წარსულის, აწმყოსა და მომავლის თეოლოგიური, სამერთიანი, სინერგიული გააზრების საფუძველი).
- ღვანლი, სიკვდილი, უკვდავება (წმ. ილია მართლის ტროპარიდან).
- წარსული, აწმყო, მომავალი. (წმ. ილია მართალი).
- მამული, ენა, სარწმუნოება. (წმ. ილია მართალი).
- მიწა, გუთანი, შრომა. (წმ. ილია მართალი).
- სწავლა, შრომა, წარმოება. (წმ. ილია მართალი).
- სოფელი, მრენველობა, ეკონომიკა. (წმ. ილია მართალი).
- სოფლის მეურნეობა უპირატესია. (წმ. ილია მართალი).
- მთავრობა, ხალხი, მეურნეობა. (წმ. ილია მართალი).
- ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ჭეშმარიტი ბედნიერება სიყვარულშია. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- უფალი განაგებს ყოველივეს. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ოჯახი მცირე ეკლესიაა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- მრავალშვილიანობა უდიდესი სიკეთეა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ხორბალი, ვაზი, საქართველო. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- სოფელი, წარმოება, აღორძინება. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- უფალი, მეცნიერება, ეკონომიკა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- იხარეთ ორთავ სოფელში. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- საქართველოვ, ძალიან მიყვარხარ. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- დაწყებულია ადამიანის განწმენდა. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- კეთილი საქმეები გადაგვარჩენს. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- საქართველო ბოლოჟამს გაბრწყინდება. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).
- ქართველნო, ერთად ღვთისაკენ. (საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II).

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II _ ნეტარების გზაზე მდგარი
და ამ გზაზე ყოველი ჩვენგანის, სრულიად საქართველოს და მთელი მსოფლიოს
დამყენებელი, სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი**

მრავალთა და მრავალთა (მათ შორის, სხვა სარწმუნოებისა და ეროვნების წარმომადგენელთა, როგორც ადგილობრივთა, ასევე უცხოელთა) ზეგარდმო მოვლენილი ხილვებით და აზრით, მათ მიერ პატრიარქისადმი მიმართული ლოცვებით, გალობით, ქებით და ხელოვნების ნიმუშების მეშვეობით გამოხატვით, თვალნათლივ არის გამოკვეთილი, რომ თავისი საღვთისმეტყველო-სამოძღვრო შემოქმედებითა და დაუცხრომელი, თავდადებული მოღვაწეობით, ღმერთის, სამშობლოს და ადამიანის სიყვარულით აღსავსე, უწმიდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II წარმოგვიდგება, როგორც (იხ.: შიხაშვილი, 2021, გვ. 403-408):

1) ღმრთისაგან და ღმრთისადმი უხითიხით-სიყვარულიდან გამომდინაჲ:

- მაცხოვრისა და ღმრთისმშობლისგან გამორჩეული პატრიარქი, მათგან საქართველოს ეკლესიისა და ერის სინერგიული მსახურების მისიადაკისრებული მწყემსმთავარი და ივერიის ერთიანობა-გაბრწყინებისათვის მსასოებელი, დაუცხრომელი მოღვაწე და წინამძღოლი.
- ღმრთივგანბრძობილი, ღმრთივრჩეული, ღმრთისგან მადლმოსილი მოღვაწე. სულიწმინდის მადლით გაჯერებული და მთელი მსოფლიოსათვის მლოცველი პატრიარქი. ზეგარდმო ხილვებისა და გამოცხადებების მქონე. მაცხოვრისა და ღვთისმშობლისგან ლოცვა-კურთხევების მიმღები, ბოლო ჟამს უფლისკენ გამძღოლი მწყემსმთავარი.
- წინასწარმეტყველური ხედვის მქონე და მოციქულებრივი მოღვაწე. მუდამ მლოცველი, მმარხველი და მით სულიწმინდის მადლის მომპოვებელი.
- სიყვარულის პატრიარქი, _ ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანის უსაზღვროდ მოყვარული. მცხოვრები დევიზით: `დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა-`.
- მადლმოსილი ადამიანი, რომლის საპატრიარქო მოღვაწეობა დასტურია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანასა და ეკლესიაში სულიწმინდა მოქმედებს და სუფევს.
- პატრიარქი, რომელმაც, კოვიდ-პანდემიის დროს, განჭვრიტა რა ღმრთის განგებულება ჩვენს ეკლესიაზე, გამოავლინა მართებული და სულიერი დამოკიდებულება ამ განსაცდელის მიმართ. კოვიდ-პანდემიასთან დაკავშირებული კომპლექსული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემატიკის სინერგიული გააზრების მასწავლებელი.
- ეკლესიისა და ერის მტრებთან ბრძოლაში ღმრთივმონიჭებული სიძლიერით, სიმშვიდით, რწმენით, იმედით და სიყვარულით აღსავსე პატრიარქი.
- საქართველოს ეკლესიისა და მისი ავტოკეფალიის, ტაძრებისა და მონასტრების, სარწმუნოების და ქართველი ერის ამაღორძინებელ-აღმაშენებელი. ილია თეზბიტელის სახელობის მთაზე ყოვლადწმიდა სამების ტაძრის აშენების ინიციატორი, მაკურთხებელი და ორგანიზატორი.
- პიროვნება, რომელიც ზეგარდმო არის განსწავლული მწერლობასა და პოეზიაში, მუსიკაში, არქიტექტურაში, მხატვრობაში, ხატუნრაში, საგალობლებში, ოქრომჭედლობაში და სხვ. ღმრთივგანბრძობილი ჰიმნოგრაფი, იკონოგრაფი, ჰაგიოგრაფი (ლოცვა-გალობათა შემქმნელი, ხატმწერი, წმინდანთა ცხოვრების აღმწერი). სიბრძნით აღსავსე ქადაგებებისა და ეპისტოლეების ჩამომქმნელი.
- მართლმადიდებელ სამყაროსთან კავშირების აღმდგენელ-წარმმართველი.
- სხვა რელიგიებთან და აღმსარებლობებთან დიალოგების ინიციატორი და წარმმართველი. ყველაზე რთულ დროს, სრულიად კავკასიისათვის, მიუხედავად ერო-

- ვნებისა და აღმსარებლობისა, სწორი გზის მასწავლებელი და დასაყრდენი.
- ნეტარების გზაზე მდგარი და ამ გზაზე ყოველი ჩვენგანის, სრულიად საქართველოს და მთელი მსოფლიოს დამყენებელი, სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი.

2) სამშობლოს სინეგიური სიყვარულიდან გამომდინარე:

- საქართველოს ისტორიის თეოლოგიურ-მართლმადიდებლური გააზრებისა და თანამედროვე საზოგადოებაში სინერგიულად ცხოვრების ფუძემდებელი, ადამიანთა შესაბამისი დალოცვით: `იხარეთ ორთავ სოფელსა შინა~.
- ერისა და ქვეყნის გადარჩენისა და სინერგიული განვითარების გზის მაჩვენებელი და გამძღოლი.
- თანამედროვე მსოფლიოს გლობალური სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მართვის მართლმადიდებლური სინერგიული გააზრების ფუძემდებელი და მოძღვარი.
- პატრიარქი, რომლის დიდმა სიყვარულმა, მოწყალებამ, სულგრძელებამ და სიბრძნემ არაერთხელ გადაარჩინა საქართველო მძიმე განსაცდელს.
- სულიერი და ეროვნული ფასეულობების მტრებთან სიკეთით, არააგრესიით, სიყვარულით, სინდონის მაგალითებით მებრძოლი პატრიარქი. თანამედროვე საქართველოში შვიდგზის ლოცვის აღმდგენელ-შემომღები. ერის ცოდვათა საკუთარ მხრებზე მტვირთველი. სამშობლოს გარეთ საქართველოს ეკლესიისა და ერის უღირსეულები დესპანი. სამშობლოს დიდი მამა და მოძღვარი, ერის გამთლიანებისა და შერიგების სიმბოლო. საქართველოს დიდი იმედი, ქართველი ხალხის სულიერებისა და ერთიანობის ბურჯი.
- სახელმწიფოსთან ისტორიული კონსტიტუციური შეთანხმების ინიციატორი და დამდები.

3) ადამიანთა შოხის თანაზიარე სიყვარულიდან გამომდინარე:

- დიდი მოძღვარი და მწყემსი კეთილი. სიყვარულის პატრიარქი. ათეულობით ათასი ბავშვის ნათლია. თავისი ლოცვებით სწულთა განმკურნებელი და გაჭირვებულთა ნუგეში. პატიმართა და ნაპატიმრალთა მეოხი. შვილმკვდარი დედების ნუგეშინისმცემელი. პატრიარქი, რომლის მთელი ცხოვრება ჰგავს სანთელს _ თვითონ იწვის და ჩვენ გზას გვინათებს.
- პატრიარქი, რომლისადმი უკვე დაწერილია ლოცვები, საგალობლები და ხატები. ეროვნული მოღვაწე, რომელსაც მრავალი და მრავალი უძღვნის თავის სიტყვებს, გრძნობებს, სიყვარულს, პირად ლოცვებს.
- ყველასთვის და ყველას სახელით უფლისა და ღვთისმშობლისადმი მლოცველი. ყოველი ადამიანის, ერისა და მთელი კაცობრიობისათვის გადარჩენის გზის მაჩვენებელი. ყველა ადამიანის, ერისა და ბერის შთამაგონებელი, დამლოცველ-მაკურთხებელი.
- კაცთმოყვარების, მოწყალებისა და მიმტევებლობის მაგალითი. მომანიჭე მე გაცდა თვისთა ცოდვათა--ს მიხედვით მცხოვრები პატრიარქი.
- ღვთისმეტყველი, ფილოსოფოსი და მეცნიერი (საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო აკადემიკოსი; ღვთისმეტყველების დოქტორი; თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი; ნიუ-იორკის სასულიერო აკადემიის ღვთისმეტყველების დოქტორი; კრეტის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრი).
- მეცნიერებთან და ინტელიგენციასთან სისტემატიური შეხვედრების ინიციატორი და ორგანიზატორი.

- დიდი მეუფე, რომელშიც გასაოცრად არის შეზავებული ინტელიგენტურობა, სულიდან მომდინარე არისტოკრატიზმი და სისადავე.
- პიროვნება, რომელშიც თავსდება დიდი სიბრძნე და ბავშვური სიწრფელე, რკინის ნებისყოფა და ღმობიერება, კეთილგონიერება და გულისხმიერება.
- პედაგოგი, წლების განმავლობაში თბილისის სასულიერო აკადემია-სემინარიის რექტორი.
- თანამედროვე საგანმანათლებლო და პედაგოგიურ საკითხებში სინერგიული სწავლების ჩამომყალიბებელი.
- „დავით აღმაშენებლის ორდენისა“ და „უფლის კვართის ორდენის“ მფლობელი.
- და მრავალი სხვა ღირსების მატარებელი და საქმეთა შემოქმედი მწყემსმთავარი, მცხოვრები დევიზით: „ღმერთი, სამშობლო, ადამიანი. ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის. ქართველნო, ერთად ღვთისაკენ“!

სტატიის დასკვნითი ნაწილი და ჩვენ მიერ შედგენილი ლოცვები:

ნეტარებათა ბიბლიური სწავლებით მცხოვრები ადამიანები უკვე წუთისოფელში დგანან სრულყოფის გზაზე, რომელიც ზეციურ სასუფეველში, ანუ საუკუნო ნეტარებაში შეიყვანს და დაამკვიდრებს მათ, სადაც ისინი სამარადჟამო განცხრომაში იქნებიან ღმრთის მათთან ყოფნით, იქნებიან საუკუნო დიდებაში და მუდმივი სიხარულითა და შვებით აღსავსენი.

ერთ-ერთი ასეთი ადამიანი არის ჩვენი პატრიარქი ილია II – უფლისმიერი ნეტარებით ზეგარდმო შთაგონებულად მცხოვრები, თვითონაც საუკუნო ნეტარების გზაზე მდგარი და ამ გზაზე ყოველი ადამიანის, სრულიად საქართველოსა და მთელი მსოფლიოს დამყენებელი, სულიერი მოძღვარი და წინამძღოლი სინერგიული მოწოდებებით და დალოცვით: ღმერთი, სამშობლო, ადამიანი! ქართველნო, ერთად ღვთისაკენ! ვიცხოვროთ ერთმანეთისთვის! სინერგიული განვითარების საფუძველზე ვიხაროთ ერთავე სოფელსა შინა!

მთლიანობაში, სასურვიეხო, სამეცნიეხო-მეთოდოლოგიუხი და პაქტიკური თვადსაზიხით, საქაიხთვედროს კათოლიკოს-პატიარქის ილია II-ის საღვთისმეგყვედო-სამოდვხო შემოქმედება და პიხადი მოღვაწეობა წაიხმოგვიდგება ხოგოხც ქაიხთური სახედმწიფოს ღვთივსურეიხი, სინეიხიური, პაიხმონიური სოციადუხ-ეკონომიკუხი განვითაიხებისა და მაიხთვის, ბოდო ჟამთან მისადაგებური ეიხოვნიური კონცეფციის, მოღეღის, შესაბამისი სტიატეგიური გეგმის, სათანადო სპეციადუხი პიხოგაიხების, პიხოექტებისა და იეადუხი პაქტიკური საქმიანობის საფუძვედი.

ამ სინეიხიურ გზაზე მიგვიძღვის ზეციური სასუფევედისაკენ ჩვენი პატიარქი და მაცხოვრის მეოხედ მოსვდის ჟამსაც წაიგვიძღვება დევიზით: ქაიხთვედნო, ეიხთად ღვთისაკენ!

ლოცვა-ვედრება იესო ქრისტესადმი ქვეყნიური სიკეთებისა და საცხოვნებელი სულიერ-ხორციელი წყალობის მომადლებისათვის

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალე ჩვენ ცოდვილნი.

შეგთხოვთ უფალო, მოგვმადლე შენი დიდი წყალობა, აკურთხე, განწმინდე, განკურნე, განატფე, აღადგინე, ააღორძინე გარემომცველი ბუნება, ჰაერი, მიწა, წყალი, სოციალურ-ეკონომიკური და ზნეობრივი გარემო და ყოველი ქვეყნიური სიკეთენი, ნაყოფნი მათნი, ჩვენი მამულ-დედული, სახლ-კარი, კარ-მიდამო, ოჯახები ჩვენი და ჩვენ ყოველნი, მათგან მიმღებელნი შენისა დიდისა საცხოვნებელი სულიერ-ხორციელი საზრდოსი, რათა ვიხაროთ ერთავ სოფელსა შინა, სადიდებელად მამისა და ძისა და წმინდისა სულისა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

ლოცვა-ვედრება იესო ქრისტესადმი სულისა და ხორცთა განმუნდა-განკურნებისათვის

უფალო იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, შეგვიწყალებ ჩვენ ცოდვილნი და განგვიმუნდე, განგვიკურნე, აღგვიდგინე და აგვილორძინე ჩვენი არსება და ყოველი ნაწილი მისი ყოვლისაგან ბინისა სულიერისა და ხორციელისა, რათა ვიხაროთ ორთავ სოფელსა შინა, სად დიდებულად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე! ამინ!

სავედრებელი ლოცვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-სადმი ორთავ სოფელსა შინა გახარებისათვის

ბიზნესი, როგორც წესი ქმნის მატერიალურ და არამატერიალურ (მომსახურების სფერო) პროდუქტს, რომელიც ფართო სპექტრის რესურსების გამოყენებას მოითხოვს. ამასთან, კომერციული საწარმოების საბოლოო და მთავარი მიზანია მოგების მიღება, რაც საწარმოთა მართვის ფუნდამენტური მიმართულებაა. საწარმოთა სრულყოფილი და ეფექტიანი მენეჯმენტი მოითხოვს შესაბამის ინფორმაციას, რომელსაც ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა ამზადებს.

ფინანსური შედეგების დადგენა, მართვა და კონტროლი, ყველა დარგის ბიზნესში, როგორც წესი, ფინანსური ანგარიშგების ელემენტების: აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვასა და ანალიზს მოითხოვს. ამდენად, ამ ელემენტების შინაარსი ერთგავაროვანი უნდა იყოს საერთაშორისო მასშტაბით.

წინამდებარე სტატიაში კვლევის ძირითადი საგანია საწარმოთა აქტივების განსაზღვრებისა და შეფასების არსებული მეთოდოლოგია, რომელსაც ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები იძლევა. მისი განმარტებით, „**აქტივი არის ეკონომიკური რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს** წარსულში მომხდარი მოვლენის შედეგად, ხოლო, ეკონომიკური რესურსი **არის უფლება, რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი** (1. მ: 4.4). ჩვენ ვერ ვეთანხმებით განმარტებას, რომ „**ეკონომიკური რესურსი არის უფლება**“.

ინფორმაცია საწარმოს ამა თუ იმ პერიოდის საქმიანობის შესახებ იმაზე მიუთითებს, თუ რამდენად ეფექტიანად მართავს საწარმო მის განკარგულებაში არსებულ რესურსებს, როგორ შეასრულა ხელმძღვანელობამ მასზე დაკისრებული მოვალეობები. ყოველივე ამის შეფასებისათვის საჭირო ინფორმაციას, კომპანიის ყველა დონეზე, აღრიცხვა ამზადებს. საწარმოთა ფინანსური შედეგების დადგენა მოითხოვს აღრიცხვას ნატურალურ და ფულად ერთეულებში. „უფლებებს“ კი არც ფიზიკური ფორმა და არ ფულადი ღირებულება არ გააჩნიათ. უფლება არც კილოგრამებში და არც ლარებშიარ იზომება. უფლება არის იმა-

ნენტური და იურიდიული (სამართლებრივი) კატეგორია, რომელთაგან ნაწილი თანდაყოლილია, ნაწილი კი კანონმდებლობითაა დადგენილი. მაგალითად, გაეროს განმარტებით, თანდაყოლილია სიცოცხლის უფლება, შრომის, სწავლის, რწმენის, თავისუფალი აზრის გამოთქმის, ჯანმრთელობის დაცვის, აჯანყების უფლება და ა.შ. კანონმდებლობით დადგენილი უფლებებია: საკუთრების უფლება, საქმიანობის (რაიმე სახის ბიზნესის) უფლება, შესყიდვების, იჯარის, სესხი აღებ-გაცემის, სარგებლის მიღების უფლებები და ა.შ. თუკი საწარმო რომელიმე უფლებას დაარღვევს მიიღებს ადევატურ ჯარიმეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი კონსტიტუციით და სათანადო კანონებით რეგულირდება, ვფიქრობთ, შეცდომა იქნება ჩავთვალოთ, რომ „საწარმოთა აქტივი ანუ ეკონომიკური რესურსი“ არის „უფლება“. რესურსი (აქტივი ანუ ქონება) არის უფლებების განხორციელების საშუალება.

ნებისმიერ საწარმოს, იურიდიული რეგისტრაციის შემდეგ, აქვს უფლება იმუშაოს, შექმნას გარკვეული სახის პროდუქცია, გაყიდოს და იყიდოს ან გასწიოს მომსახურება. მაგრამ, ის არ ყიდის და ყიდულობს უფლებებს. უფლება უხილავი ნებართვაა, რომელსაც ხელით ვერ შეეხები. ის უხილავად არეგულირებს ადამიანთა ქმედებებს. ადამიანს აქვს უფლება მაგალითად, კომპიუტერები დაამზადოს, მაგრამ, ეს უფლება აბსატრაქციად დარჩება რეალური მატერიალური რესურსების და მათი გამოყენების გარეშე. უფრო მეტიც, შეიძლება მატერიალური რესურსებიც ჰქონდეს საწარმოს, მაგრამ არაფერი არ გააკეთოს. შედეგად, ეს რესურსები მოძველდება მორალურად და ფიზიკურად და ლიკვიდაციას დაექვემდებარება. უფლებები კი დარჩება. ამდენად, ჩვენი აზრით, აქტივი არ არის უფლება. **აქტივი არის ეკონომიკური რესურსი, რომელსაც გააჩნია სარგებლის შექმნის პოტენციალი.**

2. სააღრიცხვო ერთეული და „უფლება“

ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში ვკითხულობთ: „აქტივი არის რესურსი. ხოლო ეკონომიკური რესურსი არის ამ უფლებების ერთობლიობა და არა ფიზიკური ობიექტი. მიუხედავად ამისა, ამ უფლებების ერთობლიობის ფიზიკურ ობიექტად მიჩნევა ხშირად ამ უფლებების სამართლიან წარდგენას უზრუნველყოფს ყველაზე ლაკონურად და გასაგებად“ (1. მ: 4.12.). ეს განმარტება, ჩვენი აზრით, წინააღმდეგობრივია. კერძოდ, აქტივი ერთი მხრივ არის რესურსი, რომელიც თურმე არაა ფიზიკური სუბსტანციის მქონე ობიექტი, მაგრამ, ზოგჯერ ამ უფლებების ფიზიკურ ობიექტად მიჩნევა უფრო მართებულია“. ვფიქრობთ, ეს ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს.

„უფლებები, რომლებსაც ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი გააჩნია, მრავალი ფორმით არსებობს. ვკითხულობთ „კონცეპტუალურ საფუძვლებში“. მაგალითად, უფლებები, რომლებიც შეესაბამება სხვა მხარის მოვალეობას. როგორიცაა: ფულადი სახსრების მიღების უფლება, საქონლის ან მომსახურების მიღების უფლებები, ეკონომიკური რესურსების სხვა მხარესთან გაცვლის უფლებები და სხვა (მაგ. ფორვარდული ხელშეკრულებები)“ (მ: 4.6). **„ბევრი უფლება დადგენილია ხელშეკრულებით, კანონმდებლობით ან სხვა ანალოგიური საშუალებებით.** მაგალითად, საწარმომ შეიძლება უფლებები მოიპოვოს ფიზიკური ობიექტის ფლობის ან იჯარით აღების შედეგად, სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტის, რეგისტრირებული პატენტის ფლობის, ან ნოუ-ჰაუს შექმნით ან შექმნით და სხვა“ (1. მ: 4.7; 4.22; 4.31). ამ განმარტებითაც სწორედ ის დასტურდება, რომ უფლებები გამოცხადებულია სხვადასხვა კანონებით და ხელშეკრულებებით და რომ ისინი არ არის რესურსები.

ასვე, აღნიშნულია, რომ „საწარმოს ყველა უფლება მისი აქტივი არ არის. იმისათვის, რომ აქტივი საწარმოს უფლება იყოს, მას უნდა გააჩნდეს მოცემული საწარმოსათვის ისეთი ეკონომიკური სარგებლის შექმნის პოტენციალი, რომელიც ხელმისაწვდომი არ არის არცერთი სხვა მხარისთვის და მას უნდა აკონტროლებდეს ეს საწარმო. მაგალითად, ყვე-

ლა მხარისთვის მნიშვნელოვანი დანახარჯების გარეშე ხელმისაწვდომი უფლებები, როგორცაა, სახმელეთო გზით სარგებლობის საზოგადოებრივი უფლებები, ან ნოუ-ჰაუ, რომელიც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომია, როგორც წესი, არ არის მისი მფლობელი საწარმოს აქტივები“ (1.მ: 4.9, 4.14, 4.18). ამ განსაზღვრებაშიც წინააღმდეგობრივი აზრებია.

ამრიგად, ჩვენ ვერ ვეთანხმებით ზემოთ მოტანილ შეხედულებებს, რადგან ვთლით, რომ უფლება არის იურიდიული ანუ სამართლებრივი ცნება. აქტივი ანუ რესურსი კი არის ეკონომიკური ხასიათის ცნება და ინდიკატორი, რომლის შეფასება შესაძლებელი და აუცილებელია. რასაკვირველია, ყველა სახის აქტივის (რესურსის) შეძენა და შემდეგ ხარჯვა, შესაბამისი დოკუმენტებით ფორმდება, რაც ეკონომიკური ოპერაციების კანონიერებას და მის სამართლებრივ უფლებებს ადასტურებს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ვთვლით, რომ როგორც თეორიული ისე პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, უფრო მართებული და ადეკვატურია, „კონცეპტუალურ საფუძვლებში“ 2010 წლამდე არსებული განმარტება აღდგეს შემდეგნაირად: **„აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი სამეურნეო მოვლენების შედეგად და რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის მოტანის პოტენციალი“**. ამ აზრს ისიც განამტკიცებს, რომ პერიოდულად ხდება აქტივების გადაფასება და აუცილებელია რესურსების იდენტიფიკაცია, როგორცაა: შენობები, დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, სასაქონლო მარაგები და ა.შ. ამ რესურსების ღირებულების მართვისა და კონტროლის მიზნით, აუცილებელია მათი შეფასება და **უნდა შეფასდეს არა უფლება, არამედ რესურსები**.

3. აქტივების შეფასების და გადაფასების პრობლემური მხარეები

აქტივების ანუ ეკონომიკური რესურსების შეფასება საწარმოებში, როგორც „კონცეპტუალური საფუძვლები“ აღნიშავს, ხდება რაიმე საფუძველზე დაყრდნობით. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები გამოყოფს: პირვანდელი, რეალური, გამოყენების და მიმდინარე ღირებულების კონცეფციებს.

პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესყიდვის ღირებულება გარიგების დანახარჯების ჩათვლით; **რეალური ღირებულება** არის ფასი, რომელიც მიღებული იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან, გარიგებს დანახარჯების ჩათვლით; **გამოყენების ღირებულება** არის აქტივის გამოყენებიდან და მისი საბოლოო გასვლიდან მისაღები, მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელი (დისკონტირებული) ღირებულება; **მიმდინარე ღირებულება** არის მიმდინარე ღირებულების (გარიგების დანახარჯების ჩათვლით) ის ნაწილი, რომელიც არ არის მოხმარებული ან ამოღებული და ანაზღაურებადია (1. მ: 6.24-6.42).

„გარკვეულ შემთხვევებში შეუძლებელია ამ თუ იმ მაჩვენებელზე უშუალო დაკვირვება. ასეთ შემთხვევაში, ამგვარი მაჩვენებლის შეფასების განსაზღვრის ერთ-ერთი საშუალებაა **ფულად ნაკადებზე დაფუძნებული შეფასების მეთოდების გამოყენება**, აღნიშნულია კონცეპტუალურ საფუძვლებში (მ: 6.91). იგი არის არა შეფასების საფუძველი, არამედ მეთოდი, რომელიც ამა თუ იმ შეფასების საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, თუ შეფასების საფუძველი რეალური ღირებულებაა, მაშინ, „კონცეპტუალური საფუძვლების“ თანახმად, შესაფერისი ფაქტორები იქნება: „მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებები; ფულის დროითი ღირებულება; ლიკვიდურობა და სხვა. გამოთვლებში გამოიყენება სტატისტიკური და მათემატიკური მეთოდები“ (1. მ: 6.14). კერძოდ „მომავალი ფულადი ნაკადების შეფასების“ ფაქტორი გაითვლისწინება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას. „...ანაზღაურებადი ღირებულება იმ მოსალოდნელი სარგებლის მაქსიმალური სიდიდეა, რომელსაც კომპანია აქტივისგან მოელის მომავალში. შესაბამისად, აქტივის უნარი დამოუკიდებლად, ან აქტივების ჯგუფში, უწყვეტი ფუნქციონირების პროცესში წარმოქმნას ფულადი ნაკადები, არის მისი შეფასების საფუძველი (სრესელი, 2014).

განვიხილავთ პირობით მაგალითს:

დავუშვათ, ერთ-ერთი სანარმოს დანადგარის პირვანდელი (შეძენის) ღირებულებაა 87 ათ.ლ. მისგან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადები ოთხი წლის განმავლობაში იქნება წლიურად 20 ათ.ლ. დანადგარის გამოყენების ღირებულება, სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთების პირობებში, წარმოდგენილია 3.1. ცხრილში, სადაც მოტანილია მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთისათვის.

ცხრილი 3.1. გრძელვადიანი აქტივის დისკონტირებული ღირებულების გამოთვლა

წლები	ფულადი ნაკადები (ლ)	დისკონტირებული ღირებულება (ლ)		
		10%-ზე	15%ზე	20 %-ზე
0	- -			
1	20000	18182	17392	16666
2	20000	16528	15182	13888
3	20000	15026	13150	11574
4	20000	13660	11436	9646
5	7000	4346	3480	2813
ჯამი	80000	67742	60600	54587

მოტანილ მაგალითზე კარგად ჩანს, რომ ერთი და იგივე ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთისათვის, ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მაშასადამე, ერთი და იგივე დასახელების აქტივის ახლანდელი ანუ გამოყენების ღირებულება განსხვავებული იქნება სხვადასხვა სანარმოების მიხედვით, მხოლოდ იმიტომ, რომ მათმა მენეჯმენტმა სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთი გამოიყენა, რაც სუბიექტური გავლენების ხარისხს ზრდის. ამასთან, მნიშვნელოვანია ის, რომ თვით საპროცენტო განაკვეთების დონეზე, თავის მხრივ, გავლენას ახდენს საბანკო სექტორის საფინანსო პოლიტიკა და შესაბამისად, ესეც რეაგირებს აქტივების გამოყენების ღირებულებაზეც. მაშასადამე, კიდევ უფრო იზრდება განუსაზღვრელობის ხარისხი.

მენეჯმენტს აგრეთვე ეძლევა შესაძლებლობა, აქტივების გადაფასება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. შედეგად, აჩვენოს მაღალი მოგება, თუკი ინვესტორების მოზიდვა აინტერესებს ან პირიქით, შეამციროს მოგება, რათა მოგების გადასახადის ტვირთი შეამციროს. ზოგიერი მეცნიერი: ჩინი, ვენგი და სხვები წერენ, რომ გრძელვადიანი აქტივების შეფასების მეთოდის იმდებამდ სუბიექტურია, რომ ეკონომიკური კრიზისის პერიოდშიც კი შესაძლებელია მოგების ჩვენება. ისინი აგრეთვე აღნიშნავენ, რომ გადაფასების ასეთ პრაქტიკას უარყოფითი წვლილი შეაქვს კომპანიების რისკების მართვის პროცესში (W. Chen at al, 2013). ზოგჯერ მენეჯმენტმა შეიძლება აქტივებს ღირებულება მოუმატოს, რათა გაზარდოს მოგება და მაღალი პრემიების მიღება გახდეს შესაძლებელი (Ramona, 2013).

ამრიგად, შეფასების განუსაზღვრელობის, ცდომილების ალბათობის და სუბიექტური ფაქტორების გავლენების ხარისხი იმდენად დიდია, ვფიქრობთ, გამოიწვევს „ხშირ ეკონომიკურ რყევებს ცალკეულ ქვეყნებში და მსოფლიო მასშტაბით ხელს შეუწყობს პერმანენტულ ეკონომიკურ კრიზისს, რადგან აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები გლობალური დანიშნულებისაა“ (ჭილაძე, 2016). გარდა ამისა, „გაუფასურების ზარალის გამოთვლა ხდება გრძელვადიანი აქტივის მიერ დამზადებული პროდუქციის გაყიდვებიდან მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, მაშინ, როდესაც მზა პროდუქციის დამზადება მხოლოდ გრძელვადიანი აქტივების მონაწილეობით არ ხდება (ჭილაძე, 2016).

დასკვნა

ამრიგად, ჩატარებული კვლევის შედეგად, გაკეთებულია შემდეგი დასკვნები და რეკომენდაციები:

- აქტივების „გაუფასურების ზარალის გამოთვლა ხდება გრძელვადიანი აქტივის მიერ დამზადებული პროდუქციის გაყიდვებიდან, მომავალში მისაღები ფულადი ნაკადების საფუძველზე, მაშინ, როდესაც მზა პროდუქციის დამზადება მხოლოდ გრძელვადიანი აქტივების მონაწილეობით არ ხდება;
- მაღალია განუსაზღვრელობების და სუბიექტური ფაქტორების გავლენის ალბათობა. კერძოდ, მენჯმენტმა მოგება შეიძლება აჩვენოს მაშინაც კი, თუ ეკონომიკური კრიზისია ან აჩვენოს ზარალი, საგადასახადო ტვირთის შემცირების მიზნით;
- გადაფასების მეთოდიკა ასევე განიცდის საბანკო სექტორის ფინანსური პოლიტიკის ცვლილებების ზეგავლენას, რაც კიდევ უფრო ზრდის განუსაზღვრელობის ხარისხს;
- გამომდინარე იქედან, რომ ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები გლობალური ხასიათისაა, არსებული მეთოდიკის ცალკეულ ქვეყნებში გამოყენებამ, შესაძლოა მოახდინოს ეკონომიკური კრიზისების პროვოცირება საერთაშორისო მასშტაბით.

რეკომენდაციები:

- გრძელვადიანი აქტივებს გადაფასება მოხდეს მხოლოდ მათი ექსპლოატაციიდან გასვლის დროს და რაიმე სერიოზული დაზიანებების მიღების შემთხვევაში;
- აქტივების განმარტება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: აქტივი არის რესურსი, რომელსაც საწარმო აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და რომელსაც გააჩნია ეკონომიკური სარგებლის მოტანის პოტენციალი;

ლიტერატურა:_____

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2018 წ. <https://saras.gov.ge/ka/lfrs/Pdf/542>
2. კვატაშიძე ნ., ხორავა ა, გოგრიჭიანი ზ. (2016). აქტივების გაუფასურების შეფასების საკითხები, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I საერთაშორისო კონფერენციის მასალები: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, გვ: 205-208.
3. სრესელი ნ. (2014) ძირითადი საშუალებების გაუფასურების აღრიცხვის თავისებურებები. თსუ ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია: „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“. გვ: 205-215.
4. ჭილაძე ი. (2010). გრძელვადიანი აქტივების შეფასების კავშირი ეკონომიკურ კრიზისებთან. საუნივერსიტეტო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში, პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი, შრომების კრებული. გვ. 213-217.
5. ჭილაძე ი. (2016) საწარმოს გრძელვადიანი აქტივების გაუფასურების შეფასების სადისკუსიო საკითხები. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის I საერთაშორისო კონფერენციის მასალები: გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში, თსუ. გვ: 599 – 603. <http://eprints.tsu.ge/1002/1/>
6. W. Chen, H. Tong Tan, E.Y. Wang (2013). Fair Value Accounting and Managers` Hedging Decisions. Journal of Accounting Research, Vol. 43, pp. 67. DOI: 10.1111/j.1475-679X.2012.00468.x
7. K. Ramona (2013). Why `Fair Value` is the Rule: How a Controversial Accounting Approaches

Gained Support. Harvard Business Review, Vol. 91, pp. 115 <https://hbr.org/2013/03/why-fair-value-is-the-rule>

8. Ilia D. Dichev, (2017) On the conceptual foundations of financial reporting, <https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/00014788.2017.1299620>
9. T. Yu. Druzhilovskaya (2017). Frameworks for IFRS: Critical Analysis of new Approaches, International Accounting. vol. 20, iss. 10, pp. 596–610 <https://www.fin-izdat.com/journal/interbuh/detail.php?ID=71056>

Discussion Aspects of Conceptual Framework for Financial Reporting

Izolda Chiladze

Doctor of Economics, TSU Associate Professor

Nana Sreseli

Doctor of Economics, TSU Associate Professor

SUMMARY

Based on the methods of comparative analysis and professional judgment, the article discusses the recent changes in the “Conceptual Frameworks for Financial Standards” regarding the definition of assets and its valuation methods, and the relevant conclusions are made.

The following conclusions and recommendations are made:

- Assets’ impairment losses are calculated from the sale of products made by the non-current asset based on future cash flows, whereas finished goods are not produced solely through the participation of long-term assets;
- The probability of the influence of uncertainties and subjective factors is high. In particular, management may show a profit even in the event of an economic crisis or show a loss in order to reduce the tax burden;
- The revaluation methodology is also influenced by changes in the financial policy of the banking sector, which further increases the degree of uncertainty;
- Due to the fact that the conceptual basis of financial reporting is global in nature, the application of existing methodologies in individual countries may provoke economic crises internationally.

Recommendations:

- Revaluation of long-term assets should be done only at the time of their decommissioning and in case of any serious damage;
- The definition of assets should be formulated as follows: An asset is a resource that an enterprise controls as a result of past events and has the potential to generate economic benefits;

Keywords: asset, resource, right, asset valuation, valuation concepts.

ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამონწვევები

მედეა ხაჩიშვილი

თსუ დოქტორი

სტატიაში შეფასებულია ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი ეკონომიკურ განვითარებაში. გამოვლენილია დასაქმების პოლიტიკის საჭიროებები საქართველოში.

ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის ეკონომიკურ ზიდაზე ზემოქმედების ასახვად შესწავლილია ამ კაპიტალის ფორმირების წყაროები. გაანალიზებულია ადამიანისეული კაპიტალის, ჰოგოხც ეკონომიკური ზიდას, ინოვაციური განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორები.

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ეკონომიკა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვნად მაღალ ხარისხს, ამიტომ აუცილებელია უახდეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე ორიენტირება, ინფორმაციულ-კომპიუტერული სისტემების გამოყენება, ინოვაციების შექმნა და დანეხგვა. აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე განხილულია მეცნიერთა თანამედროვე შეხედულებები ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური ზიდაზე გავლენის მიმართებით.

ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის გათვალისწინებით დასაბუთებულია დასაქმების ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავების აუცილებლობა. ნაშრომში გაცემებულია დასკვნები და შემუშავებულია რეკომენდაციები ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის ეკონომიკურ განვითარებაზე ეფექტიანი ზემოქმედებისა და დასაქმების პოლიტიკის შემუშავების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: ადამიანისეული კაპიტალი, ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორი, ეკონომიკური ზიდა, დასაქმების პოლიტიკა, პოლიტიკის გამოწვევები.

ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკის ზრდის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია და იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ეპოქაში.

ცნობილია, რომ ფიზიკური კაპიტალის დაგროვება მნიშვნელოვანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდის პროცესში, თუმცა, ისიც დადგენილია, რომ მატერიალური კაპიტალის ზრდა ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე დამოკიდებულია. ამასთან, ადამიანისეული კაპიტალი განიხილება, როგორც ეკონომიკური განვითარების ინტენსიური საწარმოო ფაქტორი, საზოგადოებისა და ოჯახის განვითარების საფუძველი და სხვა.

ადამიანისეული კაპიტალი ინტელექტუალური და მმართველობითი შრომის ინსტრუმენტია, საცხოვრებელი და შრომითი საქმიანობის გარემოა, რომელიც ადამიანისეული კაპიტალის, როგორც განვითარების მწარმოებლური ფაქტორის, ეფექტიან და რაციონალურ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს.

ადამიანისეული კაპიტალის სწორი დაგეგმვა აუცილებელია დასაქმების პოლიტიკის ინსტრუმენტების შესამუშავებლად, რაც საბოლოოდ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის განვითარებას უზრუნველყოფს. დღეს განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის გათვალისწინებით დასაქმების პოლიტიკის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება, ასევე, შრომის ბაზრის სტრუქტურის, უმუშევრობისა და უმუშევართა მხარდაჭერი სოციალური მექანიზმების გაანალიზება. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადამიანისეული კაპიტალის ფორმირების პროცესის გავლენის გამოკვლევა ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. შესაბამისად, კვლევის მიზანს წარმოადგენს ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის როლის შეფასება ეკონომიკურ განვითარებაში და დასაქმების პოლიტიკის გამოწვევების დადგენის საფუძველზე პოლიტიკის დოკუმენტების გაუმჯობესებასა და განხორციელების მექანიზმებზე რეკომენდაციების შემუშავება.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შესაბამისი მეთოდები, მათ შორის სამაგიდე კვლევით განხორციელებულია მონაცემების მოპოვება, დახარისხება და ანალიზი. შეფასებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, ასევე, საქართველოს პარლამენტის პოლიტიკის დოკუმენტები, ეკონომიკური პროფილის სამინისტროების მონაცემები, გაანალიზებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო ნაშრომები და სხვა; მონაცემების შერჩევისა და დაჯგუფების, მსგავსებისა და განსხვავების იდენტიფიცირებისათვის, ასევე, ტენდენციების გამოსავლენად გამოყენებულია სინთეზის, ანალიზის, ინდუქციის, დედუქციისა და სხვა მეთოდები.

ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს შორის ადამიანისეული ფაქტორის შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. (ჯულაყიძე მ., ეკონომიკური ზრდის ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში). კვლევამ პასუხი უნდა გასცეს კითხვებს: რა როლი აქვს ადამიანისეულ კაპიტალს ეკონომიკურ განვითარებაში? ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის გათვალისწინებით როგორი უნდა იყოს დასაქმების პოლიტიკა საქართველოში? როგორ ხორციელდება ადამიანისეული ფაქტორის გამოყენებით დასაქმების პოლიტიკა საქართველოში? და სხვა.

ადამიანისეული კაპიტალის გამოყენებით დასაქმების პოლიტიკამ საქართველოში უნდა უზრუნველყოს მან არა მხოლოდ „მეტი“, არამედ კარგი“ სამუშაო ადგილების შექმნა. ასეთ შემთხვევაში საკითხი ეხება დასაქმების პოლიტიკას, როგორც ეკონომიკური განვითარების აუცილებელ კომპონენტს. (დასაქმების პოლიტიკა განვითარების კონტექსტში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC თბილისი, 2020).

ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკური ზრდის პირდაპირი ფაქტორია. ამასთან, მისი მობილობა სახელმწიფოთაშორისო დონეზე შრომის საერთაშორისო დანაწილებას და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ ზრდასაც უწყობს ხელს.

ადამიანისეული კაპიტალი, როგორც ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი მთავარი, განმსაზღვრელ როლს ასრულებს ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებაში. ადამიანისეული კაპიტალის ფაქტორის ეკონომიკურ ზრდაზე ზემოქმედების ასახსნელად თავდაპირველად, მიზანშეწონილია მისი ფორმირების წყაროების შესწავლა. ამ საკითხის აქტუალობას ისიც განაპირობებს, რომ თანამედროვე მსოფლიოში პოსტინდუსტრიული განვითარების უმნიშვნელოვანეს წინაპირობას სწორედ ადამიანისეული კაპიტალი და განათლების სისტემის ფორმირება წარმოადგენს. ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის, ინოვაციური განვითარებისა და ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელი ფაქტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს არაერთი მკვლევარი. (აბესაძე, რ. (2015). ეკონომიკური განვითარება).

ადამიანისეული კაპიტალის თეორიის სხვადასხვა ასპექტით შესწავლის საფუძველზე დასაბუთებულია, რომ თანამედროვე ეკონომიკა მოითხოვს ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელოვნად მაღალ ხარისხს, აუცილებელია უახლეს ტექნიკასა და ტექნოლოგიაზე ორიენტაცია, ინფორმაციულ-კომპიუტერული სისტემების გამოყენება, ინოვაციების შექმნა და დანერგვა. აღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე მეცნიერთა მიერ განხილულია თანამედროვე შეხედულებები ადამიანისეული კაპიტალის ეკონომიკური ზრდაზე გავლენის თვალსაზრისით. (მუჯირი, ი. (2016). ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია).

ეკონომიკურ ლიტერატურაში როგორც თეორიული, ასევე, ემპირიული კვლევებით დადასტურებულია, რომ ადამიანისეული კაპიტალი ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იგი მოიცავს რა ადამიანების ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და მოტივაციას, გააჩნია ეკონომიკური ღირებულება, რომელიც ადამიანებს საშუალებას აძლევს, მოახდინონ საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების პროდუქტიული წევრის რეალიზაცია. (თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში).

დღეისათვის ქვეყნების განვითარების სტრატეგია ფოკუსირებულია მდგრად და ინკლუზიურ ზრდაზე, რომლის მიღწევაც შეუძლებელია ადამიანისეული კაპიტალის წვლილის გარეშე.

ადამიანისეული კაპიტალის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ეკონომიკური განვითარებისთვის, რადგან აღნიშნული ფაქტორი დადებით გარეგან ეფექტებს იწვევს. მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალი ახალი იდეების შემუშავების საწინდარია. მას დიდი როლის შესრულება შეუძლია ტექნოლოგიის სრულყოფის, კომპანიების ეფექტიანი მენეჯმენტისა და ორგანიზაციის მიმართულებით, ასევე, მართვის ახალი მეთოდების შესამუშავებლად. შესაბამისად, ნებისმიერი ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია ნაკლებად მოხდეს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალის გასვლა ქვეყნიდან ცხოვრების უკეთესი პირობების საძებნელად. როგორც აღინიშნა, ეკონომიკურ ზრდაზე ადამიანისეული კაპიტალის გავლენის შესაფასებლად მნიშვნელოვანია მისი შემადგენელი ელემენტების ანალიზი. განასხვავებენ ადამიანისეული კაპიტალის რამდენიმე ძირითად ელემენტს: 1. ფიზიკური და სულიერი სიჯანსაღე; 2. გონებრივი და ფიზიკური უნარი; 3. ჩვევები (პროფესიული და ინსტიტუციური); 4. გამოცდილება (პროფესიული და ცხოვრებისეული); 5. ცოდნა (პროფესიული და ზოგადი) 6. მოტივაცია და სხვა. (აბესაძე, რ. (2015). ეკონომიკური განვითარება).

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისა და ეფექტიანი გამოყენებისათვის მნიშვნელოვანია შესაბამისი გარემო პირობების, პირველ რიგში, ქვეყანაში შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის არსებობა. თუმცა, არანაკლებ აქტუალურია კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირება, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია ადამიანისეული კაპიტალის, როგორც ეკონომიკური ზრდის ფაქტორის, შესწავლა მრავალდონიანი მიდგომებით, კერძოდ მიკრო, მაკრო, მეგა, ნანო და სხვა დონეების მიხედვით.

ადამიანისეულ კაპიტალს განიხილავენ, როგორც ეროვნული სიმდიდრის შემადგენელ ნაწილს. შესაბამისად განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ადამიანისეული კაპიტალის განვითარების, ასევე, დასაქმების ეკონომიკური პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება. საქართველოში ამ მიმართულებით შემუშავებულია სახელმწიფო მარეგულირებელი კანონმდებლობა, მოქმედებს სხვადასხვა პროგრამა, მათ შორის აღსანიშნავია: საქართველოს სოციალური-ეკონომიკური და რეგიონული განვითარების სტრატეგიები, საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ, საქართველოს კანონი შრომითი მიგრაციის შესახებ და სხვ.; დამტკიცებულია სახელმწიფო პროგრამები, ფუნქციონირებს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

დასაქმების პოლიტიკის სფეროში არსებული სტრატეგიული დოკუმენტების ანალიზით გამოვლინდა მთელი რიგი გამოწვევები. შედეგები ცხადყოფს, რომ დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული პოლიტიკა ძირითადად „მიწოდების მხარის“ პოლიტიკაა. ეკონომიკური პოლიტიკის მიდგომებში მთავარი აქცენტები დასაწყისში უნდა გაკეთდეს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების განსაზღვრის მიმართულებით. „მიწოდების მხარის“ პოლიტიკის ეფექტიანი განხორციელებისთვის აუცილებელია განისაზღვროს „მოთხოვნადი პროფესიები“ ეკონომიკაში მომდინარე ცვლილებების მიხედვით. კრიტიკულად მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის რეგულარული კვლევა, საჭიროა კვლევის შედეგების დანერგვის მონიტორინგი და შესაბამისი ხელმისაწვდომი შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის შექმნა.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებაზე უარყოფითად აისახება ემიგრაცია. მაღალკვალიფიციური ადამიანისეული კაპიტალის გადინება განსაკუთრებით მწვავედ აისახება განვითარებადი ქვეყნებში ეკონომიკურ ზრდასა და მოსახლეობის კეთილდღეობა-

ზე. პრობლემის დასაძლევად მნიშვნელოვანია შემუშავებული სტრატეგიების შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ამრიგად, ადამიანისეული კაპიტალი წარმოადგენს ეროვნული ეკონომიკის ზრდის მასტიმულირებელ, თუმცა, რთულ, კომპლექსურ და ინტენსიურ ფაქტორს. ეკონომიკურ ზრდაზე მისი გავლენის ხარისხი პირდაპირპროპორციულად აისახება ქვეყნის კონკურენტუნარიანობასა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე. ეროვნული, კონკურენტუნარიანი ადამიანისეული კაპიტალი განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, ეკონომიკურ სტაბილურობას, საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში მაღალ რეიტინგს. ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებების გათვალისწინებით მნიშვნელოვანია ეკონომიკური პოლიტიკის ისეთი ეფექტიანი პოლიტიკის მექანიზმების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ინოვაციურ განვითარების, ადამიანისეული კაპიტალის კონკურენტუნარიანობის ზრდის სამომავლო ტენდენციებს.

ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისას მნიშვნელოვანია საუკეთესო უნარების განვითარება. უნარების წარმოქმნა შრომატევადი პროცესია, შესაბამისად ადამიანისეული კაპიტალის განვითარების მთელი პროცესი მოითხოვს გრძელვადიან პოლიტიკას. ამგვარად ადამიანისეული კაპიტალის ფორმირება მიუთითებს განათლებაზე, ჯანდაცვის გაუმჯობესებაზე და სპეციალურ უნარ-ჩვევებში მუშაკთა გადამზადებაზე. (Will Kenton).

ადამიანისეულ კაპიტალში ადეკვატური ინვესტიციების არარსებობა, ფიზიკური კაპიტალის გამოყენების დაბალ ტემპს განაპირობებს, რაც ინვეზს განვითარების ჩამორჩენას. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობას გააჩნია ეკონომიკური ზრდის დაბალი მაჩვენებელი, რომელიც ნაწილობრივ გამოწვეულია ადამიანისეული კაპიტალისათვის ინვესტიციების არარსებობით.

ამგვარად ადამიანისეული კაპიტალის ფორმირებისას საჭიროა პრობლემის გადაჭრა ადამიანებში აუცილებელი უნარჩვევების ჩამოყალიბებით. ადამიანისეული კაპიტალის განვითარება მოითხოვს ახალი და გაფართოებული სამთავრობო სამსახურების დაკომპლექტებას, მიწათსარგებლობის ახალი სისტემის დანერგვას და სოფლის მეურნეობის სრულყოფისათვის ახალი მეთოდების შემუშავებას, კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, ინდუსტრიალიზაციის გამყარებას და განათლების სისტემის სრულყოფას.

ადამიანისეული კაპიტალი (ფართო გაგებით) - ეს არის ინოვაციური ეკონომიკის ნაწილი და დასაქმების პოლიტიკის მნიშვნელოვანი გამომწვევა.

ლიტერატურა:

1. აბესაძე, რ. (2015). ეკონომიკური განვითარება. თბილისი თსუ გამომცემლობის სტამბა.
2. მუჯირი, ი. (2016). ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაცია და ინოვაციური პროცესების აქტივიზაცია. თბილისი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge
3. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. (2019). ადამიან-კაპიტალი და მისი გაზომვის მიდგომები <https://dspace.tsu.ge/bitstream/handle/123456789/508/Human%20capital%20and%20it%27s%20measurement%20approaches.pdf?sequence=1&isAllowed=y>
4. თოთლაძე ლ., ხუსკივაძე მ. ადამიანისეული კაპიტალის როლი ინკლუზიური მწვანე ზრდის უზრუნველყოფაში. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: „მწვანე ეკონომიკის“ ფორმირების თანამედროვე პრობლემები. თბილისი.
5. დასაქმების პოლიტიკა განვითარების კონტექსტში. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი EMC თბილისი, 2020 <https://socialjustice.org.ge/uploads/products/pdf>
6. საქართველოს კანონი დასაქმების ხელშეწყობის შესახებ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4924109?publication=1>
7. ჭულაყიძე მ., ეკონომიკური ზრდის ფაქტორები გლობალიზაციის პირობებში, <http://eprints.tsu.ge/1391/1/Factors%20of%20economic%20growth%20and%20globalization.pdf>
8. Will Kenton (2020) <https://www.investopedia.com/terms/h/humancapital.asp>

The Factor of Human Capital in Economic Development and Employment Policy Challenges

Medea Kharashvili

TSU PhD student

SUMMARY

The article assesses the factor of human capital in economic development. The needs of employment policy in Georgia have been identified.

The sources of the formation of this capital have been studied to explain the impact of the human capital factor on economic growth. The human capital is analyzed as determining factor of economic growth, innovative development and competitiveness of the national economy.

Based on the study of various aspects of human capital theory, it is argued that modern economics requires a significantly higher degree of human capital. Based on these requirements, the modern views of scientists on the impact of human capital on economic growth are discussed.

Considering the human capital factor, the need to develop effective economic policy mechanisms for employment is justified. The paper draws conclusions and develops recommendations on effective impact on the economic development of the human capital factor and the development of employment policies.

Key words: human capital, human capital factor, economic growth, employment policy, policy challenges.

Covid-19 პანდემიის გავლენა მიგრაციასა და ფულად გზავნილებზე

სადომე ხაჩიძე

თსუ დოქტორი

გასული წლების განმავლობაში მსოფლიოს მხავად სხვადასხვა მიზეზით გამოწვეულ კრიზისთან მოუწია გამკლავება, იქნებოდა ეს ფინანსური, მიგრაციული თუ პოლიტიკური. ყოველი ახალი კრიზისის დაწყებისას ქვეყნებს ახ გააჩნდათ ეთიკური სამოქმედო გეგმა, მაგრამ შედეგით გამოყენებით წინა კრიზისებთან გამკლავების გამოცდილება, ხაც ვეი დაეხმებათ 2019 წლის დეკემბერში მსოფლიო პანდემიად გამოცხადებული Covid-19-ის წინააღმდეგ, ხადგან კრიზისის დასრულებისთვის საჭირო გასაღები ახც ისე პოვნობიხებად დახვში, მედიცინაში იყო. ჩვენ ვნახეთ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაცვილი საზოგადოებრივი თავშეყვის ადგილები, დახუჭილი სასწავლო ცენტრები და გაჩეხებული ქახხნები. ეს უკანასკნელი ბევრ განვითარებულ ქვეყანაში იდგა მიგრანტების სამუშაო ძადაზე. მათ მოჰქონდათ ქვეყნებისვის ახა მხოლოდ სამუშაო ძადა, ახამედ ცოდნა, იდეები და ინოვაციები. ეს ახ ახის მიგრანტების კრიზისი, მაგრამ ამ კრიზისის მიეი გამოწვეული შედეგები ყველაზე მძიმედ სწოხედ, ხომ მიგრანტების წიხე დააგყდა თავს.

ნაშრომის მიზანია Covid-19 პანდემიის პეიოლში მიგრანტების სოციალუ-ეკონომიკური მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა და იმის გაანალიზება ხა გავლენა მოახდინა ამ პიოცესებმა ქვეყნების ეკონომიკაზე.

საკვანძო სიგყვები: მიგრაცია, Covid-19, ფულადი გზავნილები.

Covid-19 პანდემიამ ფუნდამენტალურად შეცვალა მიდგომები ყველა საკითხისადმი. 170-მდე ქვეყანამ შეზღუდა, როგორც ქვეყნის გარეთ ასევე შიგნით მოგზაურობა, მაგრამ ამ მოკლევადიან ქმედებასთან ერთად მოხდა გრძელვადიანი გადაწყვეტილებების მიღება, როგორცაა მიგრანტების, როგორც გლობალიზებული ეკონომიკის მამოძრავებელი ძალის შეჩერება, შესაბამისად მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება და მიგრანტების მიერ ფულადი გზავნილების შემცირება. ის მოსახლეობა კი, რომელსაც მოუწია სამშობლოში დაბრუნება, უმუშევრობისთვის იყვნენ განწირულნი და მძიმე ტვირთად დაანვნენ საკუთარ ქვეყანას. ასე რომ სანამ ქვეყნები მიგრაციის ნაკადების შეზღუდვის გახანგრძლივებაზე დაიწყებდნენ ფიქრს კარგი იქნებოდა ამ საკითხების გრძელვადიანი შედეგებიც განიხილონ დღის წესრიგში.

მიგრანტების ერთი მესამედი მაინც მუშაობს ისეთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიცაა ჯანმრთელობის დაცვა, წარმოება, აგროკულტურა, მომსახურების სფეროები და სხვა, მაგრამ მათ არ აქვთ საჭირო საცხოვრებელი, სამუშაო პირობები და წვდომა ჯანდაცვასა და სოციალურ სერვისებზე, სწორედ ამიტომ ისინი ორმაგად არიან მსგავსი დაავადებების გადადების რისკის ქვეშ, რაც საფრთხეში აგდებს არა მხოლოდ თავად მიგრანტებს, არამედ მათ გარშემო მცხოვრებ და მოღვაწე ადგილობრივ მოსახლეობასაც. მიგრაციის საერთაშორისო ხელშეკრულება გამოუსადეგარი აღმოჩნდა Covid-19-ის ეფექტებისგან მიგრანტთა დასაცავად, განსაკუთრებით კი არალეგალი მიგრანტების. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა საბერძნეთის კუნძულები მიგრანტები და ლტოლვილები, რომლებიც დაავადნენ Covid-19-ით აღმოჩნდნენ ყველანაირი მხარდაჭერის გარეშე. ამის მიუხედავად ჩვენ ვნახეთ სიტუაციის მართვის კარგი მაგლითები როგორიცაა, მაგალითად საფრანგეთი, პორტუგალია, რომლებმაც დაიწყეს დროებითი საცხოვრებელი და სამუშაო ნებართვების გაცემა არალეგალი მიგრანტებისთვის მოქალაქეების მსგავსი უფლებებით სასარგებლოდ. 2020 წლის მარტში პორტუგალიის მთავრობამ გამოაცხადა ახალი რეგულაცია მომუშავე მიგრანტებისა და თავშესაფრის მადიებელთათვის ყველა ეკონომიკის სფეროში მიენიჭათ მათ დროებითი რეზიდენტობა რომ შეძლებოდათ ჯანმრთელობის დაცვის სერვისების სარგებლობა. ასევე 20 მაისს ესპანეთმა წარმოადგინა მუშაობის და

ბინადრობის ნებართვების გაფართოების არეალი უცხოელებისთვის COVID-19-სგან გამონჯული საგანგებო სიტუაციის მოწესრიგების იმედით. აქვეა ირლანდიის მაგალითიც, რომელმაც გამაოცხადა, რომ ყველანაირი დახმარება გაეწეოდა ყველა ადამიანს განუზრჩველად რასისა და ქვეყანაში ყოფნის ოფიციალური თუ არა ოფიციალური სტატუსისა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქმედებები არ ემსახურებოდა მხოლოდ ალტრუისტულ მიზნებს, არამედ პანდემიასთან საბრძოლველად ქვეყანებს ესაჭიროებოდათ ყველა იქ მცხოვრები მიგრანტი თუ არამიგრანტს ჩართულობა ვაქცინირების პროცესში ეს ქმედებები ყველანაირად გამართლებულია. თუ გვსურს პანდემიასთან ბრძოლაში წინ წავიწიოთ ეს პრაქტიკა მეტად მისაღები უნდა გახდეს სხვა ქვეყნებისთვისაც, თუ არა და ისევ დავუბრუნდებით საწყის წერტილს, რომელიც თავის თავში მოიაზრებს რენაციონალიზაციას და ლოკალურ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომელიც უნებურად უკან იტოვებს ისეთ დარგებს სადაც დასაქმებულნი არიან არალეგალი მიგრანტები.

2016 წლიდან ჩამოყალიბებულია მცდარი პრაქტიკა, რომ მიგრანტებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ არაფორმალურად ეკონომიკის ზრდაში ისე რომ არ ქონდეთ წვდომა თავიანთ უფლებებზე. ამის გამო როდესაც ხდება ასეთი გლობალური შოკები მსგავსი ტიპის მიგრანტები ყველაზე მეტ ზიანს იღებენ. იმისდა მიუხედავად, რომ ისინი ხანდახან დარგის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. კანადის მაგალითმა აჩვენა, რომ აგროკულტურული დარგებში თესვა და მოსავლის აღება სერიოზული საფრთხის ქვეშ დადგა ცენტრალური ამერიკიდან სეზონური სამუშაო ძალის არ ყოფნის გამო. ამ მოვლენებმა უბიძგა კანადის მიგრაციის სამინისტროს მიგრანტებისათვის დაეშვა დროებითი მოქალაქეობა. სამწუხაროდ ვფიქრობ ეს მოვლენები მოკლევადიანია და პანდემიის დასრულების შემდგომ აღარ იქნება სიცოცხლისუნარიანი.

სეზონურმა სამუშაო ძალამ რომელიც ევროპაში საგაზაფხულო სამუშაოებზე მიდოდა ტრანსპორტის ბლოკირების და მოგზაურობის გართულების გამო 14 დღიან კარანტინებს არჩია საკუთარ ქვეყანაში დარჩენა, თავიანთი ფერმებისთვის გაძლოა და მთავრობისგან დახმარების მოთხოვნა. 2020 წლის აპრილის პერიოდში მოხდა რიგი შეთანხმებების დადება რომელიც 80 000 სეზონურ მუშას გაუხსნიდა გზას გერმანიაში სამუშაოდ. ასევე სეზონურ მუშებს ნება მიეცათ 2020 წლის 31 ოქტომბრამდე მოკლევადიანი დასაქმების პროგრამებით ემუშავათ წლის განმავლობაში 115 დღე სოციალური დაცვის გარეშე. ადრე მსგავსი ქმედება მხოლოდ 70 დღით იყო დასაშვები. ასევე იტალიის შრომის მინისტრმა დაუშვა სამუშაო ნებართვები და ევრეთ წოდებული „მწვანე დერეფანი“ გააკეთა რუმინელი მიგრანტებისთვის. თუმცა ეს ქმედებები არ გახლდათ საკმარისი მიმდინარე შრომითი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ანტიმიგრაციული პარტიებში მწვავე რიაქციების გამოსაწვევად.

აშშ-ში ძირითადი აგროკულტურის მომუშავეები არიან მიგრანტები რომელთაც ხელი არ მიუწვდებათ საბაზისო ჯანმრთელობის დაცვაზე, რაც ნებისმიერი სხვა სექტორებისთვის ხელმისაწვდომია. ეს აყენებს ამ მიგრანტებს და ამათ ოჯახებს დიდი საფრთხის წინაშე. ასევე მათ არ უნაზღაურებენ ჯანმრთელობის გამო გაცდენილ დღეებს. მათი არალეგალური სტატუსის გამო ძირითადი მასა მიგრანტების ვერც კი იტესტებოდა კორონავირუსის დასადგენი ტესტით. 2020 წლის აპრილში დაავადებათა კონტროლის ცენტრმა გამოუშვა კრიტიკული სამუშაო ძალის უსაფრთხოებისთვის საჭირო მანუალები, რომლების გათვალისწინებაც სავალდებულო გახდა მუშაობის პროცესში. მაგრამ მიუხედავად ამ რეგულაციებისა ბევრი მიგრანტი წააწყდა ისეთ სამუშაო გარემოს, სადაც არ იყო დაცული მოცემული პირობები, მაგრამ მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში მათ ემუქრებოდათ სამუშაო ადგილის და შემოსავლის დაკარგვა, ამიტომ ისინი იძულებით ასრულებდნენ მსგავს შეუსაბამო სამუშაოებს.

აგროსექტორი მრავალ ქვეყანაში არის სუბსიდირებული დარგი, მაგრამ ძირითადგან ეს სახსრები იხარჯება არა სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად, არამედ მწარმოებლურობის გაზრდის მხრივ. საერთაშორისო შრომის ორგანიზაციამ (ILO) წამოაყენა კორო-

ნავირუსთან გამკლავების სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგ პუნქტებს: 1) ეკონომიკის და დასაქმების სტიმულირება, რომელიც მოიცავს ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას სანამ მოხდება ფინანსური მხარდაჭერა ამ სექტორების; 2) საწარმოების სამუშაო ადგილების და შემოსავლების მხარდაჭერა, სოციალური დაცვის გაზრდით; 3) სამუშაო ადგილზე მომუშავეების დაზღვევით; საერთაშორისო შრომის სტანდარტები და სამსახურეობრივი უფლებების ფუნდამენტური პრინციპები წარმოადგენს ძლიერ საფუძველს ამ ქმედებების განხორციელებისათვის. (International Labour Organization Brief, may 2020)

Covid-19 პანდემიის გავლენა ფულად გზავნილებზე

მიგრაცია ძირითადად არის მოსახლეობის დენადობა ქვეყნებიდან სადაც ომი ან ეკონომიკურად არამდგრადი სიტუაციაა. მაგრამ რეალობა ისაა რომ ჩვენ ვხედავთ 280 მილიონამდე საერთაშორისო მიგრანტს და აქედან მხოლოდ 26 მილიონია ლტოლვილი, რომლებიც ომის ან ძალადობის გამო არიან გადაადგილებული მშობლიური ქვეყნებიდან. ძირითადი მიგრანტები არიან შრომითი მიგრანტები, რომლებიც მოიცავენ როგორც დაბალ, მაღალ და ისე საშუალო კვალიფიციურ ძალებს, რომელზეც შრომით ბაზარზე ამ საზღვრების ჩაკტვის პროცესებმა ძალიან დიდი გავლენა მოახდინა. გაეროს (გაერთიანებული ერების ორგანიზაციის) ცნობით მსოფლიოში საერთაშორისო მიგრანტების რიცხვი (ლტოლვილთა ჩათვლით) არის დაახლოებით 281 მილიონი. წამყვანი მიმღები ქვეყნები არიან ამერიკის შეერთებული შტატები (48.2 მილიონი) გერმანია (10.2 მილიონი), საუდის არაბეთი (10.8 მილიონი), რუსეთი (11.6 მილიონი) დიდი ბრიტანეთი (8.4 მილიონი), არაბთა გაერთიანებული საამიროები (8 მილიონი), საფრანგეთი (7.9 მილიონი), კანადა (7.6 მილიონი), ავსტრალია (6.7 მილიონი) და ესპანეთი (5.9 მილიონი). (UN, 2021)


ფულადი გზავნილების რაოდენობა 2019 წელს პიკში იყო და მსოფლიო ბანკის მონაცემებით 2020 წლიდან ვხვდებით მათი კლების ტენდენციას. 2020 წელს საშუალოდ 20% იყო დაკლებული და ზოგ მიმღებ ქვეყნებში ეს შეადგენდა მთლიანი ეროვნული პროდუქტის 50%-საც კი. ეს იყო იმის შედეგი, რომ ქვეყნებში დაიხურა ბიზნესები და მოსახლეობის ნაწილმა დაკარგა სამუშაო ადგილები. ყველა ქვეყანა მსგავს პროცესებს ერთნაირად ვერ უძლებს, მაგალითად ჰოლანდიის მთავრობამ საკუთარ თავზე აიღო იმის რეგულირება, რომ სოციალურ ტრანსფერებს იღებდა ყველა უმიშევარი ადამიანი ან ისეთი ბიზნესი, რომელსაც პრობლემები შეექმნა ეპიდემიოლოგიური სიტუაციით. ძირითადი ქვეყნების პოლიტიკა სრულადად ითვალისწინებდა საკუთარი მოსახლეობის სახლში დარჩენას და მათი ჯანმრთელობისთვის დისტანციურ მუშაობას და იზოლაციას, მაგრამ ამასთანავე ეკონომიკა სრულადად რომ არ გაჩერებულიყო მიგრანტებს ნებას რთავდა ემუშავათ ფრონტის წინა ხაზზე ისეთ დროსაც კი, თუკი მათი ჯანმრთელობის დასაცავად არ იყო საკმარისი პირობები შექმნილი. მაგალითად ამერიკის, ბრიტანეთის და კანადის სამედიცინო სფეროში ექიმების 30% და მედდების დიდი ნაწილი არ არის ადგილობრივი.

რეგიონებს შორის ფულადი გზავნილები ლათინო ამერიკაში და კარიბის ზღვის აუზში გაიზარდა 6.5%-ით 2020 წელს, რასაც ხელი შეუწყო ეკონომიკის აღდგენამ და შრომითი ბაზრის გაუმჯობესებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამასთანავე ევროპის და ცენტრალური აზიისკენ მიმართული გზავნილები დაეცა დაახლოებით 9,7%-ით. ფულადი გზავნილების დოლარის ვალუტაში 5 ყველაზე აქტიურად მიმღები ქვეყანა იყო ინდოეთი (83 მილიარდი), ჩინეთი (60 მილიარდი), მექსიკა (43 მილიარდი), ფილიპინები (35 მილიარდი) და ეგვიპტე (30 მილიარდი) (World Bank, 2021). ამერიკის შეერთებული შტატები ყველაზე დიდი წყარო იყო ამ გზავნილების (\$68 მილიარდი), მას მოყვება არაბთა გაერთიანებული საამიროები (\$43 მილიარდი), საუდის არაბეთი (\$35 მილიარდი) და რუსეთის ფედერაცია (\$17 მილიარდი)(World Bank, 2021). ყველაზე მეტად ფულადი გზავნილები შემცირდა 2020 წლის მეორე კვარტალში COVID-19 პანდემიის გამო ქვეყნების მასიური ჩაკეტვის და მოზარეობის შეჩერების შემდგომ. საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გაუარესების გარდა მიგრა-

ნტებში ეს ტენდენცია გამოიწვია 2020 წლის მარტსა და აპრილში ფულადი გზავნილების გადასარიცხი დაწესებულებების დროებითმა დახურვამაც, ხოლო საზღვრების ჩაკეტვამ კი ფიზიკურად მიგრანტების მიერ ნაღდი ფულის თავად ჩატანის საშუალებაც გააჩერა. ამ მკაცრი შეზღუდვების მოხსნის შემდგომ მესამე და მეოთხე კვარტალში ვხედავთ უკვე გაუმჯობესებულ მდგომარეობას. ეს არ იყო პირველი შემთხვევა კრიზისის დროს ფულადი გზავნილების კლების, მაგრამ ამ პროცესებს ბევრად ნაკლები მასშტაბები ქონდა ვიდრე 2008 წლის მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს, ამჟამად ფულადი გზავნილების კლება მცირე ხნიანი იყო, რადგან დახურული ეკონომიკები პანდემიის პიკს მალე გასცდნენ და დაიწყეს რეგენერაცია, ხოლო მიგრანტები ცდილობდნენ რაც შეიძლება მეტი თანხა გაეგზავნათ სამშობლოში, რომ მათ ოჯახებს იმჟამინდელ ფინანსურ არასტაბილურობას და უმუშევრობისთვის გაეძღო. შესაბამისად ფულადი გზავნილები სამართლიანად ითვლება გლობალური სოციალური დაცვის სისტემის მნიშვნელოვან ელემენტად.

ახლა რაც შეეხება საქართველოს, მსოფლიოს ქვეყნებთან ერთად საქართველოც აქტიურად ებრძოდა კორონავირუსს ადგილობრივი ბიზნესზე და მოსახლეობაზე მკაცრი შეზღუდვების დაწესებით, როგორც იყო მაგალითად დასაქმებულების დისტანციური რეჟიმზე გადაყვანა, ბიზნესისთვის დროებითი ფუნქციონირების შეჩერება და კომენდანტის დაწესება. ქვეყანაში შემუშავდა ანტიკრიზისული ეკონომიკური გეგმა, რომელიც კრიზისული სიტუაციის შემსუბუქებას ემსახურებოდა ისეთი ქმედებებით, როგორცაა მოქალაქეებისთვის კომუნალური მომსახურების დაფინანსება, სესხების გადავადების შესაძლებლობა, ტურიზმთან დაკავშირებულ სექტორისთვის ქონების და საშემოსავლო გადასახადის დროებითი გადავადება. პანდემიის გამო უმუშევრად დარჩენილ პირებს დაენიშნათ თვიური 200 ლარიანი დახმარება ასევე ყველა ბიზნესს მიეცა საშემოსავლო გადასახადზე შეღავათები (750 ლარი სრულიად თავისუფლდებოდა გადასახადისან ხოლო 1500 ლარამდე კი ნაწილობრივ). ამასთანავე ამოქმედდა დამატებული ღირებულების გადასახადის ავტომატური დაბრუნების მექანიზმი. მიუხედავად სწრაფი რეაგირებისა და კოვიდ სიტუაციის მართვის პოზიტიური დასაწყისისა მალევე გაუარესდა ქვეყანაში ეპიდვითარება და რატქმუნდა ეკონომიკურ ზრდაზეც შესაბამისად უარყოფითად აისახა ეს ყველაფერი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წინასწარი მონაცემებით 2020 წელს ადგილი ჰქონდა 6.2%-იან ეკონომიკურ რეცესიას. (დიაგრამა №1)

დიაგრამა 1. მთლიანი შიდა პროდუქტი და ეკონომიკური ზრდა (2007-2021)



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda)


მიგრაცია საქართველოსთვის, როგორც განვითარებადი ქვეყნისთვის საკმაოდ მტკივნეული საკითხია ძირითადი მიგრანტები წასული არიან რუსეთის ფედერაციაში, გერმანია, იტალიასა და საბერძნეთის მიამრთულებით. როგორც სხვა ქვეყნებისთვის ფულადი გზავნილები ჩვენი ეკონომიკისთვისაც საკმაოდ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. Covid-19-მა სხვა ქვეყნების მსგავსად საქართველოშიც 2020 წლის პირველ და მეორე კვარტალში საკმაოდ შემცირდა გზავნილების რაოდენობა, მაგრამ მალევე წინა წლის იმავე პერიოდის მაჩვენებლებს საგრძნობლად გაუსწრო (ცხრილი №1)

ცხრილი 1. საქართველოში ფულადი გზავნილების წამყავნი 7 ქვეყანა (2020-2021წ)

	2021-Q3	2021-Q2	2021-Q1	2020-Q4	2020-Q3	2020-Q2	2020-Q1
სულ	623,071	583,670	499,307	551,345	565,652	380,159	388,827
რუსეთის ფედერაცია	116,337 19%	104,176 18%	80,507 16%	107,750 20%	110,466 20%	65,460 17%	80,239 21%
იტალია	101,015 16%	95,361 16%	86,377 17%	84,636 15%	85,203 15%	67,743 18%	60,032 15%
აშშ	74,639 12%	74,002 13%	61,326 12%	63,191 11%	67,123 12%	44,991 12%	43,055 11%
საბერძნეთი	59,947 10%	62,592 11%	58,996 12%	60,430 11%	62,316 11%	48,864 13%	47,531 12%
ისრაელი	48,222 8%	45,905 8%	42,710 9%	43,017 8%	42,355 7%	32,124 8%	39,311 10%
გერმანია	30,950 5%	27,505 5%	21,490 4%	23,722 4%	21,343 4%	15,647 4%	13,442 3%
თურქეთი	28,172 5%	26,090 4%	25,231 5%	28,991 5%	31,476 6%	23,630 6%	22,640 6%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (https://analytics.nbg.gov.ge/views/_15/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&:showAppBanner=false&:display_count=no&:showVizHome=no)

დიაგრამა 2. ფულადი გზავნილების წლიური ზრდის ტემპი (2020-2021)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (https://analytics.nbg.gov.ge/views/_15/sheet1?iframeSizedToWindow=true&embed=y&:showAppBanner=false&:display_count=no&:showVizHome=no)

თუ განვიხილავთ ამჟამინდელ მდგომარეობას 2021 წლის სექტემბრის თვეში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილები შეადგენს 209.7 მლნ.აშშ დოლარს(653.5 მლნ ლარს) რაც 8.8%-ით(17 მლნ აშშ დოლარით) აღემატება 2020 წლის იმავე პერიოდის მონაცემს.

დასკვნა

Covid-19-ის პანდემიამ გვაჩვენა რომ ეკონომიკური რეცესიის გამომწვევი მიზეზები შესაძლოა იყოს ძალზედ კომპლექსური. მმართველი ორგანოები დადგენენ არჩევანის წინაშე დაეხურათ ეკონომიკა და შეენარჩუნებიათ მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა უსაფრთხოდ თუ დაეტოვათ ეკონომიკა გახსნილი და საკუთარი ნებით დაეშვათ ინფექციის გავრცელება სამუშაო ბაზარზე. სხვადასხვა ქვეყნებმა განსხვავებული ხერხები აირჩიეს პანდემიასთან გასამკლავებლად, ზოგმა მათგანმა მალევე მოახერხა საზოგადო ჯანდაცვის და ეკონომიკის მზინების დაბალანსება ზოგი კი სავალალო შედეგებამდე მივიდა.

მიუხედავად იმისა რომ ჯერ კიდევ ნაადრევია პანდემიის გრძელვადიანი ზემოქმედების შეფასება, ჩვენ ნათლად დავნახეთ რამხელა გავლენა იქონია მსგავსი სახის პანდემიამ, როგორც მიგრანტთა მიმღებ ასევე გამგზავნ ქვეყნებზე. პირველ შემთხვევაში მიგრანტების სახით სამუშაო ძალა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი მიგრანტთა მიერ გადმორიცხული ფულადი ნაკადები მოაკლდა ქვეყნებს. ცხადია ჯანმრთელობის და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მნიშვნელობა აუცილებელს ხდის ადამიანების გადაადგილების კონტროლის, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვაწყდებით ორმაგ სტანდარტებს, რომელშიც ცალსახად ვერ მივემხრობით ვერც მიგრანტების შემოყვანას ეკონომიკური ზრდისთვის და ვერც საზღვრების კონტროლის გამკაცრებას ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.

ეკონომიკის აღდგენის გეგმის დასახვისას აუცილებელია ყველა ქვეყანამ გაითვალისწინოს, რომ მიგრანტი სამუშაო ძალა ჩართოს სოციალური დაცვის და სტიმულაციის პროგრამებში. საერთაშორისო განვითარების ძალები ამჟამად მუშაობენ რომ დაარსონ გლობალური განათლების ფონდები პანდემიით დაზარალებული ოჯახებისა და ბავშვებისთვის, მაგრამ მსგავსი პროგრამები არის მცირე მასშტაბების და შესაბამისად მოკლევადიანი შედეგები აქვს. ჯერ კიდევ არ გვაქვს ერთიანი სამოქმედო გეგმა, სჭიროა მსგავსმა ლოკალურმა პროგრამებმა გადაინაცვლოს გლობალურ, მულტილატერალურ დონეზე ეს კი ნამდვილად დიდი გამოწვევა იქნება მათთვის და შესაძლოა გრძელვადიან პერიოდში საიმედოდ გამოსავლადაც კი მოგვევლინოს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული ბანკი, ინტერაქტიული პრესრელიზები 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე - <https://nbg.gov.ge/statistics/interactive>
2. საქართველოს ეროვნული ბანკი, ფულადი გზავნილები 2021. ხელმისაწვდომია ბმულზე https://analytics.nbg.gov.ge/views/15/sheet0?iframeSizedToWindow=true&embed=y&showAppBanner=false&display_count=no&showVizHome=no
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მშპ და ეკონომიკური ზრდა. ხელმისაწვდომია ბმულზე - https://www.mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda
4. International Labour Organization Brief, 2020. Retrieved from - https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---ed_protect/---protrav/---migrant/documents/publication/wcms_745481.pdf
5. Migration and Remittances Team Social Protection and Jobs World Bank; Resilience COVID-19 Crisis Through a Migration Lens; Migration and Development Brief 34, 2021. Retrieved from - https://www.knomad.org/sites/default/files/2021-05/Migration%20and%20Development%20Brief%2034_0.pdf

The Impact of the Covid-19 Pandemic on Migration and Remittance

Salome Khachidze

TSU PhD Student

SUMMARY

For the last several years the world had to deal with crisis caused by different reasons be it financial, migrational or political. Even though at the start of every new crisis nations did not have an unified action plan, they could use the experience gained during the previous crisis, which did not help them against Covid-19 world pandemic, because the key to end the crisis turned out to be in a much less predictable field – medical sector. In every part of the world, we saw empty public spaces, closed down education centers and suspended factories which in many countries depended on migrants' labor, who brought to the country not only labor, but their knowledge, ideas and innovations as well. This is not a migration crisis, but it is the migrants, to whom the results of this crisis has hit the hardest.

The goal of this paper is to overview general social-economic state of migrants and analyze the impact of these processes on the nations economies.

ფასიანი ქალაქების ბაზრის აქტუალური პრობლემები საქართველოში და გლობალიზაციის პირობებში მისი სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

დადი ხიხაძე

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ასოცირებული პროფესორი

თეიმურაზ ხაგიაშვილი

თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დოქტორანტი

გლობალიზაციის პირობებში მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას მისი ფინანსური სისტემის მდგრადობა და ფინანსური ხესუსების მიმოქცევის ოპტიმალური ხეგუდობა წარმოადგენს. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების გამოცდილებისა და პრაქტიკის საფუძველზე თუ ვიმსჯელებთ, სწორედ ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარება წარმოადგენს ეკონომიკისა და ბიზნესის სექტორის აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს. ქვეყნის პეისპექტიური ზიდა და პროგრესი შეუძლებელია საინვესტიციო კაპიტალის გახეშე, ხომლის მობილიზების საშუალებას პიხვედადი და მეოხადი ფასიანი ქალაქების ბაზარი და საბოლოოდ საფონდო ბიჟის განვითარებული მექანიზმი წარმოადგენს.

საკვანძო სიყვები: გლობალიზაცია, ფინანსური სისტემა, საინვესტიციო კაპიტალი, პიხვედადი და მეოხადი ფასიანი ქალაქების ბაზარი, საფონდო ბიჟა, საეხთაშოხისო ფინანსური ინსტიტუტები.

შესავალი. საქართველოში ფინანსური სისტემის მდგრადობა და ფასიანი ქალაქების ბაზრის განვითარება ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული და საბაზრო ეკონომიკის განსაკუთრებულ მოთხოვნას წარმოადგენს, მაგრამ დღეისათვის საქართველოში მრავალი პრობლემაა, რის გამოც ფასიანი ქალაქების ბაზარი არ არის მზად აქტიური და გამართული საფონდო ბიჟის ფუნქციონირებისათვის.

თანამედროვე ეტაპზე საფონდო ბაზრის შენელებული განვითარება ძირითადად საქართველოს ეკონომიკისა და ბიზნეს სექტორის კრიზისული მდგომარეობით აიხსნება: კერძოდ,

- ეროვნული ინდუსტრიის სტაგნაცია(სამრენველო პოტენციალის განვითარების დაბალი დონე);
- საინვესტიციო რესურსების დეფიციტი;
- მოსახლეობის გაუთვითცნობიერება და ინდიფერენტულობა საფონდო ბიჟის საკიხებში;
- ინდივიდუალური და და ინსტიტუციონალური ინვესტორების(კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიების, საპენსიო და საინვესტიციო ფონდების სუსტი მონაწილეობა საფონდო ბიჟის განვითარებაში;
- საქართველოში შემოსავლების დაბალი დონე;
- ფასიანი ქალაქების ბაზრის რისკიანობა და კანონმდებლობის არასრულყოფილება;
- სახელმწიფოს მხრიდან ფინანსური სისტემის მდგრადობისათვის ერთიანი პროგრამის არ არსებობა;
- არაჯანსაღი საინვესტიციო კლიმატი და სხვა პრობლემები.

ზემოთაღნიშნული პრობლემების დაძლევა და ფინანსური სისტემის განვითარების ეფექტიანი მარეგულირებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა და საერთაშორისო ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა უპირატეს პირობას წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლასა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და საინვესტიციო-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული საინვესტიციო პროცე-

სების მიმდინარეობის ეფექტიანობასა და ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაზე. ამ მიმართულებათა წარმატებით განხორციელება საჭიროებს მათი სახელმწიფოებრივი რეგულირების გაუმჯობესებასა და სრულყოფას. როდესაც საუბარია ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირების საკვანძო საკითხებზე, ჩვენ უპირატესად მხედველობაში გვაქვს მისი რაციონალური ფუნქციონირების, სამართლიანობისა და მოსახლეობის ფართო ფენებში პოპულარობის უზრუნველყოფა. ასევე, ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა და ფასიანი ქაღალდებით შესრულებულ გარიგებებში სამართლიანი მოთხოვნების განუხრელი დაცვა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფასიანი ქაღალდების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის შიგნით ფულის მიმოქცევის გაუმჯობესებასა და სრულყოფაში. გასათვალისწინებელია აგრეთვე ფასიანი ქაღალდების ბაზრის საკანონმდებლო უზრუნველყოფა, მისი სრულყოფილი ინფრასტრუქტურის შექმნა და ამოქმედება.

კვლევის ძირითადი ნაწილი. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ორგანიზებაში და რეგულირებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია, როგორც საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს (EBRD, ADB, IFC და სხვა), ისე კომერციულ ბანკებსა და საფინანსო-საკრედიტო ორგანიზაციებს. საბანკო სისტემა არის ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს არა მხოლოდ ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებას, არამედ ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიან რეგულირებას. ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ფართოდ დანერგვა, განიხილება, როგორც მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

თანამედროვე ეტაპზე საქართველოში სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების მიმოქცევა და ყიდვა-გაყიდვა სუსტად არის განვითარებული და ვერ უზრუნველყოფს იმ უდიდესი როლის წარმატებით განხორციელებას, რაც ფულის მიმოქცევის განმტკიცებასა და მისი სტაბილური სავალუტო კურსის შენარჩუნებასთან არის დაკავშირებული.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი აკისრია ეროვნულ ბანკს, რომელსაც შეუძლია მნიშვნელოვნად შეამციროს ქვეყნის შიგნით ინფლაციური პროცესები, გაზარდოს მოთხოვნა კაპიტალის ზრდაზე და მოსახლეობის ფულადი დანაზოგის ჩართვა მისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში. როდესაც საუბარია საბანკო სისტემის როლზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში, მხედველობაშია მისაღები ძირითადი მოთხოვნა, რომ არ მოხდეს ბაზარზე დამატებითი ფულის მოწოდება და შესაბამისად, მისი გაუფასურება. ამ არასასიამოვნო მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ზოგიერთი სახის ფასიანი ქაღალდების, კერძოდ, მოკლევადიანი ობლიგაციების ყიდვა-გაყიდვის გააქტიურებით მიმოქცევაში მყოფი ფულადი მასის დარეგულირებას, რასაც თანამედროვე ეტაპზე არ ექცევა სათანადო ყურადღება. კრიზისული მდგომარეობის ერთგვარი გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ამ კუთხით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლა-გაზიარებას და მათი ექსპერტების აქტიურად ჩართვას საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის რეგულირებაში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის გამოცოცხლებისა და ქმედითუნარიანობის ასამაღლებლად საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს საბაზრო ურთიერთობებში ეროვნული ვალუტის (ლარის) გააქტიურებას და უცხოური ვალუტის, კერძოდ კი დოლარის შემზღუდავ პროცესებს. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქართველოში ამ მიმართებით იყო მიღებული შესაბამისი დადგენილება და შედეგებიც შესაბამისად საგრძნობი იყო, მაგრამ მომდევნო წლებში დოლარის მოქმედების არეალი ჩვენი ქვეყნის ბაზრებზე კვლავ ძალზე მნიშვნელოვანი გახდა, რაზეც ნათლად მეტყველებს ლარის გაცვლითი კურსის გაუარესება დოლართან და სხვა უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში და ამასთან დაკავშირებით, სამომხმარებლო ბაზრებზე ფასების სისტემატური ზრდა. ამასთან ერთად ლარის დევალვაციის გამო კომერციული ბანკები განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებენ უცხოურ ვა-

ლუტის განთავსებას აქტივებში, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ლარის როლსა და მნიშვნელობას ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ერთ-ერთ საყურადღებო მიმართულებად გვესახება ეროვნული ბანკის მიერ ობლიგაციების ემისიის ფართოდ დანერგვა და მასზე მოთხოვნის ზრდის შესაბამისად ღონისძიებათა განხორციელება. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობა და მონაწილეობა ამ პროცესში. ამისათვის კი საჭიროდ მიგვაჩნია სათანადო აუქციონების იმგვარი ჩატარება, რომლის დროსაც აუქციონზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები ხელს შეუწყობს ობლიგაციებზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას. ობლიგაციების ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების სიდიდის განსაზღვრისას აუცილებლად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული სადეპოზიტო განაკვეთების სიდიდე, რადგან მათ შორის არაოპტიმალურმა თანაფარდობამ შეიძლება გამოიწვიოს მოსახლეობის დანაზოგების გადაადგილება ერთი არხიდან მეორეში. მაგალითად, თუ ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთი გაუტოლდება სადეპოზიტო განაკვეთს ან გადააჭარბებს მას, ამან შეიძლება გამოიწვიოს ანაბრების გადაადგილება ფასიან ქაღალდებში და შესაბამისად, მოთხოვნის ზრდა მიწოდებასთან შედარებით. ამგვარი ვითარება, ბუნებრივია, დააჩქარებს ფასიანი ქაღალდების მეორადი ბაზრის ჩამოყალიბებასა და საფონდო ბირჟის განვითარებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ჩამოყალიბების საქმეში ასევე უნდა აღინიშნოს სააქციო საზოგადოებების როლი, რომელიც უმეტესწილად პრივატიზაციის პროცესებთანაა დაკავშირებული. ამ ეტაპზე ქვეყნის დაახლოებით 100 სახელმწიფო საწარმო გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად, ხოლო აქციონერთა ფენა გაუტოლდა 400 ათას აქციონერს. თანამედროვე ეტაპზე ფასიანი ქაღალდების ბაზრის საქმიანობას ძირითადად არეგულირებს ეროვნული ბანკი და მისი დამოუკიდებელი ორგანო- „ფინანსური ზედამხედველობის სააგენტო“, რომელსაც გააჩნია სამი მარეგულირებელი დეპარტამენტი და მათ შორის ფასიანი ქაღალდების ზედამხედველობისა და რეგულირების დეპარტამენტი.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს საკანონმდებლო-ნორმატიული ბაზა. ფასიანი ქაღალდების ბაზრის სრულყოფილი სახით ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას მისი ეფექტიანი რეგულირების შესაბამისი მოთხოვნები, რომლის გადმოტანა შეიძლება წარმატებით განხორციელდეს აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების ფასიანი ქაღალდების ბაზრების გამოცდილებიდან, რომელთაც გააჩნიათ მეტად ხანგრძლივი და სრულფასოვანი ისტორია ამ სფეროში. ჩვენ ძირითადად მხედველობაში გვაქვს ფასიანი ქაღალდების რეგულირების ისეთი საკვანძო მიმართულებები, როგორიცაა: ინფორმაციის მოპოვება ემიტენტების შესახებ, ფინანსური მონაცემების ანალიზი და ანგარიშგება, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ლიცენზირება ინვესტიციების მართვა, კორპორაციული მმართველობა და სხვ. თუ როგორ გვესახება თითოეული მათგანის როლი და მნიშვნელობა მის განვითარებაში, მოკლედ განვიხილოთ: ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმოქმნა-განვითარების ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას უნდა წარმოადგენდეს ემიტენტების (ფასიანი ქაღალდების გამომშვები ობიექტები) შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის მოპოვება. ეს საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მის გარეშე თითქმის ყოველად შეუძლებელია ახლად გამოშვებულ ფასიან ქაღალდებზე ფასების ოპტიმალური დონით განსაზღვრა და შესაბამისად, ბაზრის წარმატებული საქმიანობა. ამ მოთხოვნის უგულებელყოფამ, კერძოდ, ფასების დაუსაბუთებლად მაღალი დონით განსაზღვრამ შეიძლება გამოიწვიოს მოცემული ფასიანი ქაღალდის მიმართ მოთხოვნის შემცირება ან გაუქმება და შესაბამისად, მისი „ჩავარდნა“ ბაზარზე, რომლის შემდგომი აღდგენა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. საფონდო ბირჟებზე ფასების განსაზღვრაში სახელმწიფოს როლის გააქტიურება და მისი უშუალო ჩართულობა არ შეიძლება შეფასდეს დადებითად,

რადგან იგი ეწინააღმდეგება საბაზრო ეკონომიკის ძირითად მოთხოვნას და ინვესტორების მიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებათა დროულად მიღებას.

ემიტენტების მიერ ბაზრებს უნდა მიეწოდოს სათანადო ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების შესახებ, რომლის ცალკეული დეტალი (რაოდენობა, მიწოდების ვადები, ფასი და სხვ.) შეიძლება შეცვლილი იქნას ბაზარზე მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით. ბაზარზე ფასიანი ქაღალდების სწრაფი და სრული რეალიზაციისათვის ხშირად გადამწყვეტი როლი ეკისრება სრულფასოვანი ფინანსური ანგარიშების წარდგენას, რომელსაც სასურველია თან ახლდეს დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ემიტენტის ფინანსური მდგომარეობისა და სამეურნეო საქმიანობის შესახებ. ემიტენტის მიერ გავრცელებული ყველა სახის ინფორმაცია უნდა ემსახურობდეს ერთ ძირითად მიზანს – მყარი კავშირის დამყარებას ინვესტორებთან. თუ ვერ მოხერხდება ამ ელემენტალური მოთხოვნის წარმატებით შესრულება, ეს ძალზე უარყოფით დაღს დაასვავს ემიტენტის ბაზართან დაკავშირებულ საქმიანობას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმატებული ფუნქციონირების მნიშვნელოვან მიმართულებას ინვესტიციების მართვის სრულყოფა წარმოადგენს. ეს სავსებით ბუნებრივიცაა, რადგან საინვესტიციო ფონდების წარმატებულ ფუნქციონირებაზე უშუალოდაა დამოკიდებული ფასიანი ქაღალდების ბაზრის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით შესრულება. ამ მიზნით გამოყენებულ უნდა იქნას საინვესტიციო ფონდების ყველა სახე – ღია და დახურული ფონდები, კორპორაციის ფორმით ორგანიზებული ფონდები და სხვ. საინვესტიციო ფონდების ეფექტიანი რეგულირების ძირითად მიმართულებად გვესახება ემიტენტების წინაშე წაყენებული მოთხოვნები ფასიანი ქაღალდების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გაკეთების შესახებ. ამ ელემენტალური მოთხოვნის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს დაპირისპირება ემიტენტებსა და ფონდის მმართველებს შორის.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმატებული საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წინაპირობას მისი **ლიცენზირება** წარმოადგენს. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს როგორც მისი ინდივიდუალური, ისე ინსტიტუციონალური მონაწილეთა ლიცენზირების წესი და პირობები. აღნიშნულ ბაზარზე ლიცენზირებას ექვემდებარება მისი საქმიანობის ისეთი სახეები, როგორცაა: ფასიანი ქაღალდების გამოშვების ლიცენზირება, საბირჟო საქმიანობის ლიცენზირება, უცხოელი ემიტენტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელების ლიცენზირება, ბაზრის მონაწილეთა პიროვნული და ინსტიტუციონალური ლიცენზირება და სხვ. ჩამოთვლილ მოთხოვნათა ლიცენზირება უნდა განხორციელდეს სპეციალურად შექმნილ ინსპექციაში, დოკუმენტების ჩაბარებიდან დაახლოებით ერთი თვის განმავლობაში. ლიცენზირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ემიტენტის საემისიო პროსპექტის სახელმწიფო რეგისტრაციაში გატარებასა და ლიცენზირებას. ემისიის პროსპექტი მუშავდება ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული შესაბამისი ნიმუშის მიხედვით. ემისიის პროსპექტი ის ძირითადი დოკუმენტია, რომლის საშუალებითაც ინვესტორი აყალიბებს თავის მოსაზრებას ემიტენტის მიერ შეთავაზებული ფასიანი ქაღალდის შექენაზე ან მის უარყოფაზე.

ფასიანი ქაღალდების ემისიის პროსპექტის გარდა, ემიტენტმა სათანადო მარეგულირებელ ორგანოში უნდა წარადგინოს სხვა აუცილებელი დოკუმტები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია წლიური და კვარტალური ბალანსები აუდიტორიული დასკვნით, აგრეთვე ფასიანი ქაღალდის ნიმუში-მაკეტი. ჩვენს ქვეყანაში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ჩამოყალიბება-განვითარების პროცესშია, ემიტენტი მათ განთავსებას ბაზარზე ახორციელებს საკუთარი ძალებითა და ფინანსური საშუალებებით. ასეთ სიტუაციაში საჭიროა ემიტენტს ჰყავდეს პიროვნული ლიცენზიის მქონე სპეციალისტი, რომელიც იქნება პასუხისმგებელი ფასიანი ქაღალდის გავრცელების ოპერაციაზე, კერძოდ, მის პირველად ბაზარში განთავსებაზე.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი ფუნქციონირებს ძალზე უმნიშვნელო დონით, რის ერთ-ერთი და მთავარი მიზეზი საფონდო ბაზრის არასაკმარისად განვითარება წარმოადგენს. ამ ნაკლოვანებიდან თავის დაღწევის ძირითად მიმართულებად გვესახება ინვესტორებისთვის საინტერესო და მოთხოვნადი ფასიანი ქაღალდების საკმარისი ოდენობით არსებობა, რომლის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ეროვნული ვალუტის სიმყარე წარმოადგენს, რაც სამწუხაროდ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ არის სათანადოდ უზრუნველყოფილი. ასეთი ვითარება კი საკმაოდ უარყოფით გავლენას ახდენს ინვესტორების ანუ ფასიან ქაღალდებში ფულის დაბანდების მსურველებზე.

საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება და მისი რეგულირების სრულყოფა უნდა დაეფუძნოს ისეთ ძირითად მარეგულირებელ ნორმებს, როგორიცაა:

1. ხელმისაწვდომობა. ფასიანი ქაღალდის ბაზარზე შესვლასა და მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო კაპიტალი და პასუხობენ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ბაზრის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. თუ აღმოჩნდება, რომ ბაზარზე არ არის საკმარისი ადგილები ახალი წევრების მისაღებად, მაშინ ახალ პოტენციურ მონაწილეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა იყიდოს ან საიჯარო წესით აიღოს ბაზარზე სამოქმედო ადგილი ბაზრის სხვა მონაწილეებისაგან. ბაზარზე ამგვარი წესის დამკვიდრება უდაოდ ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებას და მის წევრთა შორის კონკურენციის გაძლიერებას.

2. კონკურენცია. ბაზარზე მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი მონაწილე პირთა საკონკურენციო შეზღუდვები. მხედველობაში გვაქვს ბაზარზე მოქმედების ისეთი წესები და პირობები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმებსა და ბაზარზე ნებადართული მოქმედების პირობებს.

3. სამართლიანობა. ბაზრის ყველა მონაწილისათვის უნდა არსებობდეს სამართლიანი და პატიოსანი მოქმედების პირობები. ბაზარზე მონაწილეობისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადები, ბაჟები და სხვ. დადგენილი უნდა იყოს ოპტიმალური მოცულობით, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. მათი განაწილება ემიტენტებისა და სხვა პირებს შორის უნდა განხორციელდეს გონივრულ საზღვრებში.

4. გამჭვირვალობა. ბაზრის გამჭვირვალობა ძირითადად განისაზღვრება იმით, თუ რამდენად სრულყოფილად და სწრაფად ხორციელდება ბაზრის მონაწილეთათვისა და ფართო საზოგადოებისათვის გარიგებებისა და ხელშეკრულებების გაფორმება, აგრეთვე ფასების, კოტირებისა და ოპერაციების მოცულობის შესაებ ინფორმაციის გავრცელება.

5. ტევადობა. საბაზრო ინსტიტუტებს უნდა გააჩნდეთ სათანადო შესაძლებლობები ორგანიზაციულ-ტექნიკურ, ფინანსურ და სხვა სახის ღონისძიებათა განსახიერციელებლად, რათა დროულად და სრულყოფილად დამუშავდეს საბაზრო გარიგებები.

6. წესრიგი. ბაზრის მიმართ კლიენტების მიერ წარდგენილი ყოველი განაცხადი და შეკვეთა უნდა დამუშავდეს რიგითობის წესების დაცვით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოთხოვნებს, რომელიც გამორიცხავს საბაზრო საქმიანობაში მაქინაციების შესაძლებლობას.

ნებისმიერი ქვეყნის საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა სრულყოფას, რომლის წარმატებით განხორციელებაში ფასიანი ქაღალდების ბაზარს ნიშვნელოვანი ადგილი უკავია. თანამედროვე ეტაპზე იგი საჭიროებს გარკვეულ ღონისძიებათა გატარებას აღმავლობის მიმართულებით. ყურადღებას გავამახვილებთ ზოგიერთ მათგანზე:

ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის ფართოდ დანერგვა და განვითარება განიხილება, როგორც მიმოქცევაში ფულადი მასის რეგულირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება. სამწუხაროდ ჩვენში თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების ყიდვა-გაყიდვა იმდენათ სუსტად არის განვითარებული, რომ ოდნავადაც ვერ უზრუნველყოფს იმ უდიდეს როლს, რაც ფულის მიმოქცევის განმტკიცებასა და მისი გაცვლითი

კურსის სტაბილიზაციასთან არის დაკავშირებული. ამ მხრივ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უდიდესი მნიშვნელობა ეკისრება ქვეყნის ეროვნულ ბანკს, რომელსაც შეუძლია შეამციროს ეროვნული ვალუტის ინფლაცია, გაზარდოს მოთხოვნა კაპიტალის ზრდაზე, ფასიან ქაღალდებზე და ჩართოს ისინი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესში;

როდესაც საუბარია საბანკო სისტემის როლზე ფასიანი ქაღალდების მიმოქცევის განვითარებაში, მხედველობაშია მისაღები ის ძირითადი მოთხოვნა, რომ არ მოხდეს ბაზარზე დაუსაბუთებლად დამატებითი ფულის მიწოდება და შესაბამისად, მისი გაუფასურება. ამ არასასურველი მოვლენის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ცალკეული სახის ფასიანი ქაღალდების, კერძოდ, მოკლევადიანი ობლიგაციებით ყიდვა-გაყიდვის გააქტიურებით, მიმოქცევაში მყოფი ფულის დარეგულირებას. ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ამ სფეროში განვითარებული ქვეყნების გამოცდილება და უნდა მოხდეს ექსპერტების აქტიურად ჩართვა ჩვენი ქვეყნის ფასიანი ქაღალდების რეგულირებაში;

ობლიგაციების ემისიის ფართოდ დანერგვის და მასზე მოთხოვნის გაზრდისათვის კი საჭიროა შესაბამის ღონისძიებათა განხორციელება. მნიშვნელოვანია საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. ასევე აუქციონების იშვარად წარმართვა, რომლის დროსაც ობლიგაციებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები ხელს შეუწყობს მათზე მოთხოვნა-მიწოდების დაბალანსებას. საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს სადეპოზიტო განაკვეთების სიდიდე, რათა არ მოხდეს მოსახლეობის დანაზოგების დაუსაბუთებელი გადაადგილება ერთი არხიდან მეორეში.

ფასიანი ქაღალდების პირველადი ბაზრის სრულყოფილი ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მისი ეფექტიანი რეგულირების შესაბამისი მოთხოვნები. ამ მიმართებით ჩვენ უპირატესად მხედველობაში გვაქვს განვითარებული ქვეყნების, კერძოდ კი, აშშ-ის, ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება, რომელსაც გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი და სრულყოფილი ღონისძიებათა არსენალი ფასიანი ქაღალდების სფეროში. კერძოდ, ინფორმაციის მოპოვება ემიტენტების შესახებ, მათი ფინანსური მონაცემების ანალიზი და ანგარიშგება, ფასიანი ქაღალდების ლიცენზირება, კორპორაციული მმართველობა და სხვ. ამ საკითხების გათვალისწინებლობამ და კერძოდ, ემიტენტების მიერ პირველად ფასიან ქაღალდებზე ფასების დაუსაბუთებლად მაღალი დონით განსაზღვრამ, შეიძლება გამოიწვიოს მისდამი ინვესტორთა დაინტერესების შესუსტება და შესაბამისად ბაზრის ეფექტიანობის დაქვეითება.

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე ემიტენტის ეფექტიანი მოქმედება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის ფინანსურ მდგომარეობაზე. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის, თუ როგორია ემიტენტის ერთობლივი კაპიტალის მოცულობაში თანაფარდობა საკუთარ და მოზიდულ საშუალებებს შორის. ეს საკითხი საყურადღებოა მით უფრო, რომ ერთობლივ კაპიტალში სასესხო კაპიტლის გაუმართლებლად მაღალი დონით მონაწილეობა აუცილებლად გამოიწვევს მის გაკოტრებასა და შესაბამისად ემიტირებულ პირველადი ფასიანი ქაღალდების მიმართ ინვესტორთა დაინტერესების შემცირებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის წარმატებულ ფუნქციონირებას მნიშვნელოვნად განაპირობებს ინვესტიციების მართვის სრულყოფა. ამ მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია ეფექტიანად იქნას გამოყენებული საინვესტიციო ფონდების ყველა სახე. ინვესტიციების სრულყოფილად მართვაზე კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ემიტენტების მიერ ფასიანი ქაღალდების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის გაკეთება. ამ ელემენტარული მოთხოვნის უგულებელყოფამ შეიძლება გამოიწვიოს დაპირისპირება ფონდის მმართველებსა და ემიტენტებს შორის, რაც ცხადია, უარყოფით დაღს დაასვამს ბაზრის შემდგომ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნათელი ხდება ემიტენტისადმი წაყენებული ძირითადი

მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მის მიერ გაკეთებული ყველა სახის ინფორმაცია ფასიანი ქაღალდების შესახებ უნდა ემყარებოდეს ერთ ძირითად მიზანს – ინვესტორებთან მყარი კავშირის დამყარებასა და შენარჩუნებას.

ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითად მონაწილეებად გვევლინებიან ბანკები და საკრედიტო დაწესებულებები. ორივე მათგანის საქმიანობა მიმართული უნდა იყოს, როგორც უცხოელი ინვესტორების, ისე ადგილობრივი მოსახლეობის ნდობის ასამაღლებლად. ამის მისაღწევად კი საჭიროა შემუშავდეს ისეთი სახელმწიფო პროგრამა, რომელშიც სრულყოფილად იქნება ასახული ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების კონცეფცია;

ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ხელშემწყობ ფაქტორთა შორის მიზანშეწონილად გვესახება ქვეყანაში მოქმედი სასაქონლო-ფულადი ბაზრების ინფრასტრუქტურების აქტივობის ზრდა ეროვნულ ვალუტაში და შესაბამისად, ეკონომიკაში დოლარიზაციის შემზღუდავი ღონისძიებებია გატარება. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქვეყნის ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში დოლარიზაციის შემზღუდავი ღონისძიებათა შესახებ გასულ წლებში იყო მიღებული სათანადო დადგენილება და იგი გარკვეული პერიოდის განმავლობაში წარმატებითაც მუშაობდა, მაგრამ შემდეგ მისდამი სათანადო ორგანოების მიერ ყურადღების შესუსტების გამო მან კვლავ უმნიშვნელო ადგილი დაიკავა ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში;

ჩვენს ქვეყანაში, სადაც ფასიანი ქაღალდების ბაზარი ნაკლებად არის განვითარებული და იგი ჩამოყალიბებისა და სრულყოფის პროცესშია, ემიტენტი მათ განთავსებას ბაზარზე უმეტესწილად ახორციელებს საკუთარი ძალებითა და ფინანსური საშუალებებით. ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილად გვესახება ყველა ემიტენტს ჰყავდეს პიროვნული ლიცენზიის მქონე სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ფასიანი ქაღალდების შეუფერხებლად გავრცელების ოპერაციაზე, კერძოდ, მის პირველად ბაზარში გავრცელებაზე;

ფასიანი ქაღალდების ბაზარზე შესვლისა და მონაწილეობის უფლება უნდა მიეცეთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებსაც გააჩნიათ სათანადო კაპიტალი და პასუხობენ ყველა იმ მოთხოვნას, რომელიც ფასიანი ქაღალდების ბაზრის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. პოტენციურ მონაწილეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა იყიდოს ან საიჯარო წესით აილოს ბაზარზე სამოქმედო ასპარეზი ბაზრის სხვა მონაწილესგან. ბაზარზე ამგვარი წესის დამკვიდრება უდაოდ ხელს შეუწყობს მის შემდგომ განვითარებასა და მის წევრთა შორის კონკურენციის გაძლიერებას.

დასკვნა. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების თანამედროვე ტენდენციებისა და რეგულირების პრობლემებზე კვლევისას, საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება ყოველთვის უნდა განიხილებოდეს, როგორც უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პრობლემა, რადგანაც ფინანსური სისტემა წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და მეორე, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფულადი მასისა და საინვესტიციო კაპიტალის მიმოქცევის მართვის საქმეში, ბიუჯეტის დეფიციტის არაემისიურ დაფინანსებასა, მოსახლეობისა და საწარმოების დროებით თავისუფალი ფულადი სახსრების მობილიზების პროცესში. საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარების ერთ-ერთ აქტუალურ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყნებში (განსაკუთრებით აშშ-ში, ევროკავშირის ქვეყნები) ამ მიმართულებით არსებული გამოცდილების საფუძვლიანი ანალიზი და შემდეგ მისი კანონზომიერი, თანმიმდევრული დანერგვა საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის არსებული თავისებურებების გათვალისწინებით, რაც ხელს შეუწყობს ქვეყანაში პირველადი და მეორადი ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობის შემდგომ განვითარებასა და მის ეფექტიან ჩართვას მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებაში.

ლიტერატურა:

1. ასლანიშვილი დავითი. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები საქართველოში; გამოწვევები და პერსპექტივები. თბილისი, 2015.
2. საქართველოს ეროვნული ბანკის წლიური ანგარიშები 2012–2020 წწ.
3. საქართველოს კანონი „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.“ თბ., 1999.
4. ლ. ხიხაძე, გლობალიზაციის პირობებში საქართველოს საგარეო სავაჭრო პოლიტიკის რეგულირების აქტუალური პრობლემები და მისი გადაჭრის გზები, V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, გვ., 523-530, თბ., 2020 ნოემბერი
5. ლ.ხიხაძე. ფასიანი ქაღალდების ბაზრის პრობლემები და განვითარების პერსპექტივები სამხრეთ კავკასიის რეგიონში, საეცნიერო შრომების კრებული „ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ცენტრალურ კავკასიაში“, გვ.,171-175, გამომც., „უნივერსალი“, თბ., 2008
6. თ. ხატიაშვილი, „საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზარი და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების როლი მათ განვითარებაში(სამაგისტრო ნაშრომი), თსუ, თბ., 2021
7. https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/annualreport/2020/erovnuli_banki_211020.pdf
8. https://www.nbg.gov.ge/bankjournal/index.php?m=115&blog_id=209
9. <https://gse.ge/securities>
10. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=178>
11. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fasianikagaldebi/2020/sawarmo/181_04.pdf
12. https://www.nbg.gov.ge/uploads/legalacts/fasianikagaldebi/2020/sxva/180_04.pdf
13. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=340&newsid=3995>
14. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=487>
15. <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=514>

Current problems of the securities market in Georgia and the main directions of its improvement in the conditions of globalization

Lali Khikhadze

TSU Faculty of Economics and Business. International Business Direction Associate Professor

Teimuraz Khatiaшvii

TSU Faculty of Economics and Business PhD student

SUMMARY

In the conditions of globalization, one of the most important directions for improving the economic situation of any country in the world is the stability of its financial system and the optimal regulation of the circulation of financial resources. Judging by the experience and practice of the world's leading countries, the development of the securities market is one of the most important tools for the growth of the economy and business sector.

Prospective growth and progress of the country is impossible without investment capital, the mobilization of which is the primary and secondary securities market and finally the developed mechanism of the stock exchange.

Overcoming the above-mentioned problems and effective regulatory state policy and financial support of international organizations for the development of the financial system are the prerequisites for overcoming the country's economic crisis and ensuring economic growth.

Keywords: Globalization, Financial System, Investment Capital, Primary and Secondary Securities Market, Stock Exchange, International Financial Institutions.

თბილისის დემოგრაფია

მერაბ ხმალაძე

ეკონომიკური მეცნიერებათა დოქტორი, ასოციირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისის საქართველოში თმაშობს ახა მხორდო წამყვან სოციალურ-ეკონომიკურ, ახამედ დემოგრაფიულ ხოდს. თბილისში ცხოვრობს საქართველოს მოსახლეობის 32,3 და ქალაქის მოსახლეობის 54,3%. სტატიაში განხილულია საბჭოთამდელი და პოსტსაბჭოთა თბილისის მოსახლეობის დინამიკა. შეფასებულია სხვადასხვა ავტორთა სადაო შეხედულებები თბილისის მოსახლეობის დინამიკის შესახებ და გამოთქმულია ავტორისეული მოსაზრებები. დადგენილია თაჩილი, რომლის შემდეგაც ქართველები გახდნენ თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტი. შეფასებულია თბილისის მოსახლეობის ზედაში ბუნებრივი და მიგრაციული მაგების ხოდი. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა საქართველოში მოსახლეობის შემცირებით ყველაზე ნაკლებად დაზარადა თბილისი.

ნაშრომის მეთოდოლოგიური ბაზაა კვლევის სტატისტიკური მეთოდოლოგია და ქართველ მეცნიერთა შრომები აღნიშნულ თემაზე: ინფორმაციულ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის აღწერების მასალები და მიმდინაჲ დემოგრაფიული სტატისტიკა.

საკვანძო სიტყვები: თბილისის მოსახლეობა, ბუნებრივი მაგება, მიგრაციული მაგება.

I. თბილისის მოსახლეობა საბჭოთამდელ პერიოდში

ისტორიული თბილისის მოსახლეობის დინამიკის შესახებ არის რიგი არაპირდაპირი, ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული მონაცემები, როგორცაა მაგალითად ის, რომ 853 წელს, ბულა-თურქის ლაშქრობის დროს თბილისში ამოწყვეტეს 50 ათასი, ხოლო ჯალალედინის ლაშქრობის დროს 100 ათასი დაცხვრები (1226 წ) და ა. შ.

უმჯობესია დავეყრდნოთ სტატისტიკურ წყაროებს, თუნდაც გარკვეულად არასრულს. ეს უკანასკნელი შეეხება XIX საუკუნემდელ სტატისტიკურ ინფორმაციას.

პირველი სტატისტიკური მონაცემი თბილისის მოსახლეობის დინამიკის შესახებ ეყრდნობა ქართლ-კახეთის მოსახლეობის დინამიკის 1770 წლის 5 აპრილს შედგენილ ნუსხას. მოცემული წყაროს მიხედვით, ქართლ-კახეთის მოსახლეობა შეადგენდა 761,0 ათასს, მათ შორის ქალაქის - 37,4, ხოლო სოფლის - 723,6 ათასს. თბილისის მოსახლეობა განისაზღვრა 20,9 ათასით, რაც ქართლ-კახეთის მოსახლეობის 2,7 და ქალაქის მოსახლეობის 56,0%-ს შეადგენს. [1,31]

1800 წლისთვის ვ.ჯაოშვილი თბილისის მოსახლეობას ვარაუდობს 15,4 ათასს, ხოლო ა.თოთაძე 1803 წელს - 15,6 ათასს. უკანასკნელი მონაცემები დაფიქსირებულია 1803 წლის თბილისის მოსახლეობის აღწერით.[2,27] ზოგიერთი მონაცემით, 1820-იან წლებში 1800-იან წლებთან შედარებით თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 20 ათას დაცხვრებამდე, ხოლო 1832 წელს მიაღწია 25,9 ათასს.[1,73] 1832 წლის თბილისის მოსახლეობის შესახებ განსხვავებულ მონაცემებს იძლევა კ.ანთაძე, რომლის მიხედვითაც 1832 წელს თბილისის მოსახლეობა 30,0 ათასით განისაზღვრებოდა.[3,173]

ამდაგვარად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თბილისის მოსახლეობა 1800-იან წლებში მერყეობდა 15-16 ათასის ფარგლებში, ხოლო 1832 წლისთვის 26-30 ათასის ფარგლებში. შესაბამისად, XIX საუკუნის პირველ მესამედში თბილისის მოსახლეობა გაიზარდა 11-14 ათასით. თუ გავასაშუალებთ მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ თბილისის მოსახლეობა 1800-1803 წლებში უნდა ყოფილიყო დაახლოებით 15,5 ათასი, 1832 წელს -28 ათასი, ხოლო მოსახლეობის აბსოლუტური მაგება 1800-1832 წლებში 12,5 ათასი.

თბილისის მოსახლეობის შესახებ ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები გვაქვს XIX საუკუნის შუა პერიოდში, თუმცა როგორც ამ საუკუნის პირველ მესამედში, ისე მომდევნო პერიოდში, ყველა მკვლევარი ეყრდნობოდა ერთი და იგივე წყაროს, მოსახლეობის აღწერის მასალებს.

შემდგომი მონაცემები ქ.თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ გაგვაჩნია 1864 და 1865 წლებისთვის. 1864 წლის ზამთარში (იანვარში) და 1865 წლის ზაფხულში თბილისში ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომელთა მიხედვითაც თბილისის მოსახლეობამ 60,1 და 71,1 ათასი შეადგინა. [3,112] როგორც წესი, თბილისის მოსახლეობა ზაფხულში სამუშაოდ ჩამოსულების შედეგად მეტი იყო, ვიდრე ზამთარში, რითაც უნდა ავსხნათ ერთ წელიწადში (1864-1865) თბილისის მოსახლეობის საკმაოდ მაღალი (11 ათასი მცხოვრები) მატება. ამავე, 1864 წლის აღწერის მასალებზე დაყრდნობით თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობას ცნობილი ქართველი დემოგრაფი ა.თოთაძე განსაზღვრავს 66.9 ათასით.[2,27] 1873 წლისთვის კ. ანთაძე თბილისის მოსახლეობას აფასებს 71,3 ათასით. [3,173]

თბილისში 1876 წლის 25 მარტს ჩატარდა მოსახლეობის ერთდღიანი აღწერა, რომელიც გამოირჩეოდა აღწერის მონაცემების დიდი საიმედოობით და ჩატარდა განსაკუთრებით სრულყოფილად და ორგანიზებულად. 1876 წლის აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით ა.თოთაძე თბილისის მოსახლეობას განსაზღვრავს 104 ათასით, რომელთაგან ქართველი იყო 21,3%, სომეხი - 36,2%, რუსი - 29,6%, დანარჩენი - 12,9%. [2,29]

ქართველები საქართველოს დედაქალაქში მცხოვრებ ეროვნებებს შორის უმცირესობას წარმოადგენდნენ. თვით 1959 წლის აღწერით ქართველი იყო თბილისის მოსახლეობის 48,4%, ხოლო 1970 წელს მიაღწია - 57,5%. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1959 წელს თბილისში ცხოვრობდა 336,3 ათასი, ხოლო 1970 წელს - 511,4 ათასი ქართველი, ქართველების საშუალოწლიური მატება 1959-1970 წლებში ტოლი იქნება 15,9 ათასის ხოლო ქართველების რიცხოვნობა წლების მიხედვით ტოლი იქნება - 1960 წელს - 352,2 ათასის, 1961 წელს - 368,1 ათასის. ამავე, 1961 წელს თბილისის მოსახლეობამ 732,3 ათასი შეადგინა. შესაბამისად მივიღეთ, რომ 1961 წელს ქართველები შეადგენდნენ თბილისის მოსახლეობის 50,3%-ს. **1961 წელი არის ის წყალგამყოფი თბილისის დემოგრაფიულ ისტორიაში, როდესაც ქართველები გახდნენ თბილისის მოსახლეობის ნახევარზე მეტი.**

დავუბრუნდეთ თბილისის დემოგრაფიულ ისტორიას 1876 წლის შემდეგ. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დადგენის შედარებით სანდო წყაროა საქართველოს მოსახლეობის 1886 წლის აღწერა, რომელიც ცნობილია „საოჯახო სიების“ სახელწოდებით. საოჯახო სიების შედგენას თავისი ისტორია აქვს. რუსეთის იმპერიის გადაწყვეტილებით, ოსმალეთის იმპრიასთან გამწვავებული ურთიერთობის გამო, მისი მოსაზღვრე ამიერკავკასიის ტრეიტორიები განთავისუფლებულნი იყვნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურისაგან (რეკრუტისგან), რათა ამ უკანასკნელს ადგილობრივ მოსახლეობასთან არ გამწვავებინა ურთიერთობა. 1877-1878 წლებში მიმდინარეობდა რუსეთ-თურქეთის ომი, რომლის შედეგადაც საქართველოს (იმავედროულად რუსეთის იმპერიას) დაუბრუნდა ოსმალეთის მიერ დაპყრობილი ისტორიული მიწები: აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, იმერხევი, კოლაარტაანი (ბოლშევიკურმა რუსეთმა XX საუკუნის 20-იან წლებში „კეთილშობილური საქციელით“ ამ მიწების უდიდესი ნაწილი უკან დაუბრუნდა თურქეთს და ახლაც თურქეთის ტერიტორიაზე იმყოფება).

რუსეთის იმპერიის 1886 წლის 26 მაისის კანონით სავალდებულო სამხედრო სამსახური გავრცელდა ამიერკავკასიის ადგილობრივ მოსახლეობაზეც, რასაც მოჰყვა პროტესტის ნიშნად ადგილობრივი მოსახლეობის გამოსვლები.

1886 წლის 26 მაისის კანონის გამოქვეყნებამდე სამი თვით ადრე, 1886 წლის 24 თებერვალს, რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭომ დაადგინა ამიერკავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიების შედგენა, რათა ეს სიები გამოქვეყნებულიყო სამხედრო ვალდებულებების კანონის განსახორციელებლად და გადასახადების გაწერის მოსაწესრიგებლად.

1886 წლის აპრილში შემუშავებული ფორმის მიხედვით იმავე წლის მაისიდან დეკემბრის მიწურულამდე შედგა ამიერკავკასიის და ნაწილობრივ ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. თბილისის მოსახლეობა 1886 წელს განისაზღვრა 180,2 ათასით.[3,35] ამავე წელს თბილისის მოსახლეობა ვ. ჯაოშვილის მიერ განისაზღვრა 144,8 ათასით. [1,112] საინტერესო და იმავდროულად პარადოქსულია, რომ ეს ორი განსხვავებული შეფასება ეყრდნობა ერთი და იგივე წყაროს. [4,14]; [5,4]

სრულიად რუსეთის 1897 წლის აღწერის შემდეგ, თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა გავქვს შესაბამისი აღწერებით, კერძოდ:

- 1897 წ. – 159,6 ათასი;
- 1922 წ. – 234,0 ათასი;
- 1926 წ. – 294,0 ათასი;
- 1939 წ. – 519,2 ათასი;
- 1959 წ. – 703,0 ათასი;
- 1970 წ. – 889,0 ათასი;
- 1979 წ. – 1066,0 ათასი;
- 1989 წ. – 1246,9 ათასი.

თბილისის მოსახლეობამ მილიონს გადააჭარბა 1975 წელს, როდესაც მისი მოსახლეობა გახდა 1003,8 ათასი. უნდა აღვნიშნოთ, რომ 1950 წლიდან მონაცემები თბილისის მოსახლეობის შესახებ გვაქვს ყოველწლიურად. ასევე გვაქვს მონაცემები მისი მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ თბილისის მოსახლეობის ზრდაში ბუნებრივი და მიგრაციული მოძრაობის როლი.

პოსტსაბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა სრულიად განსხვავებული, ახალი რეალობა, რომლებიც აისახა თბილისის მოსახლეობაზე და საჭიროებს ცალკე განხილვას.

II. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა პოსტსაბჭოთა საქართველოში

პოსტსაბჭოთა საქართველოს დემოგრაფიული ტრანსფორმაცია აისახება, როგორც მთლიანად საქართველოს, ასევე თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის კლებაში.

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკა განსხვავდება საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის დინამიკისაგან. საქართველოს მოსახლეობა შემცირებას იწყებს 1993 წლიდან, თბილისის - 1995 წლიდან. უფრო მეტი, 1989 – 1994 წლებში თბილისის მოსახლეობა 1246,9 ათასიდან გაიზარდა 1250,7 ათასამდე. ხოლო, 1995 წლისათვის შემცირდა 1205,2 ათასამდე. ე.ი. 45,5 ათასით. 1995 წლიდან 2005 წლამდე პერიოდში თბილისის მოსახლეობა კლებას განიცდის, ხოლო 2005 წლიდან - მატებას. თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა და მისი დინამიკა 5 წლიანი ინტერვალებით, მოსახლეობის მატების კომპონენტებით მოტანილია ქვემოთ ცხრილში. [6,24-31]; [7]

ცხრილი 1

თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა 1995 – 2020 წლებში (ათასი)

	მოსახლეობის რიცხოვნობა (ათასი)	მატება პერიოდში + -	მათ შორის	
			ბუნებრივი მატება + -	მიგრაციული მატება + -
1995	1205,3	-	-	-
2000	1072,8	-132,5	-1,44	-131,06
2005	1067,2	-5,6	7,08	-12,68
2010	1100,0	32,8	12,21	20,59
2015	1115,7	15,7	21,16	-5,46
2020	1184,8	69,1	19,63	49,47
1995-2020	-	-20,5	58,64	-79,14

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ 1995 – 2020 წლებში საქართველოს ქალაქის მოსახლეობა შემცირდა 14,3%-ით, მაშინ, როდესაც ქვეყნის მთელი მოსახლეობა - 21,6%-ით. მოცემულ პერიოდში ქვეყნის მოსახლეობის შემცირების უდიდესი ნაწილი მოდის სოფლის მოსახლეობაზე, რომელიც მოცემულ პერიოდში შემცირდა 30,2%-ით. თუ მოტანილ შეფარდებით სტატისტიკურ მაჩვენებლებს გადავითანთ აბსოლუტურში, მივიღებთ, რომ უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე, საქართველოს მოსახლეობა შემცირდა 1026,3 ათასით, მათ შორის: ქალაქის მოსახლეობის შემცირებაზე მოდის - 367,3 ათასი, ე.ი. 35,8%, ხოლო სოფლის მოსახლეობის შემცირებაზე - 658,0 ათასი, ე.ი. 64,2%.

თბილისი თავისი პრივილეგირებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად ყველაზე ნაკლებად დაზარალდა. მართალია, თბილისის მოსახლეობის საკმაო ნაწილმა საზღვარგარეთს მიაშურა ლუკმა-პურის საძიებლად, მაგრამ თბილისი გარკვეულად შეივსო აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან რუსეთის მიერ მოწყობილი ეთნოკონფლიქტების შედეგად დევნილი მოსახლეობით, ასევე საქართველოს სოფლებიდან და ქალაქებიდან თბილისში ჩამოსულებით, რომლებიც დედაქალაქში ეძებდნენ საარსებო საშუალებას. შედეგად, თბილისის მოსახლეობა 1995-2020 წლებში 1205,2 ათასიდან შემცირდა 1184,8 ათასამდე, ე.ი. მხოლოდ 20,4 ათასით (1,7%-ით). თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ 2020 წლისთვის თბილისის მუნიციპალიტეტში შემავალი სასოფლო დასახლებები ითვლიდა 30,5 ათას მცხოვრებს, მაშინ საკუთრივ თბილისის მოსახლეობა ტოლი იქნება 1154,3 ათასის და არა 1184,8 ათასის (1184,8-30,5). მაშინ მივიღებთ, რომ 1995 – 2020 წლებში საკუთრივ თბილისის მოსახლეობა შემცირებულა 50,9 ათასით (1205,2 – 1154,3) და არა 20,4 ათასით (1205,2 – 1184,8). შესაბამისად, შემცირება პროცენტულადაც იქნება 4,2% და არა 1,7%. ნებისმიერ შემთხვევაში თბილისის მოსახლეობა ყველაზე ნაკლებადაა შემცირებული.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ თბილისის მოსახლეობა არათანაბრადაა განაწილებული ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ასეთი სახის მონაცემებს თბილისის შესახებ იძლევა მოსახლეობის აღწერები, თუმცა არის ადმინისტრაციული აღრიცხვაც, მაგრამ უპირატესობა უნდა მივანიჭოთ აღწერას, რადგან ის იძლევა მონაცემებს ადამიანების ფაქტობრივი საცხოვრებლის მიხედვით, ხოლო ადმინისტრაციული აღრიცხვა-ჩანერის ადგილის მიხედვით. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის მიხედვით, თბილისის მოსახლეობა რაიონების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდება(ათასი კაცი): სამგორი-177,8(16,0%); გლდანის-177,2(16,0%); ნაძალადევი-154,1(13,9%); საბურთალო-138,5(12,5%); ისანი-125,6(11,3%); ვაკე-111,9(10,1%); დიდუბე-70,0(6,3%); ჩუღურეთი-65,2(5,9%) მთაწმინდა-49,1(4,4%); კრწანისი-39,3(3,6%). ვხედავთ, რომ მოსახლეობის რიცხოვნობის მიხედვით თბილისის რაიონები მეტად არათანაბრადაა განაწილებული. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სამგორის და გლდანის რაიონები რიცხოვნობით 3,6-ჯერ აღემატება მთაწმინდის და 4,4-ჯერ კრწანისის რაიონს. საინტერესოა, არ ქმნის აღნიშნული ფაქტი პრობლემებს?

განხილულ პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი ქალაქების მოსახლეობა, როგორცაა ქუთაისი, რუსთავი და ბათუმი, განსაკუთრებით ქუთაისი. ქუთაისის მოსახლეობა 1995 – 2020 წლებში შემცირდა 227,9-დან 169,1 ათასამდე, ე.ი. 25,8%-ით, მაშინ, როდესაც რუსთავის მოსახლეობა შემცირდა 155,5-დან 135,2 ათასამდე, ე.ი. 13,0%-ით, ხოლო ბათუმის მოსახლეობა 144,8 ათასიდან 128,7 ათასამდე, ე.ი. 11,0%-ით.

ჩვენ განვიხილეთ თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, 1770 წლიდან 2020 წლამდე. განხილული პერიოდი მოიცავს სხვადასხვა ეპოქებში განსხვავებულ და ზოგჯერ არასაიმედო სტატისტიკურ ინფორმაციას, რაც განაპირობებს რიგ შემთხვევაში გაანგარიშებული, შეფასებითი მაჩვენებლების გამოყენებას.

დასკვნა

მეტნაკლებად სანდო სტატისტიკური მონაცემები თბილისის მოსახლეობის შესახებ მოგვეპოვება 1770 წლიდან. ამ წელს შედგენილი ქართლ-კახეთის მოსახლეობის რიცხოვნობის ნუსხის თანახმად, თბილისის მოსახლეობამ შეადგინა 20,9 ათასი კაცი. მე-19-ე საუკუნის დასაწყისისთვის (1800წ.), თბილისის მოსახლეობას ვარაუდობენ 15, ხოლო 1832 წელს - 26 ათასს.

შედარებით მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში, მე-19-ე საუკუნეში, თბილისის მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა როგორც ბუნებრივი, ისე მიგრაციული მატების ხარჯზე და საკმაოდ საიმედო, 1876 წლის ერთდღიანი აღწერით, 104 ათასით განისაზღვრა.

1886 წლის ერთდღიანი აღწერით თბილისის მოსახლეობამ 145, ხოლო 1897 წლის აღწერით 160 ათასს მიაღწია. მე-20-ე საუკუნეში თბილისის ზრდა მკვეთრად დაჩქარდა და 1975 წელს მილიონს მიაღწია. 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, თბილისის მოსახლეობა 1202,7 ათასს შეადგენს.

ისტორიულად ქართველები თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობაში დომინანტ ერს არ წარმოადგენდნენ. ჩვენი გაანგარიშებით, ქართველებმა თბილისის მოსახლეობის ნახევარს გადააჭარბეს მხოლოდ 1961 წელს.

ლიტერატურა:

1. ვ. ჯაოშვილი. საქართველოს მოსახლეობა. თბ., 1996 წ;
2. ა. თოთაძე. თბილისის მოსახლეობა. თბ., 2017 წ;
3. კ. ანთაძე. საქართველოს მოსახლეობა XIX საუკუნეში. თბ., 1973 წ;
4. Свод статистических данных о населении закавказского края, извлечённых из посемейных списков 1886 г. Тифлис, 1893;
5. სრულიად საქართველოს ქალაქთა მოსახლეობის 1922 წლის 30 ნოემბრის აღწერის ჯამები. ნაწილი I, დემოგრაფია. ნაკვეთი 2. თბ., 1923 წ;
6. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I, თბილისი 2003 წ;
7. Geostat.ge

Demographics of Tbilisi

Merab Khmaladze

*Doctor of Economic Sciences, Associate Professor,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

SUMMARY

More or less reliable statistical data regarding the number of Tbilisi population, can be found since 1770. According to the list of population of Kartli-Kakheti region, as compiled in the above mentioned year, the population of Tbilisi was 20.9 thousand. By the beginning of the 19th century (as at 1800), the population of Tbilisi was estimated at 15 thousand, while in 1832 – at 26 thousand.

In conditions of relatively peaceful period, in the 19th century, the population of Tbilisi increased significantly at the expense of both natural and migratory increases, and according to a very reliable, one-day census conducted in 1876, it was estimated at 104 thousand.

According to one-day census conducted in 1886, the population of Tbilisi reached 145, and according to the 1897 census, it reached 160 thousand. In the 20th century, the growth of Tbilisi population accelerated dramatically and reached one million in 1975. As of January 1, 2021, the population of Tbilisi is 1202.7 thousand.

Historically, Georgians have not been the dominant nation in the population of Tbilisi. According to our calculations, only in 1961 the Georgians exceeded half of the population of Tbilisi.

Key words: Population of Tbilisi; Natural growth; Migration growth.

პოსტსაბჭოთა საქართველოს ეკონომიკის პერიოდიზაცია

გიორგი ჯუბაძე

თსუ დოქტორი

ნაშრომში წახმოვნილია ეკონომიკური პირობების სხვადასხვა ტიპის პერიოდიზაცია საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ პერიოდში. ეს პერიოდიზაციები დაფუძნებულია ეთიმანეთისგან სხვრიად განსხვავებულ ფაქტორებზე და მოიცავს განსხვავებულ დროის პერიოდებს. სწორედ ამ სხვაობის გამო საინტეგრესო მათზე დაკვირვება და მსგავსება-სხვაობების შენიშვნა.

საკვანძო სიტყვები: საქართველო, პერიოდიზაცია, ეკონომიკის პერიოდიზაცია, პოსტ-საბჭოთა.

გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში, უდიდესი სახელმწიფოს - საბჭოთა კავშირის დაშლის სახით, მსოფლიო უზარმაზარი ეკონომიკურ-პოლიტიკური ცვლილების მოწმე გახდა. ხოლო მის ადგილზე დარჩენილ 15 დამოუკიდებელ სახელმწიფოს ძალზე რთული მისია ხვდა წილად: ეკონომიკის ტრანსფორმაცია გეგმიურიდან წყობიდან საბაზრო სისტემამდე. ამ მხრივ, პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოები ისეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რომელიც ძალიან ჰგავს 2020 წელს მსოფლიოში არსებულ სიტუაციას კოვიდ-19-ის პანდემიის საპასუხოდ: პრობლემის მოსაგვარებლად არც რაიმე სახელმძღვანელო არსებობდა, არც ისეთი რეკომენდაციები, რომელიც უტყუარ შედეგს მოიტანდა და არც წარმატებული წარსული გამოცდილება მსოფლიოს მასშტაბით.

სიტუაციიდან გამოსავლის სახით ცოტა ხანში 2 გზა გამოიკვეთა; პირველი, გრადუალისტური გზა ეკონომიკის ეტაპობრივ, აუქმარებელ ტრანსფორმაციას მოიაზრებს რეფორმების საშუალებით, ხოლო მეორე, „შოკური თერაპიის“ სახელით ცნობილი მეთოდი სახელმწიფოს მხრიდან მკაცრი პოლიტიკის სწრაფ გატარებას გულისხმობს, რომელიც, მოკლე დროით, ეკონომიკას რთულ სიტუაციაში აყენებს, მაგრამ სათავეს უდებს სწრაფი ტემპით განვითარებას. საქმე ისაა, რომ შოკური თერაპიის განხორციელება მოითხოვს ეკონომიკური და მონეტარული მართვის ინსტიტუციების არსებობას (Papava, 1996). იმ ქვეყნებმა, რომელთაც მეტ-ნაკლებად განვითარებული ჰქონდა საბაზრო ეკონომიკის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი ინსტიტუციები, წარმატებას შედარებით სწრაფად მიაღწია.

საქართველომაც შოკური თერაპიის გზა არჩია, რომელიც თავიდანვე მარცხისთვის იყო განწირული, რადგან რამდენიმე ასეთი ინსტიტუცია არათუ განვითარებული, არამედ სრულიად არ გააჩნდა.

ვინაიდან საქართველოს ეკონომიკა დღემდე მუდმივად განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, ბუნებრივია, შესაძლებელია მის ცვლილებაში პერიოდების გამოყოფა სხვადასხვა ნიშნით. ქვევით განვიხილავთ საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სახის პერიოდიზაციას დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე.

ერთ-ერთი ყველაზე დეტალური და საინტერესო პერიოდიზაცია პოსტ-საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა ეკუთვნის აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას 1996 წლის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიკა: შოკური თერაპიიდან სოციალურ წინსვლამდე“ (1996, pp. 251-262). მისი აზრით ეკონომიკის რეფორმაცია საქართველოში ჯერ კიდევ 90-იან წლებამდე დაიწყო და 1989-დან 1995 წლამდე შემდეგი ეტაპებისგან შედგებოდა:

- **გულბრყვილო გააზრების ეტაპი;** ეკონომიკური რეფორმა ჯერ კიდევ 1989 დაიწყო, მაშინ, როდესაც საზოგადოებამ დამოუკიდებლობის იდეა გაიაზრა. ამ დროიდან გაჩნდა საინტერესო ეკონომიკური შეხედულებებიც გარდაქმნის შესახებ (Papava 1996, p. 251).
- **სტაგნაციის, უძრაობის ეტაპი;** რეფორმირების მეორე ეტაპი, რომელიც 1990 წელს

უზენაესი საბჭოს არჩევის შემდგომ დაიწყო, როდესაც, მიღებულ იქნა მნიშვნელოვანი კანონები ეკონომიკურ რეფორმაზე, თუმცა ისინი აღარ გატარდა (Papava 1996, p. 251; 2012, p. 1).

- **პოპულისტური ეკონომიკური რეფორმის ეტაპი;** 1991-92 წლების გადატრიალების შემდგომ მთავრობამ უსასყიდლოდ დაურიგა მოსახლეობას მიწა და საცხოვრებელი, მათი მხარდაჭერის იოლად მოსაპოვებლად. ამან ზიანი მიაყენა სასოფლო-სამეურნეო და სამშენებლო სექტორს. რეფორმირების ამავე, პოპულისტურ ეტაპს მიეკუთვნება საქართველოსთვის „შოკური თერაპიაც“ (Papava 1996, pp. 251-252; 2012, pp. 1-2).
- **რეფორმების შეჩერების, დაყოვნების ეტაპი;** 1993-1994 წლებში ეკონომიკური რეფორმები შეჩერდა, რაც ნაწილობრივ არაეკონომიკურმა ფაქტორებმა, ნაწილობრივ კი არასწორმა ეკონომიკური პოლიტიკამ განაპირობა. 1992 წელს აფხაზეთში დაწყებული ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაციები 1993 წელსაც გაგრძელდა. დეფიციტის დასაფარი ერთადერთი ფინანსური საშუალება კი მთავრობისთვის ფულის გამოშვება იყო. არაეკონომიკურ ფაქტორებს შორის იყო კრიმინალის მატება საქართველოში. 1992 წლის ამნისტიები და სამოქალაქო ომის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილის შეიარაღება ამ მატების მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო. საქართველოში საშიში გახდა ნებისმიერი სახის ბიზნესის კეთება, ბიზნესმენები კი კაპიტალთან ერთად ტოვებდნენ ქვეყანას. არასწორი ეკონომიკით გამოწვეულ ფაქტორებს შორის ერთ-ერთი, ახალი ვალუტის - კუპონის შემოღება და მისი რუბლთან ერთად მიმოქცევაში ჩაშვება იყო. ფულის უკონტროლო გამოშვებამ ქვეყანაში ინფლაციურ პროცესებს დაუდო სათავე, რაც საბოლოოდ ჰიპერინფლაციაში გადაიზარდა (Papava 1996, p. 255; 2005, p. 130; 2012, pp. 7-8).
- **შეცდომების გამოსწორების ეტაპი;** 1994 წლიდან პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ეკონომიკური კრიზისის მაკროეკონომიკური სტაბილიზაციით დაძლევის პროგრამა წამოიწყო. თუმცა, რეფორმების ეს ეტაპიც არ იყო მოკლებული არაეკონომიკურ ხელის შემშლელ ფაქტორებს. სახელმწიფო ბიუჯეტს ახალ სიმძიმედ ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაცვა და სოციალური მხარდაჭერა დააწვა. ამის მიუხედავად საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელშეწყობით გატარებული ღონისძიებებით კუპონი მნიშვნელოვნად გამყარდა. ასევე გააქტიურდა კრიმინალთან ბრძოლა, ქვეყანას საერთაშორისო კრედიტის მიღების შესაძლებლობა მიეცა და ბიუჯეტი დამტკიცდა. გაუმჯობესდა ჯანდაცვის პროგრამები და დაჩქარდა პრივატიზაცია.

აღმოსავლეთ ევროპის პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე მსგავსი ტენდენციების მიხედვით კიდევ ერთ საინტერესო პერიოდიზაციას გვთავაზობს მკვლევარი მიხაილ მინაკოვი, 2019 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „პოსტ-საბჭოური აღმოსავლეთ ევროპა. პოსტ-საბჭოთა განვითარების მიღწევები აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანაში, 1991-2020“, რომელშიც საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, უკრაინის, ბელარუსისა და მოლდოვის ერთობლივი ანალიზის საფუძველზე გამოყოფილია შემდეგი 4 პერიოდი (Minakov 2019, pp. 176-179):

- **ნგრევა-შენების პერიოდი (1991-1994);** ამ პერიოდში ახლად თავისუფლება-მოპოვებული ქვეყნები სოციოეკონომიკური შოკების სერიას განიცდიდა და მათი მოსახლეობის ცხოვრების სტილს კრიტიკულად ცვლიდა. საბჭოთა პოლიტიკური და ადმინისტრაციული ინსტიტუციები ან ნადგურდებოდა (მაგ. კომუნისტური პარტია, KGB) ან იცვლებოდა, რომ ახალ საჭიროებებსა და დავალებებს მორგებოდა (მაგ. უზენაესი საბჭოები, მინისტრთა საბჭოები, ცენტრალური ბანკის რასპუბლიკური ნაწილები, სამხარეო საბჭოები და სამხედრო დანაყოფები) (Minakov 2019, pp. 176-177). ეს პერიოდი მძიმედ აისახა საქართველოს ეკონომიკაზე.

- **სტაბილიზაციის პერიოდი (1995-2000);** 1995 წლიდან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები სტაბილიზაციის ფაზაში გადავიდნენ. საქართველოში ჩამოყალიბდა პოლიტიკური სისტემა, რომელსაც საფუძვლად პარტიებს შორის კონკურენცია ედო. ეს პერიოდი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეფექტიანი მთავრობის არსებობით მთავრდება. დასავლეთის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა და დაიდო ხელშეკრულებები შეერთებულ შტატებთან და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან. რეგიონის მიმართ ინტერესი გაიზარდა როგორც დასავლეთ ევროპის, ასევე რუსეთის მხრიდან (Minakov 2019, p.178).
- **წინააღმდეგობების ზრდის პერიოდი (2001-2008);** ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპაზე აღიბეჭდა მზარდი კონკურენცია, ერთი მხრივ დასავლეთის სახელმწიფოებს, მეორე მხრივ კი რუსეთს, როგორც ხელახლა აღმოცენებულ რეგიონულ ძალას შორის. რევოლუციებმა საქართველოსა და უკრაინაში გამოაჩინა, რომ არაეფექტიანი პოსტ-საბჭოური დემოკრატია-ავტოკრატები ნაკლოვანი იყო (Minakov 2019, pp.178-179).
- **კონფლიქტების გაღრმავების პერიოდი (2008 წლიდან დღემდე);** ამ პერიოდში 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან ერთად ღრმავდება წინა პერიოდის ტენდენციები. ომი ხანმოკლე, მაგრამ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის კრიტიკული შედეგების მატარებელი აღმოჩნდა. ამ ქვეყნების პოლიტიკოსებმა გააცნობიერეს, რომ მათ შორის კონფლიქტი შესაძლებელი იყო და რომ პოსტ-კომუნისტურმა ტრანსფორმაციამ ისეთი მოსახლეობა ჩამოაყალიბა, რომელიც თავის მთავრობას მხარს დაუჭერდა მეზობელთან ომში. გაძლიერდა ინტეგრაციის პროექტები აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის (Minakov 2019, p.179).

საკმაოდ განსხვავებული და არანაკლებ საინტერესო ხედვა აქვს წარმოდგენილი პროფესორ დავით აფციაურს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდს ყოფს გლობალურ ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობის მიხედვით:

- **პირველი ეტაპი (1994-2014);** ამ პერიოდში სუსტად, მაგრამ მაინც დაიწყო აბრეშუმის გზის პროექტის ამოქმედება ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით და გამოიყო საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქცია. აღსანიშნავია წარმატებული პროექტები ენერგეტიკული დიპლომატიის მიმართულებით, მათ შორის, ნავთობის და გაზსადენების საქართველოს გავლით გაყვანა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს განვერვიანება მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციაში. ამ პერიოდში ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ადგილს თანამედროვე გლობალური ეკონომიკის კომპლექსში და მეტ-ნაკლებად გამოიკვეთა მისი როლი.
- **მეორე ეტაპი (2014-2019);** ამ პერიოდში საქართველო საერთაშორისო ხელშეკრულებების ახალ ეტაპზე გადავიდა. დაიდო ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება, ასევე ორი ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ - ევროკავშირთან და ჩინეთთან.
- **მესამე ეტაპი (2019 წლის შემდგომ);** იკვეთება გლობალური ეკონომიკური პროექტების ახალი ინიციატივები, რომელიც ემთხვევა პოსტ-პანდემიურ კრიზისს და ახალ შესაძლებლობებს წარმოადგენს საქართველოსთვის.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დამოუკიდებელი საქართველოს თანამედროვე ეკონომიკური ისტორიის პერიოდიზაციის არც ისე ბევრი მცდელობა არსებობს, თუმცა არსებული საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან და სხვადასხვა კუთხით გვიჩვენებს ქვეყნის ეკონომიკას, როგორც მუდმივად ცვალებად განზომილებას, რომელიც როგორც უკეთესობისკენ, ისე უარესი მდგომარეობისკენ იხრება სხვადასხვა დროს, იქნება ეს დამოუკიდებელი შიგა თუ გარე ფაქტორებზე. უდავოდ საინტერესო იქნება ვიხილოთ ამ ეტაპის პერიოდიზაცია კიდევ უფრო მრავალფეროვანი ფაქტორების მიხედვით.

ლიტერატურა:

1. აფციაური, დ. 2020, თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ამჟამინდელი ტენდენციები და პანდემიის (COVID-19) კრიზისის შემდგომი გამოწვევები, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, Vol. 139.
2. საქართველო და თანამედროვე გლობალური ეკონომიკა, ხელმისაწვდომია ბმულზე - <https://www.facebook.com/GeocaseGeo/videos/853359722038601>;
3. Minakov, M. 2019, *Post-Soviet Eastern Europe. Achievements In Post-Soviet Development In Six Eastern European Nations, 1991-2020, Ideology and politics*, 176-179
4. Papava, V. 1996, *The Georgian Economy: 'From 'Shock Therapy' to 'Social Promotion'*, *Communist Economies & Economic Transformation*, Vol. 8, No. 2.
5. Papava, V. 2012, *Economic Reforms in Post-Communist Georgia: Twenty Years After*, Nova Science Publishers Inc., New York.

Periodization of the Economy in Post-Soviet Georgia

Giorgi Jmukhadze

TSU Ph.D Student

SUMMARY

In this paper there are presented different types of periodizations of the Economic processes taking place after the dissolution of the Soviet Union. These periodizations are based on factors vastly different from each other and cover various time periods. It is these differences exactly, what makes them interesting to observe and indicate their similarities as well as distinctive features.

Key words: Georgia, periodization, Economic periodization, post-Soviet.

გრძელვადიანი განვითარების ეკონომიკური პრობლემები

მეხაბ ჯუღაყიძე

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გრძელვადიანი განვითარების თეორია და პრაქტიკა თანამედროვე ეკონომიკის საკვანძო საკითხია. საზოგადოების მიღწეული მიერ ცოდნის დონე პინციპული საზღვარია ეკონომიკის ახლანდელ მდგომარეობას და მომავალ შოხის და ამავე დროს ხდება მათ შოხის. სანამ საკმახისი ცოდნა ახ ახის, მომავალი მეტწილად განუსაზღვრედა, საჭიროა ხიდის მშენებლობა - ცოდნის გაღმავება. საზოგადოების პრაქტიკული მოთხოვნების დაკმაყოფილების შემდეგ მოხდება ახად განზომილებაში გადასვლა: სუდიეხ ინტეხესებსა და შემოქმედებითი ჰობლებებზე ძადისხმევის გადატანა. სოციალური კანონზომიეხება იმაში მდგომარეობს, ხომ საზოგადოება გაცილებით გვიან მოახდენს იმის ხეადიზაციას, ხაც მისი ცადკეული ინდივიდების მიერ უკვე ახის განხოხციელებული.

საკვანძო სიგყვები: კეთილდღეობა, გრძელვადიანი განვითარება, ოპტიმადობის კიხე-ხიუმი, კვლევები და განვითარება, პრაქტიკა და ეხისტიკა.

გრძელვადიანი განვითარების დაგეგმვის აუცილებლობა გამონვეულია დიდი პროექტების რეალიზაციის აუცილებლობით, რომელთა მომზადება, რეალიზაცია და გამოყენება ზოგჯერ 5-10 წელს ითვლის. ასეთი შეიძლება იყოს სამრეწველო კომპლექსების განლაგება სივრცესა და დროში, დასახლებების განაწილება, კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, მოსახლეობის პროფესიულ-კვალიფიკაციურ სტრუქტურაში პროგრესული ცვლილებების განხორციელება, ურბანიზაციის მავნე ფაქტორების წინააღმდეგ თანმიმდევრული ბრძოლა, საცხოვრებელ გარემოში საჭირო ეკოლოგიური წონასწორობის დადგენისთვის ზომების მიღება, საზოგადოების ბიოლოგიური და გენეტიკური ევოლუციის რეგულირება.

ასეთი პროექტების განხორციელების ეფექტიანობის, დროის და რიგითობის დასაბუთება მხოლოდ გრძელვადიანი დაგეგმვის ფარგლებშია შესაძლებელი. მომავლის განჭვრეტის გარდაუვალი განუსაზღვრელობის გამო გრძელვადიანი გეგმის პრაქტიკულ გამოყენებას ორი მიმართულება აქვს.

პირველი, განვითარების პერსპექტიული ხაზის სწორი არჩევა იმ გრძელვადიანი დონისძიებების განხორციელების დროულად დაწყების საშუალებას იძლევა, რომლებიც ამჟამად არარელურად შეიძლება გვეჩვენებოდეს, მაგრამ გრძელვადიანი თვალსაზრისით მიზანშეწონილი ხდება. სავარაუდოდ მეცნიერული მართვის უმთავრესი ეფექტი მოცემულ მომენტში პროექტის წარმოსახვითი პერსპექტივის პოზიციიდან შეფასების შესაძლებლობასთან არის დაკავშირებული. ის ქვეყანა აღმოჩნდება ეკონომიკურად უფრო განვითარებული, რომელმაც თავისი პროგრესის მოსალოდნელი შედეგების უფრო შორს განჭვრეტა შეძლო და ყველაზე პერსპექტიული გზა აირჩია.

მეორე, გრძელვადიანი გეგმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეალური ტრაექტორიის ქვედა საზღვარს გვადლევს და ამიტომ მის დასაბუთებული შეფასებების მიღების საშუალებას იძლევა მეტ-ნაკლებად შორეულ მომავალში.

ცხადია, გრძელვადიან გეგმაში გათვალისწინებული ვერ იქნება საგეგმო პერიოდის განმავლობაში წარმოშობილი მთელი ინფორმაცია ტექნიკური შესაძლებლობების და ეკონომიკური განვითარების ამოცანების შესახებ. ამიტომ გაანგარიშების შედეგებზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც უცვლელზე მთლიანი საგეგმო პერიოდისათვის. გრძელვადიანი გეგმას შეუძლია პასუხი გასცეს შემდეგ **ორ კითხვას:** როგორი უნდა იყოს ეკონომიკის ოპტიმალური განვითარება, თუ საფუძვლად ავიღებთ მხოლოდ ტექნიკურ ცოდნას და მიზნობრივ მაჩვენებლებს დაგეგმვის მომენტში; და როგორი უნდა იყოს იმ საშუალებების მიზანშეწონილი ზომები და სტრუქტურა, რომელიც მიმართულია ტექნოლოგიუ-

რი პროგრესის მიზნებისათვის სხვადასხვა სფეროში კვლევების და განვითარების (R&D) ეფექტიანობის შესახებ წარმოდგენების თვალსაზრისით.

განვითარების შესაძლებლობების და ამოცანების შესახებ ახალი ინფორმაციის გაჩენის შესაბამისად გრძელვადიანი გეგმა სისტემატურად უნდა განიცდიდეს კორექტირებას, ცხადია ძირითადად მისი მაჩვენებლების ზრდის მიმართულებით საწყის ვარიანტთან შედარებით. რადგან მთავარი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს შესაძლებლობების გაფართოებას ტექნოლოგიური პროგრესის ხარჯზე. ასე, განვითარების რეალურმა ტრაექტორიამ, მიღებული ტეხილი გრძელვადიანი დაგეგმვის პროცესში, არსებითად უნდა გადაფაროს ტრაექტორია აღებული მისი ცალკეული აქტის დროს, რაც საშუალებას იძლევა ეს უკანასკნელი განვიხილოთ როგორც განვითარების რეალური გზების ქვედა საზღვარი.

სოციალურ-ეკონომიკური პროცესების განვითარების შესახებ მსჯელობა ხშირად მდგრადი ტენდენციების ექსტრაპოლაციას ეფუძნება, რომელიც სტატისტიკურად დგინდება. თუმცა, როგორც წესი, დინამიური მწკრივი საკმარისი არ არის გრძელვადიანი პროგნოზისათვის, ხოლო ხარისხობრივად ახალი პირობების გამოვლენის შემთხვევაში მათი გათვალისწინება შესაძლებელია მხოლოდ მათი გამოვლენიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამიტომ პროგნოზირების იდეოლოგია საკმარისი არაა როგორც დროული კონსტრუქციული გადაწყვეტილების მიღების ეფექტური საშუალება.

ქვეყნის ოპტიმალობის კრიტერიუმი მიმართულია მოსახლეობის კეთილდღეობის მაქსიმიზაციისკენ. ამ ნაშრომში კეთილდღეობის ოპტიმალური ზრდის არსებული თეორიის რამდენადმე განსხვავებული მიმართულებაა განხილული. ამისათვის დეტალურად არის აღწერილი დემოგრაფიული და პროფესიულ-კვალიფიკაციური ძვრების, ასევე ცხოვრების დონის ზრდის დინამიკა. ამან საშუალება მოგვცა სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში შესაძლო ძვრები აგვესახა და ოპტიმალობის კრიტერიუმის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათი დაგვედგინა.

ეკონომიკის განვითარების ოპტიმალური ტრაექტორიის არჩევის ამოცანის რეალიზაცია ორი სახის სირთულეს იწვევს. პირველი ამოცანის დასმასთანაა დაკავშირებული, მეორე - მაოპტიმიზირებელი ალგორითმის აგებასა და რეალიზაციასთან.

ამოცანის დასმისას შემდეგი პრობლემები წარმოიშვება: ელემენტალური პროცესების გამოყოფა და აღწერა (მათი რაოდენობრივი ვარიაციები და სივრცობრივ-დროით განლაგება ოპტიმუმის ძებნაზე დაიყვანება), ამ პროცესებს შორის კავშირის დადგენა (გამომდინარე მათ მიერ წარმოებული და მოხმარებული რესურსების ერთობლიობიდან), ოპტიმალური პრობლემის ზოგადი ფორმულირება და ბოლოს, ოპტიმალობის კრიტერიუმის დასაბუთება.

ოპტიმიზაციის ალგორითმის თვალსაზრისით ისეთი სისტემისათვის, როგორცაა ეკონომიკა მთლიანად, პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ზოგადი საოპტიმიზაციო ამოცანის სტრუქტურის და დეკომპოზიციის საკითხებს. ამ საკითხებს აქვთ უფრო ფართო მნიშვნელობა, რადგან ისინი ძირითადად ეკონომიკური პროცესების დაპროექტების, რეგულირების და საერთოდ მართვის სინთეზის ორგანიზაციისათვის.

დაგეგმვის ამოცანის დასმის სავალდებულო მოთხოვნა არის სისტემის ყველა არსებითი თავისუფლების ხარისხის გამოვლენა, რადგან სხვა შემთხვევაში შეუძლებელია ოპტიმალურ ტრაექტორიასთან საკმარისი მიახლოება. ამ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაგეგმვის მოდელი უნდა იყოს მიკრომოდელი, ე.ი. შესაძლებლობის მიხედვით ელემენტარულ საწარმოო და სოციალურ პროცესებზე უნდა ოპერირებდეს.

ამ პროცესების მიღებულ აღწერას საფუძვლად უდევს **დინამიური ხერხის** ცნება, რომლის რეალიზაცია დასაშვებია სხვადასხვა მოცულობით და სხვადასხვა საწყის მომენტში. ამ პარამეტრების ვარირება დაგეგმვის მომენტში ცნობილი ხერხების სიმრავლეზე ეკონომიკური სისტემის განვითარების მრავალ შესაძლებლობას ქმნის. სიმარტივისათვის ხერხების რაოდენობა დასაწყისში სასარულად ითვლება, თუმცა შეიძლება გავავრცოთ

იმ შემთხვევებისთვის, როცა ისინი შესაბამის სივრცის ზოგიერთი სფეროდან აირჩევა. დინამიური ხერხი შეესაბამება ეკონომიკურ-მათემატიკურ ლიტერატურაში ჩვეულებრივ სტატისტიკურ ხერხს ოღონდ კვაზისტაციონალურ მიახლოებაში (როცა გამოყენებული მოცულობა მცირედ იცვლება ხერხის მოქმედების პერიოდში).

სამეურნეო ხერხებს შორის გამოიყოფა მშენებლობის (რეკონსტრუქციის) ხერხები, რომელთა პროდუქციაა სანარმოო სიმძლავრეები, და კადრების მომზადების ხერხები, რომელთა საქმიანობაზეა დამოკიდებული პროფესიულ-კვალიფიკაციური ჯგუფების რიცხოვნობა. სიმძლავრეების და კადრების ფუნქციონირებისათვის დამახასიათებელია დროში განგრძობადობა. ეს სიმძლავრეთა დაგროვების საშუალებას და მიზანშეწონილებას იძლევა, რომელიც ეკონომიკური ზრდის პროცესის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

პრაქტიკა და ევრისტიკა. დინამიური ხერხის ცნება, რომელზეც დაფუძნებულია ელემენტარული ეკონომიკური პროცესების აღწერა, ითვალისწინებს, რომ წინასწარ ცნობილია წარმოებული და და მის განხორციელებაზე მოხმარებული პროდუქტები, შრომის სახეები, სიმძლავრეები, ასევე მათი ხარჯვის რაოდენობრივი და დროითი თანაფარდობა. ისმის კითხვა: ასეთ სქემაში როგორ შეიძლება ჩავრთოთ კვლევების და განვითარების შემოქმედებითი პროცესი? ამისათვის უნდა გავმიჯნოთ პრაქტიკა და ევრისტიკა. პრაქტიკული საქმიანობის თავისებურება, რომელიც მის განსაზღვრად შეიძლება მივიღოთ, იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდებმა უკვე იციან ასეთი პროცესების რეალიზაცია. პრაქტიკული საქმიანობის ალგორითმული ბუნება ასევე წინაპირობას ქმნის ბევრი ისეთი სამუშაოსათვის, რომელთაც მცირედ გამოხატული შემოქმედებითი ელემენტი აქვთ. ასეთი რუტინული შრომა დაკავშირებულია მასიურ წარმოებასთან, რომელიც მრავალჯერ განმეორებად შედარებით მარტივი ბუნების ერთტიპურ ოპერაციებს გულისხმობს. სულ სხვაა, როცა პრინციპულად განსხვავებულ ახალი ელემენტების შექმნასთან გვაქვს საქმე: ახალი პროდუქტები, პროცესები, მოწყობილობები, პრაქტიკული საქმიანობის ალგორითმი, მართვის მეთოდები, და ბოლოს, ცოდნა. ასეთ საქმიანობას ევრისტიკული ვუნოდოთ. აქ არ შეიძლება ვილაპარაკოთ წინასწარ მთლიანად განსაზღვრულ პროცესზე, სადაც წინასწარ ცნობილი ალგორითმის გამოყენება შეუძლებელია. ევრისტიკული პროცესები პრაქტიკული საქმიანობის ალგორითმთან შედარებით ძნელად ექვემდებარება ფორმალიზაციას. თუ პრაქტიკულ შემთხვევაში მოცემული ამოცანის ამოხსნა ხდება, რომელთათვის წინასწარ მოცემულია ტიპური მაგალითები ამოხსნებითურთ, ევრისტიკული სიტუაციისთვის დამახასიათებელია თვითონ ამოცანის ჩამოყალიბება და მისი ამოხსნის კონსტრუირება. ადამიანის საქმიანობის დაგეგმვის სქემაში წყალგამყოფი გადის არა მათი საქმიანობის საკუთრივ შემოქმედებით და რუტინულ ელემენტებს შორის, არამედ მათ ევრისტიკულ და პრაქტიკულ საფუძვლებს შორის ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა უჯრედში.

განვიხილოთ ეკონომიკური პროცესების ურთიერთკავშირი და ამ კავშირის ამსახველი ურთიერთშემზღუდველი მათი რაოდენობრივი მახასიათებლები. გვაქვს ურთიერთკავშირის ორი ძირითადი ტიპი: **პირველი**, ბალანსური შეზღუდვები, რომელშიც შედის პროდუქტების, შრომის, სიმძლავრეების ბალანსი, დემოგრაფიული ბალანსი, რომელიც მოსახლეობის რიცხოვნობის და სტრუქტურის დინამიკას ახასიათებს და ევრისტიკული ბალანსი, რომელიც კვლევების და განვითარების ლოგიკურ თანაფარდობას ახასიათებს; **მეორე**, კუმულატურ (დაგროვებით) სიდიდეებს შორის კავშირი - მოცემულ მომენტში არსებულ სიმძლავრეებსა, მოსახლეობის სხვადასახვა ჯგუფების რიცხოვნობას, შრომით რესურსებს შორის კავშირი ერთის მხრივ, და მათი კვლავწარმოების ინტენსიურობას შორის კავშირი წინა პერიოდში, მეორეს მხრივ.

ამ უკანასკნელი ტიპის სიდიდეებს (აღვნიშნოთ **xx** -ით) ნაკადების ხასიათი აქვთ, ე.ი. წარმოების ან მოხმარების მოცულობა დროის ერთეულში. სხვა სიტყვებით იგი პროცესის დიფერენციალური მახასიათებლებია; მისი ზომის ერთეულია - ნატურალური ერთეუ-

ლები/დრო. მთლიანი სიმძლავრეები ან მოსახლეობის რიცხოვნობა (აღვნიშნოთ y -ით) - პროცესის ინტეგრალური (შედეგობრივი) მახასიათებლებია; ისინი უბრალოდ შესაბამისი ნატურალური ერთეულებით იზომებიან.

კეთილდღეობა და პროგრესი. უპირატესობის მინიჭების სისტემის ფორმალური გამო-სახვისათვის საჭიროა ისე განვსაზღვროთ U სიდიდე სისტემის შესაძლო $[y(t), x(t)]$ ტრა-ექტორიის და მოდელის რიცხვითი ω პარამეტრის მიხედვით, რომლებიც მათი განვითარე-ბის ხასიათზე გავლენას ახდენენ, რომ, მაგალითად, მათ უფრო დიდ მნიშვნელობას შეესა-ბამებოდეს უკეთესი ტრაექტორია.

ასეთი სიდიდეს

$$U = U[y(t), x(t), \omega] \quad (1)$$

მოცემულს როგორც ფუნქციონალს $[y(t), x(t)]$ ტრაექტორიისგან ω პარამეტრით ოპ-ტიმალობის კრიტერიუმი ეწოდება. თუ ქვეყნის მხოლოდ შიგა პრობლემებით შემოვიფა-რგლებით, შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ოპტიმალობის კრიტერიუმმა მოსახლეობის კე-თილდღეობის მაქსიმიზაციის მიზნები უნდა ასახოს.

ასეთი კრიტერიუმის აგების ყველაზე გავრცელებული მიდგომა მოხმარების მიზნობ-რივი $u(x_p)$ ფუნქციის აგებაში მდგომარეობს, სადაც x_p - მოხმარების ვექტორია. ეს ფუნ-ქცია შეიძლება აიგოს შემოსავლის და სამომხმარებლო პროდუქტზე და მომსახურებაზე ფასების მოხმარების ელასტიკურობაზე დამოკიდებულების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით. იგი ისეთნაირად განისაზღვრება, რომ მოცემული ფასების და s შემოსავლის პირობებში მოხმარების არსებული სტრუქტურა ამ ფუნქციის პირობით მაქსიმუმს შეესა-ბამებოდეს:

$$\max\{u(x_p)/cx_p \leq s\}. \quad (2)$$

ეკონომიკური პროცესის U ოპტიმალობის კრიტერიუმის ასაგებად მთლიანი მომა-ვალი მოხმარების სასარგებლო ეფექტის შეწონილ ჯამს იღებენ, რომელიც მოხმარების ფუნქციის მიზნობრივი მნიშვნელობის მიხედვით არის გაზომილი:

$$U = \int_0^{\infty} Q(t) u[x_p(t)] dt \quad (3)$$

ასეთი მიდგომისათვის დამახასიათებელია სერიოზული ნაკლოვანებანი: **პირველი**, განსაზღვრის თანახმად მოხმარების მიზნობრივი ფუნქცია შეიძლება მხოლოდ მონოტო-ნური გარდაქმნის სიზუსტით შეიძლება იყოს ცნობილი. თუ $u(x_p)$ - მოხმარების ფუნქციაა, მაშინ $u_1(x_p) = f[u(x_p)]$ ასევე შეიძლება ავიღოთ როგორც მოხმარების ფუნქცია, თუ $f[u]$ $f[u]$ - მონოტონურად ზრდადი ფუნქციაა. მართლაც თუ ნებისმიერი x_{p_1} და x_{p_2} - სათვის $u(x_{p_1}) < u(x_{p_2})$ - დან გამომდინარეობს $u_1(x_{p_1}) < u_1(x_{p_2})$ და მიზნის ფუნქციის მაქსიმუმი ორივე შემთხვევაში ერთ \bar{x}_p წერტილში მიიღწევა. ადვილად ვაჩვენებთ, რომ (3) ფუნქციის ოპტიმალური ტრაექტორია $u(x_p)$ ფუნქციის ასეთი გარდაქმნის მიმართ ინვარიანტული არ არის. აქედან გამომდინარე, გეგმიური გადაწყვეტილება, მიღებული (3) ფუნქციის ოპტი-მიზაციის საფუძველზე დამოკიდებული აღმოჩნდება $u(x_p)$ ფუნქციის შესაძლო ვარიანტი-დან ერთ-ერთის შემთხვევით არჩევაზე.

მეორე, არაა გარკვეული როგორ მივუდგეთ შეწონილ $Q(t)$ ფუნქციის დასაბუთებულ არჩევას, რომლის გარეშეც ოპტიმალობის კრიტერიუმი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს.

მესამე, თუ ჩავთვლით, რომ მოხმარების მიზნობრივი ფუნქცია მიეკუთვნება მთლიან მოსახლეობას, მაშინ მისი სტატისტიკური გამოკვლევის შედეგებზე ცხადია აისახება არ-სებითად განსხვავებული ფაქტორების გავლენა: ცალკეული სოციალური ჯგუფების შემო-სავლების ზრდა; ცვლილებები მოსახლეობის სოციალურ, პროფესიულ-კვალიფიკაციურ და სქეობრივ-ასაკობრივ სტრუქტურაში (მაგალითად ქალაქის და სოფლის მოსახლეობის თანაფარდობა); მოსახლეობის და მისი კულტურის ზრდა. ყოველი ამ ფაქტორის დინამიკა სრულიად სპეციფიკურია. ამიტომ ძნელად წარმოსადგენია, რომ რიგი წინა წლების სტა-

ტისტიკური გამოკვლევა რამდენადმე საიმედო შედეგებს მოგვცემს პერსპექტიული დაგეგმვისათვის.

თუ სოციალური ჯგუფების მოხმარების სტრუქტურის საბიუჯეტო გამოკვლევას დავეყრდნობით, მივიღებთ მიზნის ფუნქციას, რომელიც სულობრივ ან საოჯახო მოხმარებას მიეკუთვნება. მის საფუძველზე მთლიანი მოსახლეობისათვის გლობალური მიზნის ფუნქციის აგება კერძო მიზნის ფუნქციების შენონით შესაბამისი ჯგუფების რაოდენობის გათვალისწინებით არ შეიძლება, რადგან მიზნის ფუნქციები ადიტიური არ არის.

მეოთხე, მოხმარების სტატისტიკა და მასთან დაკავშირებული მოხმარების მიზნის ფუნქცია მხოლოდ პირად მოხმარებას მიეკუთვნება. საზოგადოებრივი მოხმარებისათვის ეს მეთოდი არ გამოდგება. ამავე დროს საზოგადოებრივი მოხმარება მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთო მოხმარებაში და მომავალში სავარაუდოდ იგი გაიზრდება.

დაბოლოს, წარსული მოხმარების სტატისტიკა არასაკმარისი საყრდენია მომავლის განსჯისათვის, თუნდაც მომავალში ამა თუ იმ მოხმარების გაჯერების ძალით, რომელიც წარსულში არ შეიმჩნეოდა. ექსტრაპოლაციური ტენდენცია მიეკუთვნება მხოლოდ შედარებით ახლო პერსპექტივას და არ იძლევა რამდენადმე საიმედო საფუძველს გრძელვადიანი გაანგარიშებებისათვის.

მოსახლეობის კეთილდღეობის დონის ადექვატური ასახვისთვის ფუნქციის აგების სირთულეები დაკავშირებულია ინდივიდის და მთლიანად საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის პროცესების შეუსწავლელობასთან. როცა ტექნიკური თვალსაზრისით რომელიმე საწარმოო პროცესის სრული თეორია ჯერ კიდევ არ შექმნილა, მისი პრაქტიკული გამოყენებისას ან მიეთითება პარამეტრების მკაცრი ნორმატივები, რომელთა პირობებში უნდა მოხდეს მათი რეალიზაცია, ან ასეთი პარამეტრების დასაშვები ცვლილებების ზონა და რეკომენდირებული საუკეთესო რეჟიმი მიეთითება.

როგორც ჩანს ამჟამად ცალკეული სოციალური ჯგუფების მოხმარების პროცესის განხილვისას ისეთ მეთოდებზე უნდა ავიღოთ ორიენტაცია, რომელსაც საფუძვლად უდევს სიცოცხლისუნარიანობის პროცესების ემპირიული შესწავლა და ექსპერტული შეფასებები. ფაქტია, როცა ცნობილია მოხმარების შესაძლო ვარიანტების ზოგადი დიაპაზონი, მათი გაუმჯობესების სასურველი მიმართულება, არსებული წარმოდგენებით ვიცით სიცოცხლისუნარიანობის საუკეთესო ვარიანტი. არ არსებობს სრული მეცნიერული ცოდნა ამ სფეროში არსებული კანონზომიერებების შესახებ, მაგრამ არსებული არ შეიძლება უარყოფთ თუ ოპტიმალური დაგეგმვის მეთოდების რეალიზაციას ვეცდებით ხილულ მომავალში.

საჭიროა ვიპოვოთ ფორმა, რომელშიც ასეთი სახის ცოდნა და შეფასება შეიძლება გამოვიყენოთ გეგმიური ამოცანის დასასმელად. მთავარი მოთხოვნა ამ დროს უნდა იყოს ფიქსირებული პარამეტრები და თანაფარდობა არ უნდა მიეკუთვნებოდეს აგრეგირებულ კომპლექსებს და ერთობლიობებს (რადგან ასეთი პარამეტრები მისი შემადგენელი კომპონენტების პროპორციებში ცვლილებებზე არიან ყოველთვის დამოკიდებული, რომლებიც თავის მხრივ მხოლოდ გეგმიური გადაწყვეტილებების საფუძველზე განისაზღვრება), არამედ პროცესის დიფერენცირებულ ერთგვაროვან ელემენტებს.

მოხმარების აღწერისათვის გამოიყენება: **პირველი,** მიზნობრივი პარამეტრები, რომლებიც მოცემული ტიპის ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის საუკეთესო პირობებს ახასიათებს; იგი უნდა განისაზღვროს მოთხოვნის გაჯერების შესახებ მეცნიერულად დამუშავებული ნორმატივების და ექსპერტული შეფასებების მიხედვით შედგენილი მონაცემების საფუძველზე. კერძოდ, ოჯახის წევრების სრული სიცოცხლისუნარიანობის მოთხოვნის შესაბამისად და კვალიფიკაციური და დემოგრაფიული ზრდის სტიმულების შექმნით; **მეორე,** პარამეტრები, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა სახის სიკეთეზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მდგომარეობას; იგი უნდა განისაზღვროს ისეთი მონაცემების მიხედვით, როგორცაა მოხმარების ელასტიკურობა ოჯახის შემოსავლის მიხედვით, ამ მონაცემების მეცნიერული კორექტირების საფუძველზე, ასევე სიკეთის შედარებითი ხელმისაწ-

ვდომობის ექსპერტული განსაზღვრის მიხედვით. ამ მონაცემების საფუძველზე და მოხმარების ზრდის სოციალური დინამიკის შესახებ დამატებულ მტკიცებულებასთან ერთად კეთილდღეობის ოპტიმიზაციის ამოცანა შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც მოხმარების მიზნობრივი პარამეტრების სწრაფად მიღწევის ამოცანა.

ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე. კეთილდღეობის დინამიკის აღწერა ოჯახის შემოსავლის ზრდის კვალობაზე ყოველი მოცემული სიკეთის საოჯახო მოხმარების ზრდის მრუდის განზოგადებულ-ლოგისტიკური ფორმის პოსტულატს ეყრდნობა. ელასტიკურობის ან ხელმისაწვდომი სიკეთის ხარისხების შესახებ მონაცემების გამოყენებისას, მათი მოხმარების მიზნობრივ(ზღვრულ) დონეზე და განუზღვრელობის ელემენტების გაჯერების ხასიათის მიხედვით ოჯახის კეთილდღეობის ზრდის სურათში დარჩა მისი შემოსავლების დინამიკა.

შემდეგ ჩამოყალიბებული იქნა სხვადასხვა სოციალური ჯგუფების შემოსავლების ზრდის ხასიათის და თანაფარდობის შესახებ სოციალური ჰიპოთეზა.

შედეგად საერთო მოხმარების დინამიკის განსაზღვრა დაყვანილი იქნა შემდეგი ორი დანიშნულების სიდიდის პოვნაზე: ყველა სოციალური ჯგუფის მიერ ძირითადი სახეობის სიკეთის მოხმარების გაჯერების დონე T_p და ამ ჯგუფების რიცხოვნობა $y''(t)$.

თუ კეთილდღეობა არის მახასიათებელი, რომელიც ყოველი ცალკე აღებული ოჯახის ტიპის ცხოვრების დონეს განსაზღვრავს, მაშინ ჯგუფის რიცხოვნობას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს. მაგრამ სოციალური ჯგუფების ხვედრით (საოჯახო) მოხმარებას ახასიათებს ერთადერთი პარამეტრი ეს არის გაჯერების პერიოდი T_p . ამიტომ სამომხმარებლო თვალსაზრისით $y''(t)$ სიდიდის განსაზღვრა უნდა დაექვემდებაროს T_p პარამეტრის ოპტიმიზაციას:

$$T_p \rightarrow \min \quad (4)$$

ეს მოთხოვნა შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალობის კრიტერიუმის სამომხმარებლო ფორმად. ოპტიმალურობის პრობლემის ასეთი სახით წარმოდგენა არ ითვალისწინებს მომავალი კვლევების და განვითარების (R&D) გავლენას ეკონომიკურ პროგრესზე.

დავუშვათ s_p ეკონომიკური ზრდის ის ფაზაა, რომელიც მოხმარების მიზნობრივ პარამეტრებს შეესაბამება. პასიური ეკონომიკური განვითარება (R&D როლი გეგმიურ პერიოდში არ გაითვალისწინება) თავისუფალი მოძრაობით მოდელირდება.

პასიური განვითარების თავისებურება მდგომარეობს შემდეგში: ინტენსიური ანუ ხარისხობრივი ზრდა საკმაოდ სწრაფად შეწყდება და იგი შეიძლება შეიცვალოს ექსტენსიური განვითარებით. ასეთი პროცესის ფარდობითი (ან ხვედრითი) მახასიათებლები ამ დროს სტაბილიზირდება. ეკონომიკური ზრდის $s(t)$ ფაზის დინამიკა ასეთია: $t = 0$ მდგომარეობიდან დაწყებული სისტემა გააგრძელებს განვითარებას გარკვეული დროის განმავლობაში ($t = T_n$ -მდე), რომლის შემდეგ ხარისხობრივ ზრდასთან მიმართებით სტაგნაციის პერიოდი დგება. ეკონომიკური ზრდის ფაზა, რომელიც პროცესის ინტენსიურ მხარეს ახასიათებს, პრაქტიკულად s_n დონეზე რჩება.

ასეთი განვითარების უმარტივესი მოდელი შეიძლება იყოს სხეულის მოძრაობა, რომელსაც აქვს გარკვეული საწყისი სიჩქარე წინააღმდეგობის პირობებში. ასეთი მოძრაობის განტოლებაა:

$$\ddot{x} + r\dot{x} = 0 \quad (5)$$

სადაც r წინააღმდეგობის კოეფიციენტი. განტოლების ამონახსნია:

$$s(t) = s_0 + \frac{v_0}{r} (1 - e^{-rt}) \quad (6)$$

სადაც s_0 საწყისი მდგომარეობაა, v_0 - მოძრაობის საწყისი სიჩქარე.

როცა $t = T_n$ უნდა გვექონდეს: $s(t) = s_n$. ასიმპტოტური ხასიათის ძალით $s(t)s(t)$ -ს მიახლოება s_n -თან T_n პირობის განსაზღვრად უნდა მივიღოთ, მაგალითად, $s(T_n) = 0.9s_n$. გარდა ამისა, როცა $t = T_n$ სიჩქარე $v(t) = s(t) \approx 0$ (მივიღებთ $v(T_n) = 0.1v_0$). მივიღებთ $v_0 = 2.2(s_n - s_0)/T_n$ და $r = 2.2/T_n$.

მოძრაობის T_p დრო s_0 მდგომარეობიდან s_p -მდე (6)- დან გამომდინარე ასე განისაზღვრება:

$$s_p - s_0 = \frac{v_0}{r} (1 - e^{-rT_p}) \quad (7)$$

თუ მხედველობაში მივიღებთ R&D სფეროს დაჩქარებულ მოქმედებას, რომელიც მისი $x_E(t)$ პროდუქტიულობით განისაზღვრება, მაშინ (5) განტოლება შეიძლება ასე ჩავწეროთ:

$$\dot{x} + rx = x_E \quad (8)$$

ამ განტოლების ინტეგრალი საშუალებას იძლევა ვიპოვოთ დროის ისეთი მომენტი $T_E < T_p$ როცა იგივე s_p მდგომარეობა მიიღწევა R&D დაჩქარებული მოქმედებით.

გარკვეული გარდაქმნების შემდეგ მივიღებთ:

$$\Delta T_p = T_p - T_E = \int_0^{T_E} Q_P(t, T_E) x_E(t) dt \quad (9)$$

სადაც
$$Q_P(t, T_E) = \left(\frac{T_n}{2.2\sqrt{s_n}}\right)^2 (e^{\frac{t}{T_n}} - e^{\frac{T_E}{T_n}}) \quad (10)$$

აქ s_n და T_n ოპტიმალური პროპორციების მდგომარეობა და მისი მიღწევის დროა პასიური ეკონომიკური განვითარებისას. $Q_P(t, T_E)$ შეწონილი ფუნქციაა, იგი ნულამდე ეცემა t -ს T_E -სთან მიახლოების კვალდაკვალ. ეს ნიშნავს, რომ უფრო გვიანდელი R&D იგივე ეფექტიანობისას (დაჩქარებისას) მიზნობრივი პარამეტრების მიღწევის დროის კრიტერიუმზე ნაკლებ ზემოქმედებას ახდენს.

ვიცით რა R&D-ის მოსალოდნელი ეფექტი, რომელიც (9) ფორმით რის გამოხატული, ადვილად არის შესაძლებელი ოპტიმალობის წინა (4) კრიტერიუმის კორექტირება. მინიმიზაცია უნდა მოხდეს არა დროის, რომელიც ოპტიმუმს შეესაბამებოდა R&D-ის გათვალისწინების გარეშე, არამედ მოსალოდნელი შემცირების სიდიდის მიხედვით:

$$U_p = T_p - \Delta T_p = T_p - \int_0^{T_E} Q_P(t, T_E) x_E(t) dt \rightarrow \min \quad (11)$$

ამავე დროს T_p და T_E პარამეტრებს შორის არსებობს დამოკიდებულება:

$$T_p = T_E + \int_0^{T_E} Q_P(t, T_E) x_E(t) dt \quad (12)$$

(12) გამოსახულება საძიებელი განზოგადებული ოპტიმალურობის კრიტერიუმია R&D-ის შესაძლო ეფექტის გათვალისწინებით. მოსახერხებელია მას ვუნოდოთ ოპტიმალობის კრიტერიუმის განზოგადებული სამომხმარებლო ფორმა. რეალურად ის საშუალებას იძლევა ასევე განვსაზღვროთ R&D-ის სფეროს ოპტიმალური განვითარება, თუმცა მხოლოდ მოხმარების ფორსირებული ზრდის თვალსაზრისით.

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივა. ოპტიმალობის კრიტერიუმის მიღებულ ფორმულირებას აქვს ორი ძირითადი ნაკლი: **პირველი**, მის შესაბამისად საზოგადოების მიზნები შემოისაზღვრება მოხმარების გარკვეული ხვედრითი დონის მიღწევით, რომლის შემდეგ ყოველგვარი შემდგომი განვითარება აზრს კარგავს. სხვა სიტყვებით ოპტიმალურობის პრობლემის დასმას არსებითად სასრული სახე აქვს. **მეორე**, სოციალურ ჯგუფების რიცხოვნობაში ცვლილება და მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა აშკარად არ შედის (11)-ში. მისი შესაძლო დინამიკა დაქვემდებარებულია ხვედრითი მოხმარების ზრდის ამოცანას და, მის ნორმატიულ მნიშვნელობის მიღწევის შემდეგ ნყვეტს რაიმე გავლენის მოხდენას ოპტიმალობის კრიტერიუმზე. გამომდინარე აქედან, საზოგადოებისთვის განურჩეველია როგორც მოსახლეობის ექსტენსიური ზრდა, ისე თავისი სოციალური სტრუქტურის ცვლილება.

ევრისტიკული საქმიანობა აღარ იქნება საჭირო, რომელიც აისახება ხვედრითი $Q_p(t)$ ფუნქციის ნულამდე დაცემაში, რომელიც მის ეფექტიანობას ახასიათებს. ამ წარმოდგენების საფუძველზე შედგენილი გეგმა გარდაუვალად ითვალისწინებს ევრისტიკის სფეროს შემცირებას, რომელიც T_E მომენტში დასრულდება.

ამრიგად, ზღვრული პირობების მიღწევის შემდეგ პროცესი წარმოდგენილია როგორც კეთილდღეობის მაღალ დონეზე ცხოვრების შენარჩუნება ახალი მიზნის გარეშე, ოღონდ ხარისხობრივი ცვლილებებისთვის რაიმე სტიმულების გარეშე და ეკონომიკური და სოციალური მოწყობის რაოდენობრივი მაჩვენებლების მასშტაბის და სტრუქტურის მიმართ გარკვეული დოზით განურჩევლობის სახით. ეს გარემოება დაკავშირებულია მოხმარების ზრდის სასრულ და ხვედრით ხასიათთან, რომელიც ეკონომიკური განვითარების წინაშე დგას. შეიძლება თუ არა ამ შეზღუდვის გადალახვა?

შეიძლება ვიდავოთ ნორმატიული მოხმარების სასრულობის პრინციპის მართებულობის შესახებ. მაგრამ ეს არ იქნება გამოსავალი. რეალურად საწინააღმდეგო თეზისის დასაბუთებისას მოხმარების სტატისტიკას ეყრდნობიან. თუმცა ამჟამად ცხადია, რომ მოხმარების საგნებზე მოთხოვნა, რომელიც პირდაპირი ფიზიოლოგიური მოთხოვნის ფარგლებს გარედ გადის, არსებითად მართვადია. გონივრული იქნება თუ საზოგადოება აშკარად ჩამოაყალიბებს ასეთი მართვის პრინციპებს. ხოლო ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ სტატისტიკური მონაცემებისგან მოწყვეტით საიმედო საწყისი წერტილი გამოყენების ხარჯზე. მაგალითად, გაცილებით რაციონალურია სახსრები მიმართული იქნეს ქალაქებში წყლის და ჰაერის გასანმენდად, ვიდრე ტრადიციული მოხმარების ახალი სახეების სტიმულირებისთვის. მაგრამ ამას გავაკეთებთ თუ მხოლოდ მიმდინარე მოხმარების სტატისტიკით ვიხელმძღვანელებთ. მოთხოვნის დაუსაბუთებელი მართვის მეორე მაგალითია ნარკოტიკების მოხმარება, თუ მხოლოდ სტატისტიკური ტენდენციით ვიხელმძღვანელებთ.

სწავლების სტიმულირების ამოცანას, რომელიც მოითხოვს საჭირო კვალიფიკაციას, დაძაბულობას და შრომას, შეუძლია გაამართლოს ცხოვრების დონის დიაპაზონის გაფართოება ძალიან დიდ ზომამდე. ასევე მოხმარების რაციონალური და სასრული მიზნობრივი შკალის შემუშავება საშუალებას მოგვცემს თავი ავარიდოთ საწარმოო ძალების უმიზნოდ ხარჯვას და შემოქმედებითი უნარის მქონე ადამიანები რეალიზებული იქნენ საზოგადოების ინტერესების შესაბამისად.

შეიძლება ითქვას, სანამ ბოლომდე არ არის ცნობილი ყველა გარემოება, მეცნიერული დაგეგმვა შეუძლებელია. მაგრამ თუ კაცობრიობა აბსოლუტური ოპტიმალური ქცევის ამ მკაცრი წესით იმოქმედებს, მაშინ იგი ვერ გამოვა პირველყოფილი მდგომარეობიდან. რეალური მიდგომა უნდა შედგებოდეს, **პირველი**, წინააღმდეგობის გარეშე უნდა მოვახდინოთ იმ ეკონომიკური პროცესების ფორმალიზაცია, რომელიც სახეზეა და შეიძლება გამოყენებულ იქნეს პრაქტიკული დაგეგმვის საწყისი წერტილად. **მეორე**, შეიქმნას პირობები კვლევების პროგრესისათვის შესაბამის სფეროებში. დროის ყოველ მომენტში საზოგადოებამ ასე თუ ისე უნდა იცოდეს ეკონომიკური პროგრესის რეალური მიზანი და მისი მიღწევის არსებული შესაძლებლობები, და ყოველთვის ითვალისწინებდეს რა ამ წარმოდგენების შეზღუდულობას, უფრო სრულყოფილი კვლევების სტიმულირებას უნდა ახდენდეს.

ინდივიდების და მთლიანად საზოგადოების მოთხოვნილება მხოლოდ მოხმარებასთან არ არის დაკავშირებული. არსებითი როლი აქვს ასევე ინდივიდების, სოციალური ჯგუფების და საზოგადოებების ურთიერთობას, რომელზეც დამოკიდებულია ადამიანების ცხოვრების მორალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები, ასევე მატერიალური დანახარჯებს სააღმზრდელო ორგანოების და დაცვის შენახვაზე. მწვავე სოციალური პრობლემების შემთხვევაში ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. სოციალური მოწყობის დარეგულირება და სრულყოფა კაცობრიობის ასევე კარდინალური ამოცანაა, რომელიც თუმცა დაკავშირებულია მოხმარებასთან, მაინც მეტწილად დამოუკიდებელი მიმართულებაა.

შიგა სოციალური პრობლემები გათვალისწინებული უნდა იქნეს საგეგმო ამოცანის შედგენის და მისი რეალიზაციის მომენტში. ასეთია მოხმარების საშუალებების განაწილება, რომელიც უნდა აისახოს ნორმატიული მოხმარების სისტემაში, ასევე აღზრდის და

დასჯის მეთოდები, რომლებიც უნდა გათვალისწინებულ იქნეს საზოგადოებრივი ხასიათის ნორმების დამუშავებისას, რომელიც მიეკუთვნება კულტურას, განათლებას, ძალოვან ორგანოებს. მეორე ჯგუფს შეადგენს რეპროდუქციული და შემოქმედებითი საქმიანობის პასუხისმგებლობის და სტიმულირების მეთოდების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო ხასიათის ფაქტორები ასევე უნდა იქნეს განხილული მხოლოდ უფრო ფართო თეორიის ფარგლებში. ეკონომიკის მოდელში საგარეოპოლიტიკური და სამხედრო დანიშნულების საბოლოო პროდუქტი რაიმე ფორმით უნდა იქნეს ჩართული შეზღუდვის სახით.

საზოგადოების მოთხოვნის და მიზნების ბოლო ჯგუფი დაკავშირებულია შემოქმედებასა და შეცნობასთან. ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ევრისტიკულ საქმიანობას უტილიტარული მნიშვნელობა აქვს, რომელიც პრაქტიკული მიზნების რეალიზაციას დააჩქარებს. შემდეგ დავრწმუნდით, რომ მისი ფორმულირება და კონკრეტული მახასიათებლები გარკვეულნილად დამოკიდებულია ევრისტიკული კვლევების პროგრესზე და სახეცვლილებაზე. ევრისტიკულ საქმიანობას უნდა მივაკუთვნოთ ასევე დამოუკიდებელი ფასეულობის თვისება, ადამიანის მოთხოვნილებას რომ აკმაყოფილებს შეცნობასა და შემოქმედებაში თავისთავად, მისი შედეგების პრაქტიკული გამოყენების მიუხედავად. ევრისტიკული საქმიანობა არა მარტო მოხმარების ფორსირებულ ზრდას ახდენს, არამედ მასზეა დამოკიდებული წარმოების ახალი მეთოდების შემუშავება, რომელიც ცხოვრების პირობებზე ცივილიზაციის შეუქცევადი ზემოქმედების გაძლიერების აუცილებელი პირობაა. ამას გარდა, მას დამოუკიდებელი ღირებულებაც გააჩნია. ამიტომ შემოქმედების მიმარ მხოლოდ ვიწრო უტილიტარული მიდგომა არასრულია, ხოლო ოპტიმალობის კრიტერიუმი ასეთი წინაპირობით მოდიფიცირებული უნდა იქნეს უფრო ფართო თვალსაზრისის გათვალისწინებით.

ლიტერატურა:

1. Merab Julakidze. (2010) A Macro Model of Georgia's Socioeconomic Development and its use in forming Economic Policy. "Central Asia and The Caucasus ". Journal of Social and Political Studies. Volume 11, Issue 1, SWEDEN, p.p.137-145;
2. მერაბ ჯულაყიძე. (2009) საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაკრომოდელის რეალიზაციის შესაძლებლობები. თეუსუ ჟურნალი „კომერსანტი“ №3(8), გვ.16-22;
3. მერაბ ჯულაყიძე. (2008) საქართველოს მშპ-სა და ძირითადი მაკროეკონომიკური აგრეგატების (დაზოგვა, მოხმარება, ინვესტიციები) ანალიზი და პროგნოზი გრძელვადიან პერიოდში. თეუსუ სამეცნიერო შრომების კრებული., გვ.171-190;
4. David N. Weil. (2008) Economic Growth. Brown University. Second Edition.

Economic Problem of Long-term Development

Merab Julakidze

Associate Professor of TSU

SUMMARY

The theory and practices of long-term development is a crucial subject matter in modern economics. The level of knowledge is a principal boundary between the present and future stances of the economy, and at the same time it is also a bridge. Until sufficient amount of knowledge is accumulated, future is mainly uncertain, and to make this better a bridge needs to be built or, in other words, knowledge needs to be accumulated. Only after meeting the basic needs of the society will we be able to move to a new phase: redirecting our efforts towards genuine interests and challenges. Social consistent pattern is that society as a whole is late to achieve what certain individual have already attained.

Key words: welfare, long-term development, optimality criteria, research and development, practice and heuristics.

საერთაშორისო ვაჭრობის გამონვევები გლობალური პანდემიის პირობებში

ქვისგინა ჯლანჯლავა

ბიზნესის ადმინისტრაციის დოქტორი, თსუ მოწვეული პოფესორი

თანამედროვე კოხონა ვიხუსის (კოვიდ-19) მსოფლიო პანდემიამ დააზაჩადა, ხოგოხც ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროები, ამავეხოუდად შეეხო და ვიხუსის მსხვეჰიპი გახდა საეხთაშოხისო ვაჭრობა ჯამხთეღობის უჰეცედეტგო მიმდინაჰე გღობაღუჰ კიზისში, ვაჭრობა აუციღებღია ადამიანთა სიცოცხღის გადასაჰჩენად და სააჰსებო წყაჰოს მოსაპოვებღად. გღობაღუჰმა პანდემიამ, გამოიწვია მსოფლიო ვაჭრობის უჰეცედეტგო ჰღვევა და მთედ მსოფღიოში წაჰმოებისა და მომსახუჰების მასშტაბუჰი შემციჰება.

კოვიდ-19-ის გამოწვევის დასაძღვად, გადამწყვეტი ხოღი ეკისჰება საეხთაშოხისო თანამშოღობის გაღჰმავებას, კოოჰდინაციასა და სახედმწიფოებს შოხის სოღიდაჰობას. გჰძღვადიანი ნეგატიუჰი ზეგავღენის შესამსუბუჰებღად საჭიჰოა მთავჰობებმა გაატაჰონ მთეღი ჰიგი ღონისძიებები, ჰომეღთა შოხის ეჰთ-ეჰთი საეხთაშოხისო ვაჭრობის მხაჰდაჭჰაა.

აღნიშნუღი სტატიის მიზანია იმ ინღუსტიუღი მოქმეღებებისა და საკითხების გაანაღიზება და გამოყოფა, ჰომეღიც აუციღებღია საეხთაშოხისო ვაჭრობის მხაჰდასაჭჰად, ამავე ღჰოს, ნაშოღმის მიზანს წაჰმოადგენს, გღობაღუჰი მასშტაბის ჰუმანიტაჰუღი კიზისის პიჰობებში, მიზანმიმაჰთუღი სავაჭო პოღიტიკის განსაზღვჰა და თანმიმღვეჰუღი გამოყოფა
JEL კლასიფიკაცია: საეხთაშოხისო ვაჭრობა, სავაჭო პოღიტიკა, კოვიდ-19

შესავალი

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) მიერ კოვიდ-19 გამოცხადდა “საზოგადოებრივი ჯამრთეღობის საგანგებო მდგომარეობად, რომელიც წარმოადგენს გლობალურ პრობლემას”.(1)

კორონავირუსის პანდემია ეპიკური მასშტაბის კრიზისია, როგორც ჯამრთეღობის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. აღნიშნული პანდემიის უარყოფითი გავლენა საერთაშორისო ვაჭრობაზე უფრო დამანგრეველი იქნება, ვიდრე 2008-2009 წლების გლობალური ფინანსური კრიზისი, რამდენადაც გავლენა მოახდინა როგორც მთლიან მოთხოვნაზე, ასევე მიწოდებაზე და გამოიწვია გლობალური მიწოდების ჯაჭვების მოშლა, განსაკუთრებით საქონლით ვაჭრობაში. შესაბამისად წარმოებითი საქმიანობის შემცირებამ და ლოჯისტიკური ქსელის მოშლამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სხვადასხვა ქვეყნის მწარმოებლებსა და მომხმარებლებზე. სოციალური დისტანციის პირობებში მოძრაობის შეზღუდვამ, კიდეც უფრო მეტად შეზღუდა სამუშაო ძალასა და ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა, რასაც შედეგად მოჰყვა ეკონომიკის სხვადასხვა მნიშვნელოვანი სექტორის დახურვა (2). აქედან გამომდინარე, ყველაზე მეტად დაზარალდენ ნაკლებად განვითარებული ქვეყნები, რომლებიც მთლიანად არიან დამოკიდებულნი საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობაზე.(3)

თანამედროვე პერიოდში, ადგილი აქვს აშკარა გადასვლას “ჰიპერგლობალიზაციიდან” სახელმწიფოს მეთაურობით ერთა მშენებლობისკენ და თვითუზრუნველყოფისაკენ იმისათვის, რომ ამალღდეს დაცულობა. თუმცა, აღნიშნული არის პრობლემის გადასაწყვეტის მოკლევადიანი გამოსავალი. გრძელვადიან პერიოდში აუცილებელია, მცირე ნაბიჯების გადადგმა - შეიქმნას მოქმეღებების საერთაშორისო გეგმა, რათა მოლაპარაკებებისადმი, გადაუღებელი სიტუაციის დროს, ამალღდეს ნღობა.(4)

საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების ტენდენცია

კოვიდ-19-ის სწრაფმა გავრცელებამ და სხვადასხვა სახელმწიფოების მხრიდან ვირუსის წინააღმდეგ მიღებულმა ზომებმა, სერიოზული ზიანი მიაყენა მსოფლიოს მსხვილ ეკონომიკებს. გაკოტრდა მრავალი პროდუქციული საქმიანობა. პირველ რიგში, ეს შეეხო აზიას, შემდეგ კი - ევროპას, ამერიკასა და დანარჩენ მსოფლიოს. ამის შედეგად, ჩაიკეტა საზღვრები, მკვეთრად გაიზარდა უმუშევრობა, განსაკუთრებით აშშ-ში, შესაბამისად საქონელსა და მომსახურებაზე შემცირდა მოთხოვნა.

2020 წელს გლობალური მშპ-ის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ყველაზე მკვეთრი შემცირებაა დაფიქსირებული. საერთაშორისო ვაჭრობის მოცულობამ 17,7%-ით იკლო 2020 წლის მაისში, 2019 წლის ანალოგიურ თვესთან შედარებით. 2020 წლის პირველი ხუთი თვის განმავლობაში დაფიქსირდა ვაჭრობის მკვეთრი შემცირება, ეს განსაკუთრებით აისახა ექსპორტზე აშშ-დან, იაპონიიდან და ევროკავშირის ქვეყნებიდან. ეკონომიკური ზრდის შემცირება ჩინეთში საშუალოზე ნაკლები იყო, რადგან ამ ქვეყანამ შეძლო ეპიდემიის გაკონტროლება და შედარებით სწრაფ ტემპში მოახერხა ეკონომიკის განახლება.(5)

კორონა ვირუსის ეპიდემიამ საქართველოს ეკონომიკას სერიოზული დარტყმა მიაყენა. საგანგებო ვითარებამ და დაბლოკვის ზომებმა მნიშვნელოვნად შეამცირა ვაჭრობის მოცულობა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2020 წლის იანვარ-სექტემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 14,9%-ით შემცირდა და 8,121 მლრდ აშშ დოლარი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტის მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 12,1%-ით შემცირდა და 2,4 მილიარდი აშშ დოლარი გახდა. იმპორტის მოცულობა 15,9%-ით შემცირდა და 5,7 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო უარყოფითი სავაჭრო ბალანსი კი - 3, 3 მილიარდი აშშ დოლარი იყო.(6)

ამგვარად განვითარებული მოვლენების შესაძლო შედეგების გასაგებად, პირველ რიგში აუცილებელია განვიხილოთ მიზეზები რის შედეგადაც შემცირდა ვაჭრობა. წარსულში ეკონომიკური შოკების უმეტესობა ძირითადად გამოწვეული იყო მოთხოვნის (მაგ., ბანკების დახურვით ან შემოსავლის დაკარგვით) ან მიწოდების (მაგ., ფასების უეცარი მატებით და წარმოების ხარჯების ზრდით) შემცირებით. კოვიდ-19-მა შექმნა ერთდროულად ორივე მდგომარეობა. 1. მაგალითად, 2020 წლის აპრილისთვის 80-ზე მეტმა ქვეყანამ შემოიღო ექსპორტის აკრძალვა ან დააწესა შეზღუდვები, როგორც პანდემიის მიმართ სწრაფი რეაგირება, 2.წარმოებული პროდუქციის მიწოდების შემცირება თავდაპირველად ჩინეთში, შემდეგ გავრცელდა დანარჩენ ქვეყნებში. პანდემიით გამოწვეულმა მუშახელის კლებამ, კიდევ უფრო შეანელა საქონლის მოძრაობა. ამავდროულად, ბევრ ქვეყანაში სამუშაო ადგილებისა და შემოსავლების კლებამ, შეამცირა მოთხოვნა საქონელსა და სავაჭრო მომსახურებაზე.

კითხვაზე თუ როგორ აისახება კორონავირუსის პანდემია მსოფლიო ვაჭრობაზე გამოყოფენ 2 მექანიზმს. პირველი განპირობებულია გასაყიდი საქონლის დეფიციტით. საუკუნეზე მეტია, წარმოება სულ უფრო გლობალური ხდება რთული მიწოდების ჯაჭვებით. სავაჭრო შეზღუდვები აზარალებს იმპორტზე დამოკიდებულ საქონლის წარმოებას (შუალედური წარმოება), ასევე მზა საქონლის ექსპორტს ან იმპორტს. მეორე მექანიზმი არის ეკონომიკური ეფექტი. მიუხედავად იმისა, რომ სავაჭრო ლიბერალიზაციის კრიტიკოსები ეჭვის თვლით უყურებენ და მიიჩნევენ რომ სავაჭრო ლიბერალიზაციით მიღებული სარგებელი ქვეყნებს შორის თანაბრად არ ნაწილდება. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ბევრი ფირმა საქონლისა და მომსახურების წარმოების პროცესში დამოკიდებულია ვაჭრობაზე, რათა გაზარდონ გაყიდვების მოცულობა და მიიღონ მეტი მოგება.

სავაჭრო პოლიტიკის შემქმნელებმა ეფექტიანი რეაგირების მიზნით მხარი უნდა დაუჭირონ ეკონომიკის გახსნილობას. აღნიშნულს ამართლებს მაგალითები წარსულიდან. ეკონომიკურ და სავაჭრო კრიზისებს სწრაფად მოჰყვა ეკონომიკის ლიბერალიზაცია. მა-

გალითად, 1970 წლიდან 2006 წლამდე განვითარებადი ქვეყნების 40%-ზე მეტს ჰქონდა მთლიანი საგადასახადო შემოსავლების ვარდნა, რომელიც გაგრძელდა ვაჭრობის ლიბერალიზაციიდან 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში. საბოლოოდ კი ქვეყნებმა მიიღეს მეტი სარგებელი.(7)

სავაჭრო პოლიტიკის მხარდაჭერა პანდემიის პირობებში

კორონა ვირუსის კრიზისმა განაპირობა სავაჭრო ნაკადების კოლაფსი, დაწესდა ეროვნული საარსებო შეზღუდვები. ამ პირობებში განსაკუთრებით ზარალდებიან განვითარებადი ქვეყნები, რამდენადაც მთლიანად დამოკიდებულნი არიან მედიკამენტებისა და საკვები პროდუქტების იმპორტზე. ამ თვალსაზრისით, დაზარალებული ეკონომიკების დასახმარებლად მთავარი პრიორიტეტი სავაჭრო ნაკადების აღდგენაა. ვაჭრობა უნდა გამარტივდეს ქვეყნებს შორის და ორგანიზებული იყოს ისე, რომ უზრუნველყოს ჰიგიენის სტანდარტების დაცვა. თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები საშუალებას იძლევა განხორციელდეს მარტივად ელექტრონული გადახდები, ამავდროულად აუცილებელია ვაჭრობის დაფინანსება, ამ მხრივ კი, პრობლემას წარმოადგენს ბანკები, რომლებიც მაღალი რისკის პირობებში ზღუდავენ კრედიტის გაცემას, შესაბამისად, კრედიტზე შეზღუდული წვდომა სერიოზული გამოწვევაა განსაკუთრებით მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის.(8)

თანამედროვე პერიოდში ეკონომიკის განვითარების მიზნით, ვაჭრობის როლის გადახედვა პოლიტიკოსების დღის წესრიგის მთავარი საკითხია. ორმაგი კრიზისი, რომელიც გავლენას ახდენს, როგორც საზოგადოებრივ ჯამრთელობაზე, ასევე ეკონომიკურ ზრდაზე, თითოეული ქვეყნისგან მოითხოვს გახსნილობასა და დაცვის ახლებურ დაბალანსებას. “ინდუსტრიული პოლიტიკა “ ათწლეულების განმავლობაში ტაბუდადებული ფრაზა იყო, მაგრამ ახლა წარმოადგენს შესაბამის, ზუსტ მიდგომას რათა თავიდან იქნას აცილებული უცხოელი მომწოდებლებისადმი ზედმეტი დამოკიდებულება, განსაკუთრებით კი, როცა ყველა მიმწოდებელი არის ჩინელი. (9)

გარდა ამისა, სავაჭრო პოლიტიკამ აუცილებელია გაითვალისწინოს კლიმატის კრიზისი. ეს გააძლიერებს ადგილობრივ და რეგიონულ წარმოებას. საქონლის წარმოების პროცესში, პროდუქცია კვეთს მრავალი ქვეყნის საზღვარს, ამგვარი ტრანსპორტირების შედეგია - სოციალური ხარჯები, მათ შორის გარემოსა და ჯამრთელობაზე ზიანის მიყენება. მომავალში კი აუცილებელია საბაზრო ფასებში აისახოს მოცემული გარე ხარჯები. აღნიშნულს ემსახურება საბაჟო გადასახადი იმპორტირებულ პროდუქტზე, რომელიც ასახავს ნახშირბადის გადაყრას წარმოების პროცესში, რომელსაც წარმოადგენს გადასახადი “ჭუჭყიან საქონელზე”.

გლობალური შეთანხმება, რომელიც მოიცავს საერთაშორისო სავაჭრო რეჟიმში სოციალურ და ეკონომიკურ სტანდარტებს, იდეალური გრძელვადიანი გადაწყვეტილებაა, თუმცა ევროკავშირმა უნდა გააუქმოს საბაჟო გადასახადი ყველა იმ საქონელზე, რომელსაც განვითარებადი ქვეყნები აწარმოებენ. აღნიშნული წარმოადგენს ევროკავშირის გონივრულ ღონისძიებას პრეფერენციების გაგრძელების ფარგლებში.(10)

პანდემიის შერბილებისა და აღდგენის პროცესში სავაჭრო პოლიტიკის მხარდასაჭერად

აუცილებელია:

- სამედიცინო საქონლისა და მასალების ხელმისაწვდომობა,
- პირველადი მოხმარების საგნების ექსპორტიორების მხარდაჭერა,
- სავალუტო შემოსავლებისა და სამუშაო ადგილების შენარჩუნება
- ეკონომიკის დაცვა კორონავირუსის კრიზისით გამოწვეული ვარდნისაგან
- სასაზღვრო პროცედურების გამარტივება, რათა ხელი შეეწყოს სამედიცინო და საკვებ პროდუქტებზე წვდომას.(11)

დასკვნა

კორონა ვირუსის (კოვიდ -19)-ის პანდემია წარმოადგენს უპრეცედენტო გამოწვევას გლობალური ეკონომიკისა და მსოფლიო ვაჭრობისათვის, რადგანაც წარმოება და მოხმარება მკვეთრად შემცირდა მთელს მსოფლიოში. სავაჭრო ინფრასტრუქტურის გარდა, არსებული კოვიდ 19 აფეთქება მნიშვნელოვანწილად საფრთხეს უქმნის უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს და წარმოებას განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში. ამ მხრივ ქვეყნებმა აუცილებელია გააძლიერონ და გაამტკიცონ რეგიონული სავაჭრო შეთანხმებები, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობის ზრდის ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს.

ლიტერატურა:

1. World Health Organization, “Rolling updates on Coronavirus diseases”, updated June,2020;
2. Covid-19:Panic buying and its impact on global health supply chains”, Emilie Besson, World Bank Blogs,2020
3. “Trade set to plunge as Covid-19 pandemic upends global economy”, WTO press Release, April,2020;
4. Foreign Policy “How the world will look after the Coronavirus Pandemic”,June,2020
5. The effects of the Coronavirus diseases (covid-19) logistics,August 2020,p.22
6. Geostat.ge (saqartvelos statistikis erovnuli saagento)
7. P Barlow, Does trade liberalization reduce child mortality in low- and middle-income countries? A synthetic control analysis of 36 policy experiments, 1963–2005
8. E. Schmiegel, may, 2020; “Embedding social standards”,
9. Trade policy responses to covid-19 World Trade Organisation, 2020.
10. R Labonté, T Schrecker Globalization and social determinants of health: introduction and methodological background (part 1 of 3) Global Health, 200711. R Nelson, COVID-19 disrupts vaccine delivery Lancet Infect Dis, 20 (2020), p. 546 ArticleDownload PDFView Record in ScopusGoogle Scholar

Challenges of International Trade in a Global Pandemic

Kristina Jganjgava

TSU PhD Student

SUMMARY

The modern pandemic of the Corona virus (Covid-19) has affected both areas of economic activity, while at the same time affecting and victimizing the international trade in an unprecedented global health crisis, trade essential to save human lives and livelihoods. The global pandemic has led to an unprecedented disruption of world trade and a massive decline in production and services worldwide.

To overcome the challenge of Covid-19, a crucial role is played by deepening international cooperation, coordination and solidarity between states. To mitigate the long-term negative impact, governments need to take a number of measures, including support for international trade.

The purpose of this article is to analyze and highlight the industrial activities and issues that are necessary to support international trade.

JEL Classification: International Trade, Trade Policy, covid-19

Hazard Analysis of the German Car Manufacturing Industry and related Business Eco Systems

Günter Hofbauer

Professor, Doctor of Science
Technical University Ingolstadt

Hazards and risks can endanger business systems and corresponding business eco systems (BES) in an existence-threatening way. Different reasons may cause technological changes, but stake holders should have a clear road map and strategy to guide through times of change and consider carefully the consequences. It is a matter of fact, that all industries are driven by changes in technologies, business models, processes, constellations, and systems. An appropriate response is a mandatory requirement for companies to survive. Innovativeness is the basis for competitiveness, profitability and sustainability of companies and corresponding industries.

The car manufacturing industry is one of the most important industries in Germany and contributes about 12 percent to German GDP. This industry is a driving force for economic growth, employment and sustainability. This situation is endangered by various hazards and the German auto industry in particular shows strong signals, which indicate a radical technological and structural change. The hazard analysis points out an aggregate of threats and challenges for the business model and corresponding BES of the auto industry in Germany.

The underlying thesis of this paper assumes that the existing business model is threatened. The question of research examines the influencing factors on the current business eco systems (BES) in this industry. The hazard analysis will disclose the various and complex impact factors. The transformation of the entire business system is inevitable due to the findings.

Methodologically, theoretical, analytical and empirical approaches are used. Research on selected literature aligned at current national and international guidelines leads to a stable basis for the research. Statistical data, topical literature, surveys, and logical conclusions will lead to justified arguments.

Keywords: Business system, Business eco system (BES), Car manufacturing industry, STEP-analysis, Hazard analysis

Introduction

Existing business models are threatened by new technologies, because a radical change is accompanied with innovations, new features, changing utilization, new possibilities but also change in mind (Hofbauer & Sangl, 2017). These new technologies cause structural changes and heavy impacts on existing business relations and practiced eco systems. These changes generate disturbances within the relevant eco systems and have impacts to the whole economy.

The BES in the sense of this study includes manufacturers, suppliers, sales channels, customers, competitors and other parties involved in upstream and downstream activities through collaboration and competition as well. A BES is a network of companies working together in a coordinated way in order to generate value through division of labor in common value chains. The total value created by a BES is higher than the sum of values of the companies on a stand-alone basis (Jacobides et al, 2018). Each member of an eco system affects and is affected by the actions and reactions of the other participants of the system (Williamson & De Meyer, 2020). In this case of research, the company orchestrating the whole process of value creation is the respective car manufacturer. In case that the car manufacturer has problems, the related BES will instantly have problems, too. For many decades the business model of producing and selling cars was a stable and profitable business. All corresponding business eco systems (BES) worked very well and they have balanced each other for the benefit of all. The BES were balanced in all directions between

all the car manufacturers, suppliers and related activities along the value chain. The existing competitive advantages especially for German brands provided high margins and concomitant a remarkably increasing market capitalization. High growth rates and high rates of return attracted more competitors to enter this business.

The actuality of the topic is that additionally, further hazards are coming up, which have the treat potential to tilt the business system and corresponding BES out of balance. The car manufacturing industry is challenged by digitalization and electrification, which push into the car manufacturing industry internally and threats from external, which are accelerated by restrictive legal regulations. More problems will arise, when technological change is combined with structural change from different origins and directions. It can be stated that besides the technological and structural change there are trade wars initiated by big players on governmental level, economic downturns in several industries in various countries, which affect purchasing power. There is also to be noticed that customers are uncertain about what technology to buy. In addition to that there is a broad skepticism about e-mobility, because the charging infrastructure is far behind demand. New technologies and radical change also attract new competitors.

